

1976



საქართველოს
რესპუბლიკის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდვითი საბჭო

12

1976



საკვ ტენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი
ლეონიდ ილიას-ძე ბრეშენვი
(სურათი გადაღებულია თბილისის აეროპორტში)



ენათობი

ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუახანალი

წელიწადი 52-ე

№ 12

დეკემბერი 1976 წ.

საქართველოს საპროტა მწერლების კავშირის ორგანო

უიწაწი

| | |
|--|-----|
| მხანაზ ლომიდი ილიას-ში გრძინაძე | 3 |
| საბა ცინცალური კომიტიტის გინიკალურ მწერებს ანს. ლ. ა. გრძინაძე | 6 |
| ფრიდონ ხალვაში — ლექსები | 8 |
| გრიგოლ ჩიქოვანი — მწერ. რეზანი გრძინაძე | 12 |
| ლილია მისი — ლექსი. მთხრობა | 47 |
| მხი ხათავური — ლექსები | 56 |
| ალი გუგუნიძე — ლექსები | 58 |
| მარტოვა კვანცალიანი — ლექსები | 60 |
| ინიჩი ხარაძე — ლექსები | 62 |
| მავრა აბაშული — ლექსები | 64 |
| გივი მონტლანაშვილი — მოთხრობები | 66 |
| თინათი კობახიძე — ორი ლექსი | 75 |
| როსტომ მთხრობა — ლექსები. მთხრობა | 76 |
| ოთარ ნიჭინაშვილი — კვლე ნაცვინი, მთხრობა | 96 |
| სარგი შილია — მარია კვანცალაშვილი. ქრონიკა. დესკრიფტი. | 102 |
| ნიკო კახიკაძე — კიდინაზ მთხრობები. მთხრობა. გრძინაძე | 118 |
| კალა გომიანი — ლექსები | 134 |
| ინიჩი აბაშა — თარგმანა ჯაბუა მთხრობა | 136 |

მარკვევები ხუთწლადის დღეებზე

| | |
|--|-----|
| კაკა მთხრობა — მთხრობა, ლომიდი ილიას შვი | 141 |
|--|-----|

კრიტიკა და კვლევითი

| | |
|---|-----|
| მთხრობი გომიანი — ინანი ჯაბუაშვილი და მარტოვი მთხრობები | 151 |
| მთხრობი მარკვევები — სელი მთხრობი, სელი მთხრობი | 158 |
| როსტომ მთხრობა — კალა კობახიძე ინანიკალის მთხრობა | 169 |
| სარგი მთხრობა — კონსტანტინე მთხრობა და მთხრობი კვლევითი | 174 |

13074

ქიზნების მიმოხილვა

გერმანული
ბიბლიოთეკა
181
184
188

აბაჯი თოფურია — მოსკოვი კვიენალ ბრთია . . .

ლია ღარაშვილი — „ტარტარის ტარასკოველი“ კერძულ ძნაზი . . .

წლიური სარეზი

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ბ. აბაშიძე, კ. აბაშვილი (3/4 მდიანი), ხ. ბარაღაძე, თ. გვირგვინი, ზ. ლაბა-
ნია, ლ. შილაშვილი, ა. ალავერდი, ა. ბუთაშვილი, ს. ნაწილაშვილი,
დ. შილაშვილი, ნ. წილაშვილი, ვ. წილაშვილი, თ. შილაშვილი, ზ. ბარაღაძე, კ. აბაშიძე,
დ. შილაშვილი, ვ. წილაშვილი.

ტექნიკური კრედიტორი

რედაქციის მხარეთა:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბილაშვილი: რედაქტორის — 98-55-11.
3/4 მდიანის — 98-55-18, განყოფილებ-
ის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადეცა ასაწილად 27/X-76 წ., ხელმოწერი-
ლი დასაბეჭდად 15/XII-76 წ. ასაწილად ზომა
71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108/16
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 13, ხაზ-საგამოცემლო
თანხა 16,58

№ 00182 ტირაჟი 11.650. შეკვ. 3576
საქ. კვ ც-ის გამოცემლობის სტომა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ამხანაგ ლეონიდ ილიას-კი ბრეჟნევს!

ბერძნული ლეონიდ ილიას-ძევი

საკვ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მსურველად და ვულოთადად მოგესალმებით თქვენ — საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, მწეიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მგზნებარე მებრძოლს, თანამამლევარულ მარქსისტ-ლენინელს — თქვენი დახადების სამოცდაათი წლისთავის დღეს.

თქვენი დაუცხრომელი და ნაყოფიერი მოღვაწეობა, ლეონიდ ილიას-ძევი, სამშობლოსადმი, ლენინის პარტიისადმი, კომუნისზმის საქმისადმი თავდადებულა სამსახურის შთამაგონებელი მავალითაა. უფელა პოსტზე, სადაც პარტია გზაყენიდათ. უფელა პასუხსაგებ ამოცანათა გადაწყვეტაში, რასაც იგი ვადამლებათ, უყოველთვის ღირსეულად ამართლებდით და კვლავაც ამართლებთ მის წეობას.

თქვენი დაუშრეტელი ენერჯიას, პარტიულ პრინციპულობას, ხალხის ცხოვრებასთან გარეუტელ კავშირს ღრმა ფესვები აქვს. თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევი, სიკანაუკის წლებში შერუტდით მშრომელთა დაად არმიას და მილიონობით თანატოლთან ერთად გულდაქერებით მიაბიჭებდით საბჭოთა ხელისუფლებას მარტ დასახულ გზაზე, ქარხანაში მუშაობასთან ერთად ბეჭითად ეუფლებოდით ცოდნას. მუშათა კოლექტიუმი ცხოვრებამ მოკვით მშრომელთა ფიქრებისა და მისწრაფებების ღრმა ვაგება. მუშა, ინჟინერი, პარტიული მუშაკი, თქვენ უყოველთვის ეუყით პარტიელა ხელწლედების წლებში სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო წეობილების განვითარების დამკერეფურ მამართლებებზე.

როცა ფაშისტური ვერმანის ავაჯაურმა თავდასხმამ უფიდესი საფრთხე შეუქმნა ჩვენს სამშობლოს, თქვენ დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ჩადექით შეომართა რიგებში და სრულ გამარჯვებამდე იბრძოდით. ბრძოლა კავკასიისათვის, ლეგენდარული „მეორე მიწა“, პიტლერულ ოყუპანტა განდევნა უჩიშიდან, უყრინიდან, პოდლესთან, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლება — ანეთია ამ არმიათა სახელოვანი გზის ნიშანსებებზე, რომელთა ბრძოლებში აღინიშნა თქვენი მებდრული ვებრობა და პირადი შამაცობა, რისთვისაც სამშობლომ საბჭოთა კავშირის ვებირის წოდება მოვანიტა.

დიდი სამამულო ომის შემდეგ თქვენ, როგორც პარტიის წამორცევის, შემდეგ კი დენტროპეტროვსკის საოლქო კომიტეტების პირველი მდივანი, მთელ ქალღონეს ახმარდით ამ დიდი ინდუსტრიული ცენტრების აღორძინებას, უშუალოდ მონაწილეობდით სახელგანთქმული ვ. ი. ლენინის სახელობის დენტროპეტროვსკისა და მუტალურგის ვიჯანტის — „წამორცესტალის“ აღდგენაში.

მოლდავეთისა და ურახეთის მშრომელებმა კარვად იციან, რამდენი შრომა, რიცოტივთა და სიმტყაცე მოახმარეთ თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევი, როცა ამ მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციებს მეთაურობდით მათი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებას. ურახეთის უმეირი მიწების ვადექვევა ქვეუნის დიდ ბედლად რესპუბლიკის ისტორიაში შეეიდა შესანიშნავ ეპოქად, რომელშიც ჩაწერა თქვენი სახელიც, თქვენი დიდა წედილია.

მომდევნო წლებში, როცა სკვ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ეუყით და განაგებდით მამე, თავდაცვითი მრეწველობის, მწეინებლობის საკითხებს, თქვენ თვალსაჩინო როლი შეასრულეთ სამშობლოს ინდუსტრიული და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ბრძაში, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტყიცებაში, კოსმოსური კვლევების ორგანიზაციაში. სამშობლომ ღირსეულად დაათასა თქვენი დამსახურება. ლეონიდ ილიას-ძევი და მოგანიტათ სოციალისტური შრომის ვებირის წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე თქვენ ბევრი ძალადონე მოახსარეთ საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების საქმეს (სსრ კავშირის ცენტრალური დეპარტამენტი განვითარებას).

თქვენი, როგორც ლენინური ტიპის ხელმძღვანელის, ავტორიტეტის მაღალი აღიარება პარტიისა და ხალხის მიერ იყო თქვენი არჩევა, ძვირფასო ლენინიდ ილიასძე, სკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმზე, ხოლო სკკ XXII უბიულოზის დამთავრების შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა თქვენ ავირჩიათ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანად.

მას შემდეგ, უკვე 12 წელიწადი სტატია, ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრების ყველა მთავარი მოვლენა, საბჭოთა კავშირის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატებანი დაკავშირებულია სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე თქვენს ნაყოფიერ საქმიანობასთან. თქვენ, ლენინიდ ილიასძე, თავდასრინო წვლილი შეგაკეთებ პარტიის ამ ლენინური გენერალური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლის სისწორეს და სამართლიანობას ადისტურებს ჩვენი საშობლოს განვითარებისა და მსოფლიო ისტორიული პროცესის მთელი მსვლელობა.

ეს იყო საბჭოთა კავშირის ხალხის მასების აღწეწეწელობითი ენერჯიის მძლავრი, განუხრელი აღმავლობის წლები, ხალხის მასების, რომლებიც კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, ლენინიდ ილიასძე, ახორციელებდნენ გაჯანებოთა და სიღრმით გრანდიოზულ სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებს, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას, პარტიისა და ხალხის ვიარული შრომით შეიქმნა საბჭოთა საშობლოს ვიგანტური მატერიალური და სულიერი პოტენციალი. თავისი პოლიტიკური და ეკონომიური შედეგებით თავდასრინო იყო შეცხრე ზოფილენი, რომლითაც აღინიშნა დიდი ეტაპი კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე.

ამ წლებში სულ უფრო მონოლითური ხდება მუშათა კლასის, კომუნურნე გლეხობის სახალხო ინტელიგენციის კავშირი, სულ უფრო მჭიდრო და განუხრელი — საბჭოთა კავშირის ხალხთა მშური მეგობრობა. საბჭოთა სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფო ვახდა და სოციალისტური დემოკრატიის, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის თანამიმდევრულ განვითარებაში დამაჭრებლად ვლინდება ხალხის მასების ისტორიული რევოლუციური შემოქმედების დიადი ძალა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV უბიულოზამ ცხადყო, რომ ჩვენმა საშობლომ მიადრწა ახალ ისტორიულ მიჯნებს კომუნისმისკენ დიადი წინსვლის გზაზე.

პარტიის საქარგრაშო დოკუმენტია „სკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის შორავი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“. რომელიც უბიულოზს თქვენ მოახსენეთ, ლენინიდ ილიასძე, ამ დოკუმენტში ღრმად და უყოლებმარე განალიზებულია ჩვენნი ეპოქის უმნიშვნელვანესი პროცესები, პარტიისა და ხალხის რევოლუციური გარდაქმნული საქმიანობა, მსოფლიო რევოლუციური პროცესი, გაშუქებულია მათი ეკონომიური გრებები და პერსპექტივები, დასახულია ლენინური საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის კარდინალური ამოცანები თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე.

ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი თქვენი მეთაურობით, ლენინიდ ილიასძე, დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების განუხრელი გაუმჯობესებისათვის. უბიულოზის მიერ შემუშავებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი და მათ შესაბამისად მობებული მეათე ზოფილენი გეგმა მთავარ ამოცანად ისახავენ ხალხის ეკოიდლეობის განუხრელი აღმავლობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საზოგადოებრივი წარმოების დინამიური და პროპროციული განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მუშაობის ხარისხის უყოლებმარე გაუმჯობესების საფორველზე.

სკკ XXV უბიულოზამ მშურთაღედ და ერთხელვანად მოიწინა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და მოქმედებას სახელმძღვანელოდ მიიღო თქვენს მიერ წამოყენებული დებულებები და ამოცანები. უბიულოზამ მძლავრი იმპულსი მისცა საბჭოთა აღმანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალ აღმავლობას, რომლებმაც უბიულოზის გადაწყვეტილებანი აღიქვეს როგორც თავიანთი საქმიანობის პროგრამა. ისინი უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

კომუნისტური მშენებლობის წარმატებებთან მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა კავ-

შორის ავტორიტეტისა და გავლენის განმტკიცება მსოფლიო ასპარეზზე. ჩვენმა სამშობლოს საერთაშორისო მდგომარეობა მყარია, როგორც არსდროს. განუწყვეტელი ვითარდება მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ჩვენი ძვირად შეფასებული და თანამშრომლობა, რომლებიც შედეგადადებულა კომუნისტური პარტიების საბრძოლო კავშირით მარქსისტ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. მტკიცდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კავშირი კომუნისტურ, მუსოლი, პარტიებთან, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მსოფლიო ფრონტის მონაწილეთა ყველა რაზმთან. მზარდი სოლიდარობის, მეგობრობისა და ურთიერთდაცემის სულისკვეთებით არის განმსჭვალული საბჭოთა კავშირის ურთიერთობა განვითარებად ქვეყნებთან, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლების საქმისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან.

ბოლო წლებში ჩვენმა სამშობლომ, რომელიც განუხრებლად ასრულებს მშვიდობის-მოყვარულ ლენინურ კურსს, მოაშუ სოციალისტურ ქვეყნებთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ქალებთან ერთად წარმატებანი მოიპოვა ხალხთა მშვიდობისა და უნიშრობის განმტკიცებაში, სამშვიდობო პროგრამა, რომელიც თქვენ, ლეონიდ ილიას-ძვე, სკკპ XXIV ყრილობაზე დასახეთ, ვახდა საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღების, დამაბუღლობის შედეგებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იმ პრინციპების სულ უფრო მტკიცედ დამყვიდრებისაყენ შემობრუნების მძლავრი პოლიტიური ფაქტორი, რომელთათვის ვ. ი. ლენინმა იბრძოდა.

საბჭოთა ადამიანებმა, მსოფლიოს ყველა პატრიასამა ადამიანმა აღფრთოვანებით აღიქვეს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, რომელიც თქვენ ჩამოყალიბეთ სკკპ XXV ყრილობაზე და რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთიან ნებას—დაიცვან და განამტკიცონ კაცობრიობის მშვიდობისა და პროგრესის საქმე, თავიდან აიცილონ მსოფლიო თერმობატორი ომის საფრთხე.

საბჭოთა ადამიანები ამაუბენ იმით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად თქვენი, ლეონიდ ილიას-ძვე, საგარეო პოლიტიკური კომისიონის თვითუფალი ღონისძიება ეძღვნება ამ კეთილშობილური, კუმანური მიზნების მიღწევას. მშვიდობისათვის შთავგონებული, მგზნებარე ბრძოლით თქვენ დამისახურეთ მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანის მადლობა, რაც გამოხატა თქვენთვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ ლენინური პრემიის მონიჭებით და ფ. ტოლი-კიურის სახელის მშვიდობის ოქროს მედალით თქვენი დაჯილდოებით.

რეპკოული იმპერიალისტური ძალები ყოველწინადად აღფრთხილებენ საერთაშორისო დამაბუღლობის შედეგების პროცესს და განაგრძობენ გაძალებულ შეიარაღებას. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო, პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი დაუცხროზლად ზრუნავენ იმისათვის, რომ სათანადო დონეზე იყოს ჩვენი სამშობლოს თავდაცვა. პირადად თქვენ, ლეონიდ ილიას-ძვე, როგორც თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, დიდი წვლილი შევავეთ ჩვენი სახელკვანის შეიარაღებულ ძალების მშენებლობაში.

ჩვენი პარტიის საქმიანობის, მისი ხანისა და საგარეო პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლია შემოქმედებითად გამოყენებული და განვითარებული მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. თქვენ, ლეონიდ ილიას-ძვე, დიდი პირადი წვლილი შეიტანეთ პარტიის მიერ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემდგომ შემოქმედებით განვითარებაში, განსაკუთრებით განვითარებული სოციალიზმის მშენებლობისა და კომუნისტური გადასვლის პრობლემის შესაბამისად, დიდი წვლილი შეიტანეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების სკვანძო პრობლემების ღრმად დამუშავებაში, დებულებებს, რომლებიც თქვენ წამოაყენეთ ისეთ საკითხებზე, როგორც არის სოციალისტური ინდუსტრიის განვითარება; აგრარული პოლიტიკა, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის ყოველმხრივ განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებისა და სოციალისტური წყობილების უპირატესობათა შერწყმა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ამოცანები, ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი სამშობლოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძვე!
 თქვენ დამისახურეთ კომუნისტებისა და ყველა საბჭოთა ადამიანის ღრმა პატივისცემა, სუფარული და ნდობა იმით, რომ მთელ თქვენს ძალღონეს ახმართ პარტიისა და ხალხისად-



ში თავდადებულ სამსახურს. თქვენ პირნათლად ასრულებთ პარტიის მიერ [დანიშნულ] მოსახს, მეთაურობთ მის სამსახურს შტაბს — ცენტრალურ კომიტეტს. პარტიამ [დანიშნულ] იციან, თუ რა კერძობრივად დაუშრეტელი ენერჯით, პრინციპულობითა და გამჭრიახობით ხელმძღვანელობთ თქვენ კომუნისტური მშენებლობის რთული და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტას.

თქვენ დღენიდავ ზრუნავთ ჩვენს საზოგადოებაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ამაღლებისათვის, ხალხის მასებთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის, პარტიისა და საზოგადოების ცხოვრებაში ლენინური პრინციპებისა და ნორმების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის, რაც ჩვენი წარმატებების პირობაა.

ჭვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

უფლა თქვენი ამხანაგისათვის, კომუნისტის საქმის უფლა მებრძოლისათვის თქვენ ხართ იმის მადლობით, თუ როგორი უნდა იყოს კომუნისტ-ლენინელი, მთელი თქვენი მოღვაწეობა გასწავლულია პარტიისა და ხალხის შემოქმედებითი ძალების ღრმა ჩრწენით, მშრომელ ადამიანებთან გულისათვი სახილკოვითა და პატვისსტეით. თქვენ გაქვთ შესანიშნავი უნარი შთაგონით და შეაკავშიროთ ადამიანები, იყოთ სკვებ ცენტრალური კომიტეტის ერთსულთვანი, შეკავშირებული მუშაობის ორგანიზატორა.

ჩვენა კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, ცენტრალურა კომიტეტის პოლიტბიურომ და პირადად თქვენ, ლეონიდ ილიას-ძეე, საბჭოთა საზოგადოებაში დაამკვიდრეთ და განვითარეთ ნამდვილი კოლექტივიზმის, ამხანაგური ნდობის, პატვისსტეის და ამასთან ერთად მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ვითარება, რაც ხელს უწყობს კომუნისტის მშენებელი ადამიანის მთელი შემოქმედებითი ძალების აყვავებას. საბჭოთა ადამიანები პარტიას, სკვებ ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ, ლეონიდ ილიას-ძეე, ვიპასუხებენ ღრმა გულითადი მადლიერების გრძნობებით.

გამოვხატავთ რა ამ გრძნობებს და გულწრფელად ვალოცავთ თქვენ, ჭვირფასო ლეონიდ ილიას-ძეე, დაბადების საშოკდათ წლისთავს, გულითადად ვისურვებთ განმარტელობას და ზედნიერებას, ახალ წარმატებებს თქვენს დაუცხრომელ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის, უფლა მშრომელის საყვითილდლოდ, მშვიდობისა და კომუნისტის ნათელი იდეების გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს

დიდად პატვისსტეული ლეონიდ ილიას-ძეე!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის უფლა კომუნისტის, უფლა მშრომელის სახელით სულთ და გულით ვალოცავთ და უკვლევიე საუკეთესოს ვისურვებთ თქვენი სახელოვანი 50 წლისთავის დღეს.

თქვენი ცხოვრება მაგიოდ ასახავს ჩვენი პარტიის ვიჭრულ ისტორიას, ზოლო თვით ამხანაგ ბრენევის ცხოვრება ლენინური პარტიისადმი უანგარო სამსახურით. ისტორიაში ახრსე ბერია ასეთი ზედნიერი შემთხვევები, როცა პოლიტიკური ხელმძღვანელის იდეები და პრაქტიკული მოღვაწეობა ესოდენ ემხანებოდეს მთელი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს.

დღეს განსაკუთრებული ძალით გვაგონდება ვლადიმერ ილიასძე ლენინის ხიტუება, რომელიც ამბობდა, რომ პროლეტარიატს სჭირდება დაკვირვებელი, გამოცდილი და მკოდენ პოლიტიკური ხელმძღვანელები, უფლაზე ავტორიტეტისანი, ვადენიანი, უფლაზე პასუხსაგებ ანაწიდეობებზე არჩეული პირნი, რომლებსაც ბელადებს უწოდებთ. მუშათა კლასის სწო



რედ ასეთი პოლიტიკური დიდგრი, ხელნახ ბელმმდენელი, პარტიული შედეგად ღელონდ ილიას-ძე პრედენვი — სკეპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანდ უკუქმუნტურა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მთელი მსოფლიოს მშეადობისათვის დაუცხრომელი შეზამოლი, ღენინური ტიპის პრმდენი და შორსმქვრეტელი პოლიტიკოსი, გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი.

ძვირფასო ღელონდ ილიას-ძე!

საქართველოს ბერძენი რამე აკავშირებს თქვენს სახელთან: ისიც, რომ დიდი სამაშულო ომის წლებში შეკრდით იყავით კავკასიას. ისიც, რომ მშვიდობისა და შრომის წლებში საქართველოს დროშას მიიხსნეთ ღენინის ორდენი, შეხედვე ეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

მაგრამ უმნიშვნელოვანესია და უბრაფრესი, რაც განსაზღვრავს საქართველოს პარტიორგანიზაციის, მთელი რესპუბლიკის ცხოვრების შინაარსსა და რატომ, არის პარტიის ისტორიული XXV ურთობა, სკეპ ცენტრალური კომიტეტის სამი ცნობილი დადგენილება, სამი უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი, რომლებიც მიღებულია თქვენი ანტიკატოვით, თქვენი რჩევით, თქვენი პრმწული მითითებით: ვადაწუვეტილებანი თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ, თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე დადგენილების განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტიორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ამ სამმა დადგენილებამ, თქვენმა დარიგებამ და რჩევამ, თქვენმა მუღვიამა პრწუნამ და ურარდლებამ, რომელსაც იჩინე საქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი, რესპუბლიკაში განსაღა მორალურ-ესპიკოლოგიური კლამბით, ნამდვილი შემოქმედებისა და აღმშენებლობის ატმოსფერო შექმნა.

მნიშვნელოვანწილად დაძლეულია რესპუბლიკის ჩამორჩენა. მეთე ხუთწლეულის პირველ წელს ბერძენ დაჩქარდა სამრწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ზრდის დაგეგმვით ტემპები. ასობით საწარმო მთლიანად და ვადაქარბებით შეასრულა წლიური დავალებანი, შემხვედრი ვეგემები, სოციალისტური ვალდებულებანი, გამოხვეებულია ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, სამშობლომ დამატებით მიიღო ათეულათასობით ტონა ხარახოვანი რიას ფოთოლი, მარცვლეული, ციტრუსები, ხალი, პოსტნეული, შექრის ქარხალი, ზორცი, რძე. მწეობრში ჩაღვა ახალი სამრწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტები, კულტურას, მეცნიერებას, განათლებას, განმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, ასეულათასობით კვადრატული მეტრი მიწები.

ამრავად, ღენინის ანდერძის ერთგული საქართველოს მშრომელები თქვენს ოუბიტეს აღნიშნავენ ახალი შრომათი წარმატებებით, სახელობითი შრომათი საქუქრებით და ამათ გამოხატავენ ათეინთ უდიდეს მატეიბცემასა და სიუყარულს, დიდ სიმათიასა და გუღობთად მადლიერებას.

ჩვენში უუღლად საწეიმო ვითარებაში აღინიშნება თქვენი დაზადების დღე და დღეს რესპუბლიკაში არ არის ქალაქი ათე სოფელი, სახლი ათე ოქანი, საღაც ადამიანები თქვენ, ძვირფასო ღელონდ ილიას-ძე, არ ვისურვებდენ უკველიე ომას, რასაც უბურვებ უახლოეს და უბრაფრესს ადამიანს: განმრთელობას, დღევრმდლობას, სისარულსა და დიდ ბედნიერებას, ახალ ძალდონესა და ახალ ენერჯიას — უუღლა საბჭოთა ადამიანის, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, ჩვენი დიადი სამშობლოს საყეთადდღოდ, ჩვენი ღენინური პარტიის სადიდებლად, კომუნისმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ბ. შვიპარდნაძე

საქართველოს სსრ შუალესი საგონი პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საგონი თავმჯდომარე

ხ. კატარბიძე

ფრიდონ ხალვაში

განდაგანა

ფატმა კობაქაძეს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს

მიზიარე სიხარული, ჯაფრიც თმენით მონატანი,
გახსოვს დაო, ჩადრის კვამლში

თვალეში გამონადარი?

„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა, ალვის ხის ჩამონათალი“.

პირდაპირი იყო მისვლა, პირდაპირი, პირდაპირი,
აბა იმ გზას, რაც ვიარეთ, სხვანაირად ვინ გაივლის.
პირდაპირი იყო გზა და პირდაპირი იყო სიტყვა,
სისხლისფერი სარტყელივით ის გზა ტანზე შემოგირტყამს,
და გაშალე კალთა ცაში, ფეშტამლეების იყო ფრენა,
ამეტყველდა განდაგანა ნაზი, როგორც დედა ენა.

განდაგანა — ვაზის ტოტი, სულის დერზე მოხვეული,
განდაგანა, — ფრთების ქარი, ზეგვი კლდეებს მოხეული.
განდაგანა, — შუება, ნება, ცხელი ცრემლით განბანილი,
განდაგანა, — მოქნეული პწკარში ქართულ ანბანივით.

განდაგანა, — ერთი წუთი სიყმაწვილეს დაამგვანა,
სისადავის, სისალუქის, სისათუთის განდაგანა.

მარცვალი რომ არ გორავდა არც ბედელში, არც ხვიმირში,
განდაგანა ჭოჩახელას სარჩო იყო ჭირში, ლინწში.
სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, ზეგან-ზეგან, ბარის ბარად
გულმრისხანე გრიგალები საალერსოდ გადამდნარან.

დასცხე, ჩემო განდაგანა, ყველამ გიცნოს რა ხარ, ვინ ხარ,
ხულოს ქედზე დაფესვილი ურის ხეზე დატოტვილხარ.
ახლა ისე აზანზარებ სასახლეთა მაღალ ჭერებს,
ვიცი, ჩემო განდაგანა, ვეღარავინ შეგაჩერებს.

ე თ ე რ ი



შუაგზაზე, შუადღით შემხვდა ქალი ეთერი,
 ქედ-ქედ ჩამომაგალი,
 ჩვენებური, ქედელი.
 მისი აყვავილებების მიმღერია წინათვე,
 შემხვდა, შემომიყარა მთელი ქვეყნის სინათლე.
 საცხე უბით მოკჭონდა მზე, ზაფხული, სიმწიფე,
 სიმსუბუქე ხალისთა და ნაღველოთა სიმძიმე.
 ფერად ესხა ტყე-ველი, ახალ ვაზთა უბანი,
 ის ვით თავისუფლება, იყო თავისუფალი.
 წუთისოფლის სინაზე ჩემში ისე უღეწავს,
 სიხარულიც მეძნელა მოვარდნილი უცერად.
 ეთერ, ამ ოცნებათა ცის უძირო ეთერო,
 ეთერ, სამშობლოსავით ნეტარშესახედულო.
 როცა კენესა-ვარამში მემღეკეთი დაობლდა,
 ჩემ სიცოცხლეს ჭიროდა შენი ქართველქალობა.
 სახელგამთელებულო, სახეგაძენებულო,
 ბევრჯერ გატაცებულო, მაინც დაბრუნებულო,
 სიყვარული ძველია, ძნელია და მწუხარი,
 იგი ციხის ნანგრევზე ამოსული მუხაა.
 მასუნცეთის ჩანჩქერო,
 ნაზო დარდო, შავშურო,
 შენი ეთერქალობა უნდა მტერს შევაშურო.
 გადმოდგეს და გვიყუროს,
 ვენახების ტვერებში,
 მზის სიხარულს ჩურჩულით როგორ ავედევნებით.
 გასკდეს გულზე, — სიმღერით ვარ სიერცეთა მკვეთელი,
 შუაგზაზე, შუადღით მხედება ქალი ეთერი.

ვიცი, მიწაზე მე რომ დავდივარ,
 რქ — ვარსკვლავები სურათის მიღებენ.
 ბედნიერი ვარ,

ვწუხვარ ძალიან, —
 ბედნიერებას რად ვერ ვიყვებ.
 ტოტმა სათქმელი როცა მომანდო,
 ეგონა ვიტყვი ისე დიდი ვარ,
 მაგრამ მეც ვეძებ ჩემ ელდორადოს
 და ბევრ სათქმელით ქარში მივდივარ.
 მიწამ სათქმელი როცა მომანდო,
 უკეთ ვიტყვი ალბათ ეგონა...
 მაგრამ მშობელი, მჯერა ბოლომდე,
 არ, დამაყვედრის თავის დედობას.

ღ ა ბ ე ი ნ ა ხ ო ნ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამია ვარშანიძის

ვინაც უნდა იჭილიკოს, იჭირჭილოს,
შინც გვეთქვას ასჯერი და ათასჯერი:
საქართველოს სიყვარულის სატევართ
ჯაჭვი სამი საუკუნის გადავჭერთ.

ამ სიყვარულს ნაყოფივით ვამწიფებდით,
ჩვენ ის გვაკლდა, ჩვენ ის გვშაა, ჩვენ ის გვინდა.
სულს გვალვავი რომ ჩუგლო თვით ილიამ,
ეს ნაყოფი აღმოცენდა იმ თესლიდან.

გვაპატიონ, კვებნაა თუ სიამაყე,
რა ვქნათ, ვხარობთ, განძი უხვი გვიპოვია.
მშობლიურის ტრფიალია ეს სიმდიდრე,
ვღერს გულძარღვში მშობელ სიტყვის სიმფონია.

ეს სიმღერა ჩვენი არვის არ დღუშლის, —
რაც მამულმა დაგვიბრუნა, იმას ვუვლით,
სხვა რა გვინდა, — საქართველოს სიყვარულში
ჯილდოდ გვქონდეს საქართველოს სიყვარული.


გ. შ ი ნ ა ხ ო ნ ე ნ ე ნ ნ ა რ ი ბ ი

მიფრინაუდნენ წეროები, —
მწკრივი ფრთოსან მხედართა,
ატირებდა ქარი ყავარს,
ტერში წვეთი წვეთავდა,
ფოთლებს აკლავდა შემოდგომა...
ამას ყველა ხედავდა,
მაგრამ ყველას არ შეეძლო
ამის გამო ედარდა.

ვისაც უყვარს სიყვარული,
სიმათლე და სიკეთე,
ვინაც ხედავს ნიჭი ზეზე
ბუდეს როგორ იკეთებს,
ვისაც აღლობს ამ ზაფხულის
სინათლე და სინედლე,
იმან იცის ეს ხეები
მოისხამენ იმედებს.

ჩანან კავკასიონის მთათა თეთრი თავები,
ასაფრენად შინდორზე გრგვინავს თვითმფრინავები

შორეთს მიემგზავრები უკვე მერამდენედა,
მაღე მოგენატრება ეს ლურჯი განათება.



სახეზე რომ გეხევეა, როგორც დედის ამბორი,
ეს ქარებიც რაღაც ტკბილს და ნაცნობს რომ ამბობენ,

იპე მოგენატრება და სევდაც აგატირებს,
გუნებაში რაღაცას მტერსაც კი აპატიებს.

ელაგს კავკასიონის მთათა თეთრი თავები,
შემოდგომის ზეცაში გრგვინავს თვითმფრინავეები.

მ რ ი ნ ა რ ე

მთელი არსობის ერთი იოტიც
არაა, რასაც გულს არ ვუერთებ,
მდინარესავით მიწა ვდიოდე
ჩემი მშობელი მიწის გულმკერდზე.



გრიგოლ იმომხანი

მ ი წ ა

რომანი

ჩიონი მატულობდა, მაგრამ არც ისე სწრაფად, როგორც მოსალოდნელი იყო. მთებში ხანგამოშვებით წვიმდა, გაშმაგებით, ძლიერად, იმისდაგვარად დღისით ეშელონებივით რომ მიჰქონდა ქარს მთებისაკენ ღრუბლები, დაცლიდა წინა ეშელონს, გააკეთებდა თავის საქმეს და მომდევნო ეშელონი შეუდგებოდა იმავე საქმეს.

ასე მეორდებოდა ერთიმეორეზე წაბ-
მით.

ჩიონი ამღვრეული იყო, ბრინჯაოს-
ფრად ლაპლაპებდა მის ნაპირებზე
მღგარი სახლების ფანჯრებიდან გამოჰ-
რილ შუქზე. შფოთიანად, მოუსვენრად
ციმციმებდა ფანჯრების შუშები. ქარს
თითქოს ძალით გამოჰქონდა ოთახები-
დან შუქი და მდინარეს აფენდა, რათა
ანდრო განგიას ამღვრეული წყალი და-
ენახა, მაცნე იმისა, რომ ამას მალე
ადიდებულნი, აზვირთებულნი და გააგე-
ბული ჩიონი მოჰყვებოდა, რისხვად
და წარღვნად მოვარდნილი წყალი გა-
დავიდოდა ნაპირებიდან, მოედებოდა
ქუჩებს, შესახვევებს, ჩიხებს, ეზოებს,
აიწევდა, ამაღლდებოდა, შევიდოდა
სარდაფებში; მერე ოთახებში, დუქ-
ნებში, კარებიდან და ფანჯრებიდან.

ანდრო განგიამ იცოდა, როდის აიწე-
ვდა ჩიონი ისე, რომ ნაპირებს გადა-
სკედებოდა. დინება ჯერ ნელი იყო,
თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ ნავი
მაინც ვერ იკრეფდა სიჩქარეს. წინგა-
დახრალი ანდრო განგია მთელი ძალით
უსვამდა ნიჩბებს. ნიჩბები წყალში რომ
დაიფარებოდა, უკან გადაიხრებოდა,
შემდეგ მაგრად დააწევებოდა და ნავი
წინ მიიწევდა.

ნავში უჩა შამუგია და გალინა არკა-
დიენა ისხდნენ. მხოლოდ ისინი გა-
მოიყოლია ანდრო განგიამ საბაეოში.
დანარჩენები ორ ნაწილად გაიყვენენ.
ქალაქკომის მდივნის და აღმასკომის
თავმჯდომარის ჯგუფი ქალაქში დარჩა.
ტარიელ ქარდას ჯგუფს საბაეოს მო-
სახლენი უნდა გაეყვანა სოფლიდან,
გაეტანათ ბარგი, გაეყვანათ საქონელი
და ფრინველი. ბარაკების, საწყობების
დაცლა მომარაგების უფროსს ლონგი-
ნოზ ლომჯარაის დაევალა.

ანდრო განგიამ თავისი მანქანა ვაჟა
ჯაფარიძეს, ვასო ბრეგვაძესა და სპი-
რიდონ გუნიას დაუთმო. ვაჟასა და
სპირიდონს უნდა მოეძებნათ — დრაგე-
რის თანაშემწე და მოეყვანათ „პრის-
ტმანი“ დამბის გასაპრელად. თვითონ
საკუთარი ნავით მიდიოდა. ნიჩბებს
უსვამდა და თან იმაზე ფიქრობდა, მო-

ასწრებდნენ თუ არა რიონის აღიღებამდე დამბის გაქრას.

ნავით იმიტომ აირჩია წასვლა, რომ ეს გზა უფრო საიმედო იყო, ვიდრე მანქანის გზა, თანაც მოკლე. სამანქანო გზა წყლით იქნებოდა დაფარული. ამალამ ბრმად უნდა ევლოთ და ღმერთმა უწყის საღ ჩაეფლობოდნენ.

რიონზე არაფერი შეუშლიდათ ხელს, თუ ანდრო განგისა და უჩა შამუგიას ეყოფოდათ ძალა საბაჟოდ წყლის დინების საწინააღმდეგოდ ეტარებით ნავი.

პირველი ანდრო უნდა მისულყო საბაჟოში, რათა აერჩია დამბის გასაჭრელი ადგილი და თვითონ გაეჭრა იგი, თუ დრაგერის თანამემწყეს ვერ მოძებნიდნენ.

ერთადერთი ხსნა „პრისტმანი“ იყო. შეძლებდა კი ნავის ტარებით დაქანცული, სიცხიანი, უსმელ-უჭმელი განგია დამბის გაქრას, რომლის სიმაღლე შვიდი მეტრი იყო და განი ამდენივე? — „უნდა შევძლო“, — იმეორებდა ჭიუტად. თავი ტკიოდა, ზურგი ტეხდა, ხელები ეწვოდა, უნდოდა, წამით შეეშვა ნიჩბებისათვის ხელები და წყალში ჩაეყო, რომ ტკივილი და წვა დაამებოდა, მაგრამ განა მთელი ტანით, თავით ფეხამდე წყალში არ იყო! წვიმის ძლიერი ნაკადი თავებრიდან კი არა, პირდაპირ ზეციდან ჩასდიოდა საყელოში, იქიდან მკერდზე, მუცელზე, ბარძაყებზე, ფეხები წყალში ეღვა.

იღუა. ქუხილი გვიან გაისმა, სულ ახლო დაეცა მეხი. სეროვამ ელვის შეჭზე დაინახა განგის უღონოდ დამკვებული მხრები, მოხრილია ზურგი, დაინახა, რა გაჭირვებით, მთელი სხეულის დაძაბვით გაიმართა ნიჩბების ვოსმისას.

ნავი წყლით ივსებოდა, მიძიდებოდა. უჩა ვერ ასწრებდა წყლის ამოხავეს. ნავი ძლივს მიიწევდა აღმა. წყლის დინება ჯერ არ უწევდა დიდ წინააღმდეგობას. ნავის სიძიმეს ვერ ერეოდა განგის ხელები. გადაწყვიტა: ნიჩბები უჩასათვის გადაეცა, მაგრამ უჩა არ

იცნობდა რიონის ამ ადგილებს. საბაჟოში აქ იმდენი ქალიკი იყო, რომლებიც უჩაში, იმდენი ხე იდგა წყალში, სანამ ვი ქალიკს შეასკდებოდა, ან უჩაში და ხეს. ჯერ გზის მეთაფი არ ჰქონდათ გავლილი. ადრე იყო უჩასათვის ნიჩბების გადაცემა. უჩას უნდა ეტარებინა ნავი მეტი გზა და ამ ხნის განმავლობაში ანდრო განგისა დაესვენა, რომ „პრისტმანის“ მართვა შეძლებოდა. უჩა გულზე დაკრუთილი არ იჭდა, ვედრით წყალს ხაპავდა ნავიდან, მუხლამდე წყალში იღვა.

წვიმა ხან ნაკლებად ჩადიოდა ნავში. ხან გადაიღებდა. გაუთავებლად ელავდა, ანათებდა მდინარის დინებას, სეროვას სველ თმას, შემოტმანნილ კაბაში გამოკვართულ ტანს, ნავში მდგარ წყალს, ნავში მსხდართა დაქანცულ, გატანჯულ სახეებს.

ვედრო ნახევრად ძირგავარდნილი იყო და უჩა ვიდრე ახაპულ წყალს გადაღვრიდა, ნაწილი ისევ ნავში ბრუნდებოდა და წყალი არ კლებულობდა. სიმწრისაგან კბილებს აკრავუნებდა; მზად იყო ვედრო მოესროლა. მაშინ ნავი პირამდე გაივსებოდა.

შერტხვა სულმოკლეობის. ანდრო განგია, ამხნის კაცი, ავადმყოფი, მშვიერი, დაქანცული და განერვიულებული მშვიდად იჭდა და ჭიუტად, თანაბრად უსვამდა ნიჩბებს. გრძნობდა უჩა, რა ფასად უჯდებოდა ეს ანდროს, რა უჩანასკნელ ძალღონის და ძარღვების დაძაბვით აკეთებდა ამას. უჩა იმასაც ზედაედა, რა მშვიდად იჭდა სეროვა, ეს გაწუწული, ასევე მშვიერი, და დაქანცული ქალიშვილი და უჩას თვალს ადევნებდა. უჩას მოეჩვენა, რომ სეროვა წყრომით უყურებდა, დაცინოდა მის სულმოკლეობას და უფრო სწრაფად დაიწყო ხაპვა.

— უჩა, მომეცი ვედრო. ახლა მე ამოვხაპავ, — უთხრა სეროვამ.

— არა, ჯერ არ დაველიღვარ.

— მიეცი, უჩა, — უჩან მოუხედავად თხოვა ანდრომ.

სეროვა კიჩოზე იჭდა. წყალი მუხ-

ლამდე წვდებოდა. წამოდგა და უხმოდ ჩამოართვა უჩას ვეღრო.

— დისვენე, უჩა, — უთხრა ანდრომ, — რამდენჯერ გადაეწყვიტე ახალი ვედრო მეყიდა.

ნავი ქალაქის ფარგლებიდან გავიდა. რიონის დამბები ასი მეტრის მოშორებით იყო მდინარიდან აღმართული. დამბებს იქით შავად ჩაბინდული ტყე იდგა. მის კამარაზე მწვანედ გაიფრებოდა გაღმა-გამოღმა და მერე მოგვიანებით ისეთ კვეყა-ქუხილს დასცემდა რიონსა და ტყეს, მიწას ხანზარი გაქონდა.

უჩას არ უნდოდა სეროვასათვის ვედროს მიცემა, მაგრამ გალინა არკადიევნამ თითქმის ძალით ჩამოართვა, ნავში ჩაიშრებდა და ხავეას შეუდგა.

უჩა იქ დაქდა კინოზე, სადაც მანამდე სეროვა იჯდა და უყურებდა რა გამეტებით სცემდა სახეში ქალს წვიმის ღვარი, სცემდა მკერდზე და მხრებზე, ზურგზე და თქოებზე. ბნელოდა, მაგრამ მაინც ხედავდა უჩა.

უყვრდა, როგორ იტანდა ქალიშვილის ნაზი ტანი თქემის გაშმაგებულ ცემას, როგორ არ ტკიოდა და ამ ტკივილს არაფრით არ ამქლავებდა. უყვრდა, რატომ ვაჟა ჭაფარიძეს არ გამყვავა სეროვა და ანდროს წამოჰყვა. — იმიტომ წამოჰყვა, რომ ანდრო განგია ავდაა. — თვითონ ვასცა თავის კითხვის პასუხი, — ავად რომ არ იყოს, მაინც ანდროს წამოჰყვებოდა“.

წვიმამ იმატა. გაძლიერდა ქარიც.

თავდახრილნი ისხდნენ, რომ თქემისათვის სახე მოერიდებიათ. წყალი მაინც ყოველ მხრიდან სცემდათ ცხვირპირში. ქვევიდან, ზევიდან, გვერდებიდან. სუნთქვა ეკვროდათ.

წყვდიადი მთლად ჩამავდა. მისი თვალშეუვალი კედელი ეხვიათ გარშემო. ვერაფერს ხედავდნენ. ვერ ხედავდნენ მდინარეს. მაინც გრძნობდნენ, რომ იგი სულ მაღლა, მაღლა იწვედა, ღინება ძალას იკრფდა, ნავი მიიმედ მიიწვედა წინ.

ანდრო განგაის ნიჩბები მთლად და-

უმძიმდა. დაუმძიმდა მკლავები. გერები ჩამოეკოდა ზედ, მოეჩვენა მუხუჭები. ღლები გაიჩერდა, ნავიც გაიჩერდა. მთელი მდინარეც სიცხე ერთბაშად დაუვიარდა. მთელ ტანში სიკვებ გაუქდა, აუტანელი სიკვებ. ავანჯალდა, თავბრუ დაეხვა, ნიჩბები გაუვიარდა.

ნავი დატრიალდა. გვერდზე გადაიხარა. სეროვა ვედროიანად კინაღამ გადავიარდა წყალში.

ანდრომ ნიჩბების დასაქვრად ხელეზი გაიქნია, ააფათურა სიბნელეში. წვიზა საფეთქლებში ურტყამდა, თვალეზში სცემდა, ვერ დაიხახა ნიჩბები.

ნავი ცხვირით დაბლა ჩატრიალდა და ის იყო ღინებას უნდა წაეღო, რომ ანდროს ზურგს უკანიდან უჩა დაწვდა ნიჩბებს.

— მიმიშვით, ბატონო, ანდრო, — თხოვა განგაის.

ანდრომ ადგილი დაუთმო, მაგრამ ტანი ვერ წამოსწია, ვერ წამოღდა.

სეროვამ ვედრო ნავში ჩააგდო, მივიდა, ნავი რომ არ გადაბრუნებულყო, ანდრო ფრთხილად წამოაყენა და კინოზე დასვა. განგია არ გამოლიანებია. სული უნდა მოეთქვა, დაესვენა, ძალა უნდა მოეკრიფა.

გალინა არკადიევნი გვერდით მიუქდა, ხელი მოხვია. უნდოდა გადაფარებოდა, წვიმის თქეში აეცილებია. განგია ამის ნებას არ მისცემდა. ანდრო ღილით უქმელი გავიდა შინიდან იმ იმედით, რომ სეროვასა და ჭაფარიძის ქორწილში სუფრასზე აღრე დასხდებოდნენ. მაგრამ ქორწილის ჩაშლით გულნატკენი, თათბირზე ისე შევიდა, ღუკმა არ ჩაუღვია პირში.

სეროვამ იცოდა ეს. ბევრი ეხვეწა თათბირის დაწყებამდე სამშორთველოს ბუფეტში ეჭამა რამე, მაგრამ სიცხისაგან პირი ისე ჰქონდა მოშხამული, ჭამა კი არა, წყლის დაღვევა არ შეეძლო.

რიონი არაერთხელ გადასულა ნაპირებიდან. ჩაუტანია ზღვაში სახლები, ქარხნები, ეტლები, ურმები, ხილები, საწყობები, ღობეები, კიშკრები და ქუ-

ჩები, აღამიანი და პირუტყვი. მაშინ რიონს ნაპირები აზვინული არ ჰქონდა. მდინარე ფოთში შესვლამდე გადადიოდა ნაპირებზე, ზღვასავით მოედებოდა მარჯვენა და მარცხენა დაბლობებს, სოფლებს, ყანებს, საძოვრებს, ტყეებს და ფოთში შენელებული, ძალგამოლუქული შედიოდა. ზღვა არ იღებდა მის შემდოვრებულ წყალს, მისივე ჩამოტანილი მიწა და სილა ეღობებოდა, არ უშვებდა ზღვაში, უკან აბევიებდა შორიგზა გამოვლილს და ძალა გამოლუქულს.

ახლა რიონი თავის გრძელ გზაზე აღარ კარგავდა ძალას, ველარ გადადიოდა ნაპირებიდან. ორივე მხრიდან ალობილი იყო და მთებიდან დაშვებული, ლომივით ფაფარაყრილი ისე დაეჭვებოდა ქალაქს, როგორც უზარმაზარი ღარიდან წისქვილის ბორბალზე დაცემული წყალი.

ანდრო განგია ამ ქალაქში დაიბადა, აქ გაიზარდა. მამამისი ნიკო, ფოთის მაზრის მეტყევე, უებრო მონადირე იყო. ნიკომ ყოველი ნადირის, მხეცის და ფრინველის ზნე და ენა იცოდა. მხოლოდ მგლებზე, ტურებზე და დათვზე ნადირობდა. სხვა ნადირს არ ერჩიოდა.

ანდრო ამ წლამდე მამის ჩოხის კალთას არ მოშორებოდა. თან დაჰყვებოდა ტყეში, ჰაობში. შეიყვარა ნადირი და ფრინველი, ტყე და მიწა. მამამ ნადირისა და ფრინველის ზნე და ენა ანდროსაც შესწავლა. ჩაუწერა მიწისა და ტყის სიყვარული.

ერთხელ ტყის შემოვლისას ნიკოსა და ანდროს შვლის განწირული ბღავილი შეესმათ. მეტყევე მაშინვე მიხვდა, რომ ნადირი ჰაობში იძირებოდა. სწრაფად გაეშურნენ საშველად.

შველი მუცლამდე ჩაეტაცა ჰაობს. უმწეოდ შეხედა ნახშირივით შავი, ცრემლით სავსე თვალებითა ნიკოს. ნიკოს ამ ჰაობთან ბევრჯერ ჩაუვლია. იგი ღრმა არ ეგონა. თოფი მხარზე გადაიკიდა და ჰაობში შეაბიჯა. მუხლამდე რომ მიხწვდა ჰაობი, შველს დაწვდა,

ხელში იიყვანა. შველი შეშინდა და ხელიდან გაუსხლტა, მოშორებულ ჰაობს ვარდა ჰაობში. ნიკომ კედელს წაფრწინა. ისევ იიყვანა შველი, მაგრამ მიიქრა მკერდზე, მაგრამ ველარ შემობრუნდა. იქ ღრმა აღმოჩნდა ჰაობი და ჩაძირვა იწყო. ვერც ფეხი ასწია ნიკომ, ვერც მოტრიალდა. უნდოდა შველი ნაპირზე გადაეგდო, შეემსუბუქებია ტანი. ვერა, ვერ მოტრიალდა.

— ბაბა! — შესძახა თეზარდაცემულმა ანდრომ.

ნიკომ შველი მაინც მოისროლა ნაპირისაკენ. ამ მოძრაობამ უფრო ღრმად ჩაძირა. შველი კი ნაპირზე დაეცა და მაშინვე წამოდგა, ერთი შეხედა ნიკოს და გაიქცა.

— ბაბა, ჩქომი ბაბა! — ღრიალებდა ანდრო, წინ და უკან დარბოდა ნაპირზე. ცრემლი დაბადლებით გადადიოდა თვალებიდან.

ნიკოს ჰაობი წელამდე მისწვდა, იგარძნო, თავს ველარ უშველიდა. ზურგშეკეცილი იძირებოდა. ისე იძირებოდა, ვერ ხედავდა შვილს.

— ანდრო, ბაბა, შენი კირი წამილია, შვილო. მომატყუა ჰაობმა. უფრთხილდი ამ ოხერს! — დაუძახა ნიკომ. შერე თოფი გადმოიღო მხრიდან, ორივე ტყვია გაისროლა. იქნებ ვინმე მონადირე ან მეჭოვე იყოსო ახლოს. რომც ყოფილიყო, მაინც ვერ მიუსწრებდნენ ისე სწრაფად იძირებოდა.

— ბაბა!.. ბაბა!.. ბაბაჩია! — ბლიოდა ანდრო. მერე უცებ ენა ჩაუვარდა. იმ ადგილას, სადაც ნიკო იძირებოდა, ჰაობის ზედაპირზე მხეცილი, მღვრიე ბუშტები გამოჩნდა. ანდროს უნდოდა ეყვირა. ხმა ვერ ამოიღო. გარინდული იდგა და იმ მღვრიე ბუშტების ბუყბუყი ესმოდა.

ასე წაართვა ბაბა ჰაობმა ანდრო განგიას. მას თავისი ანგარიში ჰქონდა ჰაობთან, შური უნდა ეძია მასზე. სკოლა დაამთავრა თუ არა, სამელიორაციო ფაქულტეტზე შევიდა, რომ ჰაობები ეშრო, სამაგიერო გადაეხადა ჰაობებისათვის.

„რალა დღეს გააცია მიინცდამინც! რალა დღეს გაწყრა დარ-ავდრის მბრძანებელი და ცა ზღვად ჩამოიქცა“.

დამბის გაქრა და რიონის გადაგდება დიდ ზარალს მიაყენებდა მარჯვენა ნაპირს, იქ ჩატარებული რამდენიმე წლის სამუშაოებს; ყველაფერი რაც გაკეთდა, თავიდან გასაყეთებელი შეიქნებოდა... ეს ადგილები იმ ორმოც ათას ჰექტარში შედიოდა; რიონი აქ ბევრჯერ გადასულა, წაუღია საბაქოს ჭარველები, მაგრამ ის, რასაც ახლა რიონის გადაგდება თავს დაატებდა აქაურობას, ყველაფერ იმასთან შედარებით, რაც აქამდე უქნია სოფლისათვის მონაგონი იქნებოდა. ქვეს ქვაზე არ დატოვებდა, პირწმინდად წალეკავდა ყველაფერს.

„მოასწრებენ კი სოფლის გაყვანას, ბარგის გატანას, პირუტყვისა და ფრინველის გაყვანას? — განვია გულს იმით იმშვიდებდა, რომ რიონის გადაგდებით ფოთს იხსნიდა. — დამბის გაქრას თუ მოასწრებენ? დროზე მოიყვანენ ექსკავატორს? იპოვნიან დრაგერის თანამშემწეს? ვაი, თუ მე ვერ შევძლო ექსკავატორის მართვა“, თავი იქნია ფიქრების მოსაშორებლად. უცებ ისეთი სიძლიერით შემოჰქრა სახეში ქარმა და წვიმამ, რომ ტყვილისაგან ხელები აიფარა.

სეროვა იმ მხრიდან აეფარა ანდროს, საიდანაც წვიმა სცემდა. ეს ისე შეუმჩნევლად გააკეთა და ისე ბუნებრივად, რომ ანდრო არ მიმხედარიყო, მაგრამ იგი მინც მიხვდა. სხვა დროს გაჯავრდებოდა, ახლა არ გაჯავრდა. გააბხენდა ქორწილის ჩაშლა, სეროვას გაწბილებული სახე დაუდგა წინ, თვალბზე ცრემლი რომ მოსდგომოდა.

— უნდა აპატიო ვაჟას.

— ვაპატიო?!

— ვაჟა პატივმოყვარეა.

— პატივმოყვარეობა, ანდრეი ნიკოლაევიჩ, საქმესაც ვნებს და ადამიანსაც.

— მართალია, ვალინა. შენ უნდა დაეხმარო მის.

— ვეცდები, ანდრეი ნიკოლაევიჩ.

— ვაჟა ჩინებული ჯიშისაა, უქრას წვიმის ზათქში და ქარის წივილში მინც ესმოდა მათი ლაპარაკი და უკვირდა, რა თბილად ლაპარაკობდნენ და ზრუნავდნენ ჭაფარითზე ასეთ ჭოჯობებში.

დინება თანდათან მატულობდა.

უჩა მთელი ძალით აწვევოდა ნინბებს. დაძაბული გასცქეროდა უკუნეთს. არ იცოდა რამდენი გასცურეს, სად იყვნენ, შუა მდინარეში მიცურავდნენ, თუ ნაპირთან ახლოს. მსხვილი წვიმისაგან წყალი დუღდა. ბნელ ტყეს შეჩვეული უჩას თვალი მინც ხედავდა კუბრივით შავ, მოთუხთუხე წყალს, მხოლოდ წყალსა და მეტს არაფერს. უსვამდა ნინბებს და ეგონა, ნინბების ყოველ მოსმაზე დინების მთელი სიმძიმე მხრებზე აწვევოდა, მყერდზე აწვევოდა.

ნავი რალაცას დაეტაკა.

მოულოდნელი ბიძგისაგან სამივენი წაქანდნენ და წყლით სავსე ნავში ჩაცვივდნენ. ნავი იდგა და მძიმედ ირწეროდა. ანდრო განვია მიხვდა, რომ ნავი პატარა ფოთთან, სადაც რიონი ოდნავ უხვევს, ჰალიკს დაეტაკა.

— ოპო, პატარა ფოთთან მოვსულვართ, — წამოიძახა გახარებულმა, — დასსედით, უჩა მარცხნივ აიღე გეზი! საბაქომდე ორმოცი წუთის სავალი დაგვრჩა. ქარი ღრუბლებს ერეკება. ცა მალე გაისარკება.

უჩამ ნინბები აკრიფა, ნავი მოაბრუნა, კარგა მოშორებით გასცურა ქალიკიდან და აღმა აპყვა რიონს.

ანდრო განვიას სიცივისაგან ამაგდებდა. სეროვა ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რა დღეში იყო. იცოდა, სიცხის დაეარდნის შემდეგ მუხლამდე წყალში მდგარს, თავსმამი და ქარში რა დაემართებოდა. არ დაფიქრებულა, მკლავი მოხვია, მთელი ტანით მიიკრა ტანზე, რათა გაეთხო.

— ჰო, მცივა, ვალინა არკადიევიჩა; — იგრძნო ქალიშვილის სიცოცხლით სავსე ტანის სითბო.

— ანდრეი ნიკოლაევიჩი, ახლა თუ გადაურჩით გაციებას, არასოდეს არ გაცივდებით, — უთხრა სიცილით სეროვამ.

— გადაევრჩები, გადაევრჩები, გალონა არკადიევნა. თქვენი სიტბო ასწელიწადს მეყოფა, შეხედეთ, ცა ისარკება. უჩა დაიღალა ალბათ. შემიძლია ნიჩბებს მივუტყდე.

— არ დავდლიღვარ, ბატონო ანდრო, — უთხრა უჩამ. მკლავები მისი აღარ იყო, დაუძიბდა, გაუხვედა, მხრები და წელი ტეხავდა. მაშის სიკვდილის შემდეგ არ მგდარა ნავში, არ ქერია ნიჩბები. სულს ძლივს იბრუნებდა. მგვრამ ისე მშვიდი, აუჩქარებელი იყო მისი ხმა და სუნთქვა, განგვიმ ვერ შეატყო დაღლა.

— გალონა.
— დიას. ანდრეი ნიკოლაევიჩი.

— გალონა, ძალიან გატყინათ გული, ვაჟა? — „რა ამის კითხვის ღროა?“ — გაიფიქრა ბრაზით.

— ვერ დაგიმალავთ. მატკინა ველი, ანდრეი ნიკოლაევიჩი.

— დარწმუნებული ვარ, ახლა ვაჟა თვითონ ნანობს.

— თქვენ ძალიან კეთილი ველი გაქვთ, ანდრეი ნიკოლაევიჩი!

— ვერ დაუფიქრდა თავის საქციელს.

— ცა მთლად მოისარკა. ქარი შენეღდა. წყალი კი მატულობს და მატულობს.

— აი, საბაჟო გამოჩნდა, — უთხრა განგვიამ, — აღარ მცოცხა. მარცხნივ დაიქირე, უჩა.

როინი კალაპოტიდან გადავიდა და დამბებისაკენ დაიძრა. წყალი ჭიქურ მიდიოდა დამბების ორივე მხარეს, ზღვასავით ედებოდა მიწას.

განგვიამ მოეჩვენა, რომ ნავი წინ აღარ მიდიოდა.

მოწმენდილი ცის ვარსკვლავების შექმნე წყალი ისე ეუბრისფრად ბრკივალვდა. განგვიამ აღარ ფიქრობდა მოასწრებდნენ თუ არა დამბის გაჭრას. არ შეეძლო ამაზე ფიქრი, შიშს ჰგვრიდა ამაზე ფიქრი და არ ფიქრობდა.

— შენ მაინც თუ ვამე რაყე დღეს? — ჰკითხა უჩამ.

— ვკამე, — შიმშილისაგან თავი უსკლებოდა, კეპი ეწვოდა, ნერწყვს ვერ ყლაპავდა და მაინც ასე უთხრა უჩამ.

— არც გალონა არკადიევნას ჩასვლია პირში ლუკმა. არაფერია, გავუძლებთ, უჩა, — მიხედა, რომ უჩა მშვიერი იყო და გაამხნევა.

— გავუძლებთ, ბატონო ანდრო! ტალღები გაშმაგებით აწყდებოდა ნავის ქიშხ, ხან ზევით აისროდა, ხან ჩააყვინთვინებდა. მაშინ წყალი ტალღებდ ჩადიოდა ნავში.

სეროვამ ისე ჩაიმხელა. გამალებით ნაპავდა.

წყალი დამბებს მიადგა და უცებ აიწია. როინი წარღვნასავით მოდიოდა.

ნავიდან დამბის გაჭრამა სოფელი არ ჩანდა. ეს იკოდნენ სეროვამ და განგვიამ. საბაჟოსთან, ზედ დამბასთან კაკლის ბებერი ხე იდგა. ის იყო განგვიასთვის სოფელ საბაჟოს ორიენტირი. გამოჩნდა დამბაზე გადმოხრილი ხე.

— მოვედით! — წამოიძახა განგვიამ.

უჩას არ გაუგონია მისი ხმა. რაც უფრო მატულობდა მდინარე, ძალს იკრფდა, ყალუხე დგებოდა მისი შავი ჩქერები, უფრო უძიძუდებოდა უჩას ნიჩბები, უფრო დაბლა ახრევიდებდა მხრებს, ისე დაბლა, რომ მერე გამართვა უჭირდა.

განგვიამ ხედავდა ამას. გრძობდა, რომ უჩას გონება ერთი აზრით, ერთი სურვილით იყო მოცული — დროზე მიეყვანა ნავი საბაჟომდე.

როინს სახლის ფიკრები, სასიმიწეები. კიშკრები, მორები, ხეება, ავეჯი, დამბრჩავლი და ცოცხალი პირტუკვი და ფრინველი მოჰქონდა. ზვირთები ხან ჩაიტაცებდა მათ, ხან ამოაგდებდა და ისეთი სიძლიერით მოაჭროლებდა, ნავს რომ დატაცებოდა მორი, ფიკარი, ან სასიმიწდე, ჩაძირავდა.

უჩა ასწრებდა გვერდის აქცევას. თვითონვე უყვირდა, როგორ ახერხებდა მკლავებდაწყვეტილი, თვალში შექჩამჭრალი და დარტყიანებული.

33074

ქ. მარტისის ქ. ხა. ხა. სსრ
საბა. მ. მ.

ტალღები აქეთ-იქით ისროდა ნავს. განგვიამ თავი ვერ შეიკავა და კიჩოლან ნავში ჩაცურდა. სეროვამ ხაპვა მიატოვა, წამოაყენა ანდრო, ისევ კიჩოზე დასვა და გვერდით მიუქცა.

— თუ შეგიძლია, წყალი ჩაბე. ნავი გაივსო, ვიძირებით, — უთხრა სეროვას ანდრომ. — სულ ცოტა დაგვრჩია კედევ — მარცხნივ აიღე გეზი, უჩა. იმ კაკლის ხესთან უნდა მივიდგეთ დამბის.

მთვარე ამოვიდა.

გაკაშვასდა მდინარე და დამბა და კაკლის ხე გარკვევით გამოჩნდა.

წყალი დამბას ასკდებოდა, მაღლა აღიოდა მის კედელზე. დამბაზე სინათლე არ ჩანდა. — „არაფერს მოსულა, არა ჩანს ექსკავატორის ციციხე. ალბათ, წყალმა მთლად გადაარეცხა გზები და დატბორა, — შიშმა აიტანა განგია, — ვაჟისა და სპირიდონს მანქანა გზაზე რომ გარჩენოდათ, აქამდე ფეხით მივიდოდნენ „პრისტმანთან“. რა მოხდა?! — ამ შიშს მეორე შიშიც დაემატა: — როგორ ავიდეთ დამბის კედელზე?“ — გაახსენდა, რომ კაკლის ხის ცოტა ზევით შეთევვეებს დამბის კედელზე საფეხურები ჰქონდათ ამოკრილი. დამშვიდდა, მაგრამ პირველი შიში აწუხებდა: „— სად არიან?! თუ ექსკავატორი ვერ მოიყვანეს, თვითონ რატომ არ მოვიდნენ?!“.

დინება სწრაფად. მოაქროლებდა ოდასახლს, გზადაგზა სახურავს ყავრებს აცლიდა, წყლის ზედაპირზე ცვიოდა ყავრები და ოდასახლს უსწრებდა. ოდასახლი პირდაპირ ნავისაკენ მოქანებოდა, ჩიკორივით ატრიალებდა დინება. ის იყო ნავს უნდა დატაკებოდა, რომ განგვიამ დაინახა.

— ფრთხილად, უჩა!

შამუვიამ ნავის განზე გაწევა. ვერ მოასწრო. ოდასახლი კიჩოს დაეტაკა. გაისმა ჭახანი. ეგონათ, ნავი გასკდაო, მაგრამ იგი ერთ ადგილზე ტრიალებდა. უჩას ნიჩბები გაუვარდა. განგვიამ და სეროვას თავბრუ დაეხვათ, ნავში ტყაპანი გააღინეს. ოდასახლის ჩაქროლე-

ბის შემდეგ ნავი ისევ ისე ტრიალებდა. უჩამ ნიჩბები აყრილა და შეაწერა.

ის იყო ნავი შეაკავა, რომ შირფესვიანად მოთხრილი ხე დაეძგერა გვერდიდან და ნავი დამბის კედელზე მიაგდო. ნავის კედლებს ჩაჭიდებული განგია და სეროვა ისევ ისე ისხდნენ ნავში. ძლივს მოასწრეს თავის დახრა, რომ ხის გაბარჯლულ ტოტებს არ წივგლიყა.

სეროვამ ტყვილისაგან შეიკვლა — ტოტებმა კაბა და პერანგი გადაუფხრიწა, ზურგი გადაუსერა. განგვიამ პიჯაკი წააძრო. ყურადღება არ მიაქცია ამას. სეროვას ზურგს დახედა.

— სულ არა მტკივა, ანდრეი ნიკოლაევიჩ, — უთხრა ცრემლნარევი ხმით. ზურგზე ცეცხლი ეკიდა.

ნავი დამბის კედელთან შეჩერდა წამით. უჩამ ისარგებლა და მარცხენა ნიჩბი მთელი ძალით ჩაარტო წვიმით გაყვნილ დამბის რბილ კედელში:

— გადადიო! — დაუყვირა განგვიამ და სეროვას.

წამოდგნენ. ნავი ირწეოდა. ერთმანეთს ჩაევიდნენ ანდრო და გალინა არკადიევნა, რომ არ წაქცეულიყვნენ. დამბის კედელზე არც ერთი ბუჩქი არ იდგა, რომ ხელი ჩაეველოთ და ნავიდან გადასულიყვნენ.

უჩა ძლივს იკავებდა ნავს.

— გადადიო, რას უყურება! — ისევ დაიყვირა. დინება ჭვევით ეწეოდა ნავს. მიწაში ჩარჭობილი ნიჩბი ირყეოდა ცოტაც და ამოვარდებოდა მიწიდან. — გადადიო! გადადიო! — იძახოდა უჩა მთელი ხმით.

პირველი განგია გადახტა ნავიდან და ცურვით გვერდით გაჰყვა დამბას, მიჰყვა სეროვას, მერე უჩას.

სავსე ნავი მძიმედ შეტრიალდა და ძაშინვე გაიტაცა წყალმა. ჩააქროლა განგვიამ, სეროვასა და უჩას გვერდით თა ჩაძირა.

სამივენი დინებას მიჰყვნენ.

გამოჩნდა დამბაზე ამოკრილი საფეხურები. საფეხურებს აყოლებულ ცალმხრივ მოაჯირის ბიჯს ანდრო განგვიამ

პირველმა ჩასტაცა ხელი, მეორე ხელით სეროვას წასწვდა, თავისავე მოსწია და ბიჭზე მოაკიდებია ხელი, მეტი უჩაყ დაიჭირა.

აყენენ საფეხურებს. მოაჯირს დაეყრდნენ, ისვენებდნენ, სულს ძლივს იბრუნებდნენ. ლაპარაკი არ შეეძლოთ, მოაჯირი რომ არა, წაიქცეოდნენ. დიდხანს იდგნენ ასე.

ჩოონი კი მათ წინ შეუილითა და ღმუილით მიგველავდა, ზევით-ზევით იწევდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ისევ აყენენ საფეხურებს. ხელს მოაჯირზე იმარჯებდნენ.

როგორც იქნა, დამბახე ავიდნენ. ნიშოხედეს.

გარშემო არავინ ჩანდა. საბაჟოში აქა-იქ ფარნები გამოკრთოდა. ფარნები სწრაფად მოძრაობდა. ეტყობოდა, წუკებში ხალხი მიმორბოდა, მიმორბოდნენ ეზოებში. ისმოდა შემფოთებული გადაძახილები, ქალების კვილი, შავშვების ტირილი, საქონლის ბლავილი და ძაღლების ყეფა.

— სოფელი გაყავათ, — თქვა ანდრო განგიაძე... — ექსკავატორს რა დაემართა?! ან ვაჟა ჭაფარიძე და სპირიდონ გუნია სად არიან?! — ვერ გრძნობდა, რომ თავის თავს ელაპარაკებოდა.

შორს, მთებში გრგვენავდა და ელაგდა. იქ ისევ წვიმდა.

— იქნებ დრაგერის თანაშემწე ვერ ბოვებს, — იქით იხედებოდა, საიდანაც „პრისტმანს“ ელოდა.

— მე წავალ, — უთხრა მთავარ ინჟინერს შამუგიაძე. — ვიცი სადა დგას ექსკავატორი.

— წადი, — უთხრა მთავარმა ინჟინერმა. ხედავდა, ფეხზე ძლივს იდგა, სული კბილით ეჭირა და მაინც უთხრა წადიო.

სეროვა გაკვირებული უყურებდა. ეს გუშინ მოსული კაბუკი, ასეთი თავგანწირვით აკეთებდა იმას, რაც ადამიანის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

— ანდრეი ნიკოლაევიჩ, იგი ვერ მივა ექსკავატორამდე. შეხედეთ, ძლივს მოიქვს ტანი. საცაა დაეცემა.

— უნდა მივადეს, — უთხრა განგიაძე. — მივა. უსათუოდ მივაპარუნუნებ.

უჩა მიდიოდა. ფეხი მღვრეს სმრჩქონდა და წყლიდან და გაჭირვებით აღდამდა წინ. მიდიოდა წელში მოხრილი, ქანობდა, ირწეოდა, მუხლი ეკვეთებოდა. სული ეხუთებოდა და მაინც მიდიოდა. უნდოდა. ცდილობდა ჩქარა ევლო. მაგრამ წყალი და ტალახი მუხლამდე წვდებოდა და არ შეეძლო აეჩქარებია ნაბიჯი. გზა არ ჩანდა, ანდრე მიდიოდა. მაინც დარწმუნებული იყო, სწორი გზით მივლიდარო.

განგია და სეროვა იდგნენ და თვალს არ ამორებდნენ.

ჩოონი არ იცდიდა. მის შესილსა და ღმუილს მიყურადებულებს ესმოდათ, რა სწრაფად იწევდა მალა წყალი.

„როდის მივა ასეთი ნაბიჯით? როდის მივა ასეთი ნაბიჯით? — იმეორებდა განგიაძის გონება. — მივა, მივა. — არ უნდოდა დაეჭრებია, რომ არ მივიღოდა... — მივა... მივა... არ უღალატებს მუხლი, არ დაეცემა“.

მუხლმა უკვე უღალატა შამუგიაძის დაეცა. იწვა წყალში და ისვენებდა. ელაავდა მღვრიე. ტალახიან წყალს, დიდი გაჭირვებით წევდა მალა თავს და ჰაერს ისუნთქავდა. ძალა ოდნავ რომ მოიკრიფა, ვერ მუხლზე წამოდგა, მერე მთელი ტანიც და ნაბიჯი გადადგა, წავდა წინ. მუხლს არ მოჰყავდა, შიშს მოჰყავდა.

მოულოდნელად ხეებსა, ბარდებსა და ბუჩქებს შორის ნელი შეჭრა გამოკრათა. უჩამ თვალზე ხელი მოისვა, მოესმა მუხლუხობების ყრუ ხრქიალი. ყრუ იმიტომ, რომ მუხლუხობები წყალში და ტალახში მოდიოდა.

შედგა უჩა. არც თვალს დაუჭერა და არც ყურს, იმდენად დიდი იყო მისი სიხარული.

— „პრისტმანი!“ „პრისტმანი!“ — უფრო ხმაძალა გაიმეორა. შეტრიალდა და იმ შიშმა, წყალში და ტალახში გაჭირვებით რომ მოჰყავდა წინ, ახლო უფრო მეტი ქარი ჩაუყენა მუხლში — დამბისავენი გაიქცა.

— ბატონო ანდრო!.. ბატონო ანდრო!.. გალინა არკადიევნა! — ყვიროდა მთელი ხმით, გარბოდა წინ წახრილი, საბერველებით სუნთქავდა, ხრიალებდა, მიადგაფუნებდა წყალსა და ტალახს. — ბატონო ანდრო!.. გალინა არკადიევნა!.. ექსკავატორი... ექსკავატორი...

— ვინ მოერეკება „პრისტმანს“ ასეთი სიჩქარით? — გაოცდა ანდრო განგია.

— ალბათ მიკიტა ლიშკო ადგა. უჩა დამბაზე ავიდა.

— გესმით, ხედავთ შუქს? — თქვა ხრიალით, სული ყელში ჰქონდა მომჭდარი, მუხლებზე დავარდა და ხელებით მიწას დაეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

ტოტების ლაწუნით გამოიჭრა ხეებში ჯერ მალა აწეული ციცივი, შემდეგ ისარი, შემდეგ ექსკავატორის კორპუსი. თითქოს წყალში ამწე ონკანიანი გემი მოცურავდა.

განგია მდებარე ჩაირბინა, ექსკავატორს მიეგება.

„პრისტმანი“ ვეჯა ჯაფარიძეს მოჰყავდა. დრავერის თანამემწე ვერ ეპოვნათ, თავის სოფელში, საქორჭიოში წასულიყო.

ჯაფარიძემ ექსკავატორზე მუშაობა არ იცოდა, მაგრამ წაყვანა შეეძლო. სწრაფად მოჰყავდა მანქანა. არ არჩევდა გზას. არც ჩანდა იგი წყალქვეშ.

კაბინაში სპირილონ გუნია იდგა.

ვეჯამ ზედ დამბასთან მიაგდო უზარმაზარი მანქანა. გადახტა კაბინიდან.

გადახტა სპირილონ გუნიაც.

— ანდრო, შენი მანქანა პატარა ფოთთან გავვიფუჭდა, — უთხრა სპირილონ გუნიამ მთავარ ინჟინერს. — ძრავა ჩავკეტო წყალში. ექსკავატორამდე ფეხით ვიარეთ და ამიტომ დაგვაგვიანდა.

— სად გავკრათ დამბა? — სამივეს ერთად ჰკითხა განგია.

— აქვე, — არც დაფიქრებულა ისე უპასუხა სპირილონ გუნიამ.

— სოფლის გაყვანას ვთქვამხ?

— მოასწრებენ. *გინჯლინი თქვა*

მთავარი ინჟინერი ექსკავატორზე ავიდა. მიუჯდა ბერკეტებს, დაადგა ფეხი სატერფულებს.

„ღმერთო ჩემო, ასეთ დღეში, როგორ შეძლებს მუშაობას?!“ — გაიფიქრა სეროვამ. ზურგზე ციცივი ეკიდა, სინწრისაგან ეგონა, გული გაუჩერდა. უნდოდა, ასულიყო ექსკავატორზე და შეეჩერებინა განგია. ძალა არა ჰყოფნიდა ამისათვის. ან ვინ იმუშავებდა ანდროს მაგივრად?

ვეჯამ გვიან დაინახა, რომ სეროვას ზურგზე კაბა და პერანგი გადაეხრეწილი ჰქონდა. ის იყო მისკენ ნაბიჯი გადადგა, რომ ეკითხა, რა დაგემართათ, ამ დროს გალინა არკადიევნა თვითონ მეტრიადლა მისკენ. ვეჯამ ვერ ჰკითხა სეროვას, რა დაგემართათ. მისი შემოთავაზებული სახე მწყრალი და ცივი ეჩვენა. „შე მიწყრება, — გაიფიქრა ვეჯამ, — არ ეკითხავ, რა დაგემართა... ზურგი გასისხლიანებული აქვს... რა დაგემართა?!“ — გრძნობდა, რომ წუხდა და ნებისყოფა არ ყოფნიდა, ეკითხა.

— რამდენი მეტრის სიგრძეზე გავკრათ? — გადმოძახა მთავარმა ინჟინერმა კაბინიდან სპირილონ გუნიას.

— ეს შენ ჩემზე უკეთ იცი, ანდრო, — ასძახა ხმამალა გუნიამ, რომ წყლისა და „პრისტმანის“ ძრავას ხმაურში გაეგონა მისი ხმა განგიას. — ალბათ, ოთხი მეტრი საკმარისია. მე რე წყალი თვითონ გაარღვევს.

— მეც ასე ვფიქრობ, — განგია მდებარე მიიყვანა ექსკავატორი, ზედ მიყენა მის კედელს. დაუშვა ციცივი, მისი ვეება კბილები ღრმად, მტკიცედ ამოსდო დამბის ძირს, აავსო ციცივი, სწრაფად ასწია, გვერდზე გადასწია და პირი დააღებია — დაჰყარა მიწა. დააბრუნა უკან ციცივი, დაუშვა, ისევ ამოსდო მიწას.

— დღეს არაფერი უქამია, შუადღეზე გააცია და მალალი სიციხე ჰქონდა. ნავი ნახევარი გზა მის მოჰყავდა, — უთხრა გუნიას გალინა არკადიევნამ

ისე, რომ ვაყასაც გაეგონა. — ღმერთო ჩემო! საღ აქვს ამდენი ძალა?! — სეროვა როცა რაიმე უკვირდა, „ღმერთო ჩემოს“ იმეორებდა ხოლმე.

— გალინა არკადიევნა, რა დაგემართათ?! — დაინახა გუნიამ სეროვას ზურგი. — მთელი ზურგი დასისხლიანებული გაქვთ. შეზეღე ვაყა!

— მე უკვე დაეინახე. — უთხრა უხერხულად ვაყამ.

— თქვენ გცივათ. კანკალებთ, გალინა არკადიევნა, — პიჯაკი გაიხალა და მოახტრა გუნიამ. — სველია, მაგრამ მაინც გაათბობთ.

— გმადლობთ სპირიდონ დავიდოვიჩ. წყალს ხე მოჰქონდა. მისმა ტოტებმა ზედ გადაგვიარა.

— სასწაულად გადარჩენილხართ. ტკივიათ ზურგი?

— ცოტა.

— გცივათ?

— ცოტა, — გაიცინა სეროვამ. — არაფერია, გამივიღის.

გუნიამ ვაყას გადახედა, რატომ ღვას მოწმესავითო.

ჯაფარიძემ იგრძნო ეს.

— დამბაზე ავიდეთ, სპირიდონ, — უთხრა გუნიას, რომ მართლა მოწმესავით არ მდგარიყო. — ენახოთ წყალი რა სისწრაფით მატულობს, — პირველი აპყვა დამბას.

სეროვა მიხვდა, ვაყა წყლის დასახედად არ აღიოდა დამბაზე, წყლის აღილება აღარ აწუხებდა. დამბის გაჭრას მოასწრებდნენ. ვაყას სინიღისი ჰქეჯნიდა. თვალი აარიდა სეროვას. არ შეეძლო მასთან გაჩერება. რამდენი ხანი ემზადებოდა, ელოდა ვაყა მისთვის ამ ვეველაზე ბედნიერ დღეს და თვითონ თქვა უარი ბედნიერებაზე, შეურაცხყო საყვარელი ადამიანი, შეურაცხყო სიყვარული, უხეშად, საჯაროდ, ანდრო განგვიას დასანახავად, სტუმრების დასანახავად, რუსულან დეიდას და პეტრეს დასანახავად.

ვაყა ყოველთვის ნანობდა, ვინმეს რომ არასაკადრისად მოექცეოდა, წუხებდა და პირველ შესაძლებლობისთანა-

ვე ცდილობდა გამოესწორებია, თავისი წიცილობა.

სეროვა მზად იყო ეკატერინა ყველაფერო, პირველი თვითონ დაეღაპრაკებოდა, მაგრამ მასაც გაუკვირდა ამის გაკეთება. — „ღმერთო ჩემო, მე მას ვუწყრები. რა სულელი ვარ. რრთო განგსხვევდები ვაყასაგან? თურმე ისეთივე პატივმოყვარე ვარ, ისეთივე ფიცხი“.

ზშირად კამათობდნენ მშენებლობის საქმეზე, მაგრამ არასოდეს არ გაბუტულან. მათი კამათი საშსახურის საკითხს ეხებოდა, დღევანდელი კი მათ შირად ცხოვრებას შეეხო.

„პრისტმანი“ რახრახებდა და ღრქიანლებდა, ხან ყრუდ, ხან მთელი ძალით. წვიმიტ განზანილ ცაზე ვარსკვლავები ძვეთრად ბრწყინავდა და გალინა არკადიევნას ეგონა, მათი ბრწყინვა სიბზოს ჰგვრიდა მის სხეულს, სველ კაბაში, სველ ფეხსაცმელში და პიჯაკში. მაშინვე იგრძნო, რომ ეს სიბზო ვაყაზე ფიქრმა მოჰგვარა და გაეხარადა.

ეს ისეთი კარგი სიბზო იყო, აღარც ზურგის ტკივილს გრძნობდა, აღარც შიშს, მოასწრებდნენ თუ არა დამბის გაჭრას, მოასწრებდნენ თუ არა სოფლის გაყვანას, გადაარჩენდნენ თუ არა ფოთს. და იმ წუთში არ უნდოდა სხვა არაფერზე ფიქრი.

დამბას ახედა. ვაყა და სპირიდონ გუნია ზურგით იდგნენ. წინიდან ახალი ამოსული სავსე მთეარე ანათებდათ, სეროვა ამიტომ მხოლოდ მათ სილუეტებს ხედავდა. დარწმუნებული იყო, რომ ვაყაც ახლა მასზე ფიქრობდა და არა რიონზე. — „ჰო, რიონს დასცქერის, მაგრამ ჩემზე ფიქრობს“, — უნდოდა ასე ყოფილიყო და ჯეროდა, რომ ასეც იყო.

რიონის უჩვეულო აღიდებისა და დამბის გაჭრის ამბავი, მიუხედავად იმისა, რომ გზები წყლით იყო დაფარული, ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზები დაწყვეტილი, მაინც სწრაფად მოედო ახლო-მახლო მასიევებს და სოფლებს: პალაიდის, ქვალდის, ყურაის,

ნაბადას, საქორჭიოს, საჭიჭაოსა და პატარა ფოთს.

დაიბრუნა ხალხი სოფლებიდან და მასოფლებიდან საბაჟოსაკენ, ვინ ცხენით, ვინ ფეხითა და ურმით, რომ მიხმარებოდნენ სოფელს, გაეყვანათ სამშვიდობოს; გადაერჩინათ, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა; გადაერჩინათ სულიერი და უსული.

დასაწყისში მშენებლობის უფროსი შიშობდა, დაშლის გაქრას სოფლის გაყვანამდე ვერ მოვასწრებთო, მაგრამ იმდენი ხალხი, ცხენი და ურემი მოვიდა, რომ შიში მალე გაუქრა. მიიწვი თვითონ გამოკყავდა ჭარგვლებიდან ბავშვები, დედებთან ერთად სვამდა ურემებზე და ცხენებზე, სვამდა თავის მანქანას. გამოჰქონდა ავეჯი, კურკული, სიმინდითა და ფქვილით სავსე ტომრები.

ვასო ბრეგვაძე ერთი წუთით არ შორდებოდა გვერდიდან, უშლიდა მძიმე ტომრების აწევას. ყველაფრის გაზრდას და ყველას გაყვანას მოვასწრებთო, ამშვიდებდა ქარდას.

— მუუუ... იიიი... მუუუ... ნუ ეზიდეს, ტარიელ, მაგსიმძიმე ტომრებს.

— შენ რატომ ეზიდები, ბებერო? — ეხუმრებოდა ქარდა. — იქნებ გგონია, ჩემზე მეტი ჭანი გაქვს.

— ჭანიცა მაქვს და გულიც, — ხუმრობითვე უპასუვებდა ვასო ბრეგვაძე.

— მაშ, წადი, განგისა მოშველე დამბას გაქრასი: დღეს გაიცია, სიცხანია. ბგონი შენ ძველი ღრაგერი ხარ.

ღრაგერი არა, მაგრამ ცოტა ხანს „ჩიკოვანზე“ და „კობულზე“ ვმუშაობდი, — უთხრა ვასო ბრეგვაძე.

ვალრე ამ გერმანულ ექსკავატორებზე ღრაგერებს იშოვნებდნენ, ვასო ბრეგვაძე მუშაობდა ხან ერთზე და ხან მეორეზე. კარგად იცნობდა ორივე მანქანას და დარწმუნებული იყო „პრისტ-მანხელაც“ შეძლებდა მუშაობას.

მაშინვე შეჭდა ცხენზე და განგისთან გაემურა. — „რატომ თვითონ ვერ მოვხვდი, ანდროს მიგშველებოდი. ხომ დავინახე, რომ თათბირზე ციებ-ციებ-

ლებიანი მოვიდა! — წამითაც არ გაუქვლია გულში ანდროზე საყვედური: თვითონაც იცოდა, რომ ანდროს განგისა წინადადება აუცილებელი იყო, გონივრული იყო, რომ იგი ბევრად წასწევდა წინ საქმეს, მაგრამ თავის უბნის მიტოვება ვაჟა ჭაფარიძესავით მასაც უჭირდა და შეიძლება უფრო მეტადაც, რადგან თვითონ ვაჟაზე დიდხანს მუშაობდა ლანჩხუთის უბანში. — მე კი ისე გავულისებული ვილაშქრებდი ანდროს წინააღმდეგ თათბირზე, როგორც მისი დაუძინებელი მტერი“, — ამ ფიქრით შეწუხებული, ანჭარებდა ცხენს, რათა მალე მისულიყო დამბასთან და წეეცვალა ავადმყოფი კაცი, თუ ღრაგერის თანაშემწე ვერ მონახეს და ანდრო მუშაობდა „პრისტმანხე“.

დროზე მიუსწრო მთავარ ინჟინერს; სწორედ მაშინ მიაგლო ცხენი „პრისტმანთან“, როცა ძალაგამოლეულმა ანდრო განგისამ ციკვის ასაწევად ბერკეტს ვერ გადმოსწია, ხელიდან გაუვარდა, მკლავი მოწყვეტით ჩამოეკიდა და წელში ველარ გაიპართა.

— სულზე მომისწარი, ვასო, — ამის ექმალა მოახერხა.

განგია ხელით გადაიყვანეს ექსკავატორიდან ვაჟა ჭაფარიძემ და სპირილონ გუნია, სეროვას უნდოდათ ახლავე წაეყვანა ფოთში, მაგრამ განგია არ გააძვივ: იცოდნენ, ანდრო თავის ნათქვამს არ გადავიდოდა და აღარ დააძალეს. იქვე მოშორებით დამბაზე დასვეს. იქიდან აღევენებდა თვალს რიონსა და ექსკავატორის მუშაობას.

ანდრო კაბინიდან გადაიყვანეს თუ არა, ბრეგვაძე მიუჭდა ბერკეტებს. უნდოდა ბრეგვაძისთვის ეკითხა, რამდენი ოჯახი ღარჩა საბაჟოდან გასაყვანიო, მაგრამ ექსკავატორის რაბრახსა და ღრქილში, რიონის ღმუილსა და შხუილში ვერ გააგონებდა, ამიტომ სპირილონ გუნისა თხოვა, შენ ჰკითხეო.

სოფელი უკვე მთლიანად გაყვანილი იქნებოდა, ჩამოსძახა კაბინიდან ვასო ბრეგვაძე.

დამბის გაქრას აღარაფერი აკლდა...

წყალმა იმდენად აიწია, რომ განგვის ვარაუდით საცა ნაპირებიდან გადავიდოდა ფოთში. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ეს ვასო ბრეგვაძემაც იცოდა და გამალეებით მუშაობდა. „პრისტმანი“ უფრო ადვილი სამართავი გამოდგა, ვიდრე „შენიკი“ და „კოპელი“.

კიდევ ცოტაც და დამბა გაიჭრებოდა, ან წყალი თვითონ შეარღვევდა ჭრისს.

— სპირიდონ, — უთხრა გუნიას მთავარმა ინჟინერმა, — შეგეჭი ვასოს ცხენზე, მიდი საბაგოში და იქიდან თოფის გასროლით გვაცნობე, გაყვანილია თუ არა სოფელი. მეტი მოცდა აღარ შეიძლება.

გუნიამ დამბა ჩაირბინა, ცხენს მოეწვლო და ის იყო დასტრა ლაფში, რომ ტარიელ ქარდამ და პარტორგმა მოაგდეს ცხენები.

— როგორაა საქმე, ტარიელ? — მოაძახა მათ განგამ დაშვიდან.

— სოფელი გაყვანილია, ანდრო, — უპასუხა ტარიელ ქარდამ, ცხენიდან გადმოხტა კოჩა ყორშიასთან ერთად და დამბას აჰყვა.

განგია წამოვიდა, შებარბაცდა, თავი შეიმიაგრა, რომ არ წაქეუთლიყო, სეროვას დაეყრდნო მხარზე.

მწენებლობის უფროსმა და პატორგმა ჩაინჩვე შენიშნეს, რა დღეში იყო განგია.

— რას ვუცადოთ, ანდრო, — უთხრა ტარიელ ქარდამ. — გავჭრათ დამბა, თორემ ფოთში შეიძლება უკვე ავიდა წყალი ნაპირზე.

— არა. არ იქნება ჯერ ნაპირამდე ასული, — განგია „პრისტმანთან“ მივიდა. ხელები აქეთ-იქით შემოიწყო პირზე და ხმამალა ასძახა ვასო ბრეგვაძეს: — კმარა, ვასო. გამოიყვანე ექსკავატორი. წყალი თვითონ გაარღვევს მიწას. სწრაფად.

ამის თქმა და მართლაც წყალმა თვითონ გაარღვია მიწა. მოარღვია, თან წარიტანა განათხარის ორივე კედელი. გამოიტაცა კაბინიდან ბრეგვაძე და ორმოცი მეტრის მოშორებით ამოაგდო

წყლიდან, მერე ნაინარცხა ხეს, ჩაიტაცა და წაიღო.

— ვასილ გრიგორევიჩი! — შეგვიღობ სეროვან...

დილის მზეზე წვიმით გარეცხილი ქალაქი თვალისმომკრელად ბრწყინავდა. ცის სილურჯე გუბეებში და თხრილებში მდგარ წყალსაც დაჰკრავდა. პალმები, მაგნოლიები, ინდური იასამნები, ოლიანდრები, წვიმის მძივებით დაწინწკლული მრავალი სხვა ყვავილი და ვარდი ცივ ნაირფერ კონტრასტებად ენთო, ციმციმებდა გაზონებში, ეზოებში.

წუხანდელი შფოთით, შიშითა და ზარით დაქანცულ ქალაქს ჯერ კიდევ ეჩინა, ისვენებდა. ისვენებდა ზღვაც, ისეთი სიწყნარე და სიმშვიდე იდგა ქუჩებში, შესახვევებში, ჩიხებში, სახლებში. არ იფიქრებდი, რომ მათ მცხოვრებთ წუხელ წალეკვა ემუქრებოდათ: პაერში წყლით გამძღარი მიწისა და ნიკენარის დამათრობელი მძიმე სურნელი იდგა.

უცებ სიწყნარეში ტროტუარზე ქალის ფეხსაცმელის ქუსლის აჩქარებულნი, მკვეთრი კაქუნი გაისმა. ეტყობოდა, ქალი მიბობდა და მის ნაბიჯის ხმას მამაკაცის ნაბიჯის ხმა მიჰყვებოდა. მამაკაცი გრძელი ნაბიჯით მიდიოდა, არ გარბოდა, მისი ფეხსაცმელის ხმა რბილად, ყრულ ერთვოდა ქალის ქუსლებს კაქუნს.

ღრქიალი გაიღო რკინის კიშკარმა, მერე გაქაზუნდა, მყისვე ნაბიჯის ხმა ფიცრის კიბეზე ავარდა, კარის ორივე ნაწილი ერთმანეთს მიაწყდა და ნაბიჯები დერეფანში გახმაურდა.

წელსზევით შიშველი ვაჟა ღია თანჯარასთან პირალმა იწვა ლოგინზე. მკერდი, მხრები, მკლავები ფანჯრიდან შემოსულ სინათლეზე უზოზნავდა. თვალები დახუჭული ჰქონდა. არ ეძინა. წუხანდელი ამბით იმდენად დაქანცული, გატეხილი და აფორიაქებული იყო, ძილი არ ეკარებოდა.

ამს ანდრო განგიაზე ფიქრიც დაერთო. — „ღამმა რომ არ გაგვეჭრა, რა დაემართებოდა ქალაქს? რანაირად შესძლო ანდრომ ის, რაც წუხელ გააკეთა? ან ვასო ბრეგვაძისაგან ვინ მოელოდა ასეთ თავგანწირვას? კაცისაგან, რომელიც დღენიადაგ სულ ბუზღუნებს, კირვეულობს, უკმაყოფილოა, თითქოს ძალით აყეთებინებენ იმას, რასაც გულისთ, დიდი მონღომებიო და სიყვარულით აყეთებს. იმ ზამთრისა რომ არ გადაერჩინა, წყალი წაიღებდა. რა ცურვა ცოდნია იმ სოფელელ ბიჭს! რა კარგად მოიქცა გალინა, რომ ანდროს შინ გაჰყვა! ნეტა ექიმი თუ მიუყვანა! სიცხიანი კაცი მთელი ღამე წყალს ებრძოდა. რატომ ვერ მოვიფიქრე, ექიმი თვითონ მიმეყვანა! ვერც საავადმყოფოში მივდი, ვასო ბრეგვაძის ამბის გასაგებად. ვინ იცის, რა მიძიმდა დაშავებულნი! განაწყენებულმა, დაბრმავებულმა ჩემი უკმაყოფილებით, არ მიუყვანე ექიმი ანდროს. კმ! განაწყენებულმა! ანდრო უნდა იყოს ჩემზე განაწყენებულნი და არა მე ანდროზე. განგია მთელ მშენებლობაზე ფიქრობს და ზრუნავს, მე კი მხოლოდ ჩემს უბანზე... ლაწირაკით მოვექცევი, გალინას, ანდროს... — არ უნდოდა ამაზე ფიქრი. არაფერი არ უნდოდა ახლა, გარდა იმისა, ამდგარიყო, ექიმთან წასულიყო და მთავარ ინჟინერთან მიეყვანა, მერე საავადმყოფოში ვასო ბრეგვაძის ამბავი გაეგო. ტანი ისე ჰქონდა დამძიმებული, წამოჯდომაც ვერ შესძლო.

ფანჯარას შუე ადგა. მისი ნელი სხივი თვალებზე ეცემოდა. არც სხივს გრძობდა, არც მის სიტბოს. გათოშილი იწვა: სცადა, საბანი გადაეფარებია, ვერც ხელი ასწია. — „რა მემართება?! — ვერ მოასწრო ამის გაფიქრება, რომ დერეფნიდან ფეხსაცმელის ქუსლის კაკუნი შეესმა. — გალინაა. მის ფეხსაცმელის ხმაა. რატომ მორბის. ვიღაც მოჰყვება“. — კარი გაიღო და სეროვა შემოვარდა, გულამომჭდარი, სველი თმა მხარზე უყარა, სპირილონ გუნის პიჯა-

კი ეცვა ისევ, სახეზე ადამიანის ფერი არ ედო.

შემოჰყვა უჩა და იქვე კართან შედგა.

ერთი წუთის წინ წამოჯდომაც რომ ვერ შესძლო, ახლა უცებ წამოიჭრა ვაეა, ხელი სკამისაკენ წაიღო. იქ აღარ იღო მისი სველი ტანსაცმელი. დეიდა რუსულანს გაეტანა.

რუსულანმაც ვაიგონა სეროვას ფეხსაცმელის ქუსლების კაკუნი და ფეხდაფეხ შემოჰყვა.

წამით ოთხივენი მღუმარედ იდგნენ. მხოლოდ სეროვას აჩქარებული სუნთქვის ხმა ისმოდა.

— რა მოხდა, გალინა?! — ჰკითხა ვაეამ.

— ანდრეი ნიკოლაევიჩი... — მეტი ვერაფერი თქვა. სული ყელში ჰქონდა მომდგარი.

— რა მოუვიდა, ანდრას?! — კინაღამ დაიყვირა ვაეამ.

— წაიყვანეს, — თქვა სეროვამ ხრილით. ტუჩების თრთოლვას ვერ იკავებდა, ვერ იკავებდა ცრემლს და სახეზე ხელები აიფარა. — გათენებული არ იყო, რომ წაიყვანეს.

ვაეამ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა „წაიყვანეს“. ხელავდა, გალინა არკადიევნა ძლივს იდგა ფეხზე, ისე დაიბნა, ვერ მოახერხა მისუღიყო და ხელი მოეკიდა.

რუსულანმა სკამი დაუდგა და ფრთხილად დასვა.

— ლოგინიდან აყენეს სიცხიანი... რუსულან ალექსანდროვნა, მისი სახე რომ გენახათ... ღმერთო ჩემო... — ცრემლი წასკდა.

რუსულანი იმ დღით სამმართველდში არ წავიდა, ვერ მიატოვა დისშვილი. სეროვა და უჩა რომ წავიდნენ, ვაეა ოთახში ჩაიკეტა, ფანჯარა დახურა, რომ ქუჩის ხმაური და ზღვის ხმა არ გაეგონა. რუსულანის პატარა სახლი ზღვის ნაპირზე იდგა, ფანჯრებით ზღვისაკენ მიქცეული. ტალღები ნელი შრი-

ალით, შაშუნით გამოდიოდა ქვიშიან ნაპირზე ერთ რითმზე, ერთ ხმაზე. ეს ხმა წინათ ამშვიდებდა, აწყნარებდა ეყვას.

ახლა ვი აღიზიანებდა. ყველაფერი აღიზიანებდა. არაფრის გაგონება არ უნდოდა. თავზე საბანი წაიფარა. არც სინათლის დანახვა უნდოდა. ფიჭრიც არ უნდოდა. „წაიყვანეს“, ლერსმანივით ერჭობოდა გონებაში ეს სიტყვა. რა ექნა არ იცოდა. საბანი ვერ იფარაუდა ამ სიტყვისაგან. გაქცეულიყო ოთახიდან, გაქცეოდა, იგი თან გაჰყვებოდა. კარზე დააკაუნეს.

საბანი მოსროლა და წამოვარდა. ისეთი შიშით მიაჩერდა კარს, თითქოს თავის სიცოხლეში პირველად დაუკაუნეს კარზე.

— ვაჟა, მე ვარ, რუსუდანი, — მოესმა კარიდან დეიდის ხმა:

არასოდეს ჩაუცეცია თავისი საძინებელი ოთახის კარი. არ ახსოვდა, რატომ ჩაქცა. მივიდა და გააღო, მერე მოწყვეტით დაეშვა ლოგინზე.

— რატომ ჩაიქცე? ვაჟა?!

— არ ვიცი, რა დროა?

— გვიანაა. ისაუბრე ვაჟა.

— რა?... პო, საუბრე... არ მინდა საუბრე... რა მაკუმევეს ახლა საუბრეს?! არაფერი არ მინდა. ძილი მინდა. მეტი არაფერი, — დაწვა და საბანი გადაიფარა.

— კარგი, შვილო, იძინე, — უთხრა რუსუდანმა და გავიდა, კარი ფრთხილად გაიხურა.

ვაჟა გარინდული იწვა. არაფერზე არ ფიქრობდა. — „იძინე, შვილო, — ეს მოდა ისევ დეიდის ხმა, — იძინე, შვილო“. — მეორდებოდა რუსუდანის ხმა...

გვიან გაიღვიძა. არაფერი ახსოვდა. მზე სახლის თავზე იდგა. საღამოვდებოდა.

ისე შიოდა, ეგონა, კუჭში ნალვერდლები ეყრა. ჩაიცივა. პირისდასაბანად რომ გავიდა, მაშინ გაახსენდა რა მოხდა გუშინ: წუხელ, რა გაიგო ამ დილით.

რუსუდანი სამსახურში წასულიყო. საქორწილო სუფრა ისევ უხედავად მიდიოდა. ვაჟა მაგიდას მიუჯდა. მისი გონება როგორღაც არაბუნებრივად მუშაობდა. ვერ ხედავდა, რომ საქორწილო სუფრას უჯდა და არა სასაუბრეს. პაღიანად, ხარბად ჭამდა. ზედ ღვინოს აყოლებდა. გვიან დაინახა, რომ საქორწილო სუფრა ისევ ისე იყო გაშლილი. გაახსენდა, რა ცუდად მოიქცა, რომ ჭორწილი ჩაშალა. „ეს რა ჩავიდინე? ჭამა მიატოვა. — შეურაცხყოფა მივაყენე რუსუდან დეიდასაც. პეტრესაც. სტუმრებს“. — წამოდგა. სკამი შეესწია.

რუსუდანსა და პეტრეს შვილივით უყვარდათ. მათი გაზრდილი იყო. ვაჟსაც უყვარდა რუსუდანი და პეტრესაც. ზაფხულს არადღეგებზე რბილისიდან ფოთში ჩადიოდა და ზაფხულს რუსუდანთან და პეტრესთან ატარებდა. ესტუმრებოდა თუ არა ვაჟა, პეტრე პირველ რიგში თავის ეთნოგრაფიულ მუზეუმის ახალი ექსპონატების სანახავად წაიყვანდა.

რა არ იყო მუზეუმში გამოფენილი. მშენებლობაზე ნაპოვნი ძველი ხუროთმოძღვრული დეტალები, საკუთხეველები, საეზედაშეები, ჯვრები და ხატები, ქვევრები, დერგები, ამჭორები, სხვადასხვა ზომის ქოთნები და დოქები, ფიალები. ყველაფერი ეს ძველი კოლხეთის სხვადასხვა ცენტრში დამზადებული, აქ მოტანილი, ან შემოწირული იყო. აქ ელაგა კარგად გამოჩვენარი ფართო კრამიტები, მოწმენი იმისა, თუ რა მაღალი დონის საამშენებლო კულტურა ჰქონიათ კოლხებს: აქ იყო თიხის მიღები წყალსადენისათვის, რკინის მასიური იარაღები, ბრინჯაოს ქანდაკებები, მათ შორის ჰერაკლესიც, რაც იმას ადასტურებდა, რომ ჰერაკლე კოლხეთშიაც პოპულარული იყო.

ჰერაკლემ მითოლოგიური გადმოცემის თანახმად გაათავისუფლა კავკასიონს მიჯაჭვული პრომეთე. უნდა გენახათ, რა ვატაცებით უყვებოდა პეტრე მნახველებს პრომეთეს ამბავს. კავკასი-

ის მცხოვრებნი მხოლოდ ზევსს და ათენას არ სწირავდნენ მსხვერპლს, რომელიც პრომეთეს დასჯის მიზეზი იყო. იმითაც ამაყობდა პეტრე, რომ პრომეთე ჩვენი ამირანის ორეულიაო. ამას ისეთი რისხით, თვითდაჯერებით და აპლომბით ლაპარაკობდა, მნახველები პირდაღებული უსმენდენ.

ლაპაზად ეწყო შუშის კარადებში ოჭროს უელსაბამენი, სამაჯურები, სხვადასხვა დროის მეფეების, კეისრების, იმპერატორების, სულთაანების, თუ შაჰების ოჭროსა და ვერცხლის მონეტები. სხვადასხვა ცხოველთა და ნადირთა სულბატურული გამოსახულებები, ბერძნული და რომაული კერამიკა. კედლებზე ეკიდა საბრძოლო იარაღები, ცხენის კახშულობები, კედლების გასწვრივ ხელოსნებისა და მიწის მუშების ხელსაწყოები და იარაღები ელაგა და კიდევ ბევრი რამ იყო კოლხეთის უძველესი კულტურის მდალადებული და მთუწყებელი.

უველაფერ ამას თავს ევლებოდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა პეტრე გერსამია. ფანტიკურად შეყვარებული კოლხეთის წარსულზე და კიდევ უფრო მეტად — მის მომავალზე.

ვაჟამ ქვაში მიატოვა, წამოდგა, კვლავ განმეორდა გონებაში ის სიტყვა. იდგა და გაშტერებული დაცქეროდა სუფრას.

ოთახში ნავსადგურში შემომაველი ხომალდის საყვირის ხმა შემოიჭრა, რიხიანი, ელერადი, ფანჯრები შეაზანზარა. ვაჟა ცნობდა ამ ხომალდის საყვირის ხმას. უყვარდა იგი ასეთი ძლიერი. შინიდან ისე გავიდა, პიჯაკის ჩაცმა დაავიწყდა. არ იცოდა, რისთვის გავიდა, სად მიდიოდა. ანგარიშშიუცემლად მიპყვებოდა ტროტუარს.

ქალაქის საათმა ხუთჯერ დარეკა.

ქუჩები ხალხით იყო სავსე. ზოგი სამსახურიდან ბრუნდებოდა, ზოგი ნავსადგურში მიიჩქაროდა. წინ ნაცნობები ხედებოდნენ. ესალმებოდნენ. ვაჟა ვერ ხედავდა. მის თვალში უველაფერი ერთმანხეთში ირეთდა: ხალხი, სახლები,

ეტლები, გაზონები, დობეები, კიშკრები, მანქანები.

მაშინ გამოერკვა, ფეხქვეშ ქვიშისა და სილის ხრამხარუში რომ შეეხმა. ზღვისპირას გასულიყო.

ზღვა ცასავით უძრავი იყო და ცასავით ლურჯი. შორს მიმოფანტული იყო თხელი და სქელი, თეთრი და ტყვიისფერა ღრუბლები. ღრმულებში გაჭრილი მზის სხივები ისე მძაფრად ანათებდა ნათ, თითქოს უჩინარ მხატვარს თავისი ვეება ფუნჯით წითელი, ქარვისფერი, შინდისფერი საღებავები მოესვას.

ეს საღებავები ქალაქის თავამდე ფერადდა ცაა და ღრუბლებს; ზღვაზე დაცემული, დიდ სიგრძე-სიგანეზე იყო გაშლილი და ნაპირამდე აღწევდა, მაგრამ არა ისეთი განსხვავებული ფერებით, როგორც ცაზე და ღრუბლებზე. ზღვაზე ფერების აღი უფრო თხლად იწვა და ცასავით არ იწვოდა მისი ზედაპირი.

ამ ფერების ფონზე ხან ერთგან ამოჰყოფდა შავ, პრიალა თავს დელფინი, ხან მეორეგან, მერე გამოჩნდებოდა მისი მოღუნული ასივე შავი, პრიალა ზურგი და, ბოლოს, მარაოსავით გაშლილი კუდი. მერე ერთბაშად გახშირდა დელფინების თამაში, გაისმა წყლის ტყალაშუნი. ზღვა აღელდა. ვაჟას წინ დელფინების შავი ზურგი, თავი, კუდი ერთმანეთში ირეოდა, ბზინავდა მზეზე და იმალებოდა წყალქვეშ.

დანიხბეს ვაჟა და ახლო მოცურდნენ ნაპირთან. მოცურდნენ ერთად, ჯგროდ. ვაჟას მოეჩვენა, რომ ისინი თანაგრძნობით უყურებდნენ და უქნევდნენ თავს. პირველად ხედავდა დელფინებს ასე ახლო. რალაც ადამიანური სითბო იგრძნო მათში. გაუკვირდა, წინ წაიწია, ზედ წყალთან მივიდა, უნდოდა ხელი გადაესვა თავზე დელფინისათვის.

დელფინებმა იგრძნეს ეს, გამზიარულდნენ, აყივდნენ, მალა იწყეს ხტომა. ისეთ ხმას გამოსცემდნენ, ვაჟას ეგონა, მელაპარაკებიათ.

აღარ მეორდებოდა ის სიტყვა. დამშვიდდა. იდგა და დელფინებს უყურებდა.

კვლავ გაისმა ქალაქის საათის ხმა. დელფინები თანდათან დაშორდნენ ნაპირს, პირით ვაჟასაკენ, ყვინთვით უკან იწევენდნენ, ეშვებოდნებოდნენ. უკან-უკან ცურვით ერთბაშად გაუჩინარდნენ. აღარ ისმოდა ყვილი. აღარ ისმოდა წყლის ტყლაშუნი.

ზღვის ზედაპირი სარკესავით პრიალებდა. მის დასალიერში უზარმაზარი მზე ციდან ეშვებოდა, კაშკაშით ჩადიოდა ზღვაში, ქვეყანას ტოვებდა, ცივი ვარვარით ეფინებოდა სხივები ზღვას. მომაჯადოებელი იყო მზე თავისი დიდებით, ზეიმური ღაღანით.

ვაჟა ნაპირს მიჰყვებოდა. მის ფეხქვეშ სველი სილა ირწყვოდა. ნაპირზე გამოსულმა წყალმა ფეხი დაუსველა. სიცივემ უცებ გაახსენა სეროვას მოტანილი ამბავი და კვლავ ლურსმანივით ჩაერჭო გონებაში ის სიტყვა. — „ნუთუ არ დაბრუნდება, ანდრო? არ მოვა? არ მოვა ამ მიწაზე? არ დააშრობს ამ ჰაობებს? ანდრო ამისათვის იღვწოდა, ამისათვის ცხოვრობდა...“

რა მნიშვნელობა ჰქონდა ვაჟასათვის ლანჩხუთის უბანს დააშრობდნენ, თუ ქალადიდის უბანს? ანდრო აღარ იყო მათთან. — „არა. რაღაც შეცდომაა ალბათ, ანდროს გაათავისუფლებენ.“

ფეხქვეშ სილასა და ქვიშას ხრამხრუმში გაუდიოდა.

ტარიელ ქარდა მარტო იყო თავის კაბინეტში. შეწუხებული, დაქანცული, უძინარი. ნელი ნაბიჯით ბოლთას სცემდა ფანჯრების წინ, პაპიროსს ეწეოდა, რაღაცაზე ფიქრობდა დამაბულად, შუბლშეკვრით. ფიქრიდან კარის კრიალმა გამოიყვანა. მიბრუნდა.

ზღურბლზე ვაჟა ჯაფარიძე იდგა.

მშენებლობის უფროსი სწრაფად გაემართა მისკენ.

— კარგი ჰქენი, ვაჟა, აღრე რომ მო-

დი. თათბირის დაწვებამდე მინდოდა მენახე.

ჯაფარიძეს არ ახსოვდა, წუხელ შეწვეტილი თათბირი დღეს რომ უნდა გაეგრძელებიათ.

ტარიელ ქარდამ მაგიდასთან მიიყვანა.

— დაჯექი, — თვითონ მაგიდას მეორე მხრიდან მოუარა, ვაჟას, პირდაპირ დაჯდა, პაპიროსი საფერფლეს დაასრისა, ზედ დაავდო და ვაჟას, ძხოლოდ ახლა შეხედა. დაინახა მისი ვაფთხრებული, გაწამებული სახე და აღვრეული თვალები. — წუხელ ძლივს ვიხსენით ქალაქი... — თავზე ხელი გადაისვა. დამბა რომ არ გაგვეჭრა...

ვაჟა მიხვდა, ამაზე არ უნდოდა ახლა მშენებლობის უფროსის საუბარი. ასეთი შეშფოთებული, შეწუხებული ჯერ არ უნახავს იგი. ათი წლით დაბერებულს ჰგავდა.

— რაც მახსოვს, ასე არ აღიდებულა რიონი.

— ხომ არ იცით, როგორ არის ვასო ბრეგვაძე? — ჰკითხა ვაჟამ და მაშინვე შერცხვა, ბრეგვაძის ამბავს მშენებლობის უფროსს რომ ეკითხებოდა და აქამდე თვითონ არ წაივია მის სახანავად.

— სისხლი გადაუსხეს.

— ვინ მისცა სისხლი?

— იმ ყმაწვილმა, ქალს რომ არ ატანენ. ვასო ბრეგვაძემ კი დასცინა მას. — ნერვიულობდა, კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო. არ მოუციდა, თითებში ატრიალებდა, შემოეფშენა, საფერფლეზე დაყარა. — ვასო ბრეგვაძე ყეთილი გულის კაცია, — ახალი პაპიროსი ამოიღო კოლოფიდან.

ვაჟასაც გადაედო მშენებლობის უფროსის მღელვარება. გადაწყვიტა აღარ დაეყოვნებია — ეთქვა რისთვის მოვიდა.

— ტარიელ, წუხელ უხერხულად მივიჩნიე თათბირზე. მეთქვა... — გაჩუმდა, სახე მოარიდა ქარდას.

ტარიელი წამოდგა, სკამი უფრო ახლო დადგა ვაჟასთან და დაჯდა.

— გისმენ, ვაჟა.

— სამსახურიდან უნდა გამათავისუფლო... — რატომ?!. რა მოხდა?!

— გამოქირდება ჩემი უბნის მიტოვება... — სხვებს არ გაუქირდებათ?!

— გაუქირდებათ. ვასო ბრეგვაძესაც გაუქირდება. — ვასო არ მიატოვებს მშენებლობას- ძალით რომ გვაგადოთ, მაინც არ წავა, — პაპიროსს მოუცილა.

— ისე შევეჩვიე ჩემს უბანს. ქარდა სახეში შეაჩერდა და გაიმეორა:

— შეეჩვიე შენს უბანს... კარგი გიქნია წუხელ უხერხულად რომ მიგიჩნევია თათბირზე ამის თქმა. მართლაც უხერხულია. სირცხვილია. დიახ, დიახ, სირცხვილია.

— გარდა ამისა, რა ვუთხრა მეშებს, მოუთმენლად რომ ელიან მიწას?

— ჭალადიდის მშენებლობის მუშებიც და გლეხებიც ელიან მიწას... მოუთმენლად. — პაპიროსი კვლავ დაასრისა ხაფერფლზე. — ვაჟა, შენ კომუნისტი ხარ... პარტიის ჯარისკაცი.

— რა მნიშვნელობა აქვს, ტარიელ ახლა ამას...

— აქვს მნიშვნელობა, — მშენებლობის უფროსმა გაოცებით და გულმოსულად შეხედა: — დიდი მნიშვნელობა აქვს და ყოველთვის ექნება მნიშვნელობა იმას, რომ ჩვენ კომუნისტები, ყოველ დროს, ყოველ მდგომარეობაში პარტიის ჯარისკაცები ვიქნებით. შენ ალბათ, იცი რას ჰქვია ჯარისკაცი.

— ვიცო, ტარიელ... როგორც კომუნისტი, პარტიის ჯარისკაცი, ვთქვათ მე დაგვრჩი...

— დიახ, ვალდებული ხარ, დარჩე, როგორც კომუნისტი, — არ აცალა მშენებლობის უფროსმა სიტყვის დამთავრება, — მაგრამ ეს არ კმარა. შენ გულით უნდა დარჩე, შეგნებით უნდა დარჩე. იმის შეგნებით, რომ ეს საქმისთვის, მშენებლობისათვისაა საქიროს და კიდევ იმის შეგნებით... — გაჩუმდა, თავი გაიქნია: — არა. «კიდევ» აქ უად-

გილო სიტყვა. უპირველეს ყოვლისა, იმის შეგნებით, რომ შენ პარტიის ჯარისკაცი ხარ ჯარისკაცს მეტი ევალეზა. მეტი მოეთხოვება, — წამოდგა; თან-ჯრების წინ კვლავ ბოლთის ცემა დაიწყო. — სოფლის ერთ მასწავლებელს ვიცნობდი, ვაჟა, — შეჩერდა ჯაფარიძის წინ, — შალვა კორძაიას. იგი ფედერალისტი იყო. ვაგონივით ვიწრო ოთახში ცხოვრობდა. მაგდის, საწოლის, წიგნის კარადისა და რამდენიმე სკამის მეტი არაფერი ებადა, პირადი ცხოვრება არა ჰქონდა; სჭეროდა ფედერალისტური პარტიისა და ცოტა მენშევიკური პარტიისაც. სასტიკი წინააღმდეგი იყო საქართველოში მეთერთმეტე არმიის შემოსევის, მაგრამ როცა ლენინის მიწის დეკრეტი წაიკითხა, როცა გაიგო, რა მოჰქონდა ქართველი ხალხისათვის კომუნისტურ პარტიას, ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. მაშინ მის ერთ სიტყვას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. იმ ერთი სიტყვის თქმა იმ დროს ადვილი არ იყო სამოცდახუთი წლის კაცისათვის — ფედერალისტისათვის. მაშინ ბევრი სცდებოდა, ბევრს ეგონა, რომ მეთერთმეტე არმია რუს კომუნისტთაგან შემდგარი დამპყრობი არმია იყო და მასწავლებელიც ასე ფიქრობდა. მაგრამ მან დაუჯერა ლენინს, მის საქმეს, კომუნისტებს.

— ლენინს დაუჯერა, — თქვა ვაჟამ, — ლენინისა მეც მჯერა ისე, როგორც ყველა ნაშღვილ კომუნისტს და ამიტომ შევედი კომუნისტურ პარტიაში, — თავი ასწია და შეხედა ხის დიდ ჩარჩოში ჩასმულ ლენინის სურათს.

ბელადი კრემლში, თავის სამუშაო ოთახში წიგნის კარადასთან იდგა, მარცხენა იდაყვით კარადის თაროზე დაყრდნობილი, პიჯაკვანსნილი, მარჯვენა ხელი ჯიბეში ეღო. როგორც ვაჟას მოეჩვენა, ყურადღებით და მკაცრად უსმენდა მათ საუბარს.

მშენებლობის უფროსმაც მიიხედა ლენინის სურათისაკენ და მიხედა, რომ ვაჟას შეწუხების მიზეზი არც უძილო-

ბა იყო, არც ის, რაც წუხელ გადახდათ. არც მისი უბნის მშენებლობის შეჩერება. — „იქნებ, ანდრო განვიას ამბავი გაიგოს!“

— მეც იმიტომ შევედი კომუნისტურ პარტიაში, ვთხრა, რომ ლენინს დაეუფერე, — უთხრა ტარიელ ქარდამ, — მე ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე. აქ, ნავსადგურში მტვირთავად ვმუშაობდი. ქარხნისა და ნავსადგურის მუშების არაფერსაც ვერ ვხედავდი. ძლიერი, შეკრული წრე მყავდა. მიყვარდა წრის წევრები, მეც უყვარდი მათ. მიყვარდა ზღვა, ნავსადგური, ქარხანა, ქალაქი, მინდოდა სწავლა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პარტიამ სოფელში გამგზავნა. მიჭირდა ამხანაგების, ნავსადგურის, ქარხნის, ზღვის, ქალაქის მიტოვება... და კიდევ ერთი ქალის... ვარდა ამისა, არ ვიცნობდი სოფელს, გლეხის ხასიათს და შაინც წავედი. შევიგნე, რომ ეს საქმისათვის, პარტიისათვის იყო საქირი და წავედი... გულით წავედი...

— მაშინ სხვა დრო იყო, ტარიელ!
— რაო?! — ეუშტად შეხედა მშენებლობის უფროსმა, — კომუნისტისათვის დროს მნიშვნელობა არა აქვს. კომუნისტი ყოველთვის პარტიის ჯარისკაცია. პირშიცა და ლხინშიც. — სული მოითქვა, მშვიდად განაგრძო: — არასოდეს არ მიფიქრია ჩემს თავზე. ვფიქრობდი პარტიისა და ხალხის საქმეზე. ჩემთვის ყველაზე დიდი საქმე ადამიანი იყო. ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანისათვის ადამიანიაო, ამბობდა ლენინი. ასე უნდა ფიქრობდეს ყოველი კომუნისტი. — ისევ დაჯდა: — მერე სოფელი, გლეხი ისე შემიყვარდა, აღარ მინდოდა ქალაქში დაბრუნება, მაგრამ პარტიამ საუბრო კომიტეტიდან აქ გადმომიყვანა ქალაქკომის მდივნად. შემდეგ მშენებლობის სამმართველოს უფროსად დამნიშნა, — წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ერთხანს იქ იდგა ზურგივთ ვაჟასაყენ, ორივე ხელით რაფაზე დაყრდნობილი. უყვარდა იქ დგომა. მზე ამ მხრიდან ამოდიოდა. სამმართველოში

აღრე მოსული, აქედან შეხუტებდა მზის ასობრძახებას, სინათლე-სითბოს და სიციცხლის დიდი მეუფის ამობრძახებას. მერე ვაჟასაყენ მიტრიალდა. ხელები ისევ რაფაზე ედო: — ვაჟა, ჩემთვის გასაგებია შენი ტყივილი... შენი და ბრგვედის უბანი ძალიან დიდ საქმეს ეწირება. დიდი საქმე კი ზოგჯერ უსსსვერპლოდ არ კეთდება.

...რომ გაიგებენ, ჩვენი უბნის მშენებლობა შეჩერდეს, მუშებისა და გლეხების სახეგარი არ გაჩერდება და წავა... — ვაჟამ დაქანცული თვალებით შეხედა მშენებლობის უფროსს. უნდოდა, თავისი გადაწყვეტილება გაემართლებია არა მარტო ტარიელ ქარდას წინაშე, თავის თავის წინაშეც. მაგრამ ვერ ახერხებდა. განვიას სახე არ შორდებოდა თვალრიდან. — „ანდროს უნდოდა ასე, ანდროს უნდოდა მშენებლობის ერთ უბანზე თავმოყრა. ეს მისი სურვილი, მისი ოცნება იყო. სწორად ფიქრობდა, ანდრო“, — მეორედებოდა მის გონებაში.

— ის, ვინც მხოლოდ იმისათვის არის მოსული, რომ მიწა მიიღოს, წავიდეს, — უთხრა ტარიელ ქარდამ.

— ვინდა იმუშავეს, ტარიელ მშენებლობაზე?!

— ვინც დარჩება... და კიდევ ტექნიკა. ტექნიკას დღით-დღე სულ უფრო მეტი მივიღებთ. ახლა მშენებლობაზე მხოლოდ ინგლისური და გერმანული ექსკავატორები და ბულდოზერები მუშაობს. ძალე სამამულო ექსკავატორებსა და ბულდოზერებს მივიღებთ. ჩვენი, დღევანდელი, ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლის ტექნიკით აღარ ვიმუშავეთ მომავალში. საკუთარი ახალი ექსკავატორები გვექნება, ყოველგვარ „ლუბეკზე“, „პრისტმანზე“, „მენიკზე“ და „კოპელზე“ უკეთესი.

ვაჟა შეშინდა, რომ არ წამოცდნოდა, კარგი, მართალი ხართ, უკან მიმაქვს ჩემი გადაწყვეტილება, ჩემი სიტყვაო და წამოდგა.

— ყველაფერი, რაც თქვენ ბრძანეთ, მართალია, ტარიელ, მაგრამ მე შაინც

უნდა გამათვისუფლოთ. თქვენ იცით, ტარიელ ჩემთვის შრომა სიცოცხლეა, მაგრამ...

— დაჯექი! — უბრძანა მშენებლობის სამმართველოს უფროსმა, — ალბათ, ცუდად მისმენდი! — ბრახს ვერ იკავებდა.

— ჰო, ალბათ ცუდად გისმენდით... როგორც შემეძლო ისე გისმენდით.

ტარიელ ქარდა ხედავდა, რომ ვაჟა მასზე უფრო შეწუხებული იყო, შემფოთებული იყო. ხედავდა, ახლა ამის ნიბეზი არც ლანჩხუთის უბნის გაუქმება იყო და არც ვასო ბრეგვაძის მძიმედ დაშავება. კედლის საათს შეხედა.

— საცაა თათბირს დაეწყო, — კართან მივიდა, ჩაეცტა. მობრუნდა და ვიდრე მაგიდასთან მივიდოდა, დაიწყო: — მე თითქმის ის გავიძეორე ახლა, რაც გუშინ თათბირზე ვთქვი, — დაჯდა: — სხვა უნდა მეთქვა, — ხმას დაუწია და კარს შეავლო თვალი: — შენ გათავისუფლებას ითხოვ. სულ ტყუილად ელაპარაკობდით თურმე ამდენი ხანი, — შეხედა ვაჟას და დარწმუნდა, რომ მან ყველაფერი იცოდა, რომ მას ახლა ნუგეშისცემა ჰქონებოდა და არა ჭკუის სწავლება. არ შეეძლო ამის გაკეთება. თავად ვერ მოერიო მწუხარებას, მაგრამ საჭირო იყო ყველაფერი ეთქვა ვაჟასათვის. ეს მას უნდა გაეკეთებინა. მხოლოდ მას. — ვაჟა, ანდრო განგიას კიბო აქვს, — დაიწყო ერთბაშად, პირდაპირ.

ვაჟას ტუჩები გაუცივდა.

— ეს რა მითხარით, ტარიელ?! — ძლივს წაილულლულა.

— მხოლოდ სამმა კაცმა ვიცით ეგ ამბავი.

ვაჟა თვალს არ აშორებდა მშენებლობის უფროსის თეთრ მარმარილოსფერ, ცივი ოფლით დაცვარულ სახეს.

— მე, ექიმმა და ანდრომ.

— ვინ იფიქრებდა...

— ვინც ანდროს იცნობდა, არ იფიქრებდა. ერთხელ გავერით, თითქოს სხვათაშორის მითხრა: დიდ საქმეს, უპირველეს ყოვლისა, სულიერი, დაეი-

ნება, სიმტკიცე და რწმენა უნდაო. თურმე მედიცინამ იცნო შემთხვევები, როდესაც რწმენა, დაინება, სულიერი სიმტკიცე ამარცხებს სიკვდილს, ერევა მას... კიბო მანამდე ვერ მაჯობებს, ვიდრე ჭალადიდის უბანს არ დავაშრობო. დარწმუნებული იყო, მანამდე შეაკავებდა სიკვდილს... — სიტყვა ვერ დაამთავრა, გაჩუმდა, ისევ გადაისვა თავზე ხელი. — ანდრო მართლა მოერეოდა სიკვდილს. ასეთი რწმენის ადამიანი მოერევა. უსათუოდ მოერევა.

ლენინი თითქოს უფრო მეტი ყურადღებით უსმენდა.

— ანდრო განგიას წინადადების განხორციელებას ვილაც აკიანურებდა, ხელს უშლიდა.

— რა ხდება, ტარიელ?!

— მეც მინდა, ვაჟა, გავიგო, რა ხდება, მაგრამ ვის ვკითხო?

ტარიელ ქარდა დიდხანს იჯდა მდუმარედ. ეტყობოდა, რაღაცის თქმას აპირებდა და უქირდა.

ვაჟა მოლოდინით შეჰყურებდა.

— თუ მაინც მაჯობა სიკვდილმა, მითხრა ერთხელ ანდრომ, — ჩემ ადგილზე მთავარ ინჟინრად, ვაჟა ჯაფარიძე დანიშნეთო...

— ანდრომ თქვა ეს?! ჩემზე?! — ძლივს ამოიღო ხმა ვაჟამ.

— ანდრომ თქვა, ვაჟა, გამიგე?

ვაჟამ თავი გაიჩინა:

— ვერა. ვერ გავიგე, ტარიელ.

— ეს მისი სურვილი იყო, — ტარიელმა ცხვირსახოცი ამოიღო შარვლის ჯიბიდან, რომ სახეზე ოფლი შეეწმინდა. ვერ მოახერხა, ხელი უთრთოდა, მუშუნდა, მერე შარვლის ჯიბის ნაცვლად, კიტელის ჯიბეში ჩაიჭურთა. — ვაჟა, პარტიაში შესვლის დღიდან, იატაკქვეშ მუშაობის დღიდან, ყოველი გასაჭირისას, სპასუხისმგებლო საქმისას, მხარში შედგენენ კომუნისტები — ჩემი ამხანაგები. მუდამ მქონდა მათი იმედი. ახლაც ასეა. ვერ წარმომიდგენია უიშათოდ მუშაობა, ცხოვრება და თუ გნებავს რაიმე წარმატება მუშაობაში და ცხოვრებაში. ასეთია ანდროც.

თუ მაინც მაგობა სიკვდილმა, ჩემ ადგილზე მთავარ ინჟინრად ვაქა ჯაფარიძე დანიშნეთო. მას შენი იმედი ჰქონდა, როცა ამას ამბობდა, როგორც კომუნისტის, ამხანაგის, კარგი ინჟინრის. — შეისვენა, სული მოითქვა: — ვაქა, კომუნისტები ჩემს გვერდით რომ არიან, მხნედა ვარ, დარწმუნებული ვარ საქმის წარმატებაში.

ვაქა არ უსმენდა. უცებ თავი ასწია და ჰკითხა:

— რა ელის, ანდროს?

— ეს არავინ იცის, — უპასუხა ტარიელ ქარდამ ჩავარდნილი ხმით.

მოსაცდელ ოთახში თათბირზე მოსულები იცდიდნენ.

მდივანმა კარზე დააკაკუნა, რომ შეესვენებია მშენებლობის უფროსისათვის, თათბირის დაწყების დრო დიდი ხანია გავიდაო, მაგრამ ტარიელ ქარდამ უურადღება არ მიაქცია კაკუნს. პაპიროსის მოუკიდა და ღრმად მოქაჩა. ბოლმა თავბრუ დაახვია. ვაქამ იცოდა, რომ ტარიელი ნამდვილი მწვეველი არ იყო და მხოლოდ მუშაობისას, ან ნერვიულობისას ეწეოდა, მაგრამ ბოლს არ ულაპავდა.

— ნუთუ ეწევი, ტარიელ, — უთხრა ვაქამ.

— ნუ ეწევი?!, ანდრო ამბობდა, რომ შენ ნიჭიერი ინჟინერი ხარ. დიდი მომავალი გაქვს... არ შემძლია ისიც არ გითხრა, ვაქა... — არ უნდოდა ამის თქმა, მაგრამ საჭიროდ თვლიდა ეთქვა: — ანდრო იმასაც ამბობდა, რომ შენ ცოტა პატივმოყვარე ხარ.

ტავ. ლმა გადაუარა ვაქას სახეს. თავი დახარა. ანდრო განვია თურმე მას თავის წინადადების მოწინააღმდეგეს, პატივმოყვარეს, თავის მაგივრად ტოვებდა. — „ნუთუ პატივმოყვარეობის ზრძნობა მამოქმედებდა?! არა. არა... მაგრამ ანდრო ასე ფიქრობდა. ალბათ, მართლაც ასეა... ანდრო ოდესმე უთუოდ პირდაპირ მეტყვოდა ამას, არ მომერიდებოდა და მეტყვოდა“.

კარზე ისევ დააკაკუნა მდივანმა. მშენებლობის უფროსმა საათს დაბე-

და. წამოდგა და კარის განაღებად გაემართა.

მოსაცდელ ოთახში, გარდა თათბირზე მოსულებისა, ისინიც იყვნენ, ვინც ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება გაიგო: ქალი და კაცი ჭგუფ-ჭგუფად იდგა. ხმამაღლა კამათობდნენ, ზოგი თავის კმაყოფილებას გამოთქვამდა, ზოგი უკმაყოფილებას.

წუხანდელ ავდართან ჰიდილით ქანც-გაწყვეტილებს, გატანჯულებს, არ დაუსვენიათ, არც ტანსაცმელი გამოუცვლიათ ისე მოვიდნენ თათბირზე.

ყველაზე წინ მშენებლობის უფროსის კაბინეტის კართან სეროვა იდგა. იგი მოუთმენლად ელოდა კარის გაღებას. იცოდა რომ მშართველთან ვაქა იყო, გრძნობდა რატომ იყო მოსული. კარი გაიღო თუ არა, მაშინვე ვაქას შეაელო თვალი, მერე ტარიელ ქარდას, იქნებ მათ სახეზე ამოეკითხა, რა გადაწყვიტა ვაქამ.

გაღონა არკადიენასათვის წარმოდგენელი იყო ვაქას წასვლა მშენებლობიდან. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ სეროვასაგანაც წავიდოდა.

ვაქამ თვალი ააჩიდა, ისევ ის ადგილი დაიკავა. მაგრდასთან, წუხელ რომ იჭდა. ეს კარგი ნიშანიაო, გაიფიქრა სეროვამ და სწრაფად გაეშურა. მაგიდისაკენ, რათა ვაქას გვერდით დამჯდარიყო.

ვაქამ სკამი გამოუწია.

სეროვა დამშვიდდა.

„არა. არ წავა, ვაქა. ვერ მიატოვებს ანდრო ნიკოლაევიჩის საქმეს“, — ამ ფიქრმა გაუმტყცია იმედი, გაუხელა ეკვი.

თათბირი რომ დამთავრდა, შეუღამე გადასული იყო. თათბირის მონაწილენი ჭგუფ-ჭგუფად გადიოდნენ სამმართველოს სადარბაზო შესასვლელიდან. ერთნი ალმა მიჰყვებოდა ლენინის ქუჩას, მეორენი დაღმა, მესამენი იჭვე, მარცხნივ უბევედნენ ქუჩაში. დამინსკი-

წუნარეში მათი ლაპარაკი გარკვევით ისმოდა.

ჰაერი სუფთა იყო. ნელი, გრილი ზღვაური უბერავდა და დადლილები, კაბინეტის შეხუთული ჰაერით მოთენთილები, ხარბად ისუნთქავდნენ.

უჩა შამუგია ჰადრის ქვეშ, სადარბაზო შესასვლელის წინ იდგა ქუჩის მეორე მხარეს. გარეთ იყო დარჩენილი, არ იცოდა სად წასულიყო, ვისთვის მიემართა. ანდრო განგიას დრაგერის თანაშემწედ უნდა მოეწყო. ახლა ვის მიმართოს? სეროვას, თუ ჯაფარიძეს? ორივესი ერიდებოდა. მათ გუშინ და წუხელ იმდენი უსიამოვნება შეხვდათ. ვედარ შეაწუხებდა. განსაკუთრებით ვაჟასი ერიდებოდა. ვაჟა მთავარ ინჟინერზე ნაწყენი იყო. შეიძლება არ დაეხმაროს. სეროვა? სეროვა დაეხმარება. მას თხოვს, მაგრამ ამაღამ ვერ ეტყვის. წავა, ან სადგურში გაათევს ღამეს, ან პორტში. ამ ფიქრში რომ იყო, ვაჟა ჯაფარიძე გამოვიდა სადარბაზო შესასვლელიდან მაშინვე დაინახა უჩა და დაუძახა.

უჩამ სწრაფად გადაპრა ქუჩა და მიეგება.

— ვის უცდი, უჩა?

უჩა არ მოელოდა, რომ ვაჟა ყურადღლებას მიაქცევდა.

— თქვენ გიცდით... ანდრო განგიამ გუშინ ექსკავატორზე მოწყობა შემპირდა.

— გუშინ შეგპირდა. დღეს... — სიტყვა არ დაამთავრა.

— მითხარით, რა მოხდა, ბატონო ვაჟა.

— არ ვიცი, არავინ იცის. ნუ მეკითხები, უჩა.

— რატომ?!

— დადგება დრო და იკითხავენ.

— როდის?

— არ ვიცი. მაგრამ დადგება დრო.

— მერე გვიან იქნება, ბატონო ვაჟა.

— გვიან იქნება, მაგრამ მაინც იკითხავენ... და პასუხს მოთხოვენ.

— ვის?

— იმათ.

უჩამ აღარ ჰკითხა, ^{არაკონსულტაციის} განვიხილავთ ეს „იმათ“.

— ბევრი აღარ იმუშავებს, რომ გაიგებს ანდრო განგიას ამბავს.

— იმუშავებს, უჩა. ყველა იმუშავებს, ვინც ანდროს იცნობდა. გესმის, უჩა, ყველა იმუშავებს. მე დღეს მშენებლობიდან გათავისუფლება ვთხოვე ტარიელ ჰარდას. უკან მიმაქვს ჩემი დაუფიქრებელი გადაწყვეტილება. რაც ანდროს უყვარდა, რისთვისაც იღწოდა, ყველაფერი ძვირფასია ჩემთვის... ანდრო სიყვარულზე ლაპარაკობდა გუშინ. მე ვუთხარი, ბევრს ლაპარაკობ სიყვარულზე-მეთქი. დაუფიქრებლად ვუთხარი, სისულელე წამოვროშე. ანდრო განგია სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, სიყეთისათვის იყო გაჩენილი, ზალხის საქმისათვის იყო გაჩენილი... ღამის გასათევი გაქვს? — ჰკითხა ვაჟამ უცებ, ამაზე საუბარი რომ შეეწყვიტა.

— მაქვს, — უთხრა უჩამ.

— წადი. დაისვენე. შუა ღამე გადასულია. მე გალინა არაკადიევნას დაველოდები.

— თქვენ მას უყვარხართ, ბატონო ვაჟა. — უთხრა მისდაუნებურად უჩამ.

— რაო?! — გაკვირვებით შეხედა ვაჟამ.

— თქვენ მას ძალიან უყვარხართ.

— შენ საიდან იცი?

— ამას რა ცოდნა უნდა. განა თვალი არა მაქვს.

— კარგი თვალი გქონია, უჩა. მე არა მაქვს კარგი თვალი. წადი. საცაა გალინა არაკადიევნა გამოვა. მაღლობელი ვარ, უჩა.

— რისთვის მიხდით მაღლობას, ბატონო ვაჟა?!

— იმისათვის, რომ კარგი თვალი მაქვს და კარგი გულიც.

— ღამე მშვიდობისა, ბატონო ვაჟა.

— მილი ნებისა, უჩა.

როგორც კი უჩა გაშორდა ვაჟას, სადარბაზო შესასვლელიდან სიორღია გამოვიდა და ვაჟასთან მივიდა.

— მომლოცავს პატენ ვაჟა, მთავარ
ნენრად დანშენა, — უთხრა ვაჟას
და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

ვაჟამ ხელი არ ჩამოართვა.

ეს არ შეიმჩნია სიორდიამ.

— თქვენ მართალ ყავთ, პატენ ვაჟა!

— არ შესმის რას შეუბნებში.

— ანდრო განგაა თავს სახელსათვს
ღწვოდა.

— როგორ?!

— თქვენ გეგონათ, საქმსათვს კლავ-
და თავს? აქამდე უნდა წაეყვანათ...

— რა თქვი?! — საყელოში წვდა ვა-
ჟა, შეანჭდრია. — გაიმეორე, რა თქვი!
სიორდიამ ვერ გაიმეორა.

ვაჟამ მჯილი ჰკრა მკერდზე.

სიორდია შებარბაცდა, უკან გადაპ-
ქანდა, გუბეში ჩაჯდა. ვაჟას მოულოდ-
ნელი საქციელით გაოგნებული, უცებ
ვკრ წამოდგა, იჭდა და ქვევიდან შეპ-
ყურებდა დასჯილი ძაღლივით.

სამშართველოდან გამოსულმა სერო-
ვამ დაინახა, როგორ სწვდა ვაჟა საყე-
ლოში სიორდიას, შეანჭდრია და მერე
მჯილი ჰკრა მკერდზე.

— ვაჟა! — წამოიძახა შეშინებული
ხმით. — რა მოხდა, ვაჟა?!

სიორდია მაშინვე წამოდგა.

— არაფერ მოხდარა, გალნა არკა-
დევნა.. უბრალოდ წავექცე, — წაილულ-
ლულა სიორდიამ და მაშინვე გაშორდა
ორივეს.

— რა ჩაიღინა ასეთი, ვაჟა?!

— ცხოვრობს, მუშაობს ამდენი წე-
ლიწალი შენს გვერდით ადამიანი და კა-
რგად არ იცი, ვინ არის, — უთხრა მღე-
ღვარებისაგან ჩახლენილი ხმით ვაჟამ.

სეროვა მიხვდა რაღაც ცუდი, რომ
უთხრა განგიაზე ისიდორემ. აღარ ჩა-
ეკითხა.

— მე მიცდიდი, ვაჟა?

— შენ გიცდიდი, გალინა.

— წავიდეთ, — ხელი გაუყარა მკლა-
ვში სეროვამ.

ჩუმად მიდიოდნენ ცარიელ ქუჩაში.
ორივეს უმძიმდა ლაპარაკის დაწყება.
ორივეს გონება ისევ ანდრო განგიას
ამბით იყო მოკული. შედგნენ რიონის

ხილზე. მდინარე აღარ ღმუთოდა და
შხუოდა. ადიდებული და მღვრე ეყო,
მაგრამ საგრანობლად დაეკლო. მიბრუ-
ნდნენ ჩქით, საიდანაც თავისი მძიმე
წყალი მოჰქონდა რიონს.

ქალაქს ეძინა. არსად ადამიანის ჰაჟა-
ნება არ იყო.

ზღვა ოდნავ ხვნეშოდა.

ხიდის მოაჯირს დაეყრდნენ.

— რა მშვიდია ახლა რიონი, — უთ-
ხრა ვაჟამ სეროვას. — წუხელ წალე-
ვას გვიპირებდა.

— მეგონა, ზღვა მოდიოდა მთები-
დან. ზომ შეიძლება კიდევ გადაირიოს
რიონი!

— შეიძლება, გალინა. შეიძლება
წელსვე, გაისად, ან ათი წლის შემდეგ,
ან ასი წლის შემდეგ, — დაფიქრებით
უყურებდა სეროვას: — იცი, რა აზრი
დამიბადა დამბის გაკრამ?

— რა აზრი, ვაჟა? — ხელი გადახვია
სეროვამ ვაჟას.

— პატარა ფოთთან, აქედან მეშვი-
დე კილომეტრზე წყალგამყოფი უნდა
აშენდეს.

— წყალგამყოფი?! — ვერ გაიგო გა-
ლინა არკადიევანამ, თუ რას გულისხ-
მობდა ვაჟა.

— იქ, — ხელი გაიშვირა ვაჟამ, — მეშ-
ვიდე კილომეტრზე დამბა უნდა გაიკ-
რას. იქიდან არხი უნდა გაეყვანათ და
ნაწილი რიონისა ამ კალაპოტით ზღვა-
ში გადაეგდოთ. წყალდიდობისას რა-
ბებს ავწევთ...

— ვაჟა! — წამოიძახა სეროვამ და
ლოყით ლოყაზე მიეკრა, — დიდებული
აზრია. რიონი ორ ნაწილად გაიყოფა.
რაც უნდა გადაირიოს, ქალაქს ვეღარ
დაემუქრება.

— ვეღარ დაემუქრება, — გაიმეორა
ვაჟამ. წელზე ხელი მოხვია. ხელში ეკი-
რა ქალის თბილი ტანი, დამყოლი, სუ-
ლითა და ზორცილ მისი, — გალინა,
სადი არის ჩვენი თაიგული?

— შინა მაქვს, ვაჟა.

— მე მეგონა, გადააგდე.

— იგი ანდრეი ნიკოლაევიჩმა მოგ-
ვიტანა, ვაჟა, — უთხრა სეროვამ.

— ანდრომ მოგვიტანა, — თქვა ნად-
ვლიანად ვაჟამ, — მას ისე ძალიან უნ-
დოდა ჩვენი ქორწილი.

— ძალიან უნდოდა, ვაჟა.

— უქკუო ვარ, სულელი ვარ, უგუ-
ლო ვარ, გალინა...

— ვაჟა... ნუ ვილაპარაკებთ ამაზე.

— ანდროს უნდოდა, უხაროდა ჩე-
ნი დაქორწინება.

— დავექორწინდებით, ვაჟა, რა გვეჩ-
ქარება!

— მეჩქარება, გალინა... ანდროს უნ-
დოდა და ამიტომ მეჩქარება... მაპატიე,
გალინა. შენ თუ მაპატიებ, ანდროც მა-
პატიებს.

— ანდრეი ნიკოლაევიჩს ისეთი გუ-
ლი აქვს... იგი არ ვაგწეროშია. არც მე
გიწერები, ვაჟა.

— ნუ გადავდებთ ქორწილს, — თხო-
ვა ვაჟამ.

— ნუ გადავდებთ, — სეროვამ ორი-
ვე ხელი მოხვია კისერზე.

— ახლავე დავექორწინდეთ, გალინა.
სეროვამ გაიცინა.

— ახლა „მმანი“ არ მუშაობს.

— „მმანს“ რა მნიშვნელობა აქვს,
გალინა. დეიდა რუსუდანს სუფრა ისევ
ისე აქვს ვამილილი. წავიდეთ ჩემთან,
გალინა.

— რას იტყვის დეიდა რუსუდანი,
ვაჟა, შუალამისას რომ მივადგებით.
უხერხულია.

— ვუთხრათ, რომ ჩვენ უკვე დავ-
ქორწინდით.

— ტყუილი ვუთხრათ?

— ეს კარგი ტყუილი იქნება, — უთ-
ხრა ვაჟამ, — ლამაზი ტყუილი იქნება.
ვერ წარმოიდგენ, როგორ გაიხარებენ
რუსუდანი და პეტრე.

— წავიდეთ, ვაჟა, — უთხრა სეროვამ.
არ უნდოდა ხელები ჩამოეღო მისი ღო-
ნიერი კისრიდან. ერთხანს სახეში შეპ-
ყურებდა სიყვარულით, თრთოლვით,
მერე აკოცა, — წავიდეთ, — უთხრა
ისევ.

წავიდნენ ხელმოხვეულები. იმდენად
ბედნიერები იყვნენ, რომ დააეწყდათ
ყველაფერი ამ ქვეყნად. ერთად იყუ-

ნენ, ხელმოხვეულები, მარტონი, მაგ-
რამ მაშინვე იგრანეს, მათთან არ იყო
ის, ვისაც გულით უნდოდა, სულით
წაიდა მათი გაბედნიერება.

— გალინა... იცი, რა მითხრა, ტარი-
ელ ქარდამ, — ვერ მოითმინა ვაჟამ.
იყოფა, არ იყო საჭირო ახლა ამის
თქმა. შერცხვა თავის ბედნიერების და
იმიტომ თქვა.

— რა ვითხრა, ვაჟა?

— ანდროს კიბო აქვსო.

— რას ამბობ, ვაჟა! — ხელი გაუშვა
ვაჟას, შედგა.

— ანდრო მალავდა თურმე. არავის
ცოდნია ექიმისა და ტარიელის მეტს.

— რატომ მალავდა?! ჩვენ რატომ
გვიმალავდა?! — ატირდა სეროვა.

დაბალკერიან ოთახში მაგიდას შუ-
ახნის გამომძიებელი უჯდა. აბაუურიანი
ლამფა ანათებდა მის ფერმკრთალ, გა-
უპარსავ სახეს, უდროოდ გაკალარავე-
ბულ თმას.

მის წინ ისიდორე სიორდია იდგა.
გამომძიებელმა რამდენჯერმე შესთავა-
ზა დაჭეჭო, მაგრამ სიორდია ვერ ჯდე-
ბოდა, დაეცემისას უკანალი იტყინა. გა-
მომძიებელი უკმაყოფილოდ უუუერებ-
და.

— მაშ, თქვენ ამტკიცებთ, რომ ვაჟა
ჩაფარბიძე...

— ხატზე დავფიქვე, პატენ ჩეკსტ!

— კომუნისტი ხატზე დაიფიქავთ?!

— თავი ასწია გამომძიებელმა და გა-
ლიზიანებით შეხედა.

სიორდიას არ დაუნახავს ეს. იგი მის
პირდაპირ, მაგიდას უკან დაკიდულ
ფელიქს ძერეინსკის სურათისაკენ აცე-
ცებდა თვალს.

— სტყვანე ვთქვ, თორემ ხატ არ
მწამს, — დაიბნა სიორდია. — ასე ამ-
ბობენ.

— ვინ ამბობს ასე?

— როგორ ვითხრათ! ბევრ ამბობს
ასე, — უფრო დაიბნა სიორდია.

— კომუნისტი ასე არ ამბობს. კიდევ
რა გაქვს სათქმელი?

— ბევრ, პატენ ჩეკსტ!

— თქვით.

— განგმა მას ვერცხლს პირსგარ აჩუქა. ახლაც ჯბემ ატარებს. რატომ აჩუქებდა, ალბათ, მხედვებთ პატენ ჩეკსტ, — თავს მაღლა ვერ წველა, ძერეინსკის სურათს თვალს არიდებდა.

— ვხედები, — უთხრა გამოძიებელმა.

— მეგობრებიც არან.

— აჰ, მეგობრებიც?!

— აჰ რაგა. ვინც ანდრო განგას მეგობრობს... ხომ ხედვებთ, პატენ ჩეკსტ?

— ვხედები.

— გარდა ამისა, ვაჟა ჯაფარძე მორალურად გაფუჭებულ კაც ვახლავთ.

— როგორ?!

— სეროვა უყვარს.

— ნამდვილად?

— ხატზე დაფიქვავ. ტფუ, ხატ არ მწამს, პატენ ჩეკსტ.

— თუ არ გწამს, რატომ იფიქვავ ხატზე?!

— დაჩვეულ ვარ ეს წვეულ...

— აჰ, დაჩვეული ხარ!

— სამსახურს სუვარულ დანაშაულ არს, პატენ ჩეკსტ. ეს ხეზე კად თქვენ მოგესხენებათ.

— ჰო, დიდი დანაშაულია სამსახურში სიუვარული.

— თქვენ ბრძენ ბრძანდებთ. ერთხელ ტყეშ ერთად ვნახე.

— აჰ.

— ხომ მოგესხენებათ ქალ და კაც რატომ მდან ტყეში.

— როგორ არ მომესხენება.

— ერთხელ ბარაკს კბეზეც ერთად დგნენ.

— ბარაკის კბეზე?!

— ხომ შეეძლო, კბდან ოთახს შეეყვანა.

— შეეძლო, — გამოძიებელი მოთბინებას კარგავდა: — კიდევ გაქვთ რაიმე სათქმელი?

— ბევრ მაქვს, მაგრამ ახლა რაღაც მტკვა.

— რა გტყვია?

— მერცხეება თქმა, ^{განგმა ჩეკსტ} სხვა დროს მოგახსენებთ.

— მშვიდობით.

— რატომ მშვიდობით?! ნახვამდს, პატენ ჩეკსტ.

გამომძიებელმა არ უპასუხა. აგრძნობინა, რომ საუბარი დამთავრებულია. სიორდია შეტრიალდა და კარისაკენ გაემართა.

გამომძიებელმა დაინახა, რომ უკანალი სველი ჰქონდა.

— მოითმინეთ.

სიორდია შედგა, მიტრიალდა.

— უკანალი სველი ვაქვთ, — უთხრა გამოძიებელმა.

— დახ, სველ მაქვს, პატენ ჩეკსტ. — გუბემ ჩავარდ.

— წადი! მეორედ არ ჩავარდე გუბეში, — შენობით მიმართა გამოძიებელმა.

სიორდიას სიმწრისაგან ისედაც მიღებული სახე მთლად დაუპატარავდა.

— წადი! — გაუმეორა გამოძიებელმა.

სიორდია კი არ ვავიდა, კარში გასხლტა და სწრაფად მოიხურა.

გამომძიებელმა მაგიდიდან სიორდიას დასმენის ქაღალდი აიღო, დაკმუჭნა, უნდოდა კალათში ჩაეგდო, მაგრამ გადაიფიქრა, უფრო მაგრად დაკმუჭნა, კიბეში ჩაიდო. იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო უღონოდ, თავზე ხელები შეშოჩყო. ასე იჯდა კარგა ხანს ილაჯგაწვეტილი, დაფიქრებული. ოთახში კედლის საათის წიწყი ისმოდა. გამომძიებელს საფეთქლებზე ჩაქუჩივით სცემდა ეს ხმა. ჰაერი თამბაქოს ბოლით იყო დამძიმებული.

საათმა სამჯერ ჩამოჰკრა.

მაგიდის უჯრა ჩაეკტა, წამოდგა, შექი ჩააქრო.

ის ქუჩა, რომელსაც შინ მიუყვებოდა სიორდია, ცუდად იყო განათებული. მართალია, ამ ქუჩით დადიოდა ათი წელიწადი და მაინც ტაატივ, ნელა მირთინობდა. არ ენდობოდა მიწას, ფრთხილად ადგამდა ტყეს, ამოწმებდა,

ჭაობი არ იყოსო. ჭაობმა ჩაიტაცა მამამისი და ყველგან ჭაობი ელანდებოდა, ასევე გაეღილა, შემოწმებულ გზაზე კი.

კოლხიდის მშენებლობაზე იმიტომ პოვიდა სამუშაოდ, რომ ჭაობისათვის საპაგიერო ეზლო, შური ეჭია მამამისის დახრჩობისათვის. ამას საქვეყნოდ ამზობდა. იმას კი არ ამხელდა, რანაირად და რატომ დაიხრჩო მენშვეიკურ გვარდიის ათმეთაური ტატაჩია სიორდია.

ყველას, ნაცნობსა და უცნობს, ახლობელსა და შორეულს, ამხანაგსა და შეგობარს, დასა და ძმასაც ეძვიო უყურობდა, თვალს აქეთ-იქით აცეცებდა.

ბარაკში ცხოვრობდა. ლანჩხუთის უბანში ათამდე ბარაკი იდგა მუშა-მოსამსახურეებისათვის. ერთ-ერთ ბარაკში ოთახი ეჭირა. მართო ცხოვრობდა. არასოდეს არავინ მიუპატივებია. თავისით არავის სტუმრებია. თვითონ კი ყოველ ოთახში, ყოველ საერთო საცხოვრებელში ჰყოფდა ცხვირს.

იმ ცხვირს მეძებარი ძაღლის ყნოსვა და აიღო ჰქონდა. სულ რაღაცას ეძებდა, ყნოსავდა, შარს დებდა მეზობელს, მეშას, კოლმეურნეს, ათისთავს, დრაგერს, ტრაქტორისტს, მომმარაგებელს.

მისთვის ყველა საეჭვო იყო. არავინ მოწონდა, არავინ უყვარდა. — „ჭელიძის ბავშვი ლექსს ხმამაღლა კითხულობს. მართალია, გაკვეთილს სწავლობს, მაგრამ რატომ ხმამაღლა, მეზობლებს რად აწუხებს?.. კახიძის ცოლი კარტოფილს ზეთზე წვავს, მართალია, ერბო არ იშოვება, მაგრამ იმაზე რატომ არ ფიქრობს, რომ ზეთის სუნი მთელ ბარაკს ეღება?!. ეგ საკითხი კომენდანტთან უნდა დავაყენო. აქამდე სად ვიყავი?!. ან ეს რასა ჰგავს, რომ მიჭაბერიძე დებს კბეზე იწმენდს, დანით იფხევს ჩექმაზე მიძხმარ მყარალ ტალახს და მერე ფეხებს აბრაუნებს, რომ მტვერი გაცივიდეს... ბეროშვილი ყოველ ღამე შინ გვიან ბრუნდება. სად დადის?! ასე გვიან კარგ საქმეზე არ რჩებიან გარეთ... ბახტაძე მუშათა სასაბილოში არაყს სვამს. ჯიბით შემო-

აქვს. სხვებსაც პატივებს, შეფიქრებულად თქვან, არ თერება, სხვებსაც პატივებს, მაგრამ ხომ შეიძლება ერთ მშენებელს დათვრეს და სხვაც დაათროს!.. ჩიხლაძის ცოლს ქათმები ჰყავს. მისი მამლის ყვილისაგან მოსვენება არა მაქვს. რა უნდა ქათმებს ამ უდაბურ ტყეში?! ხომ შეიძლება ტურამ შეკაპოს. ჰაიტ! ასევე უქნია, მთლად გაუწყვეტია ტურას! ფიქრისას „ი“-ს არ კარგავდა.

ფოთში საკუთარი სახლი ჰქონდა. ცოლს ჰირივით ძელდა. შინ არ აჩერებდა. იმიტომ ეჭირა ლანჩხუთის უბნის მშენებლობაზე ოთახი. ფოთში მხოლოდ მაშინ რჩებოდა, როცა სამმართველოში თათბირი გვიანობამდე გაგრძელდებოდა. ან როცა ისეთ „საქმეზე“ მიდიოდა. საიდანაც ახლა ბრუნდებოდა.

შეშფოთებული მოდიოდა იქიდან. — „შეორედ არ ჩავარდე გუბეშიო. რატომ მითხრა ასე?! ჩემით ხომ არ ჩავარდი? ხელი მკრა იმ დედაგაღლეტილმა. ჰატ! რაცხა კარგ ამბავს არ ნიშნავს ეს სიტყვები. ფრთხილად, სიორდია. ხატზე დავიფიცავო რომ ვუთხარი, არც ეს მოეწონა. კომუნისტი ხატზე იფიცავო! თუ დამჭირდა, ხატზე კი არა, ემშავზე და ქაჯზე დავიფიცავ. ჰო, ფრთხილად, სიორდია, შეიძლება ის ჩეკისტი მთლად წმინდა სული არ იყოს... ხომ შეიძლება ისიც!.. ქვეყანაზე ყველაფერი შეიძლება. — უბის წიგნაკი ამოიღო, მაგრამ სიბნელეში ვერაფერი ჩაიწერა. — ტვინში ჩავიწერ. ასეთ რამეს არ იფიქრებს სიორდიას ტვინი“ — გაიფიქრა და დიაცური, გამკინავი ხმით ჩაიხითხითა.

ლანჩხუთის უბნის მუშა-მოსამსახურეები დილიდანვე შეიკრიბნენ ბარაკის წინ, სადაც კლუბი იყო მოთავსებული. ჩგუფ-ჩგუფად იდგნენ გაკაფულ მოედანზე, უდაბური ტყე რომ ეკრა გარშემო. ზოგს მზისაგან გამავეებულ, ზოგს ციებისაგან გაყვითლებულ სახეზე უ-

მაყოფილება, აღშფოთება და ტკივილი ეხატა.

უმრავლესობამ გუშინვე შეიტყო სამმართველოს გადაწყვეტილება. ჯავრისაგან მთელი დამე არ უძინიათ ახლა მოუთმენლად ელოდნენ მშენებლობის სამმართველოს უფროსს ტარიელ ქარდასა და თავიანთი მშენებლობის უფროსს ვაჟა ჯაფარიძეს. ყველაზე მეტად სწორედ ჯაფარიძეზე იყვნენ გულმოსული. ეს მოსელისთანავე დაინახა ვაჟამ მათ სახეზე, სანამ კლუბში შევიდოდა. მოელოდა ამას და არ გაკვირვებია. მან მოიყვანა მუშები და გლეხები ლანჩხუთის უბნის მშენებლობაზე. აქ უმეტესად გურულები მუშაობდნენ. ვაჟამ კარგად იცოდა მათი ფიციხე ხასიათი. ვაჟა პირდებოდა მშენებლობის მალე დამთავრებას, ის ეგულებოდა ხალხს ჭომაგად, მან გატეხა პირობა და პასუხიც მან უნდა აგოს მათ წინაშე.

— ვიცი მუშები შენზე იყრიან ჯავრს, — უთხრა ტარიელ ქარდამ. — არ შედრკე, ვაჟა. მხოლოდ შენ შეგიძლია მათი დაჯერება, რომ ასე სჯობია. თავის თავში დარწმუნებული უნდა წარსდგე კრების წინ და დაგიჯერებენ.

— მეც ასეთი რწმენით მოვედი, ტარიელ, — უთხრა ვაჟამ.

კლუბი ისე იყო ხალხით გაჭედული, ნემს ვერ ჩააგდებდი. გრძელი მერხები დაკეცილი იყო. იდგნენ კედლებთან, გასასვლელებში, კართან. ვინც კლუბში ვერ დაეცია, გარედან ღია ფანჯრებზე იყვნენ მომდგარი.

მათი მოღუშული, შუბლშეკრული სახეები, როგორც კი სცენაზე ავიდა, ჩამინევი დაინახა ტარიელ ქარდამ. მას მშენებლობის პარტორგი კოჩა ყორშია, ვაჟა ჯაფარიძე, ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი შოთა იმნაძე შემოჰყევნენ.

არავინ დაუკრა ტაში. არავინ შეხედა. წინათ მშენებლობის სამმართველოს უფროსს და პარტორგს ტაშის გრიალით ხედებოდნენ.

პრეზიდენტის მაგიდას სუფრა არ

ეფარა, არც წყლით სავსე დოქა იდგა და არც ლამბაქით ჭიქა. კედლებზე კი კვი ეჩვენა მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

პარტორგმა მაგიდასთან მდგარი მერხი უკან გააჩოჩა, ზედ გადააბიჯა, ცალი ხელით მაგიდას დაეყრდნო, დაუცადა ტარიელ ქარდას, ვაჟა ჯაფარიძეს, შოთა იმნაძეს. ისინი აქეთ-იქიდან შევიდნენ, მაგიდასა და მერხს შუა და დასხდნენ.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, დაკომული, უსიამო. კოჩა ყორშიამ ჩაახველა, მეორე ხელითაც დაეყრდნო მაგიდას.

— ამხანაგებო, ყველამ იცით, რისთვის შევიკრიბეთ. შესავალ სიტყვას საჭიროდ არ ვთვლი და სიტყვას ვაძლევ თქვენი უბნის მშენებლობის უფროსს, ამხანაგ ვაჟა ჯაფარიძეს.

შუა რიგებში მჯდარმა ისიდორე სიორდიამ, ჩახმახივით რომ იყო შემართული, მის მარჯვნივ წამოსკუბებულ, მასავით გამხდარ, მელოტ გლეხს, კირილე ებრალიძეს მხარი გაჰკრა. კირილემ უმაღ კისერი წაიგრძელა:

— არც ჯაფარიძის სიტყვაა საჭირო, ნენა. საიდანაა ჩვენი მშენებლობა? იგი უკვე შეგიჩერებიათ, კონსერვაცია გიქნიათ. კონსერვი გამიგონია. ხორცს აკონსერვებენ, თევზს, ხილს. მაგრამ მშენებლობის კონსერვირება თუ შეიძლებოდა, არ მეგონა.

არვინ აპყვა კირილეს ხუმრობას. ყველა კრიჭამეკრული იჭდა.

— ერთი სიტყვით, ნენა, ჩვენთვის ყველაფერი ნათელია, — ებრალიძე მისი გაქნაჭული ტანისა და წვრილი კონსერვისათვის შეუფერებელი ბოხი ხმით ლაპარაკობდა, — ჯობს პირდაპირ გვითხრა, ნენა, აიყარეთ და თქვენ ცოლ-შვილს დაუბრუნდითო.

სიორდიამ კმაყოფილებით მოწყურა ყულაბის პირივით ვიწრო თვალები და მხარი მოაშორა ებრალიძეს.

— კირილე, ჩვენ აქ იმიტომ კი არ მოვედით, რომ აგყაროთ და ცოლ-

შეილთან. დავაბრუნოთ, — უთხრა პარტიორმა.

სიორდიამ ასლა მარცხნივ მჭდარ პირტიტველ უმაწვილს, თენგიზ ქერქაძეს, რომელიც მუქში მოქცეულ პაპიროსს ეწეოდა და ბოლოს დრმად ულაპავდა მღელვარებისაგან, ვაჰკრა მხარი. ქერქაძეს ეტყობოდა სიორდიასაგან დაბრუნებული იყო, მაგრამ სიტყვის თქმა მინც არ უნდოდა. ისიღორემ მეორედ ვაჰკრა მხარი. ქერქაძე წვირსაკრავივით შეტოკდა.

— აბა, რისთვის მობრძანდით, მოსაკითხი მოგვიტანეთ?! — წამოიყრანტალა ანგარიშითუცემალად.

— იმისათვის მოვბრძანდით, — ჯაფარიძე პირდაპირ სახეში უყურებდა ქერქაძეს, — რომ სხვა უფრო საჭირო უბანზე გადავიყვანოთ.

ებრალიძეს ნიშანი მეტი აღარ დაჰქირდა:

— მადლობა მოგვიხსენებია, ნენა, გარჯისათვის, მერე იქედან ცხერებით სხვა უბანზე რომ გადაგვრეკოთ, არა? ვერ მოვართვით. არც ისეთი უკუოები ვართ, თქვენ რომ გვონიათ.

— ამხანაგებო, — პარტიორგის ხმაში სიმკაცრე ვაერია. არც შეხედა ებრალიძეს, თითქოს არც გაუგონია მისი ხმა. — სიტყვას ვაძლევ ვაჟა ჯაფარიძეს.

— არ გვინდა.

— არ მოვუსმენთ.

— ისედაც ყველაფერი ნათელია ჩვენითვის.

— მოუბატუეთ.

— მეორედ არ წამოვეგებით თქვენს ანკესზე.

სიორდია ძლივს ფარავდა აღტაცებას. ეს ხმები მის ირგვლივ მსხდარი ნუშების მხრიდან ისმოდა.

ვაჟა ჯაფარიძე არ ლეღავდა და თვითონვე უყვირდა თავისი სიმშვიდე. ლეღავდა სეროვა. გაფითრებული შეკუურებდა მერხების პირველი რიგიდან ვაჟას.

— დაწყნარდით, ამხანაგებო! — წამოდგა ჯაფარიძე და მიმართა სიორდიას ირგვლივ მსხდარ მუშებს, — დაწე-

რილებით მოგახსენებთ ყველაფერს. ამუშავდა სიორდიას მხრებზე თენგიზ ქერქაძემ პირიდან პაპიროსი გამოიღო:

— ვიცით, რასაც მოგახსენებ.

— ქერქაძე, შენ შენი ჭკუით არ ლაპარაკობ, — მკაცრად უთხრა ჯაფარიძემ და სიორდიას შეხედა. — ვადაჯექი პარლედან და პაპიროსი ჩააქრე.

— აბა, ეს ჭკუთ ლაპარაკობს?! — თავი ვერ შეიკავა სიორდიამ.

— შენი ჭკუით, სიორდია, — მოუჭრა ასევე მკაცრად სიორდიასაც ვაჟამ. — კირილც შენი ჭკუით ლაპარაკობს ყველამ სიორდიას, ებრალიძესა და ქერქაძისაყენ მიიხედა.

ტარიელ ქარდა უურადლებით აკვირდებოდა დარბაზს. იგი მართალ, გულწრფელ გამოსვლებს ელოდა. ვადაწყვეტილი ჰქონდა არ შეეამათებოდა მათ, ჯაფარიძესთან ერთად დაერიგებინა, დაეჯერებინა იმ დადგენილების საჭიროებაში და სარგებლობაში, რაც პარტიამ და მთავრობამ გამოიტანა ლარის სათქმელად მოვიდნენ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ სიორდიას დავეშვილები ამეღავენბდნენ საწინააღმდეგო აზრს.

— განაგრძე, ვაჟა, — უთხრა ჯაფარიძეს.

ვაჟამ განაგრძო, არათფიცილოლო კილოთი — მეგობრულით, უბრალოდ, ისე როგორც ჩვეულებრივად ელაპარაკებოდა მუშებს, ათისთაგებს, სამუშაოთა მწარმოებლებს, ტექნიკოსებს, პედროლოგებს, დრაგერებს — ყველას ვინც მასთან მუშაობდა.

— ამხანაგებო, კარგად მოგახსენებთ, რომ მე და ვასო ბრეგვაძე წინააღმდეგი ვიყავით ჩვენი უბნის მშენებლობის გაუქმების, წინააღმდეგი ვიყავით იმიტომ, რომ ძნელი იყო ჩვენთვის, ისე როგორც თქვენთვის იმ საქმის მიტოვება, რომელსაც ამდენი წელიწადი ვეჭიდებოდით.

— ჩვენთვის აბლაც ძნელი ამ საქმის მიტოვება და წინააღმდეგი ვართ, — წამოდგა ებრალიძე. — შენსა და ვასო

ბრეგვაძესათვის რატომ გახდა ასე უცებ ბოლი?!

— იმიტომ, რომ მე და ვასო ბრეგვაძე მხოლოდ ვუშინ დაერწმუნდით, რომ ეცდებოდით, — არ იცოდა ბრეგვაძე თუ იყო ამაში დარწმუნებული, მაგრამ იცოდა, რომ ამის თქმა ახლა საჭირო იყო. — მე და ვასო ბრეგვაძე მხოლოდ ჩვენს უბანზე ვფიქრობდით და ჩვენს ცხვირს იქით არ ვიხედებოდით. დიან, არ მრცხვენია ამის თქმის ამხანაგებო.

— რატომ არ ვრცხვენია?! — ჰკითხა ლანჩხუთის უბნის მეორე მასივის მუშაი ერმილე ჩაყელმა. — კარგს აკეთებდით, რომ მხოლოდ ჩვენს უბანზე ფიქრობდით. ჩემს იქით, ბიძი, თოფი გინდ კაცს მოხვდეს, გინდ ქვას. მე ჩემი თავის მიჭირს.

— ჩვენ მაგ ჰკუთით არ ვმუშაობთ და ვცხოვრობთ, ერმილე. ჩვენთვის სულ ერთი არ არის, თოფი კაცს მოხვდება. თუ ქვას. არა, კარგს არ ვაკეთებდით მე და ბრეგვაძე ასე, რომ ვფიქრობდით. ჩვენ დაბრმავებული ვიყავით ჩვენი უბნის სიყვარულით. არ გვესმოდა ჰალადიდის უბანში მშენებლობის თავმოყრა, რომ უფრო დააჩქარებდა საქმეს, რომ ამით თქვენ და ჰალადიდის უბნის მშენებლები და სოფლები უფრო ადრე მიიღებდით მიწას. ვიმეორე, არ გვესმოდა იმიტომ, რომ დაბრმავებული ვიყავით ჩვენი უბნის სიყვარულით. ჩვენ ყველას ჰალაისტომის ოფენს ოფლი გვაქვს ჩაქცეული ამ უბანში... ამხანაგებო, თქვენთვის ხომ სულ ერთია, ლანჩხუთის უბანში მიიღებთ მიწას, თუ ჰალადიდის უბანში.

— ვინ მოგახსენა, რომ სულ ერთია.

— როდის გვეითხეთ?!

— ლანჩხუთი გურიაა, ბიძი. ჰალადიდი — სამეგრელო. რაფერ იქნება სულ ერთი?!

— არ არის სულ ერთი.

წამოიძახეს დარბაზის ერთი კუთხიდან, მაგრამ სხვადასხვა კუთხიდან სხვა ხმები გაისმა.

— ვინ გაჩუო, ერმილე, გურია და სა-

მეგრელო? რას ბეუტურებმეცხანბო?

— ოღონდ უფრო ადრე მფიქროლომეწა და ჩემთვის სულ ერთია სამეგრელოში დავსახლები, თუ გურიაში.

ამ ხმებს ბევრი სხვა ხმები აჰყვა. დარბაზი ახმაურდა. ორ ნაწილად გაიყო.

— გარწმუნებთ, უფრო ადრე მიიღებთ, ამხანაგებო. თითოეული ჩვენგანი შეიძლება შეცდეს, მაგრამ პარტია არ შეცდება. სამწუხაროდ, მე გვიან დაერწმუნდი პარტიისა და მთავრობის ამ გონიერულ დადგენილებების დიდ მნიშვნელობაში, — უნდოდა ეთქვა, ანდრო განგიას წინადადებით მიღებულ დადგენილებაში, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

მშენებლობის სამმართველოს უფროსი უყურებდა ჯაფარიძეს. გალინა არკადიენა არც ყურს უჭერებდა და არც თვალს. ვერ ცნობდა ვაჟას. არ ჰგავლა იგი იმ, სამმართველოს თათბირზე მოსულ ვაჟას, მანქანაში მჯდარ ვაჟას, ანდრო განგიას, რომ ეუბნებოდა, დღეს თქვენ სიყვარულზე ბევრს ლაპარაკობთ, არც წუხელ დამბაზე მდგარ ვაჟას, ზედაც რომ არ უყურებდა გალინას, რიონის ხიდზე მდგარ ვაჟასაც კი, ასეთი ტყვიელთა რომ ლაპარაკობდა ანდრო განგიასზე.

ვაჟა ვრძნობდა, ცოლის გაკვირვებით მოჩერებულ თვალებს, იმასაც ხედავდა, წელან რომ ზედ არ უყურებდნენ, სცენაზე ვაჟას ასვლისას თავიც რომ არ აუწვევიათ, ისინიც კი მოწონებით უსმენდნენ და თვალს არ ამორებდნენ.

მხოლოდ ისიღორე იჭდა უკმაყოფილო, გაწბილებული და იმედგაცრუებული. შემსივით წაწვეტებულ უღვაშის თავებს ნერგიულად იწიწწნიდა. თავისი დამქაშები კირილე ებრალიძე და თენგიზ ჰერქაძე აქეთ-იქით აღარ უსხდნენ, შეუმჩნევლად წამოდგნენ და ბოლო რიგში გადაინაცვლეს. სიორდია თავისი დაუნებურად მაინც ხან ერთ მხარს გაიჭნევედა და ხან მეორეს, ტოვებდა, ცქმუტავდა.

— რას იქნევ მხრებს, სიორდია?! რწყილები ხომ არ შეგიძვრნენ?! — ჰკითხა მოტლოდნელად ჭაფარიძემ.

სიორდია ქერდობაში წასწრებულ-ვით გაისუსა.

— შენ გეუბნები, სიორდია.

— მხრებს!.. ჩემს მხრებს ვქნევ მე... არა მაქვს ნება თუ?!

— არა გაქვს, სიორდია მხრების ასე ქნევის ნება. იმას მაინც ვერ ხედავ, რომ ჩამოგეცალნენ მხრებიდან?!

სიორდიამ ვერაფერი უპასუხა. ბოლმისა და შეურაცხყოფისაგან თვალები სისხლით აევსო.

ვაჟა ჭაფარიძის შემდეგ სიტყვა ერმილუ ჭაყელმა ითხოვა. ისეთი მოკლე კისერი ჰქონდა ჭაყელს, გეგონებოდა, თავი პირდაპირ მხრებზე ადგასო.

— ამოდი სცენაზე, ერმილუ, — უთხრა პარტორგმა.

— მე, ბიძი, სიმღერას არ ვაპირებ. სასიმღეროდ არა გვაქვს საქმე, — დაიწყო ადგილიდან ერმილუ ჭაყელმა, გაეყვილო, უსიამო ხმით. — აქედანაც კარგად მოგახსენებ ჩემს საოქმელს. ნამეტანი მოქარგული ენით ილაპარაკა ვაჟა ჭაფარიძემ. ტბილი ენა არ შეეღის ჩვენს გაპირებებს. — ჩაახველა ყელი ჩაიწმინდა და ისევ გაეყვილო, უსიამო ხმით განაგრძო: — მე, ბიძი, მუხლამდე ჭაობში მდგარი ორმოც კაპიკად არხიდან კუბამეტრ მიწას იმიტომ ვიღებდი, წელეზე ფეხს იმიტომ ვიდგამდი, რომ ჭაფარიძის დაპირების მჭეროდა...

— ახლა არაფერს არ დაგიჭერებთ, — წამოეშველა კირილუ დარბაზის ბოლოდან ჭაყელს. — მართალსაც არ დაგიჭერებთ, ნენა!

— ერთხელ გაბრიყვებულები, მეორედ არ გავბრიყვდებით. — ხანი მისცა ებრალობეს თენგიზ ქერქაძემ.

— გათენებთან დაღამებამდე ვმუშაობდი, ბიძი, — განაგრძო ჭაყელმა. — დღეში თორმეტ კუბამეტრ მიწას ვიღებდი. მეგონა, რამდენ მეტ კუბამეტრ მიწას ამოვიღებდი, იმდენად დაჩქარდებოდა მშენებლობა და რა გა-

მოვიდა? — თავიდან უახლოესი სიორდია: — დასვიდანე, ბიძი, — თავი დაუტრა ვაჟა ჭაფარიძეს და დაჯდა.

— მეც მომეცით სიტყვა, — თხოვა პარტორგს ლანჩუთის უბნის დრაგერმა ანტონ ბაჩილომ, ხმელხმელმა, მაღალმა, ასე ოცდარვა წლის ბელორუსმა. პარტორგის პასუხს არ დაუცადა, სცენასთან მივიდა, იქ ხალხისაგან მიტრიალდა და ერმილუ ჭაყელს მიმართა: — ბარით ამოღებული კუბამეტრებით ხეალ-ზეგ ჩვენც ოც ათას ჰექტარ მიწას რომ ვერ დავაშრობთ, ეს ყველამ კარგად ვიცოდით და ახლაც ვიცით, ერმილუ მიხაილოვიჩი. სანამდე ვჩიქნოთ ბარით მიწა? ჩვენი უბნის თითო მაისი-ზე თითო ექსკავატორი მუშაობს. ეს ექსკავატორები ჭალადიდის მასივებში რომ გადავლენ, საქმე ერთი-ორად წარწევს წინ. თავი მაღლობისათვის უნდა დავუტრათ მშენებლობის ხელშეწყობებს და არა „დასვიდანეისათვის“.

სიორდიას ჭაობისფერი, ცივი თვალები მთლად გაუყინა და დაუწვრილდა.

— დღეს ბელორუსიაში პოლესიის ჭაობებს, — განაგრძო ანტონ ბაჩილომ, — მანქანებით ამრობენ. ექსკავატორებით, მიწის მწოველებით, ბულდოზერებით. ჯერ ერთ მასივს, იმას რომ მოათავებენ, შერე მეორეს.

— შენ ვისი სახელით ლაპარაკობ, ბიძი?! — შეაწყვეტინა სიტყვა ერმილუ ჭაყელმა, — იმ შენი პოლესიის თუ ლანჩუთის უბნის.

სიორდია ალტაცებისაგან კინალამ შეხტა.

— ლანჩუთის უბნის სახელით ვლაპარაკობ, ერმილუ მიხაილოვიჩი, — უთხრა ბაჩილომ მისთვის დამახასიათებელი სიმშვიდით. — მე ჭაობების დაშრობის შემდეგ აქ ვაპირებ დასახლებას. ამსანაგმა ვაჟა ჭაფარიძემ შეგირდი მომამაგრა. ბაჩილომ სეროვას გვერდით მჭადარ უჩა შამუგისაგან გაიშვირა ხელი. — თურმე ამ ყმაწვილს ქალს არ ატანენ იმის გამო, რომ მიწაზე არ სახლობს. მეც ასე ვარ. ნატანე-

ბელი კოლმეურნე ქალი მიყვარს. ცისა-
ნა ცინცადე ჰქვია. მაგრამ მისი მშობ-
ლები არ მატანენ.

— ქალს თუ უნდა, ბიძი, მშობლები
კი არა, მთელი ქვეყანა რომ დაეჭი-
დოს, ვერ დააკავებს.

— ქალს კი უნდა, მაგრამ მე არ მი-
ნდა ჰკობში მოვიყვანო ქალი ციებისა და
კოლოების შესაქმელად, — უთხრა ბა-
ჩილომ ერმილეს. — მე და უჩა შამუ-
გასთანები ბევრი ვართ ლანჩხუთისა
და ჰალადიდის მშენებლობებზე.

— კარგად ლაპარაკობ, ანტონ ვა-
სილევჩი, — უთხრა მშენებლობის სამ-
მართველოს უფროსმა ბაჩილოს.

— ეს სახელთ ლაპარაკობ, ამხანაგ
ანტონ ბაჩლო?! — წამოიყვირა დია-
ცური, განეჩნავე ხმით სიორდიამ.

— ჩემი და უჩა შამუგიას სახელით,
— გაიცინა ბაჩილომ, — და აკი ვთქვი,
ჩვენისთანა ბევრია ლანჩხუთისა და
ჰალადიდის უბნებში-მეთქი და კიდეც
ამ ჩუნგლებში მიტოვებული სოფლე-
ბის სახელით ვლაპარაკობ, ამ სოფლე-
ბის საფლავებში მწოლარე აღამიანე-
ბის სახელით ვლაპარაკობ, — ბაჩლო
გრძნობდა, პათეტიკურად რომ ლაპა-
რაკობდა, მაგრამ სწორედ ასეთი ლაპა-
რაკი მიაჩნდა ახლა საჭიროდ და ასე
განაგრძობს: — თუ მომავალზე არ ვფიქ-
რობთ, ციებით მოკლულ იმ ბავშვებ-
ზე, ქალებზე და კაცებზე მაინც ვიფიქ-
როთ. ციებამ, ჰკობმა, სილატაკემ და
სიმშლიმა მოკლა ისინი. — შეხედა სი-
ორდიას: — ისიდორ ტატარევიჩი, მამა-
შენიც ხომ ჰკობმა მოკლა. აკი ამბობ-
დი, შური უნდა ვიძიო ჰკობზე!

— ვამბობდ და ვძებ კდეც: — წამო-
იყვირა სიორდიამ.

— კიდეც ვრის სახელით, ანტონ? —
არ ისვენებდა ჯაყელი.

— დანარჩენებზე მე ვიპასუხებ, ერ-
მილე, — წამოდგა ლანჩხუთის რაიკო-
მის მდივანი შოთა იმნაძე. — შეიძლე-
ბა? — ჰკითხა პარტორგს.

— გთხოვთ, — უთხრა ყორშიამ.

— შენ თვითონ ვინ დაგავალა? — მი-
უბრუნდა რაიკომის მდივანი ჯაყელს.

— ვისი სახელით ლაპარაკობ „დასვი-
დანიეს“?! ვინ აგეყოლია? კირილე ებ-
რალიძემ და თენგიზ ქერქაძემ? სრამ
ხედავ, როგორ ჩამოეცალნენ ისინი,
სიორდიას და იგი მარტო დარჩა.

— მე მარტო არა ვარ, ამხანაგ რა-
კომს მღვან. მე ბევრ მკერს მხარს.

— ვინაა, ამხანაგებო ისიდორე სიორ-
დიასა და ერმილე ჯაყელის მხრის დამ-
კერი? ვინ ამბობს კიდეც „დასვიდანი-
ეს“? გთხოვთ, ხელი ასწიოთ, — მიმარ-
თა რაიკომის მდივანმა ხალხს.

— უცოლოებმა, თუ ცოლიანებმა, ამ-
ხანაგო შოთა? — გაიცინა მშენებლო-
ბის სამმართველოს უფროსმა.

— ცოლიანებმაც და უცოლოებმაც,
ამხანაგებო, — სიცილითვე თქვა იმ-
ნაძემ.

არავინ არ ასწია ხელი.

სიორდიამ ვიწრო შუბლზე ჩამოშ-
ლილი თმიდან ვიწრო თვალები პირ-
დაპირ სულში ჩაურჭო რაიკომის მდი-
ვანს.

— იქნებ ამით დავამთავროთ, — გა-
ლაიხარა პარტორგი ქარდსაკეხ. — არ
განართლდა ჩვენი შიში, — უთხრა ჩერ-
ჩელით.

— იქნებ კიდეც ვინმეს უნდა სიტყვა-
ნუ ავიქარდებით.

— ამხანაგებო, ვაგრძელებთ კამათს,
— მიმართა ხალხს პარტორგმა.

— არაფერი გვაქვს საკამათო.

— აღარ არის საჭირო კამათი.

— ყველაფერი ნათელია.

წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— არ არის ყველაფერი ნათელი, —
ხელი ასწია ჯაყელმა.

— არ მისცეთ სიტყვა, ერმილეს.

— არც ისიდორეს.

— ესენი წყალს ამღვრევენ.

გაისმა უკმაყოფილო ხმები.

— პირს ვერავინ ამიკრავს, ამხანაგო
პარტორგო, — წამოდგა ჯაყელი.

— ვერც მე ამიკრავენ, — ბანი მისცა
სიორდიამ.

— პირს ავ ძალს აუკრავენ ხოლმე,
— მიმართა ორივეს ვაჟა ჯაფარიძემ.

— ბელორუსიელისათვის სულ ერთია,

სად დასახლება, ქალადის უბანში თუ ლანჩხუთს, — თქვა ღვარძლიანად ჭაყელმა, მერე ბაჩილოს ნიშნის მოგებით გადახედა: — მაგან თავის ბელო-რუსიაში ამროს ქაობი და იქ დასახლდეს. ვინ დაპატიოა აქ?!

წამოღდა ყორშია, ფანქრით დააკა-ტუნა მაგიდაზე, შეაჩერა ჭაყელი.

— რაღა მაგის პირი და რაღა ავი ძაღ-ლის პირი, — წამოიძახა გულმოსულად ჭაყელის წინ მჭადარმა მოხუცმა. — მაგ ფულითა და არშინით ზომავს ყველა-ფერს.

— ერმილე, შენ ბევრჯერ გაგაფრთხილეთ უპასუხისმგებლო ლაპარაკისათვის. პრაზს ძლიერ იყავებდა პარტორგი — ამ ხნის კაცმა ქუთა მინც ვერ ისწავლე. ანტონ ბაჩილო ჩვენი თხოვნითა და მოწვევით ჩამოვიდა აქ. გვი-ქირდა, დრაგერები არ გვეყოფნიდა. მან თავისი ქაობიანი მიწა მიიტოვა და ჩვენი ქაობების დასაშრობად ჩამოვიდა, მხარში ამოგვიღვა. ჩვენ არა მარტო ანტონ ბაჩილო გვეხმარება. კიდევ არი-ან ჩვენთან ბელორუსები სამმართველოში, მშენებლობაზე, ბიკოვი, ბლას-ტინოვი, რუსები, უკრაინელები, სომხე-ბი, აზერბეიჯანელები.

— ახლავე მოუხადოს ბოდიში ჭაყე-ლმა ანტონს, — თქვა ლანჩხუთის უბ-ნის პარტკომის მდივანმა აკაკი თოხა-ძემ.

— საბოლოო არაფერ უთქვამს, ერმ-ლეს, — წამოღდა სიორდია. ფართო და გრძელი ყურები კურდღელის ყური-ვით აებრჩხა, მთელი სახე ქარხალოვით გაუხდა. — აქ პარტბროს კრება არ გვაქვან ჩვენ...

— უფრო დიდი კრება გვაქვს, ისი-დორე, — უთხრა მშენებლობის სამმარ-თველოს უფროსმა, — და გვაცალე. შენ საკითხს კი პარტბიუროს კრებაზე განვიხილავთ.

— ისიდორე, — უთხრა შემინებულ-მა ჭაყელმა სიორდიას, — შენ ვინ გკო-თხავს, მოუხუდი თუ არა ბოდიშს ან-ტონს. ვისი ტყიკტომარა ხარ?!. მო-დი და ენა ჩამიჭერი, ანტონ. გამწარე-

ბელს სიფიციხით მომივიდა, წამომცა...

— თუ სიორდიამ წამოგაყვანი?

— კეთილა აკაკი თოხაძემ.

— ჩემმა სიცეტემ წამომაცდევინა, აკაკი.

— სიცეტე შენ არასოდეს არ გკლე-ბია, ერმილე, — უთხრა მიხაკო ქალა-განიემ.

ატყდა სიცილ-ხარხარი:

— მართალია.

— შენს პირს შექარი, მიხაკო.

— არც გესლი აკლია შენს გულს, ერ-მილე.

— არც ღვარძლი.

მზე ზღვისაკენ იხრებოდა, კრება რომ დამთავრდა.

საღბი დაიშალა. ზოგი მუშათა სასა-დილოსაკენ მიემუერებოდა, ზოგი სა-ცხოვრებელი ბარაკებისაკენ, სხვები იქ-ვე, კლუბის წინ მოედანზე გროვდე-ბოდნენ და საუბარს განაგრძობდნენ, ნაწილი კმაყოფილი იყო კრებაზე მი-ღებული გადაწყვეტილებით, ნაწილი უკმაყოფილო, მაგრამ მინც შერიგე-ბული უმრავლესობის აზრს.

ტარიელ ქარდა, კონა ყორშია, ვაჟა ჯაფარიძე და სერაფა ერთად გამო-ვიდნენ კლუბიდან.

ნანქანა იქვე, კლუბის გვერდით უც-დიდა მშენებლობის სამმართველოს უფროსსა და პარტორგს, მაგრამ ფეხით არჩიეს ცოტაზე გავლა. ქარდას თავი ტყიოდა. შოფერს უთხრა, წინ წასული-ყო და ხილთან დალოდებოდა.

გრილი ზღვაური უბერავდა. ქარდამ ქუდი მოიხადა, ზღვაურს შუბლი მიუშ-ვირა. ზღვის ნიაგი ყოველთვის უამებ-და თავის ტყივლს. ზამთარ-ზაფხულ-ლია ფანჯარაში ეძინა. ზღვის ხმაც უყ-ვარდა, ჩელიცა და ძლიერიც.

ანდრო შესანიშნავად უკრავდა. უყ-ვარდა მუსიკა. იხელთებდა თუ არა თა-ვისუფალ დროს, როილს მიუჭდებო-და. რუსი და ქართველი კომპოზიტო-რებს ბევრი ნაწარმოები ზეპირად იცო-და. მისთვის როილზე დაკვრა ყველა-ზე კარგი დასვენება იყო.

ანდროს ცოლი არ ჰყავდა. ვერ მოი-
ცალა სიყვარულით სავსე ამ კაცმა ქა-
ლის მოსაყვანად, ვერ მოიცალა პირა-
დი ცხოვრებისათვის. — „შვილი მინც
დარჩენოდა“. — ფიქრობდა ახლა ქარ-
და.

ისე მივიდნენ ხიდამდე, ხმა არ ამო-
ულიათ. ვაჟა, სეროვა და პარტორგი
ხედავდნენ, რომ მშენებლობის სამშარ-
თველოს უფროსი რალაც ფიქრში იყო
წასული. გრძობდნენ, ეს ფიქრი კრე-
ბის არ ეხებოდა, მშენებლობას არ ეხე-
ბოდა, არ ეხებოდა მათ საერთო საქმეს.

ხიდთან რომ მივიდნენ, ქარდა მხო-
ლოდ მაშინ გამოერყვა ფიქრიდან. შედ-
გა, პარტორგსა და ჭაფარიძეს მიუბ-
რუნდა:

— სასწრაფოდ უნდა გადავიტანოთ
ბარაკები ქალაქიდან უბნის მასივებში.
გადაწყვეტეთ ბარაკები რომელ მასი-
ვებშია პირველ რიგში საჭირო. პო, ვა-
ჟა, შენი მთავარ ინჟინრად დანიშნის
საკითხი უკვე შევეუთანებე სახალხო
კომისარს. ბრძანებას ზეგ გამოგზავნი-
ან. მგონი ქალაქში ბინა არა გაქვს.

— მაქვს ბინა.

— დაქირავებულ ბინაში ცხოვრობ?

— არა. დელიანუშთან, რუსუდან გერ-
სამიასთან.

— დამავიწყდა. რუსუდანისა და პეტ-
რეს აწერული იზაბელა მინც რამ
დასაყვანია. გუშინწინ ქორწილში ხომ
იქ გყავდით შენ და გალინა არკადი-
ვენას მიწვეული. დაქორწინების შემ-
დეგ სად იცხოვრებთ?

— ისევე დეიდა რუსუდანთან, — უთ-
ხრა სეროვამ.

— დიდებულა, — თქვა ქარდამ. —
ბაშ აწი რუსუდანისა და თქვენი ხშირი
სტუმარი ვიქნები, — გაუღიმა სეროვა-
სა და ვაჟას. არ უნდოდა განგიაზე ფიქ-
რი, არ შეეძლო. ცდილობდა გამოხარუ-
ლებულიყო. ვერ ახერხებდა — რუსუ-
დანს უთხარიო, იზაბელა შემიჩაბოს.
— დაემშვიდობა ორივეს და პარტორგ-
თან ერთად მანქანაში ჩაქდა.

მანქანა ხიდზე გავიდა. რამდენჯერ
გასულა ამ ხიდზე ანდროსთან ერთად,

რამდენჯერ გაუვლია ამ გზაზე, ახლაც
ურში უდგას ანდროს ხმათაღმდეგ სი-
ცილი, მისი მგრგვინავი ხმა. გადაძღები,
მომხიზლაფი სიცილი. თვალწინ უდგას
მისი სახე, ხან კმაყოფილი, ხან უკმა-
ყოფილო. კმაყოფილი საქმის წარმატე-
ბით, ყარგი მუშაობით, უკმაყოფილო
საქმის წარუმატებლობით, ცუდი მუშა-
ობით.

ქარდას ძმა არ ჰყავდა. ანდრო მძისა-
ვით უყვარდა. მძისავით ენდობოდა
ყველა საქმეში, მძისავით გულახდილი
იყო მასთან. ახლა ისე ეჩვენებოდა,
რომ ძმა დაკარგა, მარტო დარჩა. თავზე
ხელი გადაისვა, ფიქრი გადაიყარა.
უცებ სიორღიაზე ჩამოავლო საუბარი:

— ასეთი აღამანისაგან ყველაფერს
უნდა ელოდე, კონია. შენ ბავშვი იყავი
მაშინ, არ გემახსოვრება მამამისი ტა-
ტანია სიორღია. ათას ცხრასა ოცდა-
ერთის თებერვალში თქვენს სოფელში
გვარდიელთა ესკადრონი რომ მოვიდა,
ნიჩუბის მიწების დასაცავად, იმ ეს-
კადრონში ათმეთაური იყო.

— ყორათის ტყეში რომ დაიხრჩო ის
ათმეთაური, ისიღორეს მამა იყო?! —
ჰკითხა გოაცებულმა კონამ. — ისეც
ვირთხას ჰგავდა, კრუხის პალოსავით
დაბალი იყო. თქვენი კომიტეტის წევ-
რები გუდუია ესვანჯიას კარავში რომ
იყრიდებოდნენ, იმ დამეს დაიხრჩო ქა-
ოშში. ვარდენ ბუკიას აედევნა ჩუმად.
კრების გაცემა უნდოდა იმ წყევლს.
პაოპში რომ ჩავარდნილა, ვარდენს შე-
ვედრებია, მიშველეთ. რომ არ მიშვე-
ლებია, სამჯერ უსვრია ნაგანიდან მის-
თვის.

— არ უნდა მიშველებოდა, — უთხ-
რა ქარდამ. — მტერი არ უნდა შეიბ-
რალო.

— ტატანიას შვილიც მის კვალზე და-
დის. აი, ვინ არის წასაყვანი და ვინ
წაიყვანეს.

მზე ტყის იქით, ცის დასალიერში
ჩაესვენა და უცებ დაღამდა.

გზა აქეთ-იქიდან გადმოხრილი მუ-
ხის წიფლის და თხმელის თალქვეშ
ისეთი წყვარამი იდგა, თვალთან თითს

ვერ მიიტანდი. მანქანა რწევითა და თლხთლხით მიიკვლევდა გზას. მარჯვნივ და მარცხნივ ბაყაყებინ შეწყობილა ყიყი-ყიყი ისმოდა, გაბმული, გაუთავებელი.

ეს ერთფეროვანი ყიყინი, ეს წყვარამი, ჭიკობის სუნნი და ტყის მიძიმე სუნთქვა კიდევ უფრო უმძიმებდა ტარიელ ქარდას სევდას.

— იმდერე რამე, სერგო, — უთხრა შოფერს.

სერგო კვანტლიანი კარგად მღეროდა. უყვარდა სიმღერა და ხშირად გრძელ, მოსაწყვენ გზაზე მიმავალი, სიმღერით ართობდა ქარდას.

— არ მემღერება ბიძია ტარიელ, — უთხრა შოფერმა.

— არც მე მემღერება, ბიჭო... საოცარია აღმიაანი, — დამწუხრებული რაიმე უბედურებით, ჯავრის გადაყრახე ფიქრობს, თავის გულზე ფიქრობს, გვენასა და ტკივილის შემსუბუქებაზე ფიქრობს.

ქარდა არ ფიქრობდა ჯავრის გადაყრახე, გულის გადაყოლებაზე, პირიქით — უნდოდა, ეგრძნო ტკივილი. ეგვემნა, შეწუხებულიყო. გაუყვირდა, შოფერს იმდერე რამეო რომ უთხრა.

შინ ცოლი ელოდა. იყოდა, მარიამი შეეცდებოდა, გაერთო, გაენელებია მისი მწუხარება და ეს აღიზიანებდა. ყოველი უბედურებისა და გაჭირვების ეამს მარიამი იყო მისი შემწე, მისი წამალი. მაგრამ წინათ არასოდეს არ გაუღიზიანებია ამას. ახლა რა ემართება? ნუთუ დავებრდი?! ნუთუ ასე დავიღალე...

მანქანა სადარბაზო შესასვლელას წინ შეჩერდა. მარიამი ფანჯარასთან იდგა. ყოველთვის გრძნობდა, როდის მოვიდოდა ტარიელი. შემდეგ ბინაში შესასვლელ კართან უცდიდა და ყურს უგდებდა კიბეზე მის ნაბიჯს. კართან არასოდეს არ დაუხვდებოდა. ტარიელი კარის ვასალებს ჭიბით ატარებდა და თვითონ აღებდა კარს.

მარიამი ამ დროს სავარძელში იჯდა და წიგნს კითხულობდა, ან სამზარეუ-

ლოში ფუსფუსებდა, ფრუჭუნებდა. ქმარს ფანჯარასთან დაულოცავდა ელოდა. ეს არ უყვარდა ტარიელს.

მანქანიდან რომ გადავიდა, იქვე შედგა.

— კონა, ვიდრე ბარაყებს ვალადილის მასივებში გადავიტანო, მუშები სოფლებში უნდა დაეაბინავოთ. არავინ ვვეტყვიან უარს თითო ოთახის მოჭირავებაზე. ვეცადოთ მშენებლობასთან ახლო მდებარე სოფლებში ვიშოვნოთ ოთახები.

— კარგი აზრია, ტარიელ.

— ხვალვე ჩაუდგეს ამ საქმეს ლანგონოზ ლომჯარია სათავეში, — დაემვიღობა პარტორგს და სადარბაზო შესასვლელის კარი შეაღო.

სასადილო ოთახში რომ შევიდა, მარიამი ვახშამს შლიდა. იყოდა, რომ დღეს ტარიელი ლანჩუთის უბანში იყო წასული კრების ჩასატარებლად, მაგრამ არ ჰკითხა, როგორ ჩატარდა კრება, რა თქვეს მუშებმა. ეს უკანასკნელი სამი დღე არაფერს ეკითხებოდა ქმარს.

— აბაზანას მიიღებ, ტარიელ?

— არა. დავიღალე. მგელივით მშია.

— ხელ-პირი დაიბანე?

— დავიბანე.

— სუფრა გაშლილია. დაჯექი.

ტარიელი დაჯდა და მარიამმა დაინახა მისი დაქანცული, დახრილი მხრები, დაინახა, როგორ მოტყდა ქმარი სამ დღეში.

ტარიელს ჯერ გაუყვირდა, რომ მარიამმა არაფერი ჰკითხა კრების შესახებ. ყოველთვის ეკითხებოდა მშენებლობის ამბებს. მერე მიხვდა, რატომ დღეშია მეუღლე. მათი ჯვარისწერის დღიდან ყოველთვის ასე იქცეოდა მარიამი გაჭირვების დროს. ცდილობდა არ ელაპარაკა ქმართან იმაზე, რაც შეაწუხებდა ან უფრო დაუმძიმებდა წუხილს.

ტარიელთან გაატარა თავისი ახალგაზრდობა. რამდენჯერ გაუჩხრეკიათ მათი ბინა, რამდენჯერ გაქცევინა პოლიციას, რამდენჯერ დაუპატიმრებიათ მარიამი ქმრის გამო. რამდენჯერ გა-

სიზნულა ტარიელთან ერთად ტყეში, უბრძოლია იარაღით ხელში. მარიამი ქმრისათვის მარტო მეუღლე კი არა, თანამებრძოლიც იყო.

ბევრჯერ უფიქრია ტარიელს, მარიამი რომ არ მდგომოდა მხარში, იმის ნახევარს ვერ გავაკეთებდი პარტიისათვის, რაც გავაკეთეო. ერთადერთი შვილი მოსკოვში მუშაობდა საგარეო საქმეთა კომისარიატში, ცოლ-შვილი იქ ჰყავდა. მარიამმა შვილის მოსკოვში გადასვლის შემდეგ სამსახური მიატოვა და ოჯახსა და ქმარს უვლიდა.

ტარიელი ისე ბევრს მუშაობდა, მისი ხნის კაცს დიდი ყურადღება და მოვლა ჰქონებოდა. დილით ადრე გასული, გვიან საღამოს ბრუნდებოდა შინ.

ვახშმად, სადილად ყოველთვის პირისპირ ისხდნენ, რათა მარიამს ეცქირა, როგორ ჰქამდა ტარიელი. უყვარდა მისი დინჯი, აუჩქარებელი, მაღიანი ჰამა, სხვადაც რომ ჰამის სურვილს აღუძრავდა. თვითონ გადაუღებდა კერძს, დაუსხამდა საწებელს, ღვინოს, პურსაც და მჭადსაც თვითონ დაუღებდა თევზის გვერდით. დარწმუნებული იყო, მისი მიწოდებული კერძი, პური, დასხმული საწებელი და ღვინო უკეთეს მათას მოჰგვრიდა ქმარს.

— ბავშვი ხომ არა ვარ, მარიამ. — გაუღიმებდა ცოლს ტარიელი.

მარიამს უყვარდა მისი თბილი, კეთილი ღიმილი.

— ბავშვი ხარ ჩემთვის, — ეტყოდა მარიამი. შენ ახლა პატარასავით გვირდება მოვლა. ამდენი აღარ შეგიძლია. კაცი კი არა, რკინა ცვდება.

რამდენიც უნდა დაგვიანებოდა სამსახურიდან მოსვლა, მარიამი უიმისოდ პირში ლუქმას არ ჩაიდებდა. ტარიელთან ერთად ჰამას სხვა გემო ჰქონდა. ჰამისას მუდამ საუბრობდნენ. მარიამი თავის სამსახურის ამბებს ჰყვებოდა, ტარიელი თავისას. მარიამის პენსიაზე გასვლის შემდეგ მხოლოდ მშენებლობის საქმეებზე საუბრობდნენ.

მარიამმა იცოდა, რა აწუხებდა ტარიელს, იმასაც გრძნობდა, რომ ჰამის მა-

დაზე არ იყო და განგება ექცა მგელურვით მშიაო. მარიამის მოსატყუარებლად ჰქამდა. ცოლი ფარულად შეჰყურებდა ქმრის ორი დღის გაუპარსავ სახეს, სევდიან თვალებს და რომ არ მიმხვდარიყო ტარიელი მისი სინჯის მიზეზს, თვითონ დაარღვია ღუმელი:

— გამეხარდა, სეროვასა და ჯაფარიძის დაქორწინება. ასე მგონია, ჩემი შვილი დაქორწინდა.

— საიდან გაიგე მათი დაქორწინების ამბავი?

— რუსუდანმა დამირეკა.

— მეც გამიხარდა, მარიამ, — ჩანგალი დადო და ჰქა აიღო: — სამაგალითო წყვილია, ერთმანეთის შესაფერი: ჯაფარიძე ფიცხი, სეროვაც ფიცხი, — გაიციხა: — შენც აიღე ჰქა! ბედნიერება ვუსურვოთ, — ძირამდე დაცალა ჰქა.

მარიამმაც დალია და ჰქა დადგა.

— შენ ყოველთვის გიყვარდა საქმეში ფიცხი ადამიანი, ტარიელ.

— მშვიდი ადამიანი საქმეს ვერ არგებს.

მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გაატარა ტარიელმა. ანდროს განგეის ოთახიდან როიალის ხმა ესმოდა. ისე ცხადად ესმოდა, კინაღამ წამოდგა და ანდროს სინახავად დააპარა წასვლა. მაგრამ მის გვერდით მარიამს მშვილად ეძინა. ეს რომ მოჩვენება არ ყოფილიყო, მარიამიც გაიგონებდა როიალის ხმას.

თვალი დახუჭა, ხელიც დაიფარა, მაინც ხელავდა ანდროს, როგორ უჭდა როიალს პერანგის ამარა, მკერდგადაღვლილი, ანთებული პაპიროსით პირში. ყურებზედაც აიფარა ხელები, მაინც ესმოდა როიალის ხმა, ნაცნობი, ახლობელი. შიშით ფიქრობდა, რომ მუდამ ასე იქნებოდა.

ვერ გაუძლო ამ მოჩვენებას. ჯერ კიდევ ცისკრის ვარსკვლავი არ იყო ამოსული, წამოდგა. ფეხაქრფით გავიდა ოთახიდან აბაზანაში, პირზე წყალი შეისხა, თავზედაც გადაივლო. მოჩვენება

მინც არ ვაქრა — ანდრო ისევ უკრავდა, ისევ ისევ უჭდა როიალს, ანთებული პაპიროსით პირში, პერანგის აშარა. იმასაც კი ხედავდა ტარიელი, როგორ ბოლავდა პაპიროსის კვამლი წვრილად, ხვეულად, როგორ უღიმოდა სახე ანდროს, უღიმოდა მსხვილი თვალები, გადაღეღილ პერანგიდან ქალარაშვრეული მკერდი მოუჩანდა.

სწრაფად ჩაიკცა და ბინიდან გავიდა. მშინვე ანდრო განგვის ოთახის კარისაკენ გაექცა თვალი. კარი როგორც გუშინ, გუშინწინ დაღუქული იყო როიალის ხმა კი ისმოდა.

ჩაირბინა კიბე. ქუჩაში გავიდა.

ანდრო ისევ უკრავდა. მთელ სახლში ისმოდა როიალის ხმა, მაგრამ სახლში ყველას ეძინა. ისმოდა ვარეთაც, ქუჩაშიც.

გაჰყვა ქუჩას. გაიარა ერთი სახლის წინ, მეორეს წინ, მესამის, მეოთხის... მიწყდა მუსიკის ხმა. ტარიელმა ნაბიჯი შეანგლა. გული აჩქარებით უცემდა, პაერი არ ყოფნიდა...

ქალაქს ეძინა.

ზღვასაც ეძინა.

სიზუმეს ტარიელს ნაბიჯის ხმა არღვევდა. ღამის სიწყნარეში მკაფიოდ, ცივად ისმოდა ტროტუარზე.

ქუჩის ნათურები მკრთალად ციმციმებდა.

აყივლდნენ მამლები.

აჭრილდა საღდაც აბლოს კიშკარი.

ნაცსადგურში ხიმაღლის მოკლე, წყვეტილი ხმა გაისმა.

ცაქრის სიკრილუმ, თიქის სიზმრიდან გამოიყვანა ტარიელი. ღრმად

შეისუნთქა ჰაერი. სამშრთველს შენობის სადარბაზოს შესასვლელი კარი გააღო, მეორე სართულზე ავიდა, იქ, დერეფანში შექი ჩართო და მაშინვე დაინახა კიბის მოპირდაპირე მხარეს კარზე აბრა: „მონაპირი ინჟინერი“ და უშალ აეღერდა ისევ ის ჰანგი.

შეტრიალდა. თავის კაბინეტს მიაშურა, რეგლისური გასაღებით გააღო, შევიდა და კარი მკიდროდ მოიხტრა. გულააოქმდარი, ძლივს სუნთქავდა. მაგიდას მიუჭდა თუ არა, თვალი იმ სკამზე შეუჩერდა, სადაც ანდრო განგია ჯდებოდა.

არ იჭდა ანდრო იქ. არ ხედავდა ანდროს, არ ესმოდა როიალის ხმა და მინც იმის შიშით, ისევ არ გაეგონა იგი, ტელეფონის ყურმილი აიღო და მომარაგების უფროსს, ლონგინოზ ლომჭარიას დაურეკა.

დილით ლონგინოზი ყველაზე ადრე მოდიოდა სამშრთველოში.

ტარიელმა იცოდა, რომ ლომჭარია ამღგარი იქნებოდა. იგი მომარაგების უფროსიც იყო და საბინაო საქმეებსაც განაგებდა. ლონგინოზისათვის უნდა დავალებინათ საქორქიოში, საღვამიჩაოში, ნაბადაში, ყულევში, ქალადიდში, ქვაალონში, სავეინიოში, საბაეოში და პატარა ფოთში მუშებისათვის ოთახების დაქირავება, მაგრამ ეს საქმე ხომ წუხელ პარტორგს მიანდო. ლონგინოზ ლომჭარიას იმიტომ ურეკავდა, რომ მარტო დარჩენა არ შეეძლო და ლონგინოზის მეტს სხვას ვერავის დაიბარებდა ასე უთენია.

მეზობელი

მოთხრობა

თეატრის წამყვანი მსახიობის, ლილიანა თალაკვაძის საგრძობი ოთახში ფანჯარა გატყდა. ვიღაცამ გუნდა ესროლა. მთელმა დასმა გაიგო. შეიქმნა ფაცა-ფუცი, მისვლა-მოსვლა, აღიარებითი ოთახში შემოჭრილი სუსხი უღარდელად დანაეარდობდა აღმა-დაღმა და მილიფად ჩაცმულ მსახიობ ქალს ვიუტშველბელს აყრიდა.

ლილიანას გვერდით ლუჩიას ოთახი იყო. მყუდრო და თბილი; კედლებიდან შემოჭრილი ხმები, გაუთავებელი წივილ-კივილი გარკვევით ესმოდა, მაგრამ არ ჩარეულა, ზოგიერთებივით აღარც საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა უცდია. თავისთვის იყო.

დასის მმართველი, შავულვაშა, ბურთივით ჩამრგვალებული, ხითხითა კაცო — ვანო ჭილაძე, მსახიობებს შორის მუდამ შემრიგებლის როლს თამაშობდა. ახლაც...

— „ლუჩი, ჭირიმე! ერთი სათხოვარი ბაქვს...“

— რა ვნებავთ, ძია ვანო?!

კარს, არც თვითონ იღებს და აღარც ვანო ეძალბა. წესიც არის ასეთი, ნახევრად შიშველ, მსახიობი ქალის ოთახში

ბამაკაცის შეჭრა, ვერაფერი მოსაწონია.

— დირექციამ გადაწყვიტა... დროებით... შენთან... — სათქმელი არ დაასრულა ვანომ, აღარც ის უთხრა, თავად ლილიანამ რომ ინება მასთან გადმობარგება.

— კი, ბატონო!

პოლა, ასე, მშვიდობიანად, ოდნავ ანერვიულებული, რაც მოთვარია, ერთიანად გათოზილი ლილიანა, მის საგრძობი ოთახში გადმოსახლდა.

ლილიანა წამყვანი მსახიობია, ლილიანა თეატრის თვალის, ეს ბევრს ნიშნავს. სამაგიეროდ, მეორე დღეა და...

— ლუჩი, გრიპისაგან ამისმანდე სახე...

რაც შეეხება შეკითხვებს — „შიზღება?!“ „მოგწონს?!“ — უკვე ამოვიდა ყელში.

ლილიანას ვარდისფერი პენუარი იცვია, მადლიანი ყელკისერი უჩანს. „ლუჩიას“ — ცისფრად დანიშნული, ფლანელის ხალათი, ფერგასული და გაიკეთილი.

ორივენი სარკეში ჩანან.

სარკე ყველაფრის მოქმელია; იგი დაურიღებლად აჩენს სტუმრის სავსე

გულ-მკერდს, მოვლილსა და ნასათუ-
თებ სახის კანს; მასპინძლის ვიწრო ბე-
ჭებს, დამნაშავესავით შხირალ ფართო
თაფლისფერ თვალებს.

— „ლუჩი!“ ქვედაწელი გამისწორე!

— ქურქი მომაწორდე!

ნაქანდაკებ წვივებზე, მაღალყელიანი
ჩქეშები ულაპლაპებს ლილიანას, ცხე-
ნიდან დაქვეითებულ მხედარ ქალს წა-
გავს, ტანკენარსა და უღარდელს.

— წავედი!

თეატრის ვესტიბიული ლილიანას გა-
დამდები სიცილით აივსო.

გრიმის ყუთთან, ფერადი არშიებით
მოქარგული, სიფრიფანა ცხვირსახოცი
დარჩა. ნაზი და სურნელოვანი.

— წაუღოს?!

— „ლუჩია“ ეს... „ლუჩია“ ის... ფიგა-
რო ბე... ფიგარო იქ...

საკუთარ სისუსტესა და უმწეობაზე
გაეცინა. მერე ამ სიცილმა თანდათან
გააღიზიანა... არა, რაღაც არ ხდებოდა
ისე, როგორც სურდა. ამ ბოლო დროს,
ჩვეულებად ექცა: სპექტაკლის დამთა-
ვრების შემდეგ, ისეთი სევდა შემოაწ-
ვება გულზე, ისე დანაგრულად თუ
უბედურად გრძნობს თავს, რომ დარდი-
საგან აღარ იცის რა ჰქნას. ეს ნაღველი
ლილიანას შემოსახლების შემდეგ გაუ-
ჩნდა... თითქოს ამ ქალმა რაღაც გამო-
აღვიძა მასში, შეახსენა...

ცხვირსახოცი მიმაღა, სარკე ახლო
მოიწია და საკუთარი ორეული მუშტ-
რის თვალით შეათვალიერა. გაცრეცი-
ლი დაწვები... სევდიანი თვალები...
ოპიტიზმი ლურჯი არშია, ეწყინა. ეწყი-
ნა და თან შეერთა, თითქოს სხეულში
მაღალი ძაბვის დენს გაველოს. წამოდ-
გა. ფარდა გადასწია. დათოვლილი ქა-
ლაქი ჩარჩოში ჩასმულ სურათივით
მოჩანდა. ფარდას ხელი უშვა. ოთახში
სიარულს მოჰყვა. აქეთ და იქით. თან-
დათან, გალიაში დამწყვდევულ პატარა
ნადირს დაემსგავსა, წინ და უკან რომ
დარბის გახელებით, თითქოს კვირა
დღე იყოს და უსაქმური მაცურებელი
შემოეხვია. ხალხი იცინის, ის კი ბრა-
ზობს და ტინიანობს.

• • •
თარგუნული
ზიზულნიოთიქა

არ გაეცია, რა დრო გავიდა. ყურებმა
ზუზუნე შეწყვიტეს. გაუნელებული
„ფიგარო“... „ფიგარო“ — შეწყდა.

კვლავ მიუჭდა სარკეს. დაღლილი
მოპრაობით, სახიდან გრიმი მოიცილა.
ორიოდე მუქი ხაზი აჩნდა შუბლზე —
გულგატეხილობისა და ფიქრის ნიშანი.

...საოცარი განწყობილების ქალი
ხარ! შეასრულებ როლს, სცენაზე მსუ-
ბუქად, მზიარულად გრძნობ თავს...
დაეშვება ფარდა, საკუთარ თავთან მა-
რტო დარჩები და ხედები, წუთის წინ
ძილებული სიამოვნება მატყუარა იყო,
როლი არ გამოვიდა. ამას შინაგანად
გრძნობს... რამდენჯერ უფიქრია თეატ-
რიდან გაქცევა. გამოძებნიდა საღმე
მყუდრო ადგილს, თეატრის მოლარე
იქნებოდა თუ პიონერთა სასახლეში —
დრამატული წრის ხელმძღვანელი. არ
შეეძლო... რატომ?

დასის ყველა წევერთან, მეგარდერო-
ბედან დაწყებული, თეატრის დირექ-
ტორით დამთავრებული, უხილავი ძაფე-
ბითა დაკავშირებული?! ყალბია, ათას-
ჯერ ნათქვამი, გაცვეთილი აზრებია.
მაშ?! რამდენ გემრიელ კერძზე ამბობს
უარს ლილიანა, რომ ტანადობა შეინარ-
ჩუნოს, რამდენ საათს ეარჩივობს, თა-
ვად მსახეებს იყეთებს, ახალგაზრდული
გარეგნობა რომ შერჩეს.. ეგებ ესაა მი-
ზეზი...

...გუშინ წინ, თეატრის მთავარმა
რეჟისორმა, დაბალი ტანის, კროლათვა-
ლება კაცმა, გამელოტებულ თავზე ორი
ღერი თმის ბუსუსი სასაცილოდ რომ
აფშეკია, რაც გაუნელებულ სიცილს იწ-
ვევს მსახიობ ქალებში, შესვენებისას,
ისე, სხვათაშორის, (მუდამ სხვათაშო-
რის ლაპარაკი იცის იმ კაცმა), ჯერ სა-
ვანთა ენაზე ილაპარაკა, მერე სტანის-
ლავსკის პანტომიმამ — „მარაო“ გაიხსენ-
და.

...როცა პატრონი ღელავდა, დაქრი-
ლი ფრინველივით ფართხალებდა მა-
რათ. გარეგნობა მშვიდი ჰქონდა, მხო-
ლოდ ხელის მტევანი და დაკეცილი მა-

რას ოდნავი თრთოლვა ამკლანებდა ბატრონის სულიერ განწყობილებას. შემდეგ მარაო გაიშლებოდა, მკვეთრი და სხარტი მოძრაობით, აფრინდებოდა და წამით ფარავდა სახეს. ამ უმოკლეს დროში მარაოს მოფარებულ სახეს შესაძლებლობა ჰქონდა ღრმად ამოესუნთქა, გაეცინა ან ცრემლი მოეწმინდა თვალებზე. შემდეგ მარაომ ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით ვილაცას, ვინც იქვე, ახლო იმყოფებოდა, უბრძანა მის გვერდით დაეძღარაყო, მარაო დაწყნარდა, მშვიდად ირხევა, თითქოს უსმენს გვერდით მჯდომს. შემდეგ მარაო ილიძემა და იცინის კიდევ. მარაო ერთ წამს დაიყვია და მსუბუქად მიუცაცუნა ხელზე გვერდით მჯდომს. „რა საძაგელი ხარ!“ — უთხრა მარაომ... და ზედმეტი გულახდილობის გამო გაწითლებულ სახეს ჩამოეფარა. აქ იქ სუბბარში ჩაებხენ თვალეზიც... ჯერ მარაოს თავიდან იცქირებიან, ნახევრად იშალებიან და...“ მეტი აღარ ახსოვს. ეგებ ესაა მიზეზი... „მარაო“... რეჟისორი... სტანისლავსკი... მაყურებელი და ტაში...

მსახიობ ქალთა უთავბოლო ბაკაბუკი შეწყდა... დახუთული ჰაერი, სველი ნახვრხის სუნით იყო გაქლებითილი აქა-იქ სინათლეები ჩააქრეს. სიცივისა და სისველის უსიამო განცდით აივსო ოთახი.

კარი გამოადგს.
— კიდევ აქ ხარ, შვილო?! — გაკვირვებული სახე ჰქონდა დამლაგებელ ქალს. წყლით სავსე ვედრო ფეხებთან დაედგა.

— თოვს, დეიდა მაშო?
— კი. მოყინულზე მოთოვა, ხელა იარე, შვილო.
ეს ქალი ვილაცას ჰგავს... ვის? დედას. ყველა დედები ერთმანეთს ჰგვანან. ყველა შინაბერებიც... შინაბერები! კმა! „დათვი ტყეზე გაბუტულიყო, ტყემ კი არა იცოდა რაო“, ისეა მისი საქმე.



გადაუღებლად თოვდა.
ახალბედა მსახიობები რა ხანია და-

წყვილდნენ. თოვლსა და ქალაქს მოედგნენ. „ძველები“ თეატრის წინდებში ხლო ცხოვრობენ და ცხელ ჩაისს მიირჩევიან ილბათ. ლილიანას ქმარი წაიყვანდა „ვოლგით“.

თითო-ოროლა სცენის მუშა შემორჩენია ტროლეიბუსის გაჩერებას და ისინიც მალე წავლენ. მოიცა! ბიჭებს გუნდები მოუმარაგებიათ. ამ ჰაბუკებს შეტყველებაში ამეცადინებს, მომავალ წელს, თეატრალურ ინსტიტუტში აპირებენ მისაღებ გამოცდებზე გასვლას. ზედავთ, რა მორიდებით უთმობენ გზას. ტროლეიბუსის გაჩერებასთან მგზავრები დგანან, მელიის ბეწვში თავჩარგული, ხანშიშესული მანდილოსანი და ორი ჯეელი ბიჭი. ბიჭები სიგარეტს ეწევიან, თან გამუდმებით ხითხითებენ. იქვე მამაკაცების ჯგუფი ჩანს. ხეირიანად ვერ გაარჩია რამდენი კაცი იყო, მხოლოდ დაინახა, როგორ შემობრუნდხენ ისინი და თეატრიდან დაგვიანებით გამოსულ მსახიობ ქალს, მზერა გააყოლეს.

...ფრთხილად იარე! ამ ნაგვიანებ მგზავრებში, ვაი თუ, დღევანდელი მაყურებელიც ურევია და დადგმული სპექტაკლით, თუ მოზოზინე ტროლეიბუსებით განაწყენებულნი, შენზე იყრიან გულის ჯავრს... პატარა მსახიობ ქალზე, ჭრელ ქურქში გახვეული, მონდობებით რომ მიიბიჯებს თოვლზე. მათ წინაშე წაქცევა სირცხვილია...

ქუჩა გადაჭრა. ბალის კიდეს სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა. ერთხანს გატკეზილ გზაზე იარა. მერე და მერე, თოვლის ფიფქებმა სახე რომ შეუორთქლეს და ნამქერიც მოხვავდა, ნაბიჯი შეანელა. სივრცეს გახედა. ქუჩა ცარიელი იყო. უკან მოიხედა. შორს ვილაც მამაკაცი მოიბიჯებდა. ინანა, ნეტავ ლილიანას გაჰყოლოდა მანქანით, ახლა სახლში იქნებოდა... თბილ ღუმელთან.

მაგრამ, ისე ლამაზი იყო თეთრად ვადაფიფქული ქალაქი, იმდენი იდუმალეზა თუ სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ, კაცი უკეთეს ვერ ინატრებდა. ყოველგვარი შიში გაუქრა.

...მიბიძგებდა და ეჩვენებოდა, თოვლის ფიქვებით დაფარული შშიმე ქუჩები, შარფი და ჩექმები, თანდათან კარგად ნენ წონას, საოცრად მსუბუქი და ელასტიური ხდებდნენ. თეატრიდან გამოყოლილი ჩამყავებული განწყობილება, წყალში დახრჩობას გადარჩენილ კაცის მოყამულ ხასიათს რომ წაგავდა, თახდათან გამოუეცოდა.

არაფრის გახსენება არ უნდოდა. ხომ არის ზოგჯერ, გამოერევა საოცარი წუთები, ყველა სატყეოარი მიუღრდება, ყველა დარდი გაქრება და საოცრად მზიარული, უდარდელი ხასიათი დაგეუფლება, ასე იყო ახლაც... ამ თოვლიან მშვიდ ღამეს...

მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში
ერთ ღრის ფარული დარდი მიყვარდა...

უკან მოიხედა.

ბიჭოს! აწოწილი კაცის არსებობა რა ხანია დაავიწყდა. ნეტავი მას მოსდევს, თუ თავის გზაზე მიბიძგებს?!.. როგორ გაიგოს?! გადაუხვევს. ენახოთ თუ გადმოვა. ქუჩა გადაჭრა. ერთხანს, ნაპირ-ნაპირ იარა გაუველევე თოვლში, შერე მალაზიის ვიტრინებს გაჰყვა. მოიხედა. თანამგზავრმა ჯერ ჩვეულებრივ, ძველი გზით გააგრძელა სელა, შერე გადმოუხვია და ფეხდაფეხ გამოჰყვა. ასეა, ხამდვილად მას მოსდევს. ვინ არის?! ეგებ თავიანთსმცემელია და სპექტაკლს ესწრებოდა. შეიძლება ორიოდე სიტყვა ეჭვს მალღიერების ნიშნად სათქმელი. წინათ ხომ იყო ასეთი შემთხვევები. ყვავილჯივ ბევრი მიუღია და გამოიღებელიც საკმაოდ ჰყოლია, ახლა რატომ არ შეიძლება?! დღევანდელ სპექტაკლში უმნიშვნელო როლი ჰქონდა, უმცროსი დის სამსიტყვოანი როლი, შერე რაა? აკი. ამბობს სტანისლავსკი: არ არსებობს დიდი და პატარა როლები, არსებობენ მხოლოდ დიდი და პატარა შესახიობები. ეს კაცი სწორედ ამ როლით დარჩა კვაყოფილი. და ახლა, მალღიერებებს გამოხატვის სურვილი ამოძ-

რავებს. მაშინ შეანელებს ნაბიჯს... არა, სჯობს ცოტაზე კიდევ წავიდეს.
უნივერსალის განახიანებულ ფანჯრებთან გარკვევით გაარჩევს უცნობის სახეს, თვალებს. დაიმახსოვრებს. თორემ რა გამოიღის, კაცი პატივს გცემს, თანაგოგრძნობს, შენ კი, ხვდები ქუჩაში და ვერც ცნობ. სალამს მაინც რა უღვას წინ, წესიერ სალამს...

ვიტრინაში, ფერად-ფერადი ქსოვილები, ქალის საცვლები და ქრელკაბიანი თოჯინები გამოეფინათ. ერთი, ოქროსფერდალალებიანი თოჯინა სულ ახლო იდგა სქელ მინასთან. გაკვირვებით იცქირებოდა, თითქოს ეკითხებოდა: ამღენხანს რატომ ვერ შემაძნეო. ვიტრინაში ცისფერი ნათურა ენთო. ცისფერი სევდიანსა და ფერმკრთალს გამოაჩენდა მის სახეს. ძალიან კარგი. რომანტიკული განწყობილება დაეუფლება უცნობ შამაყაცს: სამუდამოდ დაამახსოვრდება მსახიობის ნაცურისფერი, მიმქრალი სახე. ნაბიჯი შეანელა. თოჯინა ახლა ჰკვირავი თვალებით შესცქეროდა.

წამოეწია?! არა. შედგა, როგორ, არ მოიღის?! არა. გაჩერებულა. სიგარეტის კვამლი ბოლქვად ასდის სახეზე. უქულოა... საყვლოში ჩაუშალავს სახე.

სანამდე უნდა იდგეს?!

გზა გააგრძელა.

• • •

მოპირდაპირე მხრიდან მანქანა გამოჩნდა. ცისფერი „ვოლგა“ ცოტაზე ჩასცილდა თუ არა, გაჩერდა. მანქანიდან, ჯერ ცამეტ-თოთხმეტი წლის სათვლიანი ბიჭი გადმოვიდა, შერე ტანშიმე, მალაღი ქალი, ლამაზ სანდომიან სახეზე ფიქრი აღბეჭდოდა. გოგონაც გადმოხტა. შეიღირვა წლის ტიკტიკა. ლედის ალიკვალი. ძმას რაღაცას თხოვდა.

ამ ოჯახს იცნობდა. კაცსაც, მანქანაში რომ დარჩა. მალაღი ტანის, მხრებსაგსე მამაყაცი ნასვამი იყო.

— წიღით და მოვალ! — შეუღრინა ცოლშვილს. ქალს სიტყვა არ შეუბრტ-

ნებია, წინ შეიღებოდა წინმძღაარა და ქუჩას გაჰყვა. მანქანა დაიძრა, წავიდა. ბიჭს ერთხელაც არ გაუხედავს შამისკენ. მხოლოდ გოგონა შედგა. თოჯინასნვით დააჰყიბა ბრიალა თვალები და გაოცებით იკითხა:

— სად წავიდა?!

— გამოიარე! — შეუღრინა მამა.

ქალი მათდის ფაბრიკაში მუშაობდა რეინერი იყო. საქმიანი, ნიჭიერი ქალის სახელი ჰქონდა. ბიჭიც ხშირად უნახავს საჯარო ბიბლიოთეკაში, წიგნებში თავიარგული. ცისფერთვალა, შეოცნებებ ბიჭს, ასაკთან შეუფერებელი სიღინჯე და დაკვირვებელი მზერა ჰქონდა ამ კაცსაც იცნობდა ჭაბუკობიდან. ერთხანს ფეხბურთს თამაშობდა. მერე ტექნოლოგიური ფაქულტეტი დაამთავრა და ლენინს ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

მალე „ეოლგაც“ შეიძინა. ის იყო და ის... იქედან დაწყებული სისტემატურად ხედავს ნასვამს, ძმაცაცებში ჩამდგარს, მოხიბობითესა და თავგასულს. ამ ქალს თითქოს მხიარული, უღარდელი სახე ჰქონდა. ვარდისფერი პირისკანი მოვლილსა და ნაპატიებს აჩენდა, მაგრამ ყოველთვის, როცა პირისპირ შეხვედრია და თვალი თვალში გაუყრია, უგრძენია, რაღაც შინაგანი საღარდელი აწუხებდა. მხოლოდ ეგ იყო, არ ხმაურობდა.. არ აღიარებდა. ითმენდა. ახლაც ამ წუთში, თავდახრილი, დაღლილი ნაბიჯებით მძიმედ მიაბიჯებდა, ასევე უღაზათოდ აუყვებოდა კიბეს. შეაღებდა საკუთარი სახლის კარს და თავს იმ საცოდავ ჩიტუნად იგრძნობდა, რომელსაც გაფრენის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ არ შეუძლია, რადგან ფრთები აქვს დაჭრილი.

ბიჭმა ცნობისმოყვარე თვალთ შემოხედა: ჩანს იცნო. ღიმი გაუკრთა თვალებში. ბავშვებს, განსაკუთრებით მეოცნებე ბიჭებს, უყვართ თეატრი, მსახიობები, იზიდავთ რამშის იქითა ცხოვრება. მძიმე ხელჩანთას მოათრევდა იგი. დედა შეეცადა გამოერთმია. არ

დაინება. ხტუნვა-ხტუნვით მიჰყავთ გოგონაც. მიიმაღნენ.

ხინჯი ჩარჩა გულში. ცუდ ამბავს რომ შეიტყობ და გამხელის უფლება არ გაქვს, ისეთი ხინჯი.

აგერ მოსახვევი, მერე ხიდი და... გამოჩნდება ძველი სახლი. თვალწინ დაუდგა: ანთებული ნათურა, ლოტოს მითოფანტული ფურცლები, ლუმენში მთელუმარე ცეცხლი და საწოლზე, გაუხედლად მიწოლილი დედა...

ელოდა.

არა, მისი ქალაა დედა ნამდვილად არ ჰგავს სხვას... ერთ დროს მსახიობობდა, მღეროდა, ცეკვავდა. მერე ტანწერწეტა მაიორს გადაეყარა და... ყველაფერი დააფიწყდა. სამავიეროდ ლოდინს შეეჩვიო. ლოდინი მისი ბუნების უერთგულესი ჩვევა გახდა.

რატომაც, შეილის ხსოვნაში მამამ სახება, გახუნებულ ფორტო-სურათზე აღბეჭდილი, გამხდარი კაცის, დარდიანი თვალებით დარჩა. მეტი არაფერი, მხოლოდ ეგ არის, ზოგჯერ, როცა თეატრში ტაში მომძლავრდება. მაყურებელთა შორის თითქოს მას ხედავს; ოქროსფერსამხრებებიან, ტანწერწეტა მაიორს... და ვერ გაურკვევია, მამაა მისი თუ ვინმე სხვა უცხო ჭაბუკი.

• • •

ქუჩის ბოლოს, კუთხეში თევზებულობის მაღაზიაა. გაყინული თევზები, დეკრეტილი კბილებითა და გადმოკარკლული თვალებით იქიარებიან. ასეთივე გადმოკარკლული თვალები აქვს მის თავგასიბებულ გამგეს. დილით, როცა სტუდენტობისდროინდელი, ნაცრისფერი პალტოთი ბაზრიდან ბრუნდება და მძიმე ხელჩანთას მოათრევს, ზედაც არ უყურებს ის ღიპიანი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, რეპეტიციაზე მიმავალი, უკანასკნელ მოღაზე თმებდავარცხნილი, ყელსაბამითა და საყურეებით მორთული, უკან რომ ჩამოივლის, ორად მოიკეცება ის ზვირვიით კაცო, ზეთიან თვალები დაუელამდება, და ძველი მუ-

სუსტებით ტუტებს მოილოკავს, აქაოდა, შემხედვით რა გემოვნება მაქვსო.

უკან დარჩა თევზულობის მალაზია. აეგრ ხიდიც მოიცა, თანამგზავრი სადაა?! ჩამორჩა?! მოიხედა. ხუთი-ექვსი ნაბიჯის დაშორებით, თავჩაქინდრული მოაბიჯებს. სახე ვერ დაუნახა. ზოგიერთ ადამიანს ჩვევად აქვს, თვალეში არ შემოგხედავს. რატომ?! შინაგანი ხვამიადის გამხელა ესირცხვილება?! ეგებ მისი თანამგზავრიც ასეა?!

ნაბიჯები აჩქარა.

შეიძლება, უბრალოდ, თავშიშველია და ყელში უცვივა თოვლის ფანტელეები. იქნებ ფეხსაცმელიც დაუსველდა. თოვლის ფიფქებით დაშიშებული იქნებ იოლ გზას არჩევს, ქალის ნაკვალევს მისდევს, მის პატარა ფეხისგულს აწებებს თავის მამაკაცურ, ვეებერთელა ნაბიჯებს. და ასე გაპირვებით მიიწევს წინ.

იაროს, ვინ უშლის...

არა, ეს კაცი, ბედისწერასავით აწყვა ამ ლამეს... ბედისწერა, მოიარა... სწამს კიდეც ასეთი რაღაც. თავდაპირველად, თეატრში ვალმერთებით რომ მიიღეს და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს, ეს ბედისწერა იყო?!

ხატვის ნიჭი, წერის ნიჭი, მუსიკის ნიჭი, ყველაფერი ერთად და, საბოლოო ანგარიშში, გამოკვეთილად არცერთი, ესეც ბედისწერაა?! ეგებ მართლაც არსებობს უბედობასა და ბედნიერების შორის გაღებული ხიდი. მთავარია, ვინ როგორ გაივლის ზედ... და რანაირად.

ლილიანა თალაკვაძეც გადის ამ ხიდზე ყოველდღე, მაგრამ უშიშრად. ძალას მომზიბღელელი გარეგნობა და ქმრის სქელი კმსერი აძლევს. თვითონ, ყოველთვის ეშინოდა ამ საბედისწერო ბიოლკზე გავლა. შინაგანად გრძობდა, მზად არ იყო. ელოდა დაუდგებოდა წუთი, რომელსაც არ შეიძლება წინასწარ სახელი ეწოდოს. მისი არც მინიშნება შეიძლება, აღარც წინასწარ შეცნობა. მთავარია გწამდეს იმ წუთის არსებობა, როცა გაწვევა შენი ბედისწერა, შენი მოიარა... შენც შედგები-საბე-

დისწერო ხიდზე და ამეყრდენ გავლო, თავაწეული... საკუთარ თავში დამტრე-ბული. მერე სადაა ის წუთი?! რამდენხანს უნდა ელოდოს?!

გუშინ, რეპეტიციის შემდეგ, თეატრიდან რომ ბრუნდებოდა, მთავარ რეჟისორს დაემგზავრა. ხეირიანად ვერ გაარჩია, უნებლიედ დაემთხვა მათი გზები ერთმანეთს, თუ წინასწარ განზრახვით ელოდა იგი: „წუხელ გვიან დავბრუნდი სახლშიო, — აღაპარაკდა — ველოდი როდის დაიძინებდნენ მეზობ-ლები... უხმაუროდ შეპარვა შინდო-დამო“. „რატომო“, არ ჰკითხა, მიხვდა, რაკი ჰყვებოდა, ჩანს, გულის წადილს აეტანა იგი. „ჩემი ბინის წინ, მარტოხე-ლა ქალი ცხოვრობდა. სახელს არ ვი-ტყვი. ისედაც მიხვდები. დღევანდელ გახეთში ვრცელი ნეკროლოგია მასზე. ცნობილი პედაგოგი იყო. მთელი სიცო-ცხლე ბავშვებს შეაღია. პენსიაში გავი-და... და თქვენ გგონიათ ვიტყვი, რომ მარტო დარჩა?! არა. მოსწავლეები, მე-გობრები, დისწულები დასტრიალებდ-ნენ თავზე. მაგრამ, როცა საწოლში ჩა-წვა და სიკვდილის შესახედრად მოე-შადა აი, მაშინ... სრულიად უხმაუ-როდ, უპრეტენზიოდ, „რისთვის იცხო-ვრე კატუშაო?!“ — ჰკითხა საკუთარ თავს. მეტი არაფერი. „ჩვენთვისო“, მო-ეფერნენ, ჩაკოცეს, აცრემლდნენ. მაგ-რამ მე, კუთხეში მიმდგარი, ყველასგან შეუმჩნეველი, ცხოვრების ერთ კეშმა-რიტებას ჩავხვდი... ადამიანს ყველაზე მეტად საკუთარი ბედნიერება სჭირდე-ბა... საკუთარი, თუნდაც, წამიერი იყოს ის“. გაჩუმდა რეჟისორი და... საოცარი რაღაც იგრძნო თავად. მოეჩვენა, ეს პატარა, ქროლათვალემა კაცი, მეტსა-ხელად „წრუწუნას“ რომ ეძახდა ლი-ლიანა, თითქოს პირველად დაინახა. რა-ღაც ძვირფასი და უსათუთესი აღმოა-ჩინა მასში. ტუტზე მომდგარი თხოვნაც, ერთხელ მაინც მიეცა მისთვის მთავარი როლი ტრაგიკოსი მსახიობისა, უკან დაიბრუნა, არ გაამხილა, რადგან მიხვ-და, რაკი ამ კაცმა მხოლოდ მას გაუშხი-ლა თავისი საფიქრალი, ჩანს უკვე მიუ-

ცია მთავარი როლი, როლი იმ ადამიანისა, ვინც ადვილად გრძნობს სხვის ტოვებულსა და სიხარულს.

იგრძნო, საოცრად ეწყინა თუ ეამბრალებდა.

• • •

ხილის ქვეშ მდინარე ქუხდა... შეხედებს ისროდა.

ნეტავე კიდევ მოჰყვება ის კაცი? კი, მგლური ნაბიჯებით მოსდევს. ღმერთო! ამას რას გადაეკიდა, ნათქვამია, დედაბერი კერიის ძირში დაიმტვრაო. ისეა მისი საქმეც ეგებ ქურდია... ბანდიტი. სახეს მალავს. შეუმჩნევლად ეპარება მხსვერვლს, მერედა, რამ მოსტაცა თვალი? რა გააჩნია უბრალო მსახიობ ქალს ისე ძვირფასი, რომ ამლამინდელ შერცხვენად ღირდეს. მოხერის მოსასახამი? — ასი გრამი ძაფისგან მობლანდა თავად. ეგებ ქურქი? კო, ამას დაადგა თვალი. ასე იქნება... ორ წელიწადს აგროვა კაპიეები, რომ რიგიანი ქურქი გვიდა. ტელმანის ქუჩაზე, ქორვაჭრებთან, შეიძინა. სამი წელი გავიდა და სულ ახალივით აქვს შენახული.

გამოჩნდა ძველი სახლი.

გული საგულეს იგრძნო.

ერთხელ კიდევ მოხედა ფეხდაფეხ ადევნებულ, უცნობ მამაკაცს.

არა, ეს კაცი ქურდი არ იყო. ისე რომ სცივა და კანკალეებს, თქმა არ უნდა. პალტოს საყელოში, გალურჯებულ ცხვირპირი ჩაუმალავს. რომ ჰკითხოს, რა გნებავთ, რაზედ მომსდევთ უკანო, ვალახული ძალღვივით გადუხკევს გვერდზე, ბოდის მოუხდის, გაუკვალავ თოვლში ჩაეფლობა და ასე გაუჩნდევლად დარჩება. შეეცოდა. დაეხანა კიდევ. იაროს, რას მიშლისო — გაიფიქრა. აგერ ჩემი სახლი, შევალე კიშკარს და... იყურყუტოს რამდენიც უნდა. მოხედა. არა, ნორმალური არ უნდა იყოს, ასე ლანდივით აეკიდო უცნობ ქალს და მუნჯივით სდიო უკან, ვერაფერი ჰკუამყოფელის საქციელია. ეგებ კიშკარშიც ჩასდიოს, ხომ გადაი-

რევა დედა, როგორ მოიქცეს?! ისევ გზას გააგრძელებს, ჩიხს ბოლომდე ჩაჰყვება.

მოიხედა, ბიკოს! კიშკართან შემდგარა. მოეჩვენა ალბათ. კი, ნამდვილად იქ დგას, ვინაა ეს კაცი?! რას გადაეკიდა?! მეზობლებიც რამ დააძინა ასე აღრიან, ზოგჯერ შუალაშემდე აყვირებენ ტელევიზორს. ბიკენტია გურაბანიძის ცოლშვილი მაინც იყოს სახლში. ბაკურიანში წაიყვანა დასასვენებლად. ერთი წლის ნამომშვილებს ჰკავს მისი დამუქნარი ცოლი, რომელი აგარაკი უშველის. რაცმა-დახურვა არ მეშლებოა, იხეშებს მეზობლებში; საახალწლო ნადვის ხე; სავით აქრელებული კი გამოდის ქუჩაში. რა ჩემი საქმეა! როგორც უნდა, ისე ცხვოვროს... ხუთი წლის წინ, მათი სახლის ნახევარი რომ იყიდა ბიკენტთან, რომელიც ლუდხანაში მიმტანად მუშაობდა, მერე იჩალიჩა და ცალკე „სამწყვადე“ გახსნა. გახსნა და... სულ მაღრ, ცისფრად გადაღება სახლის ნახევარი. ახალი კიბე გაუქვთა, ორი ოთახი მოაშენა და ძველი კრამიტის მაგიერ, ახალ-ახალი შიფერი დაახურა. ცოლის დაქრნებით აივანიც მუშამდე გადაღება, აქაოდა, ნახეთ, ჩვენ როგორი მცხოვრებლები ვართ და ესენი კი...

ოხ! დის უბედობა, თორემ როგორ გაიმეტებდნენ სახლს გასასყიდლად. ერთიც არ შეყოყმანებულა დედა. შვილს ფული გაუგზავნა და თან შეუთვალა: ნუ გეშინია, შენ გვერდით ვართო. დისწული აქეთ წამოიყვანეს. გაზარდეს, მერე რა ბიჭია, რა ნიჭიერი. მაგრამ რად გინდა, ენა აქვს მოწამლული. დაინახავს დეიდას, ჯერ პაერში აბბურთავებს, მერე ამხანაგებს წარუდგენს, თან მამალივით გაიფხოვრება, თვალებს ააბარპალებს და მოყვება: „გაიცანიო, ცნობილი ტრაგიკოსი მსახიობი, რომელსაც რატომღაც კომიკურ როლებს სთავაზობენ, დიდი ფრანგი ვარსკვლავის სარა ბერნარის ალი კვარი პარტიკულური დეიდაჩემი“. ასეთია მისი ბიჭი. უკვე კაცობს, პალტუნებს არჩევს, ქალიშვილებთან ცეკვებზე დადის, წამდაუნწმ

მანეთიანს ბზოულობს და, რაც მოაგორია, მკლავებზე იხედება. ახლა აქ რომ იყოს, მანახებს სერის ამ ახეტიალებულ კაცს... ღმერთმა აშოროს! ამ კაცს ეგებ დანა აქვს... ისევ თვითონ გადაუდგება წინ. ბოლოს და ბოლოს, სანამდე უხდა იყოს ასე, ერთ ადგილზე დარტყობილი, ისედაც გაცივებულია, ხვალ რეპეტიციანე ზმა არ ექნება და დაიწყებს კორიანე ქათამივით წრინწყას. უნდა დაბრუნდეს. რაც იქნება, იქნება... გაბედულად გადადგა ნაბიჯი.

მიუახლოვდა.

* * *

— შეგამინე ზომ?! — შემოსცინა კაცმა.

— არა...

ნათურა მაინც რამ გადაწვა კიშკართან, იღბალი უნდა ყველაფერს.

— ვერაფრით მოახლოება ვერ გავბედე... — გაავრძელა მან.

საოცრად ნაცნობი მოეჩვენა შამაკაცის ზმის ტემბრი, ფართო თვალები და კეხიანი ცხვირი. მაგრამ თოვლის გამოღმებული ბარდნა თუ რაღაც სხვა... უშლიდა ხელს, რომ ეცნო.

— სპექტაკლის დაწყებამდე მინდოდა გენახე... — ძველი ნაცნობივით გახაგრძობდა უცნობი.

ქალი ყურს არ უდგებდა. თითქოს ეშინოდა, სხვა რამეზე თუ დაეიწყე ფიქრი, ის მოაგორი, რამაც უნდა გამახსენოს ეს კაცი, გაქრებაო.

— მერე სახლს რომ ჩასცილდი... — მხიარული ნაბერწყალი ჩაუქრა სტუმარს თვალებში, ახლა, დარღიანი, ჭიუტი მზერით შეჰყურებდა — შე ვიფიქრე გათხოვდა და ბინა გამოიცვალა-მეთქი.

განაწყენდა „ლუჩია“, თავსაბურთო შებღუთნა სახე ვინ ჰკოიხავს, გათხოვდა თუ არ გათხოვდა. რა მისი საქმეა ძალად მესტუმრება ვიღაც...

ყოველთვის ეწყინება ხოლმე, როცა ეკითხებიან: „ვიდევ არ გათხოვდი?!“ შეერაცხობილად გრძობს თავს. ამას გარეგნულად არ იმჩნევს, უდარდელ

სიცილ-კისკისში გადაიტანს მხედვებს, მაგრამ გულში მაინც ურჩევს ნაწყენს ან, რა ასაკია ოცდათორმეტი წელი. მშვენიერი ხანაა... ბალზაქისეული, დამოუკიდებელი აზროვნების ხანა. ნეტავი ეს კაციც ასე ფიქრობს?! რას გაიგებ?! დღას დაბარებულევით და არ იცვლის ნაბიჯს.

— ჩამობრძანდით... — მიიპატივა ცივი ხმით.

— არა, გვიანაა... წავალ აწი.

ეტყობა განაწყენდა, ბავშვივით გულდაწყვეტილი გადაგა განზე. მამ რას ელოდა?! როგორ შეხვედრას?! ყელზე ხომ არ ჩამოეკიდება უცნობ შამაკაცს...

— კარგად იყავი... ხატულა!

და მეტი არაფერი?! ღმერთო ჩემო! როგორ უბრალოდ ამბობს ეს კაცი — „ხატულა“... მისი ბავშვობისდროინდელი სახელი. რამდენი ხანია არავის დაუძახნია... აღარც ღედას... აღარც დას... დისწული სარა ბერხარს ეძახის, მსახიობები — „ლუჩიას“, ხოლო ეს კაცი...

— მოითმინეთ... მე..

საოცრად ფაფუკი იყო თოვლი. გრიძისაგან დაკბიულ სახის კახს არბილებდა; ყრმობისდროინდელი სურხელი მოჰქონდა ამ სახელს, გაუხელებელი სურხელი... მერე ეს სურხელი თახთან გაქრა და... რატომღაც ახლა, მაინცა და მაინც ახლა გაახსენდა ლუჩია, ყოველ შემთხვევაში ასე უწოდა ტყობიანმა ბერიკაცმა, ქურქის საყიდლად რომ წაიყვანა ლილიანამ ტელმანის ქუჩაზე, ნაცნობი ვადაწყვიდეულის ოჯახში. მოიტახეს ჭრელი ქურქი. ჩააცვს. სწორედ ამ დროს, ღუმელთან მივლემარე ბერიკაცმა თავი წამოსწია. უწამწამო თვალები დაანამხამა და იტალიელი კინოვარსკვლავის ახლო ნაცნობივით თქვა: „შეხედეთ, დაგენაცვლეთ, ლუჩია ბოზს არ ჰგავსო?!“ ის იყო და ის... ლილიანას ეხაზე რა დამაგრებოდა, მთელ დასს ძოსლო ეს ამბავი. ახლა ყველაში „ლუჩიას“ ეძახიან.

ხოლო კიშკართან შეჩერებული შალა-

ლი კაცი, გულმოდგინედ რომ იფერთხავს-თოვლს თმებიდან, პალტოდახ და ეჩვენება, თითქოს თოვლთახ ერთად იცილებს თმაში გარეულ ქაღარას, უკვალოდ დაკარგულ წლებს, სულ სხვა სახელს ეძახის... ხატულა!

— და საოცარი რამ მოხდა, თითქოს დაიჭირა ის მთავარი, რამაც ხელი რომინით გაუფინა თვალწინ წარსული.

იცნო.

— შენ შემოგველე, ბიჭო!

— იცინის, ტირის. ტირის და იციხის.

...აგერ, ბიკენტია გურაბანიძის ფახვარაში ფარდა ირზევა. ყელი თბილი შალით აქვს შეფუთვნილი ბიჭს. ავადაა, გარეთ არ უშვებს დეიდა მარგალიტა. ახლა სამკერვალოშია, გვიახ დაბრუნდება, მაგრამ მაინც არ გამოვა ბიჭი გარეთ. ასე დაუბარა დეიდა. აღიზიანებულ გოგო, აივანზე ასკინკილით რომ დახტის, თვალებს უფახულებს, უმღერის. ქუჩაში გასვლას ვერ ბედავს ხატულა, დამცველი არ ახლავს. დათუნაა მისი დამცველი. დიდხანს იყო მისი დამცველი. მერე გაყიდეს სახლის ნახევარი... შესყიდვის საშუალება არ ჰქონდა დეიდა მარგალიტას, სხვაგან გადავიდა მღვმურად. სამაგიეროდ ბიკენტია გურაბანიძეს აღმოაჩინდა საკმაო თანხა. ახლა ბიკენტია ცოლ-შვილი ცხოვრობს შიგ. ზეთიანი საკუმელები უყვარს მის ცოლს. ზეთის სუნი ასდის კაბაზე. რა თავში იხლის ახლა, ბიკენტია ცოლ-შვილს.. ან სანამდე უნდა იდგეს ასე აზრდაკარგული... საკუთარ ფიქრებს აღგნებულა. რაღაც ხომ უნდა ჰკითხოს?!

დეიდა მარგალიტას ამბავს არ ჰკითხავს ვაჟს... იცის. მთელი კვირა პახაშვი-

დზე დადიოდა. ამ ბიჭის მკვლელობა და მაშინ...

ნიკოლოზი

არც იმას ჰკითხავს. ბუხებით მორცხვს, ალაღმართალ ბიჭს, რატომ გაუმრუდდა ცხოვრების გზა, რატომ ვერ შეიცნო ბრუნდი და შართალი, რატომ მოუწია ციმბირის უღრახებში წლების დაკარგვა...

არც იმას შეახსენებს, რამდენად მტკივნეულია შვილისთვის, ერთადერთ ახლობელ ადამიანს ვერ დაეშვიდობო, საკუთარი ხელით ვერ დაუხუჭო თვალები... არაფერს არ შეახსენებს...

არც ჰკითხავს... თავად ჩაუძღვება ეზოში, თვითონვე გახდის პალტოს. გულმოდგინედ დაუფერთხავს. ოთახის ჩუსტებს გამოუტანს და იქვე, აივანზე დაატოვებინებს სველ ფეხსაცმელს... შეიძლება არც ედღა გააღვიძოს. უცებ გონზე მოსვლა გაუჭირდება შობუცს თვითონ შეუძღვება სტუმარს ოთახში...

ღუმელში შეადვიძებს ცაცხლს. და... დიდხანს იქნებოან, ავიზიზებულ ხაკვეერჩხლებზე თვალბმისტერებულბი.

მერე, მოგვიანებით, ასკინკილით შემოვა ოთახში პატარა გოგო, ფერადი ბანტები ებნევა თმაზე, თბილ შარფს შემოხსნის ბიჭს. ეტყვის, რომ უკვე აღარა სტკივა ყელი... შორია, ჯახბრთელადაა.

მანამდე კი... დამძიმებული ქუთუთოები ნახევრად მოეხუჭა ქალს. თვალს არ აშორებდა სტუმარს. რაღაც მშობლიური, დედობრივი გამოკრთოდა მის იერსა და გამოხედვაში. ყველაფერს უტრეებდა. მის გამოკვეთილ ბაგეებზე, შკაცრად მოზიდულ წარბებსა და ფართო შუბლის ნაკვებში დიდ ზრუხვასა და სიყვარულს ამოიკითხავდა კაცი. იმ სიყვარულს, ვილაყების მოქაშა-მოთქმის რომ არ ეშინია, არც იხიხიბას უფრთხის და არც არავის ეკლავლებას საჭიროებს.



მზია ხმთაგური

პოემ ქალებს

იქნებ მე მხოლოდ ახლა შევნიშნე,
იქნებ მგზნებარე ლექსის მწერლები
ყველაზე ხშირად ამ ქვეყნად იყვნენ
ქალის მოდლილი, თეთრი ხელები.
და არ ეცალათ, იქნებ, აქამდე
სულში ავსებდნენ სათუთ ხელადებს
ცივი ქარებით მოვარდნილ ზამთარს
გაზაფხულების თვალით ხედავდნენ,
მერე მოვარდა შარტი ყიეინით,
ყოჩივარდები მოყვნენ მიწიდან
და როგორც პოლის სატრფო, ვირტინი —
აპრილში ია ამოციმციმდა.
იკვრება კონა ლექსის მარცვლებად
და ქალაქშიაც მზის ამინდია,
აქ ყოჩივარდებს ბერიკაცები
იის სურნელის ფასით ჰყიდიან.
ახლა აპრილიც დადგება მალე,
იებს მოისხამს პირზე ენგური,
ალბათ მეგობარ და პოეტ ქალებს,
ყოჩივარდების ფერით ვეგულვი.
ნეტავ რა დარჩა ქვეყნად უთქმელი...

დარდი, სილაღე, სინაზე, ფერი...
სულ ამათა ლექსის უღელი
გალაკტიონის და ვაფას მერე,
სულ ამათა ფიქრთა ჭიდილი,
გული მბრძანებლობს... „ოყურე, შესდექ“.
განა რა არის შენი ტკივილი
ანას სპეტაკი ტკივილის შემდეგ,
ვით შეედრება შენი ღიღინი
ურუ გენიოსის სონატას მთვარის, —
თითქოს ბაყაყი წყალში ყიყინებს
და შუალამეს კაწრავდებს მთვრალი!
და მაინც მთვარე, მთვარე გრძნეული
(ან იქნებ, სულაც მზე დალოცვილი)
გიწვევს და განთებს ცხელი სხეულით
და სხივებს ტანზე მორჩილად იყრი,
უკრავ საკუთარ აკომპანემენტს
და ბეთჰოვენის ღრუბლებში დგახარ,
და გჯერა, თითქოს შენ გითქვამს ოდეს:
„შენ ისე ღრმა ხარ, ქართული ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ!“

• • •

რა არს გმირობა?
დაღვრილი სისხლი,
თუ ოფლი — შუბლზე ჩამონადენი,
იქნებ ჭიდილი,
იქნებ წერტილი,
იქნებ ტკინიდან აზრის განდევნა

და გამეფება სხვათა აზრების!
იქნებ სიტყვების შელამაზება
და შერკინება გულწრფელ ღაღადთან —
მტყენის სიკეთის და სურნელების
უკუგდება,

ან რწმენა ადათთა;
ანდა სიმშვიდე ყვითელ გუგებთან!
სიტყვის,
ქონების უხვად მოგება,

ქათინაურით მოხიზლვა მგელთა,
უცნაურია: ზოგჯერ გმირობა
შეგუება უცოდველ გერთან,
ან შეყვარება ღვიძლი შვილივით.

მ ა ი ს ი

ისე ჩამიარა მაისმა
არც შემომხედდა ზედ.
არის ცაცხვების სურნელით
აღტაცებული მზე,
მესმის ივნისის ამბოროით
ათრთოლებული ხმა...
დადგება ჩემი მაისი
დღეს თუ არა და — ხვალ.

ალმათ მეწვევა ჯიუტად
ზამთრის ქათქათა დღეს,
და სამუდამო სახსოვრად
მანუქებს მწვანე ფერს.
რაღაც იქნება. ახლა კი
არც შემომხედდა ზედ...
ზოგა დიადი მაისი
ხვალ თუ არა და — ზეგ.

ე ღ ე ბ ი ა

რა ლარიზია ჩემი სასახლე,
ქარიშხალივით წივის სიჩუმე,
ბურუსში ფუთქავს მთაი მალალი,
რომელიც კერპად ამოვიჩემე.

ის მთა და ჩემი თეთრი სასახლე
სიმდაბლისაგან ბევრჯერ მიცავდა,
ახლა იმედი — მათზე მალალი —
განწორებულია დედამიწასთან.



ალი გუგუციძე

მ ო გ ო ნ ე ბ ა

უძლენი ჩემს მასწავლებლებს

ვაბაკუნებდით გათოშილ ფეხებს
და მასწავლებლის მოსვლას ველოდით
სამასწავლებლოს თბილი ქვეყნიდან.
ისეთი ცივი იყვნენ საგნები,
რომ ბრწყინალებდნენ და ჩვენ გვიკვირდა
მათი გარდაქმნის ზღაპრული ძალა,
უკან დახევა (ბურუსისაკენ),
უფრო ცივი და შეუცნობელი
ცის სიმორხესთან შესაერთებლად.
გადავფეფარა მოჩვენებების
ჯადოსნურ ძალით ნასწავლი სივრცე,
დაგვამახსოვრდა ფიცრული სახლი,
რომელსაც სკოლა იმიტომ ერქვა,
რომ გვასწავლიდა დროის და სივრცის
უსაზღვრისობის ზარების წკრიალს,

ჯორდანო ბრუნოს, ნიუტონსა და
კოპერნიკს შორის განაწილებულ
სამყაროს კაშკაშს.

მათ:

ჩვენს მომავალ სრულქმნილებასთან
წარსადგენ კედლებს
რამდენი ცივი

გამომცდელი და თვით დამცინავი,
უცხო მზერა აქვთ გადატანილი
იმ ცელქი გოგო-ბიჭებისაგან...

მათ გაიმარჯვეს!

თვითონ კი ისევ უსაშველოდ

ლარიზ-ლატაკნი

გაუჩინარდნენ კეთილშობილ რაინდთა
მსგავსად...

ყ ვ ა ე ი ღ ე ბ ი

როგორ თავსდება ერთად ყოველი,
როგორ თავსდება ერთად მრავალი, —
თქვენგან მოვლენილ მშვენიერების
არსში: დიადი და წარმავალი.

ისევ და ისევ უცნობი განცდა
სულის მინდვრების მანათობელი...
ჩვენგან დაშვებულ შეცდომის ფასად
თქვენს თავს ითხოვენ ქალბატონები.

სწრაფწარმავალი თქვენი შორეთის
ლამაზ ზუგაზე დიდხანს ვფიქრობდი:
რა ვადაარჩუნეს კაცებს, რომელთაც
საყვარელ ქალთან მსხვერპლად მიიქონდით.

მაცნე ვისი ხართ: ცისა თუ ნუსის...
ვის, ვის ეკუთვნით. ცას თუ მზეწყვიებს...
ნეტა რა ხდება იმ ქალის სულში,
თქვენ ათასობით რომ შეეწირეთ...

კვლავ იფარფატებს ჩემში ცისფერი,
 ფერი — ცისაკენ ჩემი წამყვანი
 ისევ ძვირფასი, ისევ ისეთი,
 როგორც მახსოვს: მშვიდი, მალალი.

ისევ მოველი.
 ისევ მარჯნისფრად
 მოფრთხილებენ ჩემკენ ატმები.
 კვლავ მიყვარს სიტყვა ჩემი ტანჯვის და
 ბედნიერების გამოშხატველი.

ვარ ვარსკვლავების სიხარულისგან
 განათებული (ლამის შემკრთალი),
 აზრებმორთული დილის ბურუსით
 და ისეთივე წრფელი (ღმერთმანი).

ცად ყოფნის მიზეზს ვეძებ თავიდან,
 კვლავ ბუნდოვანი დარჩა მერმისი;
 თუმცა წავიდა,
 თუმცა წავიდა
 ასაკი სულის შესაფერისი.

• • •

კვლავ გაბატონდა ზამთრის თეთრი სარწმუნოება
 ადამიანის უცნობ სულზე და შესძრა იგი
 ძირფესვიანად.

მოულოდნელად წაგვართვა მიწა,
 მოულოდნელად აღმოჩნდით ცაში

აუფიქსიანი ჩიტების მსგავსად.
 სული აივსო მიწის უკან დამაბრუნებელ
 ზრუნვით და ლოცვით.

ალბათ პირველად შევამჩნიე, ჩემს სიცოცხლეში,
 რომ ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ

ადამიანის სული და ფიფქი,
 შეშინებულნი წარმავლობის მოქმედ კანონით.

—და იყო წყნარი, შორეული, ფრთებმოხატული...
 თეთრ ქუჩებს, როგორც ხსნის ერთადერთ გზას,
 მიუყვებოდა კაცს და ქალს—



ზარლოტა კვანტალიანი

ს ი ზ ი უ ზ ე

მე ჯიუტი ვარ როგორც არავინ,
როგორც არაგვის წყალი ანკარა,
მე ჯიუტი ვარ როგორც ბალახი,
ყინვამ რომ კბილი ვერ მიაკარა.

მე ჯიუტი ვარ როგორც პატარა,
თაგანწირული ქვიშის საცერი,

მე ჯიუტი ვარ, როგორც სატანა —
გულგორიზი და გულალმაცერი.

მე ჯიუტი ვარ, როგორც თობა,
ვისი სასახლეც ბევრჯერ გათელეს,
მე დავიღამებ დილას, ოღონდაც
შენთვის ყოველი დილა გათენდეს.

ჩ ა რ ა

თავთუხისფერი გვექონდა სასახლე
ჩალით ნაგები,
იმ ჩალისფერი მქონდა თმა და
თბელი შკლაგები,
მზემთფერებულ ლოყებზე კი
ჭორფლი მეყარა
და რადგან ჩალით
შენ აკებდი იმ სასახლეებს —
ჩემი მეგონა მთელი ქვეყანა.

ერთხელ ღიმილით წაუკიდე
სასახლეს ცეცხლი
და გასათობად მიუფიცხე
ჩვენი გულები...
მე ხელისგულზე დაფერფლილი
ენება მეყარა
და აღარ მქონდა
არსად ქვეყანა.

• • •

ამ მაისიდან
ყვავილების ფიტულები
შემომრჩა მხოლოდ,
გახუნებიათ კაბები და

მოგონებებიც
იმ კაბებს გვანან.
მარტის თოვლივით
დადნობიათ სურნელები

შენი თითების...
ჩემი წიგნების კარადაზე
დევს ლურჯი წიგნი —
სიყვარულის პერბარიუმი
ან სასაფლაო,

უძვირფასეს მიცვალებულთა,
რომელთაც ზოგჯერ
დავიწყების შტვერს აცლის ხოლმე
სულ სევდიანი ჭირისუფალი.

XX საუკუნე

უცრად ბიძგმა შემატორტმანა
და შიშით კედელს ამოვეფარე.
მაგრამ ვიცოდი ვერ დამიცავდა
ოსელი კედელი გაოცებისგან,
როგორც შიშველი, სველი ხეები
უცებ მოსული დიდი წვიმისგან,
ძალზე მიკვირდა რამ შემამფოთა

უმიზეზოდ და უმისამართოდ.....
კედელთან მდგარი იმ ველურს ვგავდი
მოულოდნელად მამონტს რომ შეხვდა,
ერთი წამით რომ ინატრა გულში
ცაში გაფრენა, ფრთა მოისინჯა
და.....



იმერი ხარაძე

თონაშ ნაშის და...

იჩქარე, თორემ სდარაჯობს სევდა
ფრთავაშლილ ყვავილს, მიაშიტ ყვავილს...
იჩქარე, თორემ შენ, ჩემო ერთაფ,
ვეღარ მოგაწვდი ამ უხმო ძახილს...

აორემ წამიც და... შეწყვეტენ სუნთქვას
თეთრი პეპლები, ღურჯი იუბი...
ასე პატარა სიხარულისთვის,
სიყვარულისთვის გაჩენილები...

ს ა გ შ ო ბ ღ ო ს

შენთვის, შენად, შენგან, შენით
ფწუხვარ, ვეძებ, ვხარობ, ვფრენ...
თუ ვიცოცხლებ, ისევ შენთვის,
ისევ შენით, მხოლოდ შენ...

ჩემს სალოცავ ღამაზ ტაძრებს
რა ვარდისფერ ნათელს ჰფენ!
შენს სამსხვერპლოდ შემიწირე
გეჯები, მაღლი ქქენ!

• • •

ზეცა სათოვად გადაიბურა...
შორს მოვერცხლილი ღურჯი მთებია...
ყვავილებს თოვლზე ხატავს ბედურა,
გაზაფხული თუ მონატრებია...

ხეებს მოსწყინდათ უაზროდ დგომა,
ალარ ხმაურობს მზის სიმფონია...

არსად ფოთოლთა კდემა და კრთომა,
მას შემდეგ პევრჯურ დაუთოვია...

ზეცა სათოვად გადაიბურა...
ეს დევკაცები ჩემი მთებია...
ყვავილებს თოვლზე ხატავს ბედურა,
გაზაფხული თუ მონატრებია...

სისუბრა ნიშა

მაისის წვიმამ,
ცისფერმა წვიმამ,
მთლად დამისფულა თმები...

მიუდივარ მარტო,
რატომღაც გნატრობ,
გნატრობ და წვიმით ვთურები...

მაისის წვიმამ,
ცისფერმა წვიმამ,
მთლად დამისფულა თმები...

კოშკის ის სცენა...

ფარდის ნაოჭი მაგონებს სცენას —
გრიმს, პროექტორებს, ყვავილთაცვენას...
ფინალურ სცენას პრემიერისას...

და ფანჯრის მიღმა არის ცხოვრება,
რომელიც თითქოს გეუცხოება,
როგორც ის სცენა პრემიერისა...



შავურა არაბული

ჩვეულებრივი აგბაპი

ერთი ლამაზი პოეტესას ლექსების წიგნი,
ყდაზე პორტრეტი ანგელოსის,
თმის ერთ ღერსაც რომ ვერ უპოვით არაპოეტის...

ორი ლამაზი, ჭრელი ყდის შიგნით
არცერთი სიტყვა პოეტისა...
(თქვენ, რა თქმა უნდა, არ მიიღებთ
საკუთარ თავზე)

რამეთუ ასე ლამაზი ხართ, ხართ ნიჭიერიც).
ერთი ლამაზი პოეტესას ლექსების წიგნი,
გამოცემული ზოგ-ზოგ წიგნზე დიდი ტირაჟით,
ორი დღის წინათ ამშვენებდა ყველა ვიტრინას,
დღეს აღარაა ერთ ვიტრინაშიც.

• • •

უსათნოესი და მედიცინის
თოვლიან ველზე უვლი მუომარს.
იწვი, თცნებობ, ტირი, იცინი,
შენც გაგაწამა დღემ უმზეომა.

და მაგ თოვლივით სათუთ ხელეებით
თრთოლვით გადაწმენდ სახეს სისხლიანს,
ხანაც წაქცეულს შეფშველები,
წყრები: იარებს ნუ გაიხსნიან.

გამოგაღვიძებს დაღლილს განგაში,
ცას არ ანათებს ღიმილი ღმერთის
და ანგელოსი წვები სანგარში
სითბოსმონატრულ სხეულთა გვერდით.

აჰა, ბრმა ტყვიას ბეწვზე გადარჩი,
გადაეყარე დაჭრილ ჯარისკაცს...
მაგრამ ო, არა, აქ ხარ ქალაქში,
მო, დამიხსენი ამ სიზმარისგან.

გურამიშვილი, რა თქმა უნდა, ვერ იფიქრებდა,
რომ ზუსტად ორას ოცდაცამეტი წლის მერე,
ოქტომბრის თბილ საღამოს
მისი მაღალი ძველის გვერდით
იჯდებოდა მგზავრი მავანი,
არარსებულზე შეყვარებული (მე)
და ფიქრიანი უყურებდა
ღებადგმულ რკინის ფეიერვერკს.

ჩ ა ნ ა ხ ა შ ი

დღე შემგლისფერდა...
შემოდგომის ბალში ვუი მარტო.
ღამის ნაწილი განსხეულდა უეცრად თითქოს,
ბოლო ბეწვამდე შავი ციცა გაჩნდა — იმგვარად,
ახლა ჩემს ირგვლივ წრეს უვლის წყნარად.
უამიდან ჭამად მომასუქებს ორ მწვანე ფოსფორს.

1975 წლის 20 დეკემბერს

რა საოცარი მთვარე იყო ქალაქის ცაზე!...
იქნებ მასზე რაღაც ხდებოდა,
იქნებ მთვარეზე სიციცსლე გაჩნდა?

მაგრამ ვაი თუ მარტო მე ვნახე
იმ ღამის მთვარე,

ვაი, თუ ყველა გადაგაჩვიათ
ცისკენ ახედვას თქვენმა ქალაქმა!....

როდესაც ბოლო მგელსაც მოკლავენ,
როცა გაჭრება ღამიანი შიში
სიფხიზლის ერთი სსივიც ჩაჭრება
ადამის ძეთა უძველეს სისხლში:

გ. „მნათობი“, № 12.

ღამე ხბოს და თხას დატოვებს გარეთ.
როს სხვათაშორის თვალს მოვკრავ ცნობას.
დავჯდები სადმე არყის ხის წრდილში
და შევსვამ ბოლო მგლის შესანდობარს.

მედიკოსთა საზოგადოება

მოთხრობები

ხანჯალი

სოფელს მზე უახლოვდება, სივრილე თვალსა და ხელს შუა ქრება. წყალთან სატვირთო მანქანა ჩერდება, იქიდან ჩამოდის შვიდ ათეულს მიტანებული კაცი, გვესალმება.

ყველა ჩუმდება, რაღაც ახალს იტყვისო. მას ყველა კარგად იცნობს. თავისი ცხოვრების გზაზე ბევრი რამ ნახა. სასულიერო სემინარია დაამთავრა და ერთხანს მღვდლობდა. მენშევიკების დროს მოსამართლეობდა. იყო პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელის დამაარსებელი და თავმჯდომარე. რუსულ ენასაც ასწავლიდა სკოლაში. იქიდან კულტურის სახლის დირექტორად გადავიდა. მერე პენსიონერი გახდა და ფუტყარი გააშენა. ერთადერთი, რასაც არასოდეს ღალატობდა, სიმღერა იყო.

— ხანჯალი მინდა, ერთი დღით, მათხოვეთ თუ გაქვთ ვინმეს.

— რაო, რაო? — შეკითხება გვერდით მჯდომი მოხუცი.

— ხანჯალიო. — ჩაქმაზე ყურში.

— რითვინაო?

მე მხრებს ვიჩეჩავ.

ერთხანს სიჩუმეა. მერე ისევ მოსული მიუბრუნდა ნავის თავზე ჩამოყრდნობილ, შავთავსაფრიან დედაკაცს.

— თამრო, შენი კაცი სულ ხანჭლით დადიოდა.

— ჰქონდა, როგორ არა, მაგრამ საფლავში ჩავაყოლეთ იმ უბედურსა, იმასა. — ობრაეს.

ნერე გასათხოვარ ქალიშვილს მიმართა:

— მაშაშენს ექნება აუცილებლად.

— ჩვენ? ხანჯალი რად გვინდა, გიგაძიავ? — შეიცხადა გოგომ.

— შენისთანა შვილის პატრონს სჭირდება იარაღი, — იცინის გიგა, მასთან ერთად ყველა, და ნირშეცვლილ გოგოს აღმური ედება.

ჩემს გვერდით მჯდარი მოხუცი ეკითხება:

— ბიჭო, გიგავ, რაში დაგვირდა ხანჯალი? მოკვლას ხომ არავის უპირებ?

— ეშააკურად იცინის.

— რაიონში უნდა წავიდეთ, დღესასწაულზე.

— გათხოვებ, მაგრამ არ დამიკარგო. — ეუბნება მოხუცი.

— საღამოსვე მოგიტან. — ანუგეშებს გიგა.

მოხუცი ნელა მიდის შინისკენ. გიგა ჩემს გვერდით ჯდება, კაკლის ჩრდილში გამართულ გრძელ სკამზე.

— რის დღესასწაულია, გიგა ძია? —
ვეკითხები.

— მოსავლის წლეულს მეორედ იმა-
რთება.

— მერე?

— რალა მერე. დარეკეს, თქვენგან
სამი მომღერალი გამოგზავნეთ, ჩოხებ-
შიო.

— მომღერალს კი უნდა ჰქონდეს
ხანჯალი.

— ე-ე-ჰ! საქმეც ეგ არის. მომღერ-
ლები კი ორნი-ლა დავრჩით. ჩვენ
გვაქვს უველაფერი. მესამე კაცად ბა-
ჩა მჭედელი მიგვყავს. მე ჩოხა ორი
მაქვს, ხანჯალი ერთი.

— ბაჩა მჭედელმა სიმღერა იცის?
მივიჩინე მე.

— სიმღერა კი არა, ძლივს ბლუქუ-
ნებს. მაგრამ იქიდან სამი კაცი მოით-
ხოვეს. ჰოდა, დადგება ჩვენს გვერდით,
ხანდახან პირს დაადებს ტყუილად.

— კი, მაგრამ რაში გჭირდებათ ეს
კომედია?

— ვაჰ, ასე რამ ჩამოგარჩინა, ჯეელი
კაცი! რაიონში თორმეტი სოფელია.
ორმოცამდე კაცი ვგროვდებით. მიტინ-
გისა და მოწინავეების დაჯილდოების
მერე ჩვენ გამოვალთ და ვიმღერებთ
ძველ სიმღერებს. გაზეთებში გაგვწე-
რენ. ტელევიზორებშიც აჩვენებენ ერთ-
ორ წუთს. ვინც ნახავს, იტყვის, უო-
ჩად, ქიზიყელებო, რამხელა ანსამბლი
ჰყოლიათო! ფაქტიურად კი არცერთ
სოფელში, არც რაიონში, არცერთ
გუნდი არ არის. კომედია კი არა, ტრა-
გედია ჰქვიათ ამას. მე და ბეჟანას ამას-
ჩინათ ქორწილში გვთხოვეს, იმღერეთ
და აგვკვებითო. დავიწყეთ. უკაცრაული
სიტყვაა, მაგრამ ბანის ნაცვლად ბლავი-
ლი აგვავოლეს. კულტსახლის გამგედ
რომ ვიყავი, გუნდის ჩამოყალიბება
ვცადე. არტელის თავმჯდომარემ —
ხალხს მიცდენო და მომხსნა... ასე და-

იკარგა ძველი ქართული სიმღერები:
„გავაზური“, „დიდი გავაზური“, „ნანოები“, „ძველი ჯავახური“, „გვიბრ-
ძანე“, „ბულბულმა თქვა“, „მიმსახუ-
რე“, „დარფია“, „ყურში“, „ხეურო“,
„ორპირული“ და მრავალი სხვა. ჯერ
მართო სათაურები როგორ ელერს!
დაიკარგა მუსიკაც, ტექსტებიც. ჩვენი
ქორწილი და სუფრა ამიტომაც დაემს-
გავსა ღრეობას. პიშინი გვაქვს ჩვე-
ნი, ძველთა-ძველი. „მრავალგამიერი“
ჰქვია. აღარ მღერიან თითქმის. უველა-
ზე გულსატკეპნი მაინც ის არის, რომ
არავის ენაღვლება ეს. არც იმათ, სა-
ზოგადო მოღვაწეებს რომ ეძახიან ერ-
თმანეთს და ღონივრად ცხოვრობენ
საზოგადოების ხარჯზე. არც იმათ, რომ
დგანან და ყაყაინებენ. არც ჩვენი არტე-
ლის თავმჯდომარეს, არც შენ, თუმცა
უმაღლესი დაგიმთავრებია. არც ჩემს
ვაჟს, რომელმაც იცის სიმღერა, მაგ-
რამ ესირცხვილება — ბულალტერმა
კაცმა როგორ ვიმღეროთ. აგერ ბალტი-
ისპირეთში სიმღერის დღესასწაულებ-
ზე სამასი-ოთხასი ათასი კაცი მონაწი-
ლეობს ხოლმე; ჩვენ კი თითო სოფელ-
ში ათკაციანი გუნდი არა გვყავს. თუმ-
ცა რა მალაპარაკებს... ჩვენს ეკლესია-
მონასტრებში, სადაც ჩვენი წინაპრები
საუკუნეების მანძილზე საგალობლებს
ასრულებდნენ, წვიმის დროს, ბოდში
და უპატრონო საქონელი აფარებს თავს.
არადა, ზედგამოჭრილია საგუნდო სიმ-
ღერებისათვის.

უცებ გაჩუმდა. აღგა. რამანას ძვე-
ლებური ხანჯალი მოწინებით გამოარ-
თვა, ორითღე ნაბიჯი გადადგა მანქა-
ნისაკენ, მაგრამ ისევ შემობრუნდა,
თვალეებში ჩამხედა და გულდაწყვეტი-
ლმა მითხრა:

— ერთი რამე მაინც ვერ გაიბიჯა: ეგ-
რე რამ გავვიწყვიტა, ბიჭო, ილაჯი?..

ფარისევალეზა

მედიკოსი
ნიკოლოზი

მედიკოსების ფერმიდან შევბუღებამი შინ მობრუნებულ ნაკულაქარ ბასას ნაზამთრალი მშის სათუთი სხივებისათვის გვერდი შეეშვირა მობერებული ძელების გასათობად და კუნძზე მჭდომი ბარის ტარსა თლიდა ნება-ნება. კუნძი გრძელი იყო და მორს უფრო ჰგავდა. ირგვლივ ქათმები დასეირნობდნენ, უსახელო, შინ გამოყვანილი ჯიშისანი, წლობით შერჩევის შედეგად თვალადნი, ტანადნი და ჩათქვირებულნი. დასეირნობდნენ მშვიდად, მაგრამ როგორც კი ნათალი ბერბუშელა მოწყდებოდა ტარს და დაბლა დაეარდებოდა, უმაღ ეცემოდა რამდენიმე ერთად, და უმაღვე ანებებდნენ თავს. ასე მერდებოდა და ჰეორდებოდა.

კუნძის მეორე ბოლოზე გადამჭდარიყო პატარა ბიჭი.

— ბასო პაპა, რამდენი ცხვარი გყავდა კერძობაში? — ეკითხება მობუცს.

— ორი ათასი. — პასუხობს ბასა და განავრძობს საქმეს.

— ძროხა, ძროხა რამდენი? — ისევ ეკითხება ბიჭი.

— ოთხასი.

— ცხენი?

ბასა ჯერ-ჯერით ხუჭავს ხან მარცხენა, ხან მარჯვენა თვალს და სხვადასხვა მხრიდან ათვალეირებს ტარს, უსწორო ადგილებს ეძებს. პოულობს და ამბობს:

— ორმოცამდე.

— კამეჩებიც?

— კამეჩები ცოტა. უფრო ხარები...

— ამბობს და ისევ ზომავს მოჭუტული თვალებით ტარს.

— მოჯამაგირეებიც გყავდა?...

— მოჯამაგირეებიც. მაშა!...

— მერე მართლა ჩამოგართვეს?... — არ ცხრება ბიჭი.

— ჰო, კოლექტივს ჩავაბარე, — ისევ უდარდელად ამბობს, თითქმის მილიონის ქონება კი არა, ერთი გუდა ყველი ჩავბარებინოს.

— ყველაფერი?

— ყველაფერი.

— სულ ყველაფერი?

— სულ ყველაფერი. მაშა! — ამბობს და ისევ ჭუტავს თვალებს ჯერ-ჯერით.

— ბასო პაპა...

— რაო, ბიჭო, თქვი. — აქეზებს.

— ბასო პაპა, აი მაშინ ჯობდა თუ ეხლა?...

ხანდაზმული ბასა უყურებს ბიჭს, თითქმის აოცებს ასეთი უბრალო რამ როგორ არ ესმისო.

— ეხლა.

უკვირს ბიჭს. უკვირს და ისევ ეკითხება:

— რათა, რო აღარა გყავს?

ბასა ჩერდება ერთხანს. ბარის ტარს ხელში ატრიალებს, ათვალეირებს და ხელცულოთ ისევ ასუფთავებს.

— მაშინ შეილო, ათას საქმეს ვეკიდებოდი. ათას საქმეს ათასი წვალემა და საფიქრალი მოსდევდა. აქ ცხვარიო, იქ ძროხაო, აქეთ ვენახო, იქით სახნავიო, ახლა სათიბი, ბაზარი, ჯანდაბა და ჯალხანა...

ბასა ჩერდება, ხელცულის რბილი ჩარტყმით კუნძში არკობს და ხეშეშ ხელისგულს უსვამს ბარის ტარს.

და განავრძობს:

— ეხლა კი მუშაობ ძროხაში ერთ ადგილზე, ტყვილად, ყველაფერი კი მოგდის — პური, ფული, ღვინო, სიმინდი და ათასი სხვა. მოგდის და ხარ წყნარად, შენთვის. თავის დროზე იმუშავებ, თავის დროზე დაისვენებ. გაიგე? აბა ამაზე კარგი რა უნდა იყოს?... ბიჭი გაკვირვებული შეჰყურებდა და ცდილობდა ურთულეს სოციალურ საკითხში გარკვევას.

ქათმები ისევ უდარდელად დასეირნობდნენ ეზოში. ნაზამთრალი მზე სათუთი სხივებით კვლავინდებურად უთმობდა მობერებულ ძელებს ნაკულაქარ ბასას.

ბიჭს მეზობლის ბიჭები ეძახიან ბურ-
თის სათამაშოდ.

— ხალხი?..

უკვირს ბასას, უკვირს.

— ხალხი?.. ეგ რა საკითხავია, ბიჭო?
პატარა ბიჭი მხრებს იჩეჩავს:

— რა ვიცი, ხატო პაპა ამბობდა იმ
ჯღეს, ხალხი მაშინდელი სჯობდაო...

— დახე, რა უთქვამს, ეგაგე წყურბე-
ლის ნაწიერსა, მაგასა... კარგად დათ-
მანსოვრე, ბიჭო: უკეთეს დროს —
უკეთესი ხალხი აშენებს... ეხლა კი
წადი.

...ასე გადაიქრა კაცობრიობის ის-
ტორიის ყველაზე მტკივნეული საკით-
ხი.

ანდერძი

დილა-ადრიან, როგორც წესი და რი-
გია, მივესამისმრე კირისუფალს მამის
გარდაცვალება. ის იღგა ეზოში და მო-
ფუსფუსე ნათესავ-მეზობლებს განკარ-
გულელებს აძლევდა. სხვადასხვა ასაკის
კაცი თუ ქალნი ციბრუტყვით ტრია-
ლებდნენ. ზოგი უზარმაზარ კარავს კი-
მავდა, სხვანი ძროხებს და ცხვრებს ატ-
კავებდნენ, მესამენი მაგიდებს დგამ-
დნენ, მეოთხენი პურს აკრავდნენ... ქე-
ლხი დიდი მზადდებოდა და საქმე ერ-
თობ ბევრი იყო გასაკეთებელი. ამ ფა-
ცუფუციან ერთად, დარდით თავს არა-
ვინ იკლავდა. ხანდახან აქა-იქ ხუმრო-
ბაც ისმოდა, რასაც ზოგჯერ სიცლიც
მოსდევდა. მოხუცთა ხვედრი, ჩვეუ-
ლებრივ, ასეთია ხოლმე. ეს კარგად
ვიციდი. არც არაფერი მიკვირდა. და
მაინც იყო ყოველივე ამაში რაღაც ვე-
ლური და წარმართული.

ჩვენ, მეზობლობისა და ბიძაშვილო-
ბის გარდა, თანატოლებიც ვიყავით,
ერთმანეთს შეჩვეულნი.

— მალხაზ, — მივმართე, როცა მარ-
ტო დავრჩით. — რა დაეშართა ასე
უცებ?

— არაფერი, თავისით მოკვდა, სიბე-
რით. — თქვა მან.

— მოულოდნელად კი წავიდა, არა?

მან სიგარეტის კოლოფი გამომიწო-
და, მერე თავისთვის აიღო. ასანთი გაპ-
კრა. მოფუკიდეთ. მიიხეღ-მოიხედა. იქ-
ვე, შორიახლოს მდგარ თავის ბიჭს და-
უძახა.

— მიდი, თუთის ხეს ტოტები წაამ-
ტვრიე და ხორცთან არცერთი ბუზი არ
მიუშვა, სანამ ქვაბებში ჩაპყრიან.

გრძელ ზედადგრებზე უპარავეი ქვაბი
ჩაემწკრივებინათ, შიგ ხორცის ნაპ-
რებს ჰყრიდნენ. ბიჭმა იქით მიაშურა.

— მაშაჩემი იტყოდა ხოლმე, სიკე-
დილი მოულოდნელი სჯობიაო. ეკ, ნე-
ტავ ჩვენც ვიცოცხლოთ იმდენ ხანს.

— კი მაგრამ, რად გინდოდა ეს ქე-
ლები, ან რა ამბავია სამი ძროხა, ან
ეს ცხვრები? ვინ უნდა შექამოს ამდენი?

— ჯერ ერთი, გახედე ამ ეზოს, ორ-
მოცდაათი კაცი მაინც ტრიალებს. ამ
დილით მარტო ხაშზე ვერ გადავატა-
რებ. ერთი ცხვარიც საჭიროა. ორი-სა-
მი ცხვარიც. შილა-ფლავს უნდა. მაგ-
რამ, შენ თუ იცი, ერთმა ჩვენებურმა
ანდერძი რომ დატოვა?... არა? გეტყვი.

ცხოვრობდა თურმე ერთი ძუნწი კა-
ცი. შვილები ნაადრევად დაიშორა თა-
ვიდან. თვითონ მისხალს არ იმეტებდა,
სხვაგან ბევრს დადიოდა — ქორწილებ-
ში, ქელეხებში, დღეობებზე. მშრომელი
კი კარგი ყოფილა. მოკლედ, როგორც
ყველა, ბოლოს და ბოლოს, ისიც დაწვა
სიკვდილის სარეცელზე. შვილები მო-
უთმენლად ელოდნენ, გვეტყვის, ოქ-
როს ქილა სადა აქვს გადამალულიო. ის
კი არაფერს ამბობდა. როცა შეატყო
კვდებში, შვილიშვილი, ცამეტი წლის
ბიჭი ნოიკითხა, მომგვარეთ, ანდერძი
უნდა დავეტოვოო. მოიყვანეს. მარტო

დაგვტოვებო. დატოვეს. გარეთ შვილები ელოდნენ, რძლები, ოქროს ქილისათვის. კარგა ხნის მერე გამოვიდა აცრემლებული ბიჭი — მოკვდა პაპაო. მაგრამ მათ სხვა რამე აინტერესებდათ. ანდერძი მოსთხოვეს. არ ამბობდა. დაემუქრნენ. იძულებული გახდა ეთქვა — პაპამ მითხრა, ანდერძი უნდა დაგიტოვო, კარგად დაიმახსოვრეო. როცა ქელებში წახვალ, თუ ღარიბი, ან ძუნწი კაცთან იქნები, ხაშლამის რბილი ნაჭრები ვადაილე, იქ მეორედ აღარ ჩამოატარებენო, თუ მდიდართან მოხედები, იქ ძვლიანი და ხრტილიანი ნაჭრები აირჩიე, კიდევ მოიტანენო, რა კარგად არის, არა, დავმობილი, ქელები?... მე კი ღარიბი არა ვარ, შენც კარგად იცი. სოფელს კი ვერ ავალაპარაკებ. შირჩენია ნახევარი გაფუქდეს, ვიდრე ხალხის უბაში ჩავვარდე. თუმცა კარგად მესმის შენი. გეთანხმები კიდევაც.

ის ერთ ადგილზე იდგა, მაგრამ ყველა თვალის არეში ჰყავდა, ხშირად ერეოდა და მითითებებს აძლევდა.

— მე რაღა გავაკეთო, ასე ხომ არ ვიქნები? — ვკითხე.

— შენ არაფერი... ხალხი ბევრია.

— უხერხულია ასე დგომა.

— უხერხულობა არ ღირს სადარდებლად.

— მაშინ სასაფლაოზე წავალ, საპარის გათხრაში წავებმარები.

დიდად გაიკვირვა:

— აბა, რას ამბობ? კაცი თბილისიდან ჩამოხველ, ნასწავლი ხარ, გვეამაყები და საფლავი გათხრევისო? ხალხი რას იტყვის?

— რა მოხდა, მერე? მამაშენს...

— მოიცა, მოიცა. — გამაწყვეტინა.

— სჯობია წახვიდე და კარგად დასვენო. უბილხო ჩანხარ. იქნება თამადად დამჭირდე.

• • •

მის რჩევას დავეუქვრე, მაგრამ შინ არ წავსულვარ. სასაფლაოს მივაშურე. მინდობდა ორიოდ ბარის პირი მცეც ამოეღო. ნელა მივუყვებოდა გზას.

საოცრად სუფთა და გამკვებრვალ ზაფხულის დილა ნებივრობდა ირგვლივ.

შორიახლო დაედქ და ვემუხრდი როგორ უმზადებდნენ მოხუცს საუკუნო განსასვენებელს.

შემოუღობავ სასაფლაოზე ცხერები გაშლილიყვნენ და გემრიელად სძოვდნენ. რკინის მოაჯირიან სავანეთა და მიწაში უსწორ-მასწოროდ ჩაფლულ, ძველ წარწერებიან, ხვესმოკიდებულ ქვებს შორის გაებოტებინა მორჩილ, რეზინისთვლიან, ტრაქტორზე გამართულ ექსკავატორს. ღინვზე ასხმული რკინის ღოჭებით ღონიერად სჭრიდა ღორღიან მიწას და იქვე აქუჩებდა. მიწასა და ღორღს ამოსდევდა დავიწყებულ წინაპართა ძვლების ნამტკრევები და ნაფშენტები. მახლობლად იდგა წმინდა გიორგის ფარღალა ეკლესია, სამარადისო ძილში წასული.

ახალგაზრდა კაცმა შემამჩნია და შეწყვიტა მუშაობა. დაბალ გაზზე გადართო მანქანა, ჩამოხტა და მომიახლოვდა.

— რაო, ხომ არაფერი დავაპარეს? ერთ საათში იქნება მზად.

— ბიჭო, სად გავიწილა სასაფლაოზე ეს გრუხუნა ტრაქტორი? — ვკითხე გაოცებულმა.

— მთავარია შრომის ნაყოფიერება, რასაც მექანიზაციითა და ავტომატიზაციით ვაღწევთ, — გაიციხა მან. მაგრამ ნახა, რომ მე არ მეციხებოდა, და დაუმატა: — თვითონ მალხაზმა დამაჯალა, ხალხი არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო, საფლავის გაქრა, ვიცი, ყველას ეზარებაო. ხანდახან ამიტომ ვიყენებთ ტექნიკას ამ საქმეშიც.

— ეს საქონელი რაღაა, ბიჭო? ვერ შეგლობნით? სირცხვილი არ არის სასაფლაოს ვასადევრად გამოყენება?

— რა ვიცი, აბა. — თითქოს თავი იმართლო, და მიუბრუნდა სამუშაოს.

მაგრამ ამის მაგიერ რომ ეთქვა: „ამხელა ადგილს აბა ვინ მოაქდენს. თანაც ყველაზე ნოყიერი ზალახი სასაფლაოებზე იცისო“, — აღმზათ აღარც გამოვირდებოდა.

...აი, რა ადვილად ევარგავთ იმას, რაშიც ჩვენი წინაპრები სიცოცხლის აზრსა და სილამაზეს ხედავდნენ.

ლატვიაში ამბობენ თურმე: მაჩვენე, როგორი მოვლილია თქვენი წინაპრების საფლავი და გეტყვი რა კაციც ხარო. აქ კი: ტრაქტორი — მწვანე ნარგავების

სანაცვლოდ, საქონელი — ყვავილების მაგიერ. დიდი, წრე-გადასული ქელები, უნიზნო ხარჯი, ასობით ადამიანის ზედმეტად მოცდენა, ათასგვარი უხერხულობა, მატერიალური ზარალი...

ნუთუ მართლა ასე ძნელია ზომიერების დაცვა?

ფესხაცმელაი

ომი იყო და ყველას უჭირდა. უჭირდა და მერე როგორ. ყველაფერი ძნელად იშოვნებოდა. უფრო კი ზამთარი იყო ძნელი გადასატანი. შიმშილთან და სიდუხჭირესთან ბრძოლაში, დიდებთან ერთად, პატარა ბიჭებიც მონაწილეობდნენ, თუმცა ბევრი არაფერი შეეძლოთ. უპალტონი, უთვალაუჭერ დაკონკილ ტანსაცმელში ატარებდნენ ვრძელსა და ყიამათ ზამთარს. ყველაზე ძალიან მაინც ფეხშიშველობა აწუხებდათ პატარებს. ისინი დადიოდნენ მახლობელ ნატყევეარში, თბრიდნენ ძირკვებს, შინ მოათრევდნენ ვაი-ვაგლახით შიმშილისაგან გადალასლასებული, გაძვალტავეებული პატარა ბიჭები, რათა ხანდახან მაინც აენთოთ ფაცხატა ღუმელი.

ფესხაცმელი იყო ყველასათვის სანატრელი ნივთი. მაგრამ მოულოდნელად აქაც გამოჩნდა საშველი. მომრავლდნენ ხარაზები — ფრონტიდან დაბრუნებული უფესო ადამიანები. ისინი უცხად სწავლობდნენ ამ მივიწყებულ ზელობას. საბურავების უხეში რეზინისაგან კერავდნენ რაღაც ფესხაცმელის მსგავსს, ნომრებსაც კი აწერდნენ. იყიდდი ერთ წყვილს, მერე ხანგამოშვებით დარღვეულ ადგილებს გაკერავდი და მთელ წელიწადს გაატარებდი ასე. უჩარაომის ჩარა კი იყო: ზამთარში სიცოცხესა და წყალს არ იჭერდა, გაზაფხულ-შემოდგომით ფეხებს ხარშავდა, ზაფხულში ხომ ფეხშიშველნი დარბოდნენ.

და აი, ერთ დღეს ხმა დაირბა: ტყავის დამზადების წერტში ფესხაცმელეში მოიტანესო, ტყავებზე ყიდიანო. მაღლე ზოგზოგმა ჩამოატარა კიდევ. მერე რა სანახავი იყო: შავი ტყავის პირები პქონდა, სქელი, რეზინის ძირები.

— რა ვქნათ, შვილო? — ჰკითხა ბენიამ პატარა ზაქროს, როცა სიცოცხესაგან დაშინებულმა საღამოთი ნადრევიად ჩაითბუნა ლოგინში და საცოდავიად მბუუტავი კვარის სინათლეზე ვაკვეთილების სწავლას შეუდგა.

ბიჭმა კითხვა შეწყვიტა, შეხედა ბენიას და მიუგო:

— რაზე, ბები?

— ფესხაცმელეზე.

— რა ვიცი, ტყავები არ გვაქვს და...

ბებია საწოლზე ფერხთით დაუჯდა, ხელეში საბანს ქვეშ შეჰყო და ბიჭს სიცოცხესაგან დამსკდარ, გაყინულ ფეხებზე გადაუსვა დაკოყრილი ხელი. მერე ისევ ამოუგო საბანი, იატაკიდან წინგოსფერი, დაგლეჯილი წინდები აიღო და ატრიალა ხელში. ალბათ ფიქრობდა, დაკერდება თუ არაო. მერე თვალი გაუმტერა მიმქრალ-მინავლულ ღუმელს. ღუმელიდან მზერა კედელზე გადაიტანა, შეიღის ფრონტულ სურათზე. ერთხანს უყურა, უყურა... მერე ჩვეული მოძრაობით მარჯვენა ხელით გამოიხსნა ნიკაბთან შენასკვეული მოსახვევი და თვალის უბეები შეიწმინდა. კარგახანს იჯდა ასე, გარინდებული. ბოლოს ადგა, ლოგინების კარადასთან მივიდა. დიდხანს არჩია, და ერთ-ერთ ღე-

აბს ბოლო გამოურღვია. ერთი მუცა მატყლი გამოაძრო, სინათლესთან ათვალეორა. ისევ მიბრუნდა, უკანვე ჩადო და გაკერა. ახლა სხვა ლეიბი გამოარღვია და ხელის კანკალით რამდენიმე პლუჯა ამოიღო. ლეიბი ისევ გაკერა და ბიჭსა და ლემელს შორის საჩეჩელი გაშართა.

„ორ დღეში ახალი წინდები შექნება“, — გაიფიქრა ბიჭმა ძილის წინ. დანესიმზრა: კვარის მბეჭუტავ სინათლეზე ბებიაჩემს საჩეჩელს ორივე ხელის გული წამოაგო და სისხლმა გადმოასხა. გამოიღვიძა. გახედა ბებიას. ბებია იჭდა სიცივეში და მატყლს ჩეჩავდა.

„ორ დღეში ახალი წინდები შექნება“, — ისევ გაიფიქრა ბიჭმა სიხარულით და ღრმად ჩაეძინა.

დილა-ბნელზე უკვე ეღვიძა ბიჭს. გარეთ ყველაფერი დათოვლილი იყო და თოვლის სითეთრე, სიცივესთან ერთად, შიგნით ატანდა. გათენებამდე გვარიანად მოასწრო ლექსის სწავლა. ჰაი-ჰაირად კეწეწებზე შენთებული ლემელის სითბოზე წამოხტა, ჩაიცვა და ქერის ქუმელს დაუწყო ღეჭვა.

— შენ რატო არ ჰამ, ბები? — ჰკითხა ბიჭმა.

— ჯერ არა მშინ, შეილო. — უთხრა ბებია.

„უფრთხილდება“. — გაიფიქრა ბიჭმა, შეებრა და განაგრძო ღეჭვა.

— შეილო, მე ფულს მოგცემ. — უთხრა ბებია.

— ფული რად მინდა? — გაოცდა ბიჭი.

ბებია ამოიხრა.

— მიდი დღეს, გიოს ღუქანში. იქნება ფეხსაცმელები მოგყიდოს.

— უტყავებოდ არ ყიდისო, — უხალისოდ მიუგო ბიჭმა. თითქოს მიხვდა რაღაც უხერხულობას.

— ტყავები არა გვაქვს-თქო, უთხარი, — თქვა ბებია.

— თუ სხვას არ აძლევს, მე რატომ მომიცემს უტყავებოდ? — ჯიუტობდა ბიჭი. — იგი რაღაც დამამკირებელს გვძნობდა.

ბებიაჩემს ერთხანს იყურებდა მერტყელთა-
ბიჭსა და მათსა.

— ეგ კაცი მამაშენმა დააყენა მაგ სა-
მუშაოზე, შეილო. ვინ იცის, ეგებ მო-
გინებოს.

ბიჭი უხალისოდ გაჩუმდა.

* * *

პირდაპირ ემკვლელებოდა ბიჭს. წინ კი დიდი ზამთარი იყო. თან გრძობდა, რომ არაფერი არ გამოიღოდა, თანაც გულის კუნჭულში იმედის ნატამალი უღვიოდა.

სკოლაში გავლისას ერთხანს უტრიალა ღუქანს. ზოგი შედიოდა ტყავებით და გამოჰქონდა ფეხსაცმელი, ზოგიც ხელკარიელი გამოდიოდა. უტრიალა, უტრიალა ღუქანს. ვერა და ვერ გაბედა შიგნით შესვლა. მერე შესცივდა და სკოლისკენ გაიქურჩა.

გაკვეთილებზე იმდენჯერ წარმოიდგინა თავისი მუდამ გათოვლილი, პატარა ფეხები ახალ ფეხსაცმელებში და იმდენჯერ დაიჭრა თავისი ნაფიქრალი, რომ ეჭვი თითქმის აღარ ეპარებოდა: აუცილებლად ექნებოდა ახალი ფეხსაცმელი. ახალ ფეხსაცმელებში წყალი არ შევიდოდა და ძალიან, ძალიან თბილი იქნებოდა...

შუადღისას, გაკვეთილების შემდეგ, კვლავ აეტორღილა ღუქანს. შეურჩია დრო. როცა გიო მარტო დარჩა და გაუბედავად, გულის კანკალით, შევიდა.

დახლთან იჭდა ჩასუქებული, დიდულევაში კაცი, ბეწვის ქუდი ეხურა და საანგარიშოს აწვალებდა. ბოლოს აიხედა, ბიჭს მიაჩერდა და ჰკითხა:

— შენ რაღა ვინდა, ბიჭო?

„მომსვლელებისაგან თავი მომეზრებული აქვს“, — გაიფიქრა ბიჭმა.

— ძია, ტყავები არა მაქვს და ფულზე ხომ არ მომყიდის?.. — ძლივს ამოღერდა.

მედღეში არც აიღო და არც დაიღო, ისე უყვირა:

— შე მამაძაღლო, განა აქ მალაზია მაქვს, ფულზე ვყიდო საქონელი?!. წა-

დი, დაიკარგე, მეორედ არ დაგინახო აქ მოსულნი.

ბიჭი წელმოწყვეტილი გამოვიდა იქიდან და სირბილით მოუსვა შინსკენ. დამკირბელი, შეურაცხყოფილი შევარდა შინ, დაეცა ლოგინზე და სახე ბალიშში ჩარგო: ბოღმა ახრჩობდა: მერე ერთბაშად ტირილი წასკდა და ბევრი, ძალიან ბევრი იტირა. კარმა გაიჭრიალა. ბებია შემოვიდა.

მსაჯული

სოფლის ბოლოს მოვაკებელი ადგილია. ლეჩაქის ყურს წაავაგვს. მის იქით მოზრდილი ბუჩქობი ამ სერს ქუდივით ახურავს თავზე. სამი მხრიდან კი სამი ხეობით დასერილი ტაფობი არტყია. ტაფობს იქით მთა-გორები წამომართულან, მაგრამ უფრო დაბალნი. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გამავალი შიხიანთ ხეობის მეშვეობით მოსჩანს ბინდ-ბუნდ ნოდებული ალაზნის ველი, კავკასიონით წვეთრად ჩაეცტილი. მზე ახლახან ჩასულა და მიშქრალი ნაყვარჩხლისფერი სივრცე დაუტოვებია. დღე სულს დაღავს. ცაზე თანდათან ენთებთან ვარსკვლავები და ციკ-გომბორის კალთებზე გაშლილ სოფლებში მათი ანარეკლები ჩნდებიან. ხარბად ვათვალიერებ ოციოდე წლის უნახავ ადგილებს. ქვემო უბნისათვის ეს ერთადერთი გასაღვეარი დარჩა. მთაში მიმავალი ცხვარი შეუჩერებიათ რამდენიმე დღით, ვიღაც მეცხვარე მოერეკება.

ცხვრები ხარბად იცოხნებიან და ძოვებ-ძოვებით გულგრილად გვერდს მივლიან. მეცხვარეს ვაფხედე, ჩემი ნაშეზობლარი შევიცანი. ჭარმაგი კაცი, მაღალი და მხრებგაშლილი, ჭალარა თმითა და უღვაშით. მიცნო. ვესალმებით ერთმანეთს.

რვა შვილის მამაა, ვეკითხები მათ ამბავს.

— უხვირდ თამადამ დაიკვებხა თურ...

სველ ბალიშს ხელი გადაუსვა. თვალბში ჩახედა. ბიჭმა შეამჩნია, ბებიას გუყინული, კუშტი თვალბში მანდილს ქვეშ. შუბლზე ნაოკები შეყრილიყვნენ. ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა, მიეფერა. ერთხანს ასე ეფერებოდა, თითქოს ბოღმის უხდიდა. მერე მანდილის ბოლოვებით ცრემლი შეუწმინდა. ბიჭი დამშვიდდა, სული მოითქვა საბოლოოდ, რათა აღიარებდეს აღარ ეტირა.

მე: სადღეგრძელოებს რა გამომიღევს, ჯერ სამასი არაგველისას ვიტყვიო, სათითაოდ, მერე ორასი ქიზიყელისასო, სათითაოდ. იმისი არ იყოს, ამა რომელი ერთისა გითხრა. ყველა დაოჯახებულია. ზოგი აქ ცხოვრობს, ზოგი თბილისში და რუსთავეში. ზოგმა ისწავლა, ზოგმა არა. ზოგი ვარგობს, ზოგი ვერა. ისე მაინც და მაინც არაფერი უჭირთ.

— კარგია ბევრი შვილი, — ვამბობ. ჯობი ერთი ხელიდან მეორეში გადააქვს, რომ მოხერხებულად დაეყუდოს.

— ყველას, შვილო, რაღაცა აქვს საამაყო. მე კი ესა მაქვს. ან რა კაცობაა ერთი და ორი შვილის ამარა დარჩენა.

— მართალი ბრძანდებით, მართალი. — ვამბობ.

— შენ რამდენი გყავს? — შინაცვლებს კითხვას.

— ერთი. — მიუთვ. უხერხულ მღგომარეობაში ვარდება.

— გაგიზარდოს და გაგიმრავლოს ღმერთმა. არა უშავრა, რას იზამ. — მანუგემებს და ეს ნუგეში სამიშაროვით ჩააშესმის. ორივე ვრუშდებით ერთხანს და ისევ თვითონ აგრძელებს.

— შენთვის როდი მინდოდა მტკივან ადგილზე ფეხი დამეჭირა. ჩემს შვილებს ვუთხარი ასე, სადღეგრძელოებში ტრაპუნესს, აბა თქვენ რა კაცები ხართ, თითოობრივად შვილი გყავთ-მეთქი. ბევრი

იცინეს, თანაც ქვეყანა შემოიყარეს. სასაცილოდ არ ეყოთ... შარშან ქორწილში მოვხვდი. თამადამ, კაი ვილაყა ჩანდა, მრავალშვილიანი მშობლების სადღეგრძელო დალია, ოთხი და მეტი შვილი ვისაც ჰყავდა, ორნი ავდექით. იმას ოთხი ჰყოლოდა. სამასი კაცი იქდა. გაკვირვებულები მათვალთვლებდნენ, მხეცებს რომ უყურებენ ზოოპარკში, იმ ყაიდაზე. ერთმა თამამოშვებულმა ლიფსიტა ახალგაზრდამ ეჭვი გამოთქვა, იქნება ქართველი არ არისო. შე ასეთო და ისეთო, შენ ქართველი ხარ და მე არა-მეთქი, ზევიდან ჩავხედე, საქამრემდე მწვდებოდა... აი ამიტომა ვთქვი. ერთადერთი გზა ჩვენი ყოფნისა — გამარჯვებაა. თუ ეს გზა ვიწრო ბილიკად ვაქციეთ, წაიშლება. აუცილებლად წაიშლება.

ისევ ვჩუმდებით. მე სიგარეტს ვთავაზობ. უარობს.

— იღარ ვეწვევი. თქმის ტყვიელები მაწუხებს.

— მერე ექიმს რატომ არ ეჩვენებო?

— აბა რა გითხრა, შვილო. მეცაღმდეგელი მღვდელს რომ შეხვდებოდა, „გამარჯობის“ მაგიერ „მკვლარი გიმარავლოს მრევლშიო“, ეუბნებოდა. ეხლა ზოგი ექიმი ექიმს — ავადმყოფი გიმარავლოსო... თუმცა რაღა ექიმი და რაღა სხვა!

ცხვარს გახედა.

— შენ სითა მუშაობ?... ვიცოდე მინც, კაცნი ვართ.

— ექიმი ვარ... — ვამბობ და სირცხვილის იღმური მედება. შეწუხდა მოხუცი.

— რამდენი სიტყვა ვთქვი, იმდენი წამოვროშე. სიბერის ბრალია, იღბათ. კარგად იყავი, შვილო!

წავიდა თავისი გზით.

ბინდს ლაჯებში მოექცია პატარა ვაჟი. ბექობიდან დაცურებლი ცხვარს. მიწაზე განრთხმული ჯანლივით მიიწევა და სოფლის ბოლოსაკენ. მართალი სიტყვით დაისრულს, მეჩვენებოდა, რომ პირნათელმა, ვალმოხდილმა აღამიანმა, აღამიანმა კი არა, თვით პატიოსნებამ სიკვდილი მომისაჯა მე — ანგარებას.

თენგიზ კოჭავიძე

მთიელ გოგონას

პატარა მტრედო,
გულის იმედო,
ეს რა ზღაპრული მხარე გქონია?!
ულუეთო მშვენება, ზედ მოხატული,
მენს სილამაზეს გამოსკოლია.
პატარა მტრედო,
გულის იმედო,
რა დიდებული მთები გქონია!..
თითქოს და მათი ძალა მომედო...
და გავფრინდები ასე მგონია...
მთათა კალთების მაღალი შუბლი...

ბროლ-ფიქალია,
მტკიცე რვალია,
ბევრი მომხდური მტერი ხმალ-შუბით
ზედ შეესრისა, როგორც კალია.
ახლა ვინ ბედავს?...
ან ვინ დაარბევს?!
მტერს ის შეხვდება,
როგორც გავაზი,
სხვებს რას ინატრებს,
მამულისათვის
სიკვდილი შეძლოს მხოლოდ ლამაზი.

გ ა თ ე ნ ე ბ ა

სიზნარეული,
სიზნარეული,
სიზნარეული
გათენდა ღამე.
ნალამური და ძილმორეული
ზედ შეელეწა ჭადარსა მთვარე.
სცვივა ჭადრიდან სხივმოელეარე,
დალენილ მთვარის ბრილიანტები.
და ღამისაგან გულგალეული
ღღის გამარჯვებას ყვირიან მთები.
ჰაერ-ნაკადი,

ამ ცინცხალ დილის
გამომალეიქებს, ამახელს თვალებს.
სიკოცხლის განცდა
იმ ტკბილი ძილის,
ჭრელ-ჭრელა სიზმრებს
გამიფერმკრთალებს.
იპოვა სულმა თავისი ფარი.
და აღარ დადის მიუსაფარი.
რა წმინდა გულით,
რა ახალ განცდით,
სიზნარეული გათენდა ღამე!..



როსტომა გაბანიშვილი

ლილოჭრელი

მეთრობა

1.

ყინვალს რომ გამოსცდები, არაგვის ზეობაში გზაზე ბექობიც აღარ შეგხვდება, სანამ ნატახტრის ბოლოს, ნარეკვავის ყელთან კვლავ არ შეუღებები აღმართს. ნარეკვავზე, კვირა საღამოს გაჩერდა ავტობუსი და ოცდაორიოდე წლის ბიჭი მარდად ჩამოხტა. უმაწვილმა შოფერს ფული გადაუხადა, ხის პატარა ჩემოდანს ხელი წამოავლო და სწრაფი ნაბიჯით გადაუხვია საგურამოსაკენ. არაგვის ხიდთან საბარგო მანქანა წამოეწია, უმაწვილმა ძარაზე ააღაჭა და ოციოდე წუთში ჭიანჭვეში ამოყო თავი.

ორი წელი არ ენახა ნოდარ კუპრაშვილს მშობლიური სოფელი. ახლა გულაფრიალებული მიიჩქაროდა შინისაკენ. წორიდანვე ჩანდა დაბალი სახლი, რომლის მეორე სართული, მარტოდ დარჩენილ დედას ვეღარ აეშენებინა.

„არა უშავს, ეს ჯარიც ხომ მოვათავი, ახლა ყველაფერს მოვევლება“, — მიჰედებდა ნოდარი თავს და ნაცნობ ფანჯრებს გასცქეროდა.

მავრამ ფანჯრები ღია არ იყო და დედაც ჩვეულებრივ მის კვალს არ გაყუარებდა.

ნოდარს გული აუჩქროლდა.

დეპეშა დროზე გამოგზავნა, აცნობა მოვდივარო და უკვირდა სახლის ფანჯრები რატომ იყო დაკეტილი.

„იქნება დეპეშა დაიკარგა?“

„მაინც რა უნდა მომხდარიყო?“

აღმართი გულისფანქვალით აათავა და როცა სახლის კარები დაკეტილი დაინახა, მაშინ კი მართლა შეეშინდა.

ჩემოდანი ძირს დადგა და დაბნეულმა მიმოიხედა.

ამ დროს ზეზობლის ქალი სალომე გაიჩინდა.

— გამარჯობა, ნოდარ, მადლობა ღმერთს, მშვიდობით დაგვიბრუნდი ჯარიდან... — უთხრა, კაბაზე ნამუშევარი ხელი შეიწმინდა და ჩამოართვა.

— გამარჯობა, ძალუა სალომე, — მიუჯო ნოდარმა. — დედაჩემი სად არის?

— ნუ გეშინიან, შვილო, — სალომემ ხელი მოხვია, — ხეხილის ბაღს სწამლავდნენ და ცოტა საზე დაეწვა.

— სად არის? — დაიყვირა ნოდარმა.

— მცხეთის საავადმყოფოში წაიყვანეს.

ნოდარმა ქუდი მოიშვლია და თავქვე ხირბილით დაეშვა.

— ზიკო... — დაადევნა სალომემ, — დაიცადე! — მაგრამ ნოდარს ყური აღარ უთხოვებია, მირბოდა გამწარებული.

გზაზე გამოვიდა, საბარგო მანქანა გაჩერდა და მცხეთის სადგურამდე ისეთი გამტყნარებული იქნა, რომ შოფერმა დალაპარაკებაც ვერ გაუბედა. ფული არ გამოართვა და კარგახანს უყურებდა საავადმყოფოს აღმართზე სირბილით მიმავალ ყმაწვილს.

სავადმყოფოს რომ მიუახლოვდა, ნოდარმა საყუდლის ლილები შეიბნია, წელზე ქამარი შემოიკრა და შუბლიდან ხალათის სახელოთი მოიწმინდა ოფლი.

დაღლილსა და გაწითლებულს ორთქლი ასლიოდა, ზურგი ისე დასველებოდა, თითქოს ეს-ეს არის წყლიდან ამოსულიყოს.

მიმღებში თავი შეეყო და პირველსავე ექთანს მიაძახა:

— დედაჩემი სადა წევს?

ყმაწვილის სამხედრო ხალათისა და დაღლილი, განწირული სახის დანახვაზე, ექთანი მიხვდა ჯარისკაცი ვისი შვილიც იქნებოდა. ხელი მოკიდა და ექიმის კაბინეტში შეიყვანა.

ექიმმა ნოდარი სკამზე დასვა და კიპით წყალი მიაწოდა.

— ასე არ ვარგა, ახალგაზრდა! ადამიანის სახე აღარა გაქვს, — უთხრა ექიმმა.

— ექიმო! — წამოხტა ნოდარი. — დედა ორი წელია არ მინახავს, რა დავემართა?

— ექიმმა, რომელიც ნოდარზე რამდენიმე წლით თუ იქნებოდა უფროსი და სავადმყოფოს პატრონთან ასეთი საუბარი ჯერ კიდევ უმძიმდა, ექთანს ნება დართო ნოდარი ავადმყოფთან წაეყვანა.

ნოდარი პალატაში რომ შევიდა, კედელთან მიდგმული საწოლი ცარიელი მოეჩვენა. დააკვირდა და ლამის მუხლები მოეკვითა. თეთრ ზეწარზე თავიდან ფეხებამდე ბლონდში ვახვეული, მძაფრი წამლების სუნში დაკარგული ადამიანი იწეა.

— დედა... — წაიჩურჩულა ნოდარმა.

თამარმა დაიკვნესა, ხმის ამოღებამდე ვერ შესძლო.

ექთანმა საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ნოდარს.

ნოდარი პალატიდან გამოვიდა და გაოგნებული კედელს მიეყუდა. ექთანმა მალულად ცრემლს იწმენდა.

— გადარჩება? — ხმა არ ამოჰლია. თვალებით ჰკითხა ნოდარმა.

ექთანს უნდოდა ვრცლად და საქმის ცოდნით ენუგეშებინა, ყველაფერი მოეთხრო, რაც მსგავს შემთხვევებზე ექიმებისაგან გაეგო, მაგრამ ამ დროს მთავარ ექიმს მოკრა თვალი და შეშინებულმა მიაძახა:

— შენი ჭირიმე, ახლავე ძირს ჩადი! თეთრი ხალათი არ გაცვია და საყუდურს მომარტყამენ.

— ეხ, შენც ერთი! — ცერად ახედა ნოდარმა, ხელუკლებმა თვალები ამოიწმინდა და სწრაფად ჩაირბინა კიბე.

2

ნას მერე, რაც ჭიანჭველის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ კლიმენტი ბელუკაძე დანიშნეს, „გრძელ“ კლიმენტად რომ იცნობდნენ იმ მხარეში — მოსვენება დაკარგა დიდმაც და პატარა-მაც. აღარავის ახსოვდა რამდენი წელი გავიდა, ზოგი ხუმრობდა კიდევაც; კლიმენტი სამშობლიოდან პირდაპირ თავმჯდომარედ გამოიყვანეს.

მთელი დღის მუშაობით დაღლილ-დამამწვარი გლეხკაცი ბალიშზე დასაძინებლად თავს რომ მისდებდა, კრწანთში მიკითხვით სწორედ ქაშინ დაიჩხავლებდა კლიმენტი. დაიჩხავლებდა და მე შენ გეტყვი, გაჩუმდებოდა? მოყვებოდა წიოკობას, იქამდე ექახდა ბრიგადირებს, საბრიგადირებს და ბრიგადირობის მოსურნეთ, სანამ დიდსაც და პატარასაც არ დააფეთებდა, ქვეშაგებიდან არ წამოაგდებდა და ორღობეში არ გამოიყვანდა.

— რამ დაგამინათ, თქვე გლახაკებო! — ყვიროდა კლიმენტი ნაშუაღამევს და ისე აჭყეტდა კოტივით გადმარჯვ-

ლულ თვალებს, თითქოს თივის ზეინში
ოქროს ნემსი დაკარგვია და იმას ეძებ-
სო.

გინდოდა თუ არ გინდოდა, ორღო-
ბეში უნდა გასულიყავი. კლიმენტის,
ჩვეულებისამებრ, ბევრი არაფერი ჰქო-
ნდა სათქმელი. შეახსენებდა „ხვალინ-
დელ ამოცანებს“, მოაგონებდა რომე-
ლიდაც „დადგენილებებს“, დაიმოწმებ-
და რაიგაზეთის „მოწინავეს“, დაიმუქ-
რებოდა რაიკომის ძველთაძველო, ყვე-
ლა მდივანზე ჰანჭიკივით მორგებული
ინსტრუქტორის — ვალკო ჰრელაშვი-
ლის სახელით და ყვირილ-ყვირილით
გაუყვებოდა ორღობეს ჰიანხევის სხვა
უბნებისაკენ.

გული აიყარეს ჰიანხეველებმა საქ-
მეზე. ერთი ქალაქში გარბოდა, მეორე
დღენიადაც ბაზარში დაწინააღმდეგებდა,
მესამე უსაქმურობისაგან სასაძლოში
ლოთობდა, მეოთხე მეზობლის ქალსა
ჰყვარობდა და ნელ-ნელა, ჰიანხევიში
ზინდისი სასწორზე შეაგდეს და ჰქვეყ-
ნის კანონსაც განზე გაუდგნენ. ბევრ-
მა არ იცოდა რა გაეკეთებინა, არ იყო-
და ვისთვის მიემართა. ნოდარ კუბრაშ-
ვილს ჯარში წასვლამდეც გულზე ხა-
ტად არ ესვენა ბედუკაძე, ახლა კი,
ჯარგამოვლილი, ნაიალადარი ხარკით
ღამის რქებით დასტაკებოდა.

ნოდარი საათზე მეტია კოლმეურნე-
ობის თავმჯდომარის კაბინეტში იყო
ასვეტილი, მაგრამ ბედუკაძე თითქოს
ვერ ხედავდა. ნოდარის აქ არ ყოფნა-
ში, თავმჯდომარეს ვეება კაბინეტი
ეფენებინა: ოთახის კედლები ძვირფა-
სი საღებავებით იყო მოთხუბნული.
ერთ კუთხეში, ხის თაროზე, სტუმრის
დასაფეთებლად უზარმაზარი, კარგად
გარეცხა-გაპრიალებული ბოლოკი,
ბარაქიანი ხახვი და ჩაშაქრებული გუ-
ლაბი მსხალი იყო. როცა არ უნდა მი-
სულიყავი, ნაჰირნახულევი „ექსპონა-
ტები“ ნირშეუცვლელად ეწყო. მხო-
ლოდ ნოდარ კუბრაშვილმა იცოდა,
რომ კოლმეურნეობის დარაჯი ჩილიკა-
ჯოხი, კლიმენტის ბრძანებით, ამ ექ-

სპონატებს“ ყოველ კვირა მცხეთის
ბაზარზე ყიდულობდა.

საწერ მაგიდაზე, ყურთღვანდობისაკენ
ბულ სამელნეებისა და ნაირნაირი, მარ-
მარლოს საძირეში ჩადგმულ კალმე-
ბის გვერდით ტრაქტორის ძრავის დე-
ტალი და ლოგარითმული სახანავი იდო.
კედელზე ბედუკაძეს „საკოლმეურნეო
მინდვრების დიაგრამა“ გაეკრა. ნოდარი
დაცქერდა „დიაგრამას“ და ღიმილი
ჰქოვს შეიკავა. ზეღამეავალი დიდი ისა-
რი ზებგერითი ლანჩისის სილუეტს
წააგავდა. ერთიმეორეზე შესკუბებული
ციფრები კოლმეურნეობის გაზრდილ
დოვლათს გამოხატავდა, თაროზე კი
მცხეთის ბაზარში ნაყიდი ბოლოკი
იდო...

ნოდარს ღიმილი ჩაუქრა, ფანჯრა-
ში გაიხედა, რომ რალაციისთვის გუ-
ლი გადაეყოლებინა. ფანჯრიდან ხე-
ლისგულივით გაკორტნილი ეზო მოჩან-
და. იგურებზე შეყენებული იდგა საბა-
რგო მანქანის ძარა. უთავბოლოდ ეყა-
რა საწვავით სავსე კასრები. საიდან-
ღაც ტალახში ამოსორსლილი, მუცელ-
დაშვებული მავ ღორი მოსულიყო
და სასუსნავს ეძებდა. ღორის უკან,
ცაცხვის ჩრდილში მოხუცი დარაჯი
იდგა.

ეს იყო ჩილიკაჯოხი. შრომადღებებს
მას ვენახის მეველეობაში უწერდნენ,
მაგრამ ჩილიკაჯოხი ვენახში არავის
ენახა, დილიდან საღამომდე თავმჯდო-
მარის კაბინეტის წინ იდგა. კლიმენტის,
როგორც ყველა თანამდებობის პირს,
გულში პატივმოყვარეობის დიდი მე-
პელა ეჭდა და უხაროდა, მის სიმშვიდეს
შეიარაღებული დარაჯი რომ იცავდა.

ნოდარს მობეზრდა დგომა, ჩახველა
და თავმჯდომარეს თავისი იქ ყოფნა
შეახსენა. კლიმენტი „საანგარიშოზე“
რალაციას კრეფდა, ქალაღებს გაწაფუ-
ლი დაუდევრობით ხელს აწერდა, ბრი-
გადირებს მითითებებს ისეთი რიგით
აძლევდა, თითქოს იმათ არასებელი
მტრის სატანკო არმიები უნდა შეეჩე-
რებინათ.

იცოდა კუბრაშვილმა თავმჯდომარის

წე. ქორწილში დასაპატივებლად რომ მისულიყავი, კარებთან მიინც კარგახანს გაყურეუბებოდა, დაგანახებებოდა რა გადუღებულ და საქვეყნო საქმეებში იყო ჩაფლული და როგორ უჭირდა შენს მოსასმენად რამდენიმე წუთი გამოენახა. ფეხზე დგომით დაღლილი ეზოში იყურებოდა, საიდანაც ჩილიკაჯოხის ჩეკმების ბრახუნი ისმოდა. დარაჯს ცალკულუნიანი თოფი მხარზე პირდაღმა დაეკიდა, მარჯვენა ხელით თასმა ჩაებლუჯა და თამბაქოს ბოლით გაყვითლუბულ-გამწვანებული ხშირი ულვაშებიდან ბოლი გამოდიოდა, მაგრამ თვით სიგარეტს არ ჩანდა. ჩილიკაჯოხი თავმჯდომარის კაბინეტის წინ რამდენიმეჯერ შეჩერდა და ნოდარს თვალეში მოურჩიდებლად დააშტერდა. დარაჯს ძალზე აინტერესებდა კუპრაშვილს კლიმენტის როგორ გამოისტუმრებდა, რადგან კარგად იცოდა, ნოდარი და ბედუკაძე თხა და მგელოვით იყვნენ.

კლიმენტის კი გულისყური ნოდარისაკენ ჰქონდა. ამდენი ხელმოსაწერი და საკრიკიტო ქაღალდიც საწერი მაგიდის უჭრებიდან განგებ ამოქექა, რათა დრო მოეგო და კუპრაშვილის ყველა მოსალოდნელი შეკითხვისთვის წინასწარ შეემზადებინა გლუვი პასუხები.

— დედაჩემის გარდა სხვაც დაშავდა? რატომ ხარ გაჩუმებული, თავმჯდომარე? — ველარ მოითმინა და ჰკითხა ნოდარმა.

— ორ კაცს აქვს ხელები დამწვარი, სწრაფად მიუგო კლიმენტი. — შხამქიმიკატების შეფრქვევის დროს სპექტანსაცმელიც უნდა სცმოდა და სათვალეც არ უნდა დაეიწყებოდა. დაუდევრობის მსხვერპლია. ენახე მიინც წარიღან დაბრუნებული.

— რა იმედი გადაგიწყვეტა, კლიმენტი ბატონო! დედაჩემი მნახავს კიდეც და იმასაც მეტყვი, საწყობში რატომ არ იყო სპექტანსაცმელი და სათვალე, — ეუშტად შეხედა ნოდარმა.

— გუშინვე მიწოდდა საავადმყოფოში ექსპერტის მიყვანა, — სნაპასხუბით მიაყარა კლიმენტი. — მაგრამ უჭინებმა

ნება არ დამრთეს. ჩემს მიერ შექმნილი სიგანგებო კომისია უკვე ჩანუჯდამ საქმის ვითარების შესწავლას. დარწმუნებული იყავი, დამნაშავე სასტიკად დაისჯება.

— დედაჩემს რა ეშველება? — ნოდარმა თვალეში შეხედა ბედუკაძეს და თან დედუბატა. — რაიკომიც არ დასტოვებს ამ საქმეს...

კლიმენტიმ გრაფინიდან კიკაში წყალი გადმოსახა და სანამ დაღვედა, წყლის წვეთები მაგიდას დაასხურა. მერე სკამზე მიუთითა ნოდარს და უცებ დაუტკბა:

— ჯარში როგორ დაგეკაცებულხარ, ბიჭო! კოლმეურნეობის წვერად ახლავე აღვადგენ, მაგრამ იქნება შეგვეცადა დედის გამოჩანმართულებამდე? დედას ხომ ყურადღება სჭირდება?

ბედუკაძეს უნდოდა „გამოძიება“ დაემთავრებინა, ჩვეულებისამებრ მარცხი ვილაციისათვის გადაებრალებინა და მერე ეშმაქსაც მიიღებდა კოლმეურნეობაში.

— ახლავე დაგავალე გამოგიყონ თანა ურთიერთდამხმარე სალაროდან. — უთხრა კლიმენტიმ. — დიხ, შენ როგორ გვერანა... კოლმეურნეობა საიმედო ხელშია! — და ბედუკაძემ ისე დამუშტა ხელები, თითქოს სოფლის ბელი მართლაც თითებშუა ჰქონოდას მომწყვედეული.

3

ნოდარმა, კოლმეურნეობაში მუშაობის დაწყების მერე დღესვე, საწყობის ვამგეს კაკო ზედელაძეს, ზედმეტ სახელად „მოურავს“ რომ ეძახდნენ, ჰკითხა:

— ხახვი აქ რატომ დაგიყრიათ?

— აბა, ხად მამაჩემთან წავიღო? — უკმეხად მიახალა კაკომ.

— საფლავში მიინც მოასვენე მამაშენი, არ ეყო, რაც აქ გაამწარე?

— ხახვი აქ რად დაგიყრიათო... — ბურტყუნებდა მოურავი.

— ყველაფერს თავისი ადგრილი უნდა.

— ეგ მენც გარტ.

— იმ დღესაც ყოფილან მიმღები პუნქტიდან.

— რაო?

— სანამ ხახვს არ გაშლით და არ გააშრობთ, იქამდე არ წავილებთო.

— არ გააპირეს საქმე! გეგმა ხომ შევასრულეთ.

— გეგმას, ჩემო ძმავ, მარტო შესრულება კი არა, ჩაბარებაც უნდა. ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ხომ არ გგონია?

— სად გავაშრო?! — ხელები გაშალა კაკომ. — ცის ქვეშ ხომ ვერ გავაშრობ? იქნება და გაავდარდეს?

— შეხედე, კაკო, შეხედე, — არ ეშვებოდა ნოდარი, — ხახვს ფოჩი ჯერ ისევ ნედლი აქვს, ამას თავისი პროცენტი მისდევს. გაშრება და მერე წონაში დააკლდება. იმიტომ არ ლებულობს პუნქტის გამგე. ნამიანი მივიღო და მე წავიდე ციხეშიო?

— ამისი ადვოკატი ხომ არა ხარ?

— სიმართლეს გუებნები და რატომაც გწყინს. შენ თუ წესიერად არ ჩააბარებ, იმას ვერ მოედაეები.

— ნოდარ, მოდი ლობიოს გადმოღებაში მომეხმარე, — დაუძახა საღრმემ.

— რას მომცემ? — გაუღიმა ყმაწვილმა კარის მეზობელს.

— ქადას გამოგიცხოვ, — მიუგო საღრმემ სიცალით.

— დამპირდი რაღა!

— მაშ რა გითხრა... შენს ქორწილში დაგიღლები!

— სათესლედ აიღე ხახვი? — მიუბრუნდა ნოდარი საწყობის გამგეს, როცა ლობიოს საკმაოდ დიდი ტომარა ზურგიით სასწორამდე მიიტანა.

— ავიღე, რა შენი დაშტევა მინდა.

— სად გაფინე?

— ვერა ხედავ, შიგ შევიტანე! ლასტებზე გაფინეს ბიჭებმა. წელი მოსწყდათ მაგის თრევით.

— ხომ კარგად გადაარჩიე.

— არ შემეშლება.

— რას ჩააცვიდი, ნოდარ, ამ ჩვენს მოურავსა, — წამოყო თავი გამხდარმა გუჯამ. — ხახვს არ გავაფლავებთ. სხვა

არაფერი, მწვადს შანც-არ დაგაპირეო? მერე როგორი ბრტყლი დაქრავი?

ნოდარი აღარ უსმენდა შათ. ფარდულს, სადაც პირნახული ეყარა თავიდან ბოლომდე გაუარა. არ მოსწონდა აქურობა. ჯერ კიდევ-ჯარში წასვლამდე რამდენჯერ უთხრა თავმჯდომარეს ფარდული შეეკეთებინათ. შიფერით გადაეხურათ. „ხახვი, ხორბალი და ქერი, ყველაფერი ცის ქვეშ არის, — ფიქრობდა ნოდარი. — თავმჯდომარე არ გვივარგა, მაგრამ რაიკომის მდივანი რაღას აკეთებს? ერთი ამოვიდეს ჩვენთან, გენაზოს რა დღეში ვართ...“

„არ ამოვა და მე ჩავალ რაიკომში!“ — გადასწყვიტა ნოდარმა და-კაბებშეკრულმა გახედა მოურავს, რომელიც გულთანად ხითხითებდა.

4

მარტოდდარჩენილ ნოდარს შინ გაძლება უჭირდა და როგორც კი სამშუშოდან დაბრუნდებოდა, ათას საწვრილმანო საქმეს გამოიჩენდა ხოლმე. დღეს ძალიან მოიწყინა, ერთხანს კიდევ იჩალიჩა ეზოში, მერე კი ორღობეს გაყვა.

სოფლის სისადილოს წინ რამდენიმე შექვიფიანებულ მეზობელს მოკრა თვალი. მიესალმა. იმათაც ეს უნდოდათ. თანამეინახეს ეძებდნენ, სტაცეს ხელი და ნოდარი სისადილოში შეიყვანეს.

— უშენოდ პურს როგორ შევქამდითო, — ეფიციბოდნენ მეზობლები.

— დამანებეთ, ბიჭებო, თავი, — უთხრა ნოდარმა, — სანამ დედაჩემი საავადმყოფოში წევს, ღვინოს რა დამალევიენებს.

— ჰოდა, დედაშენის მალე კარგად გახდომის სადღეგრძელო უნდა დაგალევიენოთ, — არ ეშვებოდნენ თანატოლები.

— რა უნდა ეთქვა ნოდარ კუპრაშვილს მათთვის, უღედოდ დარჩენილი ხმის-გამცემს ეძებდა და მერამდენედ მოეჩივლა? არადა, არც-დალევია უნდოდა, არც ქამა.

ბიჭებმა მაშინვე შეუკეთეს ბუფერ-

ნი სკამელი და ღვინო. ნოდარი მოწყენილი იფურებოდა აქეთ-იქით.

ამ დროს, დაბარებულევით, ენალიკო ილიკოც გამოჩნდა. ბიჭებმა თამაშობაში კომპოკრილი ჰარმაგი გლეხი ახლაც სუფრის თავში ყვენივით წამოასკუბეს.

მიუხედავად იმისა, რომ ილიკო სამოც წელს იყო მიტანებული, კაცი ვერც ამ ასაკს მისცემდა და ვერც დაგვიძღვებოდა მისი დარბაისლური ჰალარის დამნახველი. სარჩაყლაპულივით იყო ეს კაცი, იღვა თუ იჭდა. მაგარ, მზით გახუხულ და შენაოჭებულ კისერზე ლამაზი, პატარა თავი თოვლის გუნდასავით ედო.

ენა სამართებელივით უტყრიდა. თუ დასჭირდებოდა ხვლიკს ეკლიან ღობეზე გადააძვრენდა და ხორუმს აცეკვებდა. სოფელში ენამახვილი კაცის სახელი ჰქონდა დაგდებული და ასეთ სახელდახელო სუფრებზე შეუცვლელი თამადა იყო.

ილიკომ პურს ღუკმა წაატეხა, ხორცი გაიძვანა, მერე საესე ჭიქა აიღო და თქვა:

— გაგიმარჯოთ ბიჭებო, კარგად იყავით! ჩვენ მეზობლურ პურისჭამას გაუმარჯოს. — ჭიქა მოიყუდა და სულმორუთქმელად გამოსცალა. მეორე ჭიქა შეუვსეს. ხვეწნა არ დასჭირებია, მალე ისიც გამოსცალა.

ნოდარი ეკლებზე იჭდა, მაგრამ ერცხვინებოდა უცბად ადგომა და წასვლა.

მეორე ბოთლი რომ გამოცალა ილიკომ, წარმოთქმული და წარმოსათქმელი სადღეგრძელოების რიგი აერია, ცოცხლებს — გაცხონოსო, ეუბნებოდა, მიცვალებულებს კი გამარჯვებას უსურვებდა. სუფრა გაზრდილიყო. სალალოზოდ შეყრილ ბიჭებს თანასოფლელები შემოსხდომოდნენ, ზოგიც ფეხზე იღვა, უბრალოდ, სეირის საყურებლად.

— შემოდგომა იყო, კოლექტივის ბოსტანში წაველ. — ჰყვებოდა ილიკო, — იმ დღეს არ მერტვებოდა, მაგტამ-ვი-

ფიქრე ვიყარაულეებ, საქმეში ჩამეთვლება-მეთქი. ცოტა გადაკრულა მესაფი, მუხის ქვეშ მივწეკი და წავემინე. ჩემმა ძალღმა გადამარჩინა, გველი არ წამომბაროდა, კაცო!

— ფუი, ფუი!

— ჯვარი აქაურობას.

— უხსენებელი რამ გათქმევიანა?

— სუფრა წაგვიხდინა და ეგ არი...

— დაფეთებული კარგახანს გონზე ვერ მოვედი, — თავის ფიქრებში იყო ილიკო. — ამასობაში ბოსტანში ღობეები შემოსულიყვენენ. სად იყო, სად არა თავმჯდომარეც გამოჩნდა!..

— გრძელი კლიმენტი?

— ჭიანხეული სხვა თავმჯდომარე არ გვეყოლია.

— კოლექტივი და კლიმენტი ტყულები არიან, — იცინოდნენ ბიჭები.

— დამინახა თუ არა ნამძინარევი, ბუნანკალივით შემომჩინდა — რა ყარაული ხარ, ღობეები შემოგპარვია, შრომა დღეს არ დაგიწერო.

— ეგრე გითხრა?

— გაუჭირდებოდა მე შენ გეტყვი.

— ეის არ დაუწერ-მეთქი და ჯობს წამოვაკლე ხელი.

— ემაგას კი არ იზამდი!

— ძველებურად გაამლაშა. — ემახო-დნენ აქეთ-იქიდან.

— რას არ ვეტყვოდი? ეუბრაანთ ნოდარი სიუხიზულეში ეუბნებდა, მე როცა გადაკრულში ვარ, უარესიც მითქვამს. — განაგრძო ილიკომ ჭიქას ძირი რომ გამოუჩინა. — წამოველ დაბოღმილი და შინ ჩემსავით ჯავრით ხელამდე გააიბინებული ბიძაშვილი არ დამხვდა! დავლითო — მითხრა. როცა დაღამდა, მერე კი თვალებს მიჭუტავს და ეშმაკურად მეკითხება: ხატში, სასაფლაოზე თუ ახვალა? ცოცხალი მგლისაც არ მშინია, მკვდარი კი თავიცი მაშინებს. მთელი ხატი რომ ეჩუქებინათ, იქ რა ამიყვანდა! ჰამლეტა გაფიქროლე. ჩვენზე აღერ, მოკლე ბილიკით ჩემი დამთხვეული ბიძაშვილი არ ასულიყო! მივედი და რას ვხედავ: ერთი საფლავიდან ფურცლებში ჩაცმული ვატი იღვა და პატ-

დაპირ ჩემსკენ წამოვიდა. თან ბურტყუნებდა, შენი სული მინდა, სულიო... შიშისაგან დავიბლაველ და იმ გორაკებზე სულ ყირა-ყირა წამოვედი. პამლეტა მაჩერებს, შენი ბიძაშვილი ნასყიდა არის, ნუ გეშინიანო. ესლაც რომ გამახსენდება — მაციებს. ეგეთი უბედური იყო ის ცხვირმოჭმული ნასყიდა... აი, შენა გვაგვდა რაღა! — მიუბრუნდა ილიკო პირბუდად კაცს, ყველის ვაჭარით რომ იღრიჭებოდა.

ატყდა სიცილ-ხარხარი სუფრაზე.

ილიკო ღვინოს ისე ყლურწავდა, თითქოს ტიკს ძირი გავარდნიო. სასადილოში ხორხოცი, თამბაქოს ბოლი და ღვინის სუნი იღვა. ნოდარი მოწყენილი იჭდა. არც ღვინო დაუღვებია და არც პირი დაუქარებია საჭმელისათვის. აჭ დარჩენა აღარ უნდოდა, მაგრამ გამოყრუებულ სახლში მარტო მისვლისაც ეშინოდა.

— შეკალოე ვიყავი, ევერში ორი ცხენი შება და პურს ვღეწავდი, ბოლო ჩხუბის დროს რაღა ლემენცებთან... — განაგრძო ილიკომ. — უცებ მოვარდა თავმჯდომარე და თოთხმეტი ცხენი მოტრეკა. იგეთები იყვნენ, როგორც ტანკები. საიდან მოტრეკა, ვინ მისცა, კაცმა არ იცის. დავრჩი მარტო ამ ცხენებთან. არ გასულა დიდი ხანი და ტყიდან ყაჩაღი გამოვიდა. დეზერტირი იყო ის ოხერი, ფრონტიდან გამოქცეული, ტყეში იმალებოდა. ეგ ცხენები უნდა მომცეო, მითხრა. რა ჩემდა ჭირად მოტრეკა გრძელმა კლიმენტიმ ის დალოცვილები! ცხენები ჩემიც რომ იყოს, ვერ მოგცემ, ესენი კი კოლექტივისამეთქი, — მივუგე. ტყიდან სხვა ყაჩაღებიც გამოვიდნენ, ის მწვერავალ გამოეგზავნათ. რახან ეტრეა, შენ მიქელგაბრიელთან გაგზავნით, ცხენებს კი ჩვენ წავიყვანით, — მითხრეს და თან სიცილი დამაყარეს. მერე მიმიყვანეს ერთ ტყემალთან, დაჭევი მანდაო, — მითხრეს. ნუ მომკლავთ-მეთქი, ვეხეე-წყები. ერთი ჯღანა იყო, ბიწმენდელი, შავი შინლით დადიოდა ხოლმე. ვხედავ, ისიც არ გამოვიდა ტყიდან! იმეს

დანახავზე სულ ელდა ქვეყნეცოლო, ყაჩაღები ვისაც მოკლავდნენ, ხევეში ის ჯღანა გადააგდებდა ხოლმე. ვიფიქრე, ეგ არის, ჩემი აღსასრული მოვიღამეთქი. უცებ ხელი რაღაცამ გამოლოკა, მივიხედე და ჩემი ძალღი დავინახე. ყელში ბოღმა გამჩხირა, თავი ისე შეშეცოდა, ლამის ღრიალი დავიწყე. მერე ძალღს ცხენებზე ვანიშნე, სოფლისაკენ გარეკე-მეთქი. ძალღი, ჯერ კიდევ მწყემსად რომ ვიყავი, იქ მყვანდა გაწერთილი. თვალისდახამამამებას ვერ მოვასწრებდი, ათას სულ ცხვარს ისე მოავროვებდა. ესლაც, ვანიშნე თუ არა, შემოურბინა ცხენებს, წინ გაიმწყრივა და გარეკა. ყაჩაღები პირლია დარჩნენ. სამი ცხენებს დაედევნა, ორი კი ჩემთან დარჩა. ერთმა მათუხერი ამოიღო, მეორემ დაუძახა, მაგაზე ტყვიას როგორ აფუჭებ, ხანჯლით დაგკლავ ღორივითო. დაამრო იმისთანა ხანჯალი, მე კი არა — ბუღას მწვადად წამოიციმევედა. ტყემალთან ნაშალი მიწა იყო... ვატყობ, ქვევით მიგეტურავ. ის იყო ყაჩაღმა ხანჯალი მომიღერა, რომ ნაშალი მიწა ჩაიქცა და ხევეში გადაევარდი. მაშინ კი იკადრეს და ზევიდან ტყვიები დამაყარეს, მაგრამ არც ერთი არ მომხვდა. გაუვალ ჭავჭავარში ხელციკვით გავრბოდი...

— პოდა, იმ გადარჩენისა დიდი ჭიჭით დალიე.

ილიკოს უარი არ უთქვამს, კახხას ხარით დაეწაფა და გამოხვრიბა.

— დაუსხი ბიჭო, დაუსხი, — გადაუღამარკეს ერთმანეთს და კვლავ შეუღეს თამადას ჭიჭა.

— რა სიგრილეები დაიჭირა, ბიჭებო, — ამოიხვნეშა ილიკომ. — სექტემბერია და როგორ გრილია. სიმინდი გვიან გახმება. აი ნახეთ, მაგის აღებას იანგრამდე მოუენდებით. ხახვსაც ამოვიღებთ, პამიდორსაც დაეკრეთო, რთველსაც მოვითავებთ. თოვლს რომ ჩამოყრის, მერე ერთ ღორს დაეკლავ და ღორივით მარტო მიგაძღებო...

— გეყოფა, კაცო, — შეუძახეს, რო-

ცა ილიკოს თვალეში ცრემლია გაიბრწყინა.

— ნუ გეშინია, სოფელი ღონიერია. მეზობლის ბაღები შენებიც არ არიან?

— ეგრეა, — უღვაშები გადაიწმინდა თამადამ.

— წელს ბევრი ღვინო გვექნება და სულ იმათი საღვებრძელო უნდა დაგაღვიწიო.

... — ჰო, კარგად გვისხია.

— კახეთი კი დაისეტყვა, — კენტო სიტყვა დასცდა ნოდარს.

... — ეჰ, რაც შე წვიმა-სეტყვა მიწახავს, ნოდარ, — ამოიოხრა ილიკომ. — მწყე-მსობისას, წელიწადი თორმეტი თვე, დარში და ავდარში ცისქვეშ ვეგდეთ. ერთი ხელი ტანისამოსი რომ დამისველდებოდა, გამოცვლას ვერ ვასწრებდი, მეორეც სველი მქონდა. ბიჭები მეტყობდნენ ხოლმე, შე საწყალო, როგორმე დიღამდე გასძელი, მერე შუე ამოთა და გაგაშრობსო. შუე რომ აქოვილოდა, ორთქლი საყურბე ქვაბივით ამდიოდა ხოლმე. მამაძალი ვიყო: თუ გატყუებდეთ! აღარც მუხლები მივარა და აღარც მკლავები. ეგრე მგონია, ორ გაზაფხულს ვეღარ გადავახტები-რეთქი...

— ჩვენსკენაც ხომ არ გადმოჰკრავს სეტყვა? — ჰკითხა ნოდარმა.

— მგელს მგელი ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოგდრო, — ბოღმიანად ჩიოდებდნენ ილიკომ. — ჩვენი უგერგილო თავმჯდომარის ხელში დასეტყვილები არა ვართ?! მე ხომ უბედური კაცი ვარ, ბევრი ცოდვაც მაღვეს კისერზე, მაგრამ კოლექტივის საქმეში არასოდეს არ მიღალატია! გინდა მგელს შეეუქმარე და გინდა მგლისფერ ძაღლსაო, ისეა ჩვენი საქმე ბედუქაძის ხელში. გვეყოფა ჯეილებო... ხომ მოგაღწინეთ?! ამ ჰქიტი წამსვლელ-დამრჩომს გაუმარჯოს... — თქვა, ჰქი დაცალა და წამოიწია ასადგომად.

დაღლილს და ნაღვინევს ნოდარი მხარში შეუღვა და სახლშიღე მიაცილა.

მერე უარესად მოწყენილი და მოქუდრული თვითონაც წავიდა მინსკენ.

5

ერთი თვე ნოდარი არ მოსცილებია საავადმყოფოს კარებს: თამარის ჯანმრთელმა სხეულმა გაუძლო არნახულ ტკივილებს და ეჭიმიბმა ფეხზე წამოიყენეს. მალე ნოდარს ნება დართეს, დედა შინ წაეყვანა.

კიდევ ორი კვირა გულის ფანჯალში გაატარა ნოდარმა. როგორც კი მუშაობას დაამთავრებდა, მაშინვე მოირბენდა, დედას ხელით აქმევდა და ასმევდა, თავს დასტრიალებდა, აიშვებდა.

გავიდა ორი კვირაც და თამარს სახეზე სახვევი შეხსნეს. ნოდარი უტკრემლოდ ატრდა ერთ ღროს მისი უღამაზესი დედის დამწვარ-დამახინჯებული სახის დანახვაზე. მაგრამ მთავარი უბედურება წინ იყო: თამარი ვეღარ ხედავდა...

სიცოცხლით სავსე, ჯანმბარო ქალი ოთხში უნდა გამოეკტილიყო და დიდიდან საღამომდე, ხელების ცეცებით, თავისი ძველი მოგონებებისათვის ეღებნა.

— შეილო, — უთხრა ერთ დღეს თამარმა ნოდარს, — საქმეს ნუ მოსცდები, მე მეზობლებიც მომხედავენ.

— მარტო როგორ დაგტრვო, დედა?

— გულით მინდოდა, შენი ცოლისათვის კარგი დედობა გამეწია... — ამოიკენესა თამარმა. მარკას წერდი, შეილო, ჯარიდან წერილებს? — ღიმილის სივიმა გადაურბინა დამწვარ სახეზე და ისე საზარლად მოკმუქნა კანი, რომ ნოდარს უცერად გული შეუქანდა. — ეს ორი წელიწადი, — განაგრძო თამარმა, — რაც ჯარში იყავი, არ მოშორებდა.

— ეხლა სად დაიკარგა? — დარცხვენილმა ჰკითხა ნოდარმა.

— შენი ერიდება, ბიჭო! როგორც კი მინდორში გაგიგულეხს, მაშინვე მოვარდება. აბა, ცხელ ყერქს და გაუთოებულ შარვალ-ხალათს ვინ გახვედრებს?

— კლიშენტი დამპირდა სამშენებლო მასალას, — თქვა ნოდარმა. — ბიჭებოც

დამეხმარებიან, სახლს მეორე-სართულზე უნდა დავადგა.

— მარტომ ამოდენა ტვირთი როგორ უნდა ასწიო?

— შენ მყავლე კარგად და ყველაფერს მოეცლება.

— ისეთივე ჭიუტი ხარ, როგორც მამაშენი.

— კარგი დედა.

— ეგ არ მინდა, რომ მითხრა. დამპირდები და მაინც შენსას გააქეთებ. დედა ვერ დამინახავსო...

— დედა! არა გცხვენი! — წამოიჭრა ნოდარი, მოეხვია და დამწვარ ლოყაზე აკოცა:

— იცოდე, შვილო; დედის გული ყველაფერს ზედავს...

— ღაიხვენე, დედა, — ნოდარმა ხელი მოკიდა, აივანზე გაიყვანა და ღობესთან მომღვარ სალომეს ანიშნა, ამოდი, მონებმარეო.

— ასე გადიოდა დღეები. თამარი ეჩვეოდა თავის წიმივ მდგომარეობას. მარტომ ჯერ აივანზე გზიარა, მერე სამზარეულოში ნოდარს ჭურჭელი დაალაგებინა და თან თითოეულის ადგილი ათქმევინა. ბოლოს ქვაბები გარეცხა და კარტოლილი გაფცქვნა. ერთ დღეს კი, მეზობლების დაუხმარებლად, შვილს თავისი ხელით დამზადებული კერძიც დაახვედრა.

დედა-შვილმა ტკბილად ისადილა. მერე ნოდარი შეუღამემდე მინდორში იყო და ზნავდა. შინ რომ დაბრუნდა, დედას უთხრა:

— დედა, წიგნს წაგკითხავ, გაერთობი.

— ნაჯაფარი კაცი რას მეუბნები, შვილო, არა გრცხვენი? დაწევი და დამძინე; — წყნარად უთხრა თამარმა.

— დღეს ცოტა აღრე დაბრუნდა ნოდარი წინაღობიდან, ტრაქტორისტებს სწავავი გაუთავდათ და არაეინ რომ არ გაკითხავი, შენისაკენ წამოვიდნენ. ჯერ კიდევ ყურში ესმოდა ნოდარს თავისი ღიზელის ხმა. მიწა ისევ მიდიმოდიოდა, ცხელი ჰაერი თონიდან ავარდნილი ალივით იგრიბებოდა. ნოდარი კი თით-

ქოს ისევ კისერმოგრებილი ნახნავის კვალს გააყურებდა, რომელი გამოეცხებულყო...

სახლის წინ, კიბესთან კარგახანსი-დგა დაფიქრებული და ფილაქანზე. პრელ-პრელ; ბაწია კენჭებს დაყურებდა. მათთვის ხან ყურადღებაც არ მიუქცევია, ხან კი, როგორც დღეს, დაეცქერდებოდა რაღაცით გაოგნებული.

ერთი წლისა მამამ მიატოვა; მამა მუშა კაცი ყოფილა, მაგრამ ვიღაც-ახტა-ჯანა ქალს გადაპყროა და იმის აუბნე-ვია გზა-კვალი. თამარს დღემდე იმედი ჰქონდა, რომ ქმარი „გონს მოეგებოდა“ და დაბრუნდებოდა. უმამოდ გაზრდილ ნოდარს უნახავი მამა მაინც უყვარდა და ეგონა, ის რომ ჩემთან ყოფილიყო, სულ სხვანაირად აეწყობოდა ცხოვრებას...

კარები დედამ გაუღო.

ნოდარმა ხმაამოუღებლად შეღაცაოთახში.

თამარს ხელების ცეცებით სუფრა კარგახანია გეშალა, მაგრამ შვილის მოლოდინში ლუკმა ვერ გადაეყვანა.

ნოდარმა რატომღაც უგემურად ისადილა. თვალი უშტერდებოდა და ერთ წერტილს მიჩერებული სივრცეში უახროდ იყურებოდა.

სადილის მერე ტახტზე გადაწვა, ხელები თავქვე ამოიღო და ჯერს შეხედა. მზერა პერიდან კედელზე გადაიტანა. მერე უბრალო ავეჯს მოავლო თვალი, ყველაფერში რაღაც უხილავი სიბოი ადგა; ოჯახის სიმკუდროვე. მოწყენა იგრძნო. წამოდგა. რაღაც სქელ-ტანიანი წიგნი გადაფურცლა, ემძიმა წაკითხვა. კითხვის გუნებაზე არ იყო.

ოთახში სრული სიმყუდროვე სუფევდა.

„მიილია ეს შემოდგომა; — გაიფიქრა ნოდარმა. — რას მოგეიტანს ახალი წელი? მეორე სართულს დავამთავრებ? ნარივას შევიერთავ?“

უცებ სიცოცხლისკისი მოისმა. ნოდარი ფანჯარასთან მივიდა და გაიხედა. მხოლოდ ახლა გაახსენდა, გაბამეგრელები დღეს ქალიშვილს-ათხუფებდნენ. დე-



და-შვილიც იყო დაპატივებული... თამარს ხალხში გამოჩენისა ერიდებოდა, შებრალება უფრო გულს უკლავდა. ნოდარი კი მარტო ვერ დატოვებდა დედას.

ეზოს წინ ჩოჩოლობდნენ ახალგაზრდები, კისკისებდნენ გოგონები.

ნოდარმა კიშკართან ორ კაცს მოკრა თვალი. დაბალი და თეძოვანიერი სივარეტს სწევდა, მაღალი კი, ღერჭი შარვალ-ხალათი რომ ეცვა, იღიმებოდა და მათგან იყურებოდა.

— ვის უყურებ, შვილო? — ჰკითხა თამარმა.

— ვკითხვლობ, — იცრუა ნოდარმა.

— შენი სუნთქვა რომ არ მესმის?

— გაბაშვილების ეზოს წინ უცხო სტუმარია...

ნოდარი გაჩუმდა. თვალზედა იქცა ფანჯარას შუბლი მიადო, დაეინებული მზერით გუგები აუწყულიანდა.

გაბაშვილებთან სინათლეები აანთეს და დღესავით განათდა იქაურობა. ნოდარი კვლავ გაუნირველად იდგა ფანჯარასთან.

— ორღობეში გავალ, დედი, — წამოიძახა მოუთენერლობისაგან სახეწამო-კარხლებულმა.

— მარტო ნუ დამტოვებ, — შეხევე-წა თამარი.

სწორედ იმ დროს, მაღალი კაცი თანამოსაუბრეს დაემშვიდობა და პირდაპირ კუპრაშვილების სახლისაკენ წამოვიდა.

ნოდარმა საკუთარი გულისცემა გაიგონა. ველარაფერი თქვა, ერთბაშად გაუშრა ყელი.

ოთახში ჩამოწოლილმა სიჩუმემ თამარი ააწრიალა.

— ნოდარ... — წაიჩურჩულა მან.

ნოდარი გაუნირველად იდგა.

კიბესთან ვიღაც შეჩერდა.

„ეხლა დაიძახებს!“ — უბაგუნებს გული.

— თამარ! — მოისმა ხმა.

თამარი წამოხტა და კარებისაკენ, როგორც თვალხილული, შეუტეოდომლად გაქანდა. ნოდარი წამოეწია, ხელი მოხ-

ვია. რომ დედა არ წაქცეულყო...!!

უცნობი კიბეზე ამოვირდა...!! ნოდარმა კარები გააღო.

— დედაშენი შენ არი, ყმაწვილო? — ჰკითხა უცნობმა ნოდარს.

— სანდრო ხარ? უი, შენ დაგწყევლოს ღმერთმა, — თითქოს ტირისო, ისე გაიღიმა თამარმა, როცა ხმაზე იცნო მოსული. — პენსიების უფროსია, შვილო, მცხეთის აღმასკომში, — გადურლაპარაკა ნოდარს.

— მობრძანდით, — შეიპატივა ნოდარმა და მხოლოდ ახლა გაახსენდა, ეს კაცი მრავალგზის ენახა, როცა დედის პენსიის დასანიშნად დარბოდა. „ასე რამ გამომაშტერაო“, — უჯავრდებოდა თავს.

სანდრო თამამად შემოვიდა, სკამი გამოსწია და დაჯდა.

— ცუდი ხომ არაფერია, სანდრო?

— ჰკითხა თამარმა.

— სამახარობლო მეკუთვნის, თამარ! პენსია მოვიმატეს.

— რა მითხარი?

— პირველი რიცხვიდან ოთხმოც მანეთს მიიღებ.

თამარი ჩუმად იყო.

— რაო, ხომ არ გეწყინა? — გაწბილებულმა იკითხა სანდრომ, როცა დაინახა, რომ დედა-შვილი ამ სასიხარულო ამბავს საკმაოდ ცოკად შეხვდა. — გულმა აღარ მომითმინა არ მეხარებიანა... — თითქოს თავს იმართლებსო, სანდრო კარებისაკენ საქციელწამხდარი მიდიოდა.

— თურმე ვინ ყოფილა... — კარგახნის სიჩუმის შერე წაიჩურჩულა თამარმა.

შერე, მთელი საღამო, ნოდარი ეზოში კუნძზე იჯდა და გოდორს სწნავდა. თამარი უსინათლო თვალებით მისჩერებოდა შვილს და უსმენდა.

— ცუგრიანთ შალიკომ მთელი კალათა ცოცხალი ამოიტანა, — უამბობდა ნოდარი, — ადრე მოხარშავდა და მეზობლებს დაგვიძახებდა, — ეხლა საბაზრედ ამზადებს.

— ეებს, გაფუქდა კაცი... — წაუტირა თამარმა. — სადმე ქელესხ ან ქორწილს შეიფუტებდა და მამისისხლად გაჰყიდის.

— ჩვენ კიდევ რა გვიკირს, დედი, — მსხვილი ლერწმი ჯერ გადაგრიხა და მეტე მოთელა ნოდარმა, — სოფლად პატრიც შეგვიანახავს. რა ჯანი აქვთ, შენი შირიმე, როგორ სძლებენ ქალაქელები? შინ თავისი მოყვანილი მწვანელი არა აქვთ, კარტოფილი არა აქვთ, მაწონი არა აქვთ... ჩვენ კიდევ რა გვიკირს!

— სოფელში კაცს ცხვარიცა ჰყავს, ღორიც და ძროხაც, — დემონწმა თამარი. ყურბენს დაწურავ და ღვინო ცალკე, არაყი ცალკე.

— მე კი შინდის არაყი მირჩვენია, — ეშმაკურად ჩაიციხა ნოდარმა. — გახვალ გილაურაანთ ტყეში, გინდა შუაგორში და დაკრეფე შინდსა. გუშინ ამირანის ბაღშია ორი ტომარა შინდი მოიტანა, — სიცილით დაუმტა ნოდარმა. — გავიდა ხელდახელ ტყეში და მოიტანა! შევებეწე, არყად გამომახდევინე-მეთქი. არაო, ქალაქში უნდა წავიდო, კილო მანეთი ღირსო. გესმის, დედი! ე ქალაქელები, რამ გაასულელა?! შინდი რა არი, ტყის ხილია, ჩამოვიდნენ, დაკრიფონ, ვინ უშლით იმ მამაცხენებულებს, მუხლში გამლა მაინც არ უნდათ? არ უნდათ და ეგე, მისცენ მანეთი, ახალი ჩემი დარდი.

— რაო, მოიმწვინილეს უკვე საკურდღლეები? — ჰკითხა თამარმა.

— გუშინ დაიმთავრეს, — გოდორს ძირი გამოუყვანა ნოდარმა და ახლა კედლებს აჰყვა. — მართლა, გაიგე დედი, ახალი ამბავი, კოლექტივი კველიანის მეურნეობასთან უნდათ გააერთიანონო! საწყობის ფარდულის შეკეთებას რომ თავი ვერ მოაბა მოურავმა, ნაშინ ჩაველ მღვიანთან და იმან მითხრა.

— შეიცვლება რამე?

— მაჯაზე საათს გაიკეთებ.

— არაფერი მეყურება.

— მეურნეობაში რვა საათი იმტე-

ვებ და არა ისე, როგორც ხლა, დილიდან საღამომდე. თანაც, თვეში ორჯერ მიიღებ ხელფასს...

— შენ პირს შეჭარი, შვილო. მაგას რა სჯობია, — უთხრა თამარმა და ნოდარს მთელი იღლია ლერწმი გადააწოდა.

6

კლიმენტის მეუღლე იდა თავიდანვე არ მოუვიდათ თვალში ჰიანხეველებს. ეს გატყლარპული, ხმელ-ხმელი ქალი კაკლის საბერტყ ხალხს რომ ჰგავდა, ცხვირაბზუებუელი დადიოდა და დღე იყო თუ ღამე, ქოლგას არ იშორებდა კლიმენტი თავდაიწყებით იყო შეყვარებული ცოლზე; იდა კი დღენიადაგ ბედს დასტიროდა.

— მაშინ დამეცხო თვალები, მშვენიერი მთხოვნელები რომ მყავდა და... გიორგი კინწურაშვილი, ახლა ტრესტის მმართველია! ვალიყო ჩხეიძე! როგორ შეხვეწებოდა, ფეხქვეშ მეგებოდა... ახლა მინისტრის მოადგილეა. შენ კი...

კლიმენტი გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ ცნობას რაიკომის პლენუმის შესახებ თვალებდაჰყვითილი დასცქეროდა.

— ამ გამოყრებულ სოფელში ამოგივა სული. აღარც ღმერთს ახსოვხარ და აღარც კაცს — ტიროდა იდა.

— ჰიანხევს არაფერი დაეწუნება. მალე ამანოს მშენებლობას დაიწყებთ.

— წადი და მექისედ დადექი! — დარევილა იდამ. — ჯერ სახელს დამიხედეთ ჰიანხევი. ხევი რა არის და ისიც დაჰიანხებული. თავმოყვარე აღამიანი ამისთანა სოფელში გაჩერდებოდა?

— სახელს რა მნიშვნელობა აქვს. მშვენიერი ბუნებაა, ხალხიც არ არის ურიგო.

— მო, ურიგო არ არის! გუშინდელი ღლაბი ჰკუას გასწავლის. ღმერთო ჩემო, ჯარში იყო, აკადემია ჰომ არ დაემთავრებია, რომ ყველგან ცხვირსა ჰყოფს.

კლიმენტის კუპრაშვილის გახსენება-

ზეც კი ბერიალებდა. ცოლის ნათქვამი ვინომ ვერც გაიგო და ბრძნულად შენიშნა:

— მაღალ თანამდებობაზე რომ დაგსწავნა, ცოტა ზემოდანაც უნდა გქონდეს შინადაშვება.

— შენ მიზეზი არ გამოგვლევია, — გაანჩხლა აიდა, — ხან ზემოდან მხარდაჭერას წუწუნებ, ხან ქვემოდან კრიტიკას ჩივი... გამომკეტე ამ გამოყრუებულ სოფელში და ჩემი კეთილშობილური პროფესია დამავიწყე. — ცრემლს იწმენდა აიდა.

— ვინ გიშლის მუშაობას?

— როგორ მეხვეწებოდა პროფესორი ასპირანტურაში დარჩენას... ქარაფშელტა ვიყავი და ახია ჩემზე ყველაფერი.

ბედუქაძემ იცოდა, აიდა ახლა სტრამატოლოგიური კაბინეტის უქონლობას შიშივლებდა, მერე ჭიანჭველების დაჭიანებულ კბილებს გადასწვდებოდა, ბოლოს კი, ვალერიანის წვეთებს მოატანიებდა ქმარს. ეს ძველი, უმცირეს დეტალებამდე ნაცნობი ფირფიტა იყო. მაგრამ დღეს ფირფიტა გატყდა იმ მომენტში, როცა აიდას სტრამატოლოგიური კაბინეტი უნდა ეხსენებინა და მან თვალცრემლიანმა წამოიძახა:

— და კიდევ გყოფნის სინდისი, შენომხედო?

კლიმენტის სიკვდილმისჯილივით იღვა.

აიდამ კარადიდან სუნამონაპერები ცხვირსახოცი გამოიღო თვალბზე ფრთხილად გადაისვა, რომ მოხატული ჭუთუთოები არ წაეხდინა და ნალღლიანად თქვა:

— აქამდე კიდევ ბედნიერი ვყოფილვარ...

კლიმენტის გაცუბისაგან ქვედა ყბა ისე ჩამოუვარძელდა, რომ კბილებშუა ენის წვერიც გამოუჩნდა.

— რა დაგემართა, აიდა? — ჰკითხა ჩემად და ცოლის კიდევ ერთი ცრემლი საკმარისი იყო, რომ ბედუქაძე მუხლებზე დამხოხბილყო.

— დიდ-მატარა ამას ლაბარაკობს, — რას? — თვალბზე სათვალისნოდენს გაუხდა კლიმენტის.

— რისთვის მოიყვანე ის ხეპრე გოგო ფერმაში?

— მარკია?

— სახელიც როგორ დაუსწავლია, — ჩაიციინა აიდამ.

— არაფერი მესმის.

— წინათ ფერმაში წელიწადში ერთხელ არ შეიხედავდი, ახლა ყოველდღე გხედავენ.

— იმიტომ, რომ ის ვაგბატონი ამიხიარდა!

— მიდი და მარკიას გეუბრებო?..

— კრებზე გამოვიდა და ხალხი ახარხარა. მწყენსებიც აიყოლია. იცოდე ერთი რა ბოღმა ტრიალებს ჩემს გულში.

— შე ყველაფერი ვიცი, — მრავალწინმუნელოვნად თქვა აიდამ და თემარების კვალუცი რხევით აივანზე გავიდა.

7

ნოდარმა ბარვა შეწყვიტა და ლობესთან მივიდა.

— ვინ არიან, შვილო? — დაუძახა თამარმა.

— ცუგრიიანი იკითხეს.

— გადასულიყავ კომპერატევში და ის ქვაბი შენც წამოგვლო. ქვეყანამ იყიდა.

— ჯამ-შურქელი გვაქლია, დედი? — ჩაიციინა ნოდარმა.

— გვაქლია, შენმა გახარებამ. მზითვისა დამიტვრა და მამიშენის დანატოვარი მოწაფეებმა ჯართად წაიღეს. პატარაბაღს რომ მომგვრი, მოსაკალ ქვაბეში ხომ არ გავაყეთებინებ კერძს.

— შეტი დარდი არ მოგცა ღებრთმა, — ნოდარმა ბარი ხეზე მიაყუდა და მყუდროზე დაჯდა.

მკედრის მზე დამდგარიყო ქედის თავზე და მისი სხივები სითბოს კი არა, რაღაც ნალღლიან შუქს ფენდენ ეზოს. ნოდარმა მაინც მოძებნა განათებული კენჭული და ქვეტიკირის კედელს ზურგით მიეყრდნო.

კედლის უფრო თბილი იყო ვიდრე

მიწა. ნოდარს ბეჭები გაუთბა და გულთანადაც თითქოს რაღაც მძიმე ლოდი მოსწყდა. ორღობეს გასცქეროდა და გამგულელ-გამომგულელს თვალს აყოლებდა.

მზე უკვე ჩასულიყო, მაგრამ ქედი ისევ განათებული ჩანდა. ეზოში თანდათან ეშვებოდა სივრცე. მინდვრიდან, სადაც ბიჭებს ფეხბურთი გაეხურებინათ, სიცილ-ხარხარი ისმოდა.

— წადი შვილო, ტოლებში გაიარე, გეყო მუშაობა, — უთხრა თამარმა.

ნოდარი თითქოს ამას ელოდა, მკვირცხლად წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ორღობეში გავიდა.

თბილისიდან ჩამოსულ მსახიობებს კლუბში საესტრადო კონცერტი უნდა ჩატარებინათ და მართალია, კონცერტის დაწყებამდე ჯერ საკმაო დრო იყო, მაგრამ სოფელს დასტყობოდა მისთვის საინჟინიო. ერთგან სახეწამოწითლებული გოგონები კაბებს იუთოვებდნენ, მეორეგან ფეხსაცმელს იკრიალებდნენ. თემშარაზე კი, სადაც ის იყო გაიარეს მსახიობებმა, დედაკაცები გაოცებული უყურებდნენ წვივმალაი ქალების მოკლე კაბებს და ეჭვიანად ტურებს აცმატუნებდნენ. ბიჭებს კი, ესტრადის ვარსკვლავები ლამის ჩაეყვანათ.

ნოდარს ნაენობი სიცილი შემოესმა. მოიხედა და მარიკა დაინახა. გოგონას უთო ეკირა ხელში და რატომღაც დარცხვენილი იყურებოდა.

— ჩემი უთო გადაიწვა, — ხმადაბლა უთხრა მარიკამ, — შალიკოსთან გადავედი, რომ გაეკეთებინა და შინ არ დამხვდა.

— შალიკომ „დეზერტირზე“ ცოცხალი წაიღო, მოკვდა ის დრო მონტირობაზე რომ თავს სდებდა.

— კონცერტზე ხომ მოდიხარ?

— პირს გაევიარისავ და მზად ვიქნები. მომეცი ეგ უთო, — უთხრა ნოდარმა, გზისპირზე, განათებული ადგილი შეათვალა და ჩიბიდან ჩაყვია ამოიღო. — ახლავე გაეხსნი და ვნახავ, სპირალი იქნება გაწყვეტილი.

სანამ ნოდარი უთოს შეეკეთებდა, მარიკა თვალმოუშორებლად მის ცხვირზე უზარადად უმაწვილს. რამდენჯერმე მის თვალს შეეფეთა და წყნარად გაუღიმა.

— კონცერტის მერე წყაროზე დაგელოდები, — უთხრა ნოდარმა. — ცალ-ცალკე ჩავიდეთ, ხალხი რომ გაიშლება.

— მოვალ... — ისევ გაუღიმა მარიკამ.

— ესეც შენი უთო, — გადააბა გაწყვეტილი სპირალი ნოდარმა, — კაბის გაუთოებას მოასწრებ, მერე კი მალე გადაიწვება. სპირალის გამოცვლა უნდა, ვიყიდი და გაგიკეთებ.

— რა სალაპარაკოა, — შინისაკენ მირბოდა უკვე მარიკა, — კონცერტზე მოსვლა არ დაგაგვიანდეს!

ნოდარი ერთხანს გაჰყურებდა მარიკას, მერე გაახსენდა რომ წვერგასაპარსი იყო და სოფლის სადალაქოსაკენ გასწია.

სანამ ნოდარი სადალაქომდე მივიდოდა, გზად რამდენიმე მეზობელს შეხვდა და მოეჩვენა, რომ მათ იცოდნენ დათქმული პემანის ამბავი. მაგრამ აკვირებული ეჭვი მაშინვე გაუქრა, როგორც კი სადალაქოში შევიდა.

სავარძელში მოხუცი თადეოზა იჯდა.

— ხომ არაეინ გელოდებო? — ჰკითხა ნოდარმა დალაქს.

სულიკოს რიგში ათი კაციც რომ ჰყაროდა, ახლად მოსულს მაინც ერთი გაუზიარებულ სიტყვას ეტყოდა:

— შენს მეტი არაეინ არის.

სავარძელში ჩამძვრალ ქათმის პალოსხელა თადეოზას სახე გასაპნული ჰქონდა, მხოლოდ ჰროლა თვალები და წითელი, სტაფილოსავით ცხვირი მოუჩანდა, მაგრამ მაინც ახერხებდა მოეთხრო კლიმენტიმ რა უღმერთოდ დააკლო შრომადღეები.

— ეგ იმიტომა, ერთხელაც რო ხახვივით შარია, — ჩიფჩიფებდა თადეოზა.

— აი აქ გვიდგას ამოღებული ხმალი. ზ. პანკო, — სულიკომ ნოდარისაკენ ანიშნა, — ეგ ამბავი დაწერილებით მოუყვეი და ძველსა და ახალ ვალებს ბე-

დუკაძეს სულ სიმღერით დააბრუნებინებს.

— ოღონდ ეხლა არა, კონცერტზე მაგვიანდება.

— ხვალე იყოს, შვილო, ხვალეც ამ თვისაა, — გული მოეცა თადეოზას.

ნოდარი მოუთმენლად დაჰყურებდა საათს. სულიცოს არ გამოეპარა მისი მღელვარება. დალაქს წესად ჰქონდა, რასაც ერთი მუშტარი დააკლებდა, მეორის ჯიბიდან უნდა ამოეღო. ახლა ამ წესისათვის უნდა ეღალატა და ამიტომ არ ჩქარობდა.

ნოდარი სავარძელში რომ ჩაჯდა, მთის გადაღმიდან მთვარეცაც ამოიხედდა.

— სულიცო, კონცერტზე არ დამავიანო იცოდე!

გარეთ რომ გამოვიდა, ორღობეები ცარიელი დახვდა. დიდ-პატარა ყველა კონცერტზე გაკრეფილიყო. ნოდარმა გულხეტქებით აირბინა აღმართი და კლუბის წინ მარიკა რომ დაინახა, მხოლოდ მაშინ მოითქვა სული.

კონცერტის მერე, ნოდარი შეუძმენველად გამოეყო ტოლებს და წყაროზე ჩავიდა. მართალია, ხევში უფრო ბნელოდა, ვიდრე გზაზე, მაგრამ ნოდარმა თითოეული კენჭი იცოდა სად ეგდო. ამიტომ ბილიკი ისე ჩაიარა, ბალახის ღეროც არ შეუტოკებია. პეშვით წყალი დალია და გული გაიგრილა.

სრული სიწყნარე იყო. დამე თანდათან მშვიდდებოდა და ადამიანს ათას გამოუცნობ საიდუმლოს პირდებოდა. კრიკინობელების რულისმომგვრელი კრიკინი აესებდა შემოგარენს.

ბადრი მთვარის სხივები წყაროს წყალში იმსხვრეოდა, ბილიკებს, მთის კალთებს შუქი ეფინა, ხევში ყვითელი, მქრქალი, მგრძნობიარე სინათლით ლიბლიბებდა ყველაფერი და ნოდარმა თავისი ჩრდილიც დაინახა.

სადაც არ დადგა ნოდარი, ყველა მხრიდან ჩანდა. უნდოდა შორიდანვე გაეგო მარიკას ფეხისხმა, ბილიკს გასცქეროდა და ხვეის ყელს თვალს არ ამორებდა. როგორც გაფაციცებით არ

უთვალთვალებდა ნოდარს, მაგრამ მარიკა მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა იგი უკვე წყაროზე ჩამოსულიყო.

— საღამო მშვიდობისა, მარიკა.

— ძლივს გამოვალწივ გოგოებს. მიმიხედნენ, რომ შენთან მოვდიოდი.

— გეოქვა გულაბდილად.

— იქნებ აქაც წამომეყვანა?

— ცოტახანს მოიცადე, ნუ ჩქარობ, — უთხრა ნოდარმა და ხელი მოკიდა. მარიკას ცივი ხელი ჰქონდა, მღელვარებისაგან უთრთოდა.

— წამოდი ჩემთან, მარიკა. თავი დაანებე ვინ რას იტყვის.

მარიკა ქვაზე იჯდა და ღროდაღრო ისე შეხედავდა ნოდარს, რომ ყმაწვილი უზარმაზარ ხევში ადგილს ველარა პოულობდა. მერე მარიკაცაც წყალი დალია. სველი ლოყები და ნიკაპი ცხირსახოციტ შეიმშრალა და ნოდარს გაუღიმა.

— მოგიტაცებ! — წამოიძახა ნოდარმა. — სულ გადავიკარგები აქედან.

ხევში სრული სიჩუმე იყო და მარიკას სიცილი ზარივით ესმოდა. ნოდარი მიხვდა, რომ მარიკა უყვარდა, მაგრამ მიხვდა იმასაც, რომ იგი ვერ პოულობდა საჭირო და გულწრფელ სიტყვებს ამ გრძნობის გამოსახატავად. დარცხვენილი გაჩუმდა და მარიკა ისე მიაცილა ორღობემდე, რომ ხმა აღარ ამოუღია.

8

ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, გრძელი კლიმენტის საქმე სწორედ ასე იყო. თამარი, დილიდან საღამომდე რომ კრიკაში ედგა ბულალტერსა და საწყობის გამგეს, როგორც იყო პენსიაზე გააცილა, მაგრამ ნოდარმა სულ თავბედი აწყველინა. „რატომ ჯარში ფეხი არ მოსტყდა, რა ჩემ ჭირად დაბრუნდა ეს ბიჭო“, — ხშირად უთქვამს კლიმენტის მეუღლისათვის.

კლიმენტი ხედავდა, ნოდარი სოფელში ყველას უყვარდა. გამრჯე, საზრიან ბიჭს პატრეს სცემდნენ, თვალში რომ ჩავარდნოდათ — ხელს არ ამოიხვამდნენ. მაგრამ ბედუკაძეს „აღზრდის“

საკუთარი მეთოდები ჰქონდა, მას არ შეეძლო დღენი დაეკეთა არ ესწავლებინა.

— ვნახე შენი მოხსნული, — უთხრა ერთ დღეს კლიმენტიმ. და უცებ, მოსხლეთით მიახალა: — ხალხს რატომ მიჯანყებ? რა შენი საქმეა, კუპრაშვილი, სად როგორი ნიადავია? — საანგარიშოს მავთულზე ერთი რგოლი ჩააკურა კლიმენტიმ. — სად რა დავთესოთ? — მეორე რგოლიც მიაყოლა. მერე გაცურებულ რგოლებს ხელისგული დააფარა, უკანვე გამოყარა და ნოდარს მიუთვალა: — დაგვაღუბენ — მოხანი! დაგვაღუბენ — დათესე! სხვა შენ არ გვეითხება. — და უცებ სამ ტყვიასავით მიატედა: — ბრიგადირი ხარ? თავმჯდომარე ხარ? მდივანი ხარ?

— ნოდარ კუპრაშვილი ვარ.

— ეგ შეც ვიცი? — სწრაფად მიუგო ბედუქაძემ და გუნებაში შეუკურთხა. — რა შენი საქმეა, მიწა ნოყიერია თუ მწირი? რატომ ერევი ხელმძღვანელობის საქმეში? ვინ გვეითხება, სორბალს დავთესავთ თუ სიმინდს?

— ხელს თუ გიშლი, წავალ კოლმეურნეობიდან, თავმჯდომარე, — ვაბრაზდა ნოდარი.

— ვინ გაგიშვებს, რომ წახვიდე? მე გამოგზარდე და სხვას მუშად დაადე? არ გამოგვივა. აქ იქნები და იმას გააკეთებ რასაც დაგვაღუბ, — დაიყვირა კლიმენტიმ და უცებ, თითქოს რეპროდუქტორი გამოართვოს, გაჩუმდა.

ყოველი ასეთი საყვედურისა თუ შენიშვნის მერე ბედუქაძე გაჩუმდებოდა ხოლმე, თითქოს ამით დროს აძლევდა თანამოსაუბრეს გონზე მოსვლისა და მოფიქრებისათვის. ნოდარიც ჩუმად იყო. პოლოს თავი აიღო და თავმჯდომარეს შეხედა. კლიმენტიმ კუპრაშვილის თვალბრწყინებას კვლავ ჯიუტი გადაწყვეტილების ნაპერწკალი დაინახა და ისევ ცეცხლი შეუთთო:

— რა შენი საქმეა, ახალ ბოსტანს სად გავაშენებთ? ამასე არსებობს, ზემდგომი ორგანოების მითითებებამდე საბოსტანე

ტნე ნაკვეთი სოფელთან მდებარე უნდა იყოს, შენა ბრძანე?

— ვანა ტყელია? ბოსტანს ყოველდღე უნდა მიხედვა. გლეხმა ნახევარი დღე თუ გზას მოანდომა, ხომ დაედუბა ბოსტანი?

— კოლმეურნეობაში არსებობს სუბორდინაცია... — ბედუქაძეს უყვარდა, როცა მისი სიტყვები არ ესმოდათ, ეგონა, ამით უფრო უმტიყდებოდა ავტორიტეტი.

ნოდარმა წასვლა დააპირა.

— მოიცა, მოიცა, — შეაჩერა კლიმენტიმ, — კიტრის ჩითილებთან რა გესაქმებოდა?

— ჩითილს ნაკარი ჰქონდა და პოლიტიკონის სახურავში ჩაიწვევბოდა.

— ჩემთვის უნდა გვეითხა. იმისი არ იყოს, — დაუმატა ბედუქაძემ, — ხიდი რომ ჩამოანგრე?

— ხიდს მე როგორ ჩამოვანგრევდი. ნიადვარმა წაიღო, თავმჯდომარე! წულიკსათვის გზა რომ არ ვადამევეტა — ნათესებსაც წაიღებდა.

— საიდან გაჩნდა ნიადვარი?

— ალბათ მთაში იწვიმა.

— რატომ არ აცნობე ხელმძღვანელობას?

— სად იყო მაგის დრო, წინამძღვრის ანთხევიც ადიდებული იყო, ხეები მოქონდა. კალაპოტი ლოდებით ამოვხერგე და წყალს გეზი შევუცვალე. თენდებოდა. შინ რომ მივედი.

კლიმენტიმ ქალღღებები გააწყო, გაშლილი ფანქრები წამოკრიფა, ცერად აათვალიერა კუპრაშვილი და უთხრა:

— რა ვინდა მაგითი თქვა? სტიქიური უბედურების დროს, ხელმძღვანელობამ სოფელი მიატოვა, შენ კი ვმცრობა ჩაიღინე?

ნოდარმა მხრები აიჩინა და გაოცებული გავიდა კამიჩეთიდან.

9

— ეველიანში რა საქმეზე იყავი? — ვკითხა ნოდარს ილიკომ.

— ნახე, მიწა როგორ გამოიფიტა! იქნებ რაზე ეშველდს-მეთქი.

— ეგ ამინდის ბრალია, — თქვა ვანომ.

— მარტო ამინდი არაფერ შუაშია. მიწას ისევე უნდა მოვლა, როგორც საკუთარ ცოლ-შვილს.

— საბანი როგორც გავწედეს — ფეხი ისე გაიშვირეო.

— მიწას უნდა მოაყვებინო.

— ძალადობით არაფერი გამოვა, შვილო.

— საბჭოთა მეურნეობის ლაბორატორიაში შედგენილი კარტოგრაფია სწორედ ამისთვის არის, — უთხრა ნოდარმა. — ის ზუსტად გეუბნება, ნიადავს სად რა აკლია.

— ტყუილს ხომ არ გეტყვის, — შეუტია ვანოს ილიკომ, — ბიკს სოფლის ტვირთი წამოუყიდებია, შენ რას იტყუხნები?

— რა იყო, რა მოგეჩვენა?

— თავი დაანებე მაგ წარბების თამაშას!..

— არა, ჩემო ძმაო, არ გამოვა, — ამრეზით თქვა ვანომ.

ნოდარმა კარგად იცოდა, ვანო გამწარებელი იყო და ნაღველი ალაპარაკებდა. გამრჩე გლეხკაცი აშარმა ცოლმა ბაზრის მსუნავ მელად გადააქცია... ჯერ იყო და ამ უჩიათმა დედაცაა... საკარმიდამო ნაკვეთი პამიდორის ჩითილებით გაავსო. როგორც კი პამიდორი შეწითლდა, მამინევე ყუთებში დატენა და ერთ უიღბლო დღეს ვანო თბილისში გაავლო. უხვირო მუშტარმა სიფთაზე დანავსა და ვანომ ნახევარ ფასში გაყიდა პამიდორი. როდის იყო, ღამის მუხრე რომ ეაჭრობდა... თავისი სიცოცხლე, დღესა და ღამეს ბადესავით ქსოვდა მინდორში, გუთანი იყო მისი სახლი და მისი ბუხარი. ბაზრიდან მობრუნებულ ვანოს ცოლმა ტყავი გაამრო, ოქროსავით პამიდორს ეგრე მალე წირვა როგორ გამოუყვანეო. მეორე გაზაფხულზე მარწყვის ჩითილებით გაავსო ეზო-ყურე და ვანომ დაკარგა სიმშვიდის ბოლო ნამკეციც. ცოლი საღამოს რომ ჯუჯღუნს დაუწყებდა, მთელ ღამეს არ დაძინებდა, შენი შე-

დოვლათი თავის ამბავი რომ ვიცი, ვიდევ დამაქცევ და დამანელებო. დილით, ვედროებს მარწყვით გავუსებდა და ქმარს, როგორც სახედარს, ისე გაავიდებდა ბაზარში. იდგა ვანო თბილისის რომელიმე ბაზრის დახლთან, თითებდაწითლებული მარწყვის სწონიდა და აქეთ-იქიდან იპატიებდა მყიდველებს. მოვლილ-ნაპატივები, ლურჯად თვალეპმოხატული ქალაქელი ლამაზები კილო მარწყვში დაუდევრად იძლეოდნენ ხუთ მანეთს... საღამოს ჩაცარიელებულ ვედროებს ერთიმეორეში ჩაალაგებდა, ჩაქმუქნილ ფულს დახლქვემოთ გაშლიდა, ხელის გულზე გაასწორებდა და დაუთვლელად შეინახავდა. ამ ფულთან მას მეტი აღარაფერი ესაქმებოდა. ნამაისევს, სოფლიდან ქალაქში, მარწყვით დატენილი ვედროებით თითხმეტჯერ ჩაბოტებამ, ვანო დამოღმა. შესჯავრდა ბერიკაცს მარწყვი, ქალაქში სიარული, ცხვირაპრეხილი ქალები და საკუთარი თავი. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მარწყვი ერთ გაზაფხულზე არ თავდებოდა. სანამ მიწა არ გაყამირდებოდა, ბარე შვიდი თუ ათი წელიწადი მარწყვი ისევე ისხამდა. მართალია, ნაყოფი წვრილდებოდა, სამაგიეროდ ვანოს ბოღმა დიდდებოდა, მის წანწალს ქალაქისა და ბაზრის გზაზე ბოლო არ უჩანდა... იცოდა ეს ნოდარმა და სოფლის სატივიარზე მალამოდ დასადები კაცის დარდი მასაც გულს უკლავდა.

— მთავარი ის არის, სოფელს რა უფრო მოუტანს სარგებლობას, — ხმამალა, თითქოს თავისთავს რაღაცას უმტკიცებსო, — თქვა ვანომ. — ეგრე არ არი, ნოდარ?

— მაგას წყალი არ გაუტეა.

ნოდარი ორჯერ დაუღარავდა ფერმის ეზოსთან მარიკას, მაგრამ ვერ ნახა. დღეს კალათბურთში შეგებრი ჰქონდათ კოლმეურნეობისა და წინამძღვრიანთკარის ტექნიკუმის გოგონებს და ნო-

დარი ჩქარობდა თამაშის დასასრული-სათვის მაინც მიეწრო.

მარიკა სასპორტო მოედანზე იდგა. ცალ ხელში ბურთი ეჭირა, მეორეში თავიდან გადაძრობილი ზონარი. თმები გასწეწოდა. დაღლილი ღრმად სუნთქავდა.

მოხიბლულ ნოდარს ხმა ვერ ამოეღო.

— ახლავე გადავიცმევ მას და გამოვალ, — უთხრა მარიკამ და გასახდელში შევიდა.

ნოდარი გაუნძრევლად დარჩა.

ეს კაბა ჯერ არ ენახა. იფიქრა, გოგონას განგებ ჩაეცვა, გამარჯვებული რომ უფრო მშვენიერი გამოჩენილიყო. კაბა მუქი ვარდისფერი იყო. სახელოები იდაყვებამდე არ სწვდებოდა. ღრმად ამოჭრილი გულისპირიდან შეწითლებული, ოდნავ მზემოკიდებული მკერდი მოუჩანდა. წვივმაღალს გამჭვირვალე და ფეხის კანთან შეხამებულ წინდები ეცვა და მხოლოდ ერთ ადგილს წასული თელით შეიძლებოდა მათი შემჩნევა.

ისინი კარგახანს ჩუმად მიდიოდნენ. გაიარეს ორღობე, უკან მოიტოვეს ხევი და ბიწუნდის ყელთან გავიდნენ. ნოდარმა რამდენიმეჯერ გადაწყვიტა საუბრის წამოწყება, მაგრამ თავი შეიკავა. ამ საღამოს მოჩადობილი იყო მარიკას მშვენიერებით და არ უნდოდა ამ უჩინარი ტკობის რითიმე დარღვევა. ყველაფრის დაეწყება სურდა, რაც მარიკას არ შეეხებოდა. ქალიშვილთან ერთად დაუსრულებელი ყოფნა ერჩინა და თუ გინდა დუმილიც.

მარიკამ შემოხედა, გაუღიმა და ერთ წამს შეაჩერა მასზე მზერა.

პატარა ბოგირი გამოჩნდა.

ნოდარმა ფრთხილად მოკიდა მარიკას ხელი და ბოგირზე გადასვლაში უშველა. გოგონა ოდნავ მიეყრდნო მის მხარს და ყმაწვილმა იგრძნო რა მათრობელი იყო მარიკას თმების სურნელი. მერე ცხელი, ოდნავ მთრთოლავი ტუჩებით ყელში აკოცა.

საღამო ლურჯი და რბილი იყო და

ჩამუქებულ მთების იქით უცნობი, მოღლილი მზე ჩადიოდა. ნახსასა, ფეხდაუდგმელი ფერდობები უოჩივარდებს გადაეკიატებინა.

ისინი სულგანაბული მიდიოდნენ. გორაკებზე ჩრდილი თანდათან მუქდებოდა, ჩამავალი მზის ქვეშ დარჩენილი ფერდობები კი ისევ ღია ფოლადისფერი იყო.

წინადღის ნაწვიმარ და მზით ჩახურებულ გორაკებს შიშვე სუნი ასდიოდა. ისინი დაბალ ტყეში მიდიოდნენ და თანმასავით რბილი ლერწები ფეხებზე სასიამოვნოდ ელამუნებოდნენ.

შემოდგომის ნაქირნახულეგ დღეს დაეღალა მიწა. გათიბული მინდორი დიდი და უნაპირო ჩანდა. ახალგაზრდებს უნდოდათ ერბინათ, ცაში აჭრილიყვნენ, უსასრულო სივრცეში დაღვრილიყვნენ და მერე წვიმის წვეთებს ჩამოყოლილი ისევ დაბრუნებოდნენ დედამიწას.

აქედან დაგუბებული თემამი დიდ მდინარეს ჰგავდა. ჩაღანში აიჭორებოდა ტალღა, დიდი საჩეჩელით გადავარცხნიდა ზედაპირს და ნაპირს ისეთი კენესით მოაწყდებოდა, თითქოს რალაცას ითხოვდა, რალაცას იმუდარებოდა. წამოგორებული ტალღები ერთიმეორეს მდევრებივით ფეხდაფეხ მისდევდნენ, მერე შლამზე, სადაც ბალღებს პლაჟი მოეწყოთ, ჩაენარცებოდნენ და დაშლილ-დარღვეული ჩაიკარვებოდნენ ქვიშაში.

ნოდარს აგონდებოდა პირველად საბანაო კოსტუმში რომ ნახა მდინარის ნაპირას მარიკა. მზე გოგონას ზურგიდან ანათებდა, ცურვით დაღლილს, მუხლებზე ორივე ხელი შემოიხეცია და რალაცას მისჩერებოდა.

მაშინ ამაოდ მისდევდა პლაჟზე ნოდარი შიშველ მარიკას. ამაოდ მისდევდა. მერე ჩუმად ისხდნენ ქვიშაზე და გაყურებული უსმენდნენ საკუთარ გულისცემას. გრძელი, გაშლილი თმა, რომელსაც თევზის სუნი ასდიოდა, მარიკას სახეს უფარავდა. მის თვალებში ღრმად ჩაძირულიყო სხივი, ყელთან

ვი, ჩვეულებრივზე უფრო შწრაფად ფეთქავდა მარღვი.

მდინარე აღარ იძროდა. მხოლოდ ნაპირთან, სუფთა, კრიალა ქვიშაზე ხუტუტდებოდა ტალღა, თეთრი ყაისნალით ჰქარგავდა უცნაურ ყვავილებს და ნერვ ფრთხილად, სარკესავით პრიალა შუაგულისაყენ გადაჰქონდა.

ისინი კვლავ ჩემად მიდიოდნენ. ზევით, ზეების თავზე უკვე დამის ხავერდი იყვებოდა. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. და ქვეყანა მის მოლოდინში საჭორწილო სარეცელზე მიწოლილი ქალწულივით გარინდულიყო.

სიტყვებს დაეკარგა აზრი და გაფიცებულნი ტუჩები ეძებდნენ ტუჩებს...

11

მაგიდის ლამპა ძლიერ ანათებს. დამის პეპელა დაფარფატებს კედელზე. მისი ჩრდილი ბედურისოდენა ჩანს. ოთახში სრული სიმუდროვე სუფევს.

მარიკა ეს-ეს არის დაბრუნდა ფერმიდან. მაგიდაზე თეთრი ქალაღი ვაშლია. ორივე ხელი თავზე შემოუწყვილა, დასცქერის ესკიზს და ფიქრობს: შესძლებს თუ არა კოლმეურნეობა ფერმისათვის ახალი შენობა აავოს.

ფანქარი აიღო.

„მაშ ასე, — ფიქრობს მარიკა, — აქ განლაგდება საკვების საწყობები, აქ ტუმბო და წყლის აუზი, აქ ვეტფერშლის ოთახი... — მარიკამ გადაიკითხა თავისი „მოთხოვნის“ ნუსხა. რა უთხრა კლიმენტიმ? შენს სურვილებს ქრისტეღმერთიც ვერ დააკმაყოფილებს, არათუ ჭიანჭვეის თავმჯდომარეოს...“

რადაც შესლოდა. წაშალა, ქალაღი დახია და მუქაში ჩაქმუნა. ხელახლა დაიწყო წერა. არაფერი გამოუვიდა.

ქალაღზე კვლავ გამოხაზა ფერმის გეგმა. მკლავი ბოეჰანცა. თავი დაუშობდა, მოითენთა, ფანქარი მიაგდო და სკამის საზურგეს მიეყრდნო. დადლილობისაყენ თვალეზი შეშასავით უბრძვილაღებდა.

წაირდგა, სარკმელთან მივიდა. რა-

ფას დაეყრდნო და ორღობეში გადახედა. ოდნავი სიოც არაფერი ფუფუნოიკა შემობრუნდა. წყალი დაღვნიდა სახეზეც შეისხურა.

მთელი სხეული უხურდა. ეწროდა ზელები, თავი, კისერი და სახე. ოთახის შეზუთული ჰაერიც გულს უმბიმბდა.

აივანზე გავიდა. სული რომ მოითქვა, სამუშაო მაგიდას მიუჯდა. ნახავდა, შლიდა, ანგარიშობდა, „მოთხოვნის“ ნუსხას კი ვერაფერი ჩამოაკლო.

დაღამდა. ზედაზნისაყენ რუხი ღრუბელი ხიღვით გადაეკიდა. მთვარე არ ჩანდა, მაგრამ მის უჩინარ სხივებს თეძამის ზედაპირი გაებრწყინებინა.

მარიკამ ცას ახედა. ვარსკვლავები კრთოდნენ და ციმციმებდნენ. მდინარის ტალღების ხმა ისმოდა. აქედან, ფანჯრიდან შორი და უცნობი მოჩანდა ქვეყანა. მაგრამ აი გაღმა, გზაზე, მოსახვევიდან გამოვარდნილმა მანქანამ გაანათა მდინარე და გამოჩნდა ახალი ხიდი. ხიდის გამოჩენამ ბუნების ყველა კუნჭულს დაუბრუნა ნაცნობი სილუეტი და მარიკამ შვებით ამოისუნთქა.

ოთახის კარებს ვიღაც მოაწვდა და მერე ფრთხილად დააკაკუნა. მარიკა არავის არ ელოდა შემკრთალი წამოდგა.

— მე ვარ, კარები გამიღე, — მოისმა ნოდარის ჩურჩული.

— რა გინდა ამ შუაღამისას? — ჩურჩულითვე მიუგო მარიკამ, კარები კი მაინც გაუღო.

— შინ ვერ გაეძელი, — შემოვბდა ოთახში ნოდარი და ამოიხვნეშა, მერე კარები მიხურა და სინათლე ჩააქრო. — ვეღარ გავძელი, — გაიმეორა და სკამზე მოწყვეტით დაჯდა.

მარიკა არ დამკდარა. კედელთან დარჩა. შუბლშეკმუნნილმა გამოხედა ყმაწვილს.

ნოდარი ჩემად იჯდა. სითამამეს ზღურბლთან სტოვებდა, ასე ემართებოდა, როცა მარიკასთან მოდიოდა. ოთახში უხერხული სიჩუმე იწვა.

— რა დავემართა, ნოდარ, ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა მარიკამ.

— ავად ვარ, — სწრაფად მიუგო ნოდარმა.

— წამალი ხომ არ გინდა, — გაეღიმა მარიკას.

— წამალი არაფერს მიშველის, — ნოდარმა თავი ჩაღუნა და გაჩუმდა.

— ნოდარ, — მარიკამ ხელი წაავლო.

ნოდარი წამოიჭრა, მარიკას ორივე ხელი მოხვია და კოცნა დაუწყო. გოგონა ჯერ დაიხნა, მერე გაბრძოლება სცადა. ნოდარი უფრო ძლიერ მოეხვია. მარიკამ მოეშვა, მოითენთა და რბილად უსაყვედურა:

— ხომ ვთხოვე, დამე ნუ მოხვალ-მეთქი.

— მაშ სად წავიდე? — წაიჩურჩულა ნოდარმა. — გეშინია?

— სულელო! — დაუსხლტა მარიკა და განზე გადაგა. — რისი უნდა მეშინოდეს? — ჰკითხა ჯიუტად.

— მაშინ გერიდება.

— არ მოშწონს და ეგ არის.

— რა არ მოგწონს? — ნოდარმა ცვლავ დააპირა მოხვეოდა, მაგრამ მარიკამ ახლოს აღარ მიიკარა.

— შელასავით რომ შემოიპარები და სინათლეს ჩამაქრობინებ.

— რა საჭიროა ყველამ დავეინახოს?

— ჩემი სიყვარულისა მე არა მრცხვენია.

— მე ვიმალები?!

— არ გიყვარვარ და იმიტომ... ჰო, არ გიყვარვარ! — თავისივე სიტყვებით შეშინებულმა მარიკამ ტუჩებზე ხელი მიიფარა.

ნოდარი გაშეშებული იდგა.

— წადი ახლა შინ, — მკაცრად უთხრა მარიკამ.

— მარიკა...

— წადი, — გაიმეორა მან.

ყმაწვილი გაბრაზებული მიიჭრა კარებთან. მოსხლეტით გააღო და სიბნელეში გადააბიჯა.

მარიკას კარების მიჯახუნების ხმა არ გაუგვია, მთელ სხეულზე თითქოს შესცივდა, თავჩაღუნული ჩამოვდა ტახტის

კუთხეში და როცა ლოყები შეუთბა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ტირიდა.

12

მარიკა დადგრემილი დადიოდა. ნოდარიც თვალს არიდებდა.

ერთ დღეს თეძამის ნაპირზე ისიბი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს. აქ ხშირად იყვნენ ნამყოფი და ორივეს გულში აქეთყვენ გამოუწია, მაგრამ დაინახეს თუ არა ერთმანეთი, შეცბუნებულები შედგნენ. ნოდარს მოთმინება აღარ შეჰყვა და გოგონას მალულად გახედა.

მარიკას სახე შეწითლებოდა და ლოდზე, ოდნავ გადახრილი იჭდა. ისამნისფერი კაბა სხეულზე ისე მკიდროდ შემოტმანსოდა, როგორც მზით ჩახურებულ კვირტს უკანასკნელი ფურცელი.

ნოდარს შერცხვა მალულად რომ უთვალთვალებდა და შურა მოარბოდა. მარიკას გაეღიმა... ნოდარმა სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

„დარდით თამბაქოს წვეკაც დაუწყია“, — გაუელვა მარიკას.

ნოდარმა სიგარეტი გადააგდო, გოგონას მიუახლოვდა და უთხრა:

— გამარჯობა, მარიკა.

— გამარჯობა, ნოდარ.

— იწვიმებს?

მარიკამ ზედაზენს გახედა.

— შავად იბურება... შინ წავალ

— მეც.

მაგრამ არც ერთი ადგილიდან არ დაძრულა. ნოდარმა მხოლოდ ახლა შეინიშნა, მარიკას სახე გაფითრებოდა.

— სად დაიკარგე, მარიკა?

— შენ? მიწამ ჩაგყლაპა?

ახლა ნოდარმა გახედა ზედაზენს.

— ღრუბლები გროვდება.

— ნუ გეშინია, არ დადნები.

— მარიკა, როგორა ხარ?

— რად მეკითხები?

— ფიქრად არ მქონია შენი წყენა.

— იმ საღამოს ნულარ მოვიგონებთ.

— მარიკა, მე ხომ კარგად ვიცნობ.

— არ ვიცნობ, არა, — მარიკას უცებ

გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო.

— ნუ ტირი, მარიკა.

— წავალ კიანხვეიდან, — ცრემლებშუა ამბობდა მარიკა, — დარწმუნებული ვარ, თავს არ მოიკლავ.

ნოდარმა არაფერი უპასუხა, პირდაპირ წავიდა თქამისაკენ. უკან არ მოუხედაა, გაუხდელად შევიდა წყალში.

— ნოდარ! გაგიყდი? — დაიყვირა მარიკამ.

წყალი ნოდარს ჯერ მუხლამდე მისწვდა, მერე იღლიებში შეუვარდა. ნოდარმა ერთხელ კიდევ გამოხედა ნაპირს.

— ნოდარ! დაბრუნდი... — ეძახდა მარიკა.

ჩაიძალა ნოდარის თავი თქამის ამღვრეულ ტალღებში.

მარიკამ შორიდანვე დაინახა, რომ მის სახლში სინათლე ენთო. ვის უნდა აენთო სინათლე?

გულამოვარდნილმა მიიღბინა სახლთან. სანამ კარებს შეაღებდა, თანჯარიდან გიგაცის ლანდი დაინახა. ოთახში

შესვლა ვეღარ გაბედა და ცალი თვალით შეიკვრიტა.

მაგიდასთან ნოდარი იჯდა და ჩლიმებობდა. მას წყლიდან ამოსვლაც მოესწრო და გაშრობაც.

მარიკა გახარებული შევარდა ოთახში.

— ერთი წუთით მოვედი, მარიკა, — წამოდგა ნოდარი.

— არ წახვიდე, ნოდარ, — უთხრა მარიკამ.

— რატომ?

— შეგეხვეწო? — მარიკა ახლოს მივიდა და სველ თმაზე ხელი გადაუსვა. — ბავშვები აღარა ვართ.

ისინი ძალიან ახლოს იდგნენ ერთმანეთთან. გული წამიდან წამზე უმატებდა ძგერას. ცხელ სუნთქვას ორივე წამოეწითლებინა. ნოდარმა ხელი მოხვია მარიკას, აივანზე გაიყვანა და იქაც სინათლე აანთო.

ხედაზენზე ღრუბელი გამჭრალიყო. მალალი, ხშირი ტყის იქიდან უზარმაზარი წითელი მთვარე ამოდიოდა.



მთარ ნაზინაზვილი

კველი ნაცნობი

მომხრობა

ზურაბს საკმაოდ დიდი თანამდებობა ეჭირა. საქმეს სინდისიერებითა და თავდადებით ეკიდებოდა. ნიჭიერს კალამიც უჭრიდა. შრომით გართულს ხშირად ისე შემოუღამდებოდა, რომ ვერ ატყობდა, როგორ უსხლტებოდა მზის ანთებული დღე.

რე მოსთელის, ან რა მოიგონებს ამ საკითხებს, მის საწერ მაგიდასთან რომ წყდებოდა. მეტე გაუთავებელი თათბირები, სხდომები, კოლეგიები... ამიტომ ზურაბი დიდი სიხარულით დათანხმდა, როდესაც ერთ კვირა დღეს, თავისი მეუღლით ვაშლიჯვარში სადილად მიიწვია ცოლისძმამ.

მზე შუბის წვერზე ეკიდა. ზურაბის მანქანამ ვაშლიჯვარის გზაზე რომ აუხვია. შოფერმა მანქანა ორლობეში ყავრით აკრულ კართან დაამუხრუჭა. ორსართულიანი სახლის აფენიდან მასპინძელმა ჩამოიბრინა, ბავშვებიც თან ჩამოაყენენ ჟივკივით. ატყდა ერთი ხვეენა-კოცნა და მხიარული სიცილი. სარდაფში ჩასასვლელ კარებში ცოწში მკლავებამოვლებული დიასახლისი გამოჩნდა და სიხარულმა და სიცილმა უფრო იმატა. სადღაც ზამთრისათვის დალურსმული ფანჯარა მძიმე ღრქიანად პირველად გაიღო და ჩასათბუ-

ნებლად ხერცლებში ჩატენილი გამურული ბამბეულის ბლუჯა ბალში გადმოცვივდა. ფანჯარაში ხილაბანდით შებლშეკრული მოხუცი ქალის სახე გამოჩნდა. მან ზურაბის მეუღლეს სიყვარულით დაუქნია ხელი და ძიცი უმაღლე შეეარდა ოთახში და დიდი ხნის უნახავ მამიდას ჩაეხვია.

მაისი იდგა. ამ მომხიბლავ თვეს მთელი თავისი სიტურფე და სიმშვენიერე გადმოეფრქვია. დაბლა, ბალში ვაშლის ხეების მკრთალი იისფერი, სიფრიფანა ფოთლებით შემეკული, აყვავებული ყლორტები მზეზე ლაღობდნენ, გაზაფხულის ნიაეი შეფრქვევით ნავარდობდა ამწვანებულ ალუბლის ხეებს შორის.

მაისი იდგა... პერანგისამარა საყვლო-გახსნილმა ზურაბმა დადლილი, უღრო-ოდ დაღარული სახე მზეს მოუშვირა და უხაროდა, რომ აქ არავინ უცხო არ შენოაღებდა ბალის კარს, არავინ და არაფერი არ აიძულებდა პიჯაკი ჩაეცვა, ნაძალადევად გაეღიმა და ყოველ სიტყვას დაკვირვებოდა. მაგრამ ვანა სრული სიმშვიდე და ბედნიერება ოდესმე ეღირსება ადამიანს? ან უფროსი დაგხვდება შებლშეკრული, წარბაუხსნელი, ან ნებივრად მთვლემარეს ვინ-

მე უცნობი სტუმარი დაგადგება თავს. აქაც უცებ გამოჩნდა ახმახი სტუმარი, რომელსაც ფუნთულა არათითზე ბაწრით შეკრული ტორტის ყუთი ეკიდა და საცეცხლურივით აქანებდა; სტუმარმა შემოაბოტა და ჰამაკში მწოლი-არე ზურაბს თავი ოდნავ დაუქნია. ზურაბს უსიამო წინათგრძნობამ გაჰკრა გულში, მაგრამ ჰამაკის რწევას აჰყვა და მერე მოქანცულს ჩასთვლიმა კიდევ.

სტუმარს ეტყობოდა არ აკლდა სითამამე. მან დიასახლისს ჰკითხა:

— ვინაა ჰამაკში მია ყაზახი რომ კოტრალობს?

— სსუ, ბონდოია, აგია თლა უფროსი, ნუ როხრობობ! — უბასუხა დიასახლისმა და თან ზურაბის გვარი დაუსახელა. ბონდოია აიწურა. ათიოდე წუთი არ გასულა და ზურაბმა ინსტიქტურად იგრძნო, რომ ვიღაცამ სახე მოუჩრდილა. შეკრთა, გაახილა თვალი და შეხედა, რომ ახლად მოსული სტუმარი თავისი პიჯაკით დასდგომოდა თავზე და მოწიწებით შესთხოვდა:

— გაცივდებით, ბატონო, ჩაიცვით აგი, თვარა მაისი ქალიშვილივით მატუჯარა.

ზურაბი შეძრწუნდა, იუარა, მაგრამ სტუმარი უტეხი გამოდგა, დააძალა და მაინც მოახურა ბეჭებზე თავისი პიჯაკი, რომელიც უფრო პალტოდ მოერგებოდა. ო, რა ტკბილია ძილისა და სიფხიზლის ერთმანეთთან ჰიდილი, რა ტკბილია ის წუთი, ძილში რომ გადადის! სწორედ ეს წუთი გაუსხლტა ზურაბს. გულს ბოღმა შემოაწვია, მაგრამ თავი შეიკავა.

— მე, ბატონო, ბონდო ვახლავართ, სააღმშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილე მომარაგების დარგში, — გამოეცანურა სტუმარი, — ბოდოში, რომ გავიფრთხეთ ძილი. მე ვიცი, რომელი პიროვნება შეიძლება გაცივდეს ჰამაკში მინინებულ და რომელი არა. თქვენ აქაც და მოსკოვშიც ფრიად სახელმძღვანელო პირი ბრძანდებით და, რადგან რესპუბლიკაში ნამეტნავად ჰკვიან ხე-

ლმწივანელად გვევლინებოდეთ, თქვენ იყავით ადამიანთა მილიონებში ერთადერთად მოასწავებს და არ დაეუშვებ ამას მე!

ზურაბი ისევ მორიდებული, ადამიანური უბრალოებით აღსავსე ოჯახიშვილი გახლდათ და ამიტომ ეუცხოვა ეს სიყალბე, ზვირთად მოაწვა სისხლი, მაგრამ ბონდომ ხმის ამოღება არ დააკალა:

— ღმერთო მომკალი ახლა! პატრეცემულო, რავე შიშველ ჰამაკში მიწვეს თქვენი თავი, არ დავიგოთ ახლა საბანი შიგ — ბონდო მოსწყდა ადგილიდან, მყისვე მოარბენინა თივთიკის საბანი და ძეხვისდაგვარი, გატყინილი თითებით ნაზად ჩაავო ჰამაკში, რის გამოც ზურაბს წამოდგომა მოუხდა და საბოლოოდ დაკარგა იმედი, რომ დაღლილსა და დაქანცულს ოდესმე ეღირსებოდა დასვენება.

ზურაბმა ცნობისმოყვარეობით შეხედა ბონდოს და აეკვიტა ფიქრი, რომ ერთხელ უკვე სადღაც ენახა იგი. ვერა და ვერ მოიგონა ცხოვრების რომელ გზაჯვარედინზე შეხვედროდა ეს უტიფარი ოყლაყი, მაგრამ მაინც სძლია თავს და უსიამო გუნება-განწყობის განქარვება ისურვა — გადაწყვიტა, ამ მშვენიერ ამინდში მარტო გაეელო და ვაშლიჯვარი დაეთვალეირებინა.

— სუ არ დაგრჩებათ საწყენად, წამოვალ მეც! — წელშიმოდრეკილმა სოხოვა ბონდომ. ზურაბმა უარი ვერ მოაბერხა და ტაატიტ გაჰყენენ ნაწვიმარსა და ახლად შემწარალ თიხნარიან გზას.

ბუნებას მონატრული ზურაბი ფიქრში ხან ახავარდებულ ხილნარს ეალერსებოდა, ხან ორღობიდან გამოწვდილ ტოტსა სწყვეტდა ფოთლებს. უცებ გზის განაპირას შემორჩენილ გუბეში ჩაღვარდა ფეხი და შებარბაცდა. ოპ! — იყვირა ბონდომ, ჯერ წამოეშველა შებარბაცებულს, მერე დაიკუზა, ზურაბის მარცხენა ფეხი იღლიაში ამოიღო და ყაითნების შეუხსნელად ფეხსაცემელი გააძრო. თან ბუტბუტებდა: — ოპ, ოპ! არა ვარ ახლა მოსაკლავი

მე? ვერ გავაფრთხილეთ, რომ ტალასია მაქანე?"

ზურაბმა აკვანკული წინდისამარა ფეხით ასეინკილა ისტუნა ღობემდე, რომ რამეს დაჰბლაუქებოდა. ბონდომ კი ჭერ ტოტზე ჩამოსხეპილი ფოთლებით შემოაცალა ტალასი ფეხსაცემელს, მერე შარვლის ჯიბიდან გაქათათებულო ცხვირსახოცი ამოიღო და ამზრზენი გულმოდგინებით იწყო მისი გაპრიანება. თან ხეწმოდა, ოფლის ცვარნამშაყ კი გამოუფონა შუბლზე და ერთსა და იმავეს იმეორებდა: — „ოპ, ოპ, არ ვარ ახლა მოსაყალივი“?

ზურაბს სირცხვილით აღმური მოედო პირისახეზე, წონასწორობა დაკარგა და უხეშად გამოჰგლიჯა ბონდოს ხელიდან ფეხსაცემელი და ყაითნების შეუხსნელად ჩაქედა შიგ ფეხი. ბონდომ არ შეიძინია ეს უხეშობა, დასერილი ცხვირსახოცი უბის წიგნაკიდან ამოხეულ ფურცელში ვაახვია და ისევ შარვლის ჯიბეში ჩაიღო, მერე ხელები ერთმანეთზე შეიფეხნიტა და კმაყოფილი სახით ზურაბს ორიოდე ნაბიჯის დაშორებით უკან გაჰყვა.

ლაზათიანი, შნოიანი სუფრა ათიოდე კაცისთვის იყო გაშლილი. ნამდაყრილი ათასგვარი მწვანილეულობა ამშვენებდა სუფრას, მაგრამ ვანსაკუთრებით ტარხუნა ეამებოდა თვალს.

პირველ კერძად ბატნის ჩაქაფული ჩამოატარეს. ბონდომ მაშინათვე ნესტოები დაბერა და იცითხა:

— ტარხუნითაა შეკახმული მამ ჩაქაფული თუ?

დასახლისმა მხრები ააჩეჩა:

— აჰა ტარხუნისუმისოდ რაეა ივარგებს ჩაქაფული!

მაშინ ბონდომ თავაუღებლად, თითქოს თავისთვის, ჩაილაპარაკა:

— პატყეცემულისთვის არ ევარგება მამ. — და თან ფარულად წარაების ქეშიდან ზურაბს გადმოხედა.

— რატომ არ ივარგებს? — დაინტერესდნენ დამსწრენი.

— კბილებიდან ემალს აკლის ტარხუნა, დაცვივა პატყემულს...

ჩაქაფული თვით ზურაბის კოლისმის შეკახმული გამოდგენს. ტომ მან მკაცრად გადახედა ბონდომს, შეუტარინა კიდევ. ზურაბს არც მიუქცევია ეკრადლება ამ სიტყვა-პასუხისათვის და სურნელოვანი კერძი მეორედ დაატევა თეფშზე. სანამ ბატნის მწვანეებს გამოიტანდნენ, ზურაბმა თორნის პურს ყუა მოსტეხა, შიგ გულის ყველი ჩაქედიტა და იქვე მდგარ თეფშზე ტარხუნას გადასწედა.

— აუ! — იკილა ბონდომ, — აღარ შეიძლებოდეს იქნება მამ, თლა დეგეველიფებათ ემალე და რა ვქნათ მამინ.

მასპინძელი გაცეცხლდა:

— დაჯეკი შენ მაქანე, არაა შენი საქმე, ტარხუნას შეექცევა სტუმარი თუ ნიყეს.

ბონდომ ხმაურიანად დაალაგა დანაჩანგალი თეფშზე და ხმას აუწია:

— შენ დოცენტი ხარ, გენაცვალოს ბონდოია, შორს ხარ ჩვენი საქმიდან და რა გენაღვლება, პატყეცემულს კი უზომო ფონდები ჩამოაქვს მოსკოვიდან და იქინე აღარ ილაპარაკოს? უკბილო შეუშვით თლა უფროსებთან თუ? არ შეიძლება აგი! თვარა მე ვიყივლე და თქვენ იციით ახლა!

ამ შეკამათების დროს ზურაბის მეუღლე გემრიელად კისკისებდა, ბავშვივით ტაშს უკრავდა, სიცილით ჩაბერდა კიდევ, ცრემლი მოადგა თვალზე. თან უჩუმრად ზურაბს გადახედავდა ხოლმე, რომელიც გამომწვევი ყელმორერებით უმზერდა მეუღლეს. ტარხუნის გამო მათ რაღაც თავისი საიდუმლო ჰქონდათ.

სუფრაზე რამდენიმე სადღეგრძელო ითქვა. ბონდომ გულის ზიდვამდე მისული ქათინაურებით შეამკო ზურაბი. მაგრამ, როდესაც ვითომც გულმოკლულმა, ზურაბის მეუღლეს უსაყვედურა: — „თქვენ, ქალბატონო, არ უნდა აძლევდეთ უფლებას პატყემულს რომ იგი ტარხუნას ვიახლებოდეს, თქვენ კი, ბოდიში და, იცინით ამ დროს?“ — ზურაბის მეუღლემ ისე გუ-



ლიანად გადაიხსიან, რომ იძულებუ-
ლი გახდა სუფრა მიეტოვებინა.

მოსაღამოვდა.

მანავის მწევანემ ჯერ ზურაბს საღერ-
ღელი აუშალა, მერე აბრიალდა, აინთო,
სითბო ჩაუღვარა ჯანში. სიყვარულმა
დაისადგურა მის სულში. გაიშალა, გაი-
სარა. ასეთია კახური ღვინო, ყოველ
კმუნებას და დარდს პირქვე დასცემს,
ყოველ საწყენს დროზე დაფერფლავს,
ქვეყანას ქაშრად შემოგავლევს, მაგრამ
თუ პირიქით მოხდა და კახურმა კაცს
დარდი გულში ჩაუხვია, დაღველვა და
შმაგი ვახადა, მაშინ ასეთმა კაცმა უფრ-
ძნად უნდა მიირთვას თავისი წილი ღვი-
ნო.

წამოიშალნენ.

ზურაბი გათამამდა, ბონდო სუფრას-
თან ზიაროვა და ევლავ სოფლის შარას
გაუდგა. მოენატრა შეინდისფერი ცის-
დასავალი, ბანარში ჩამჯდარი თარ-
თოანინი სახლები, ტანწერწეტი
აღობლები, ყვავილები, ათასფრად აკი-
აფებული მინდვრის ყვავილები...

მიდიოდა ზურაბი დინჯად, წელზე
ხელდაკრეფილი და თან უყვირდა: რა-
ტომ ივინებენ ასე ტკბილად პოეტები,
კომპოზიტორები, მხატვრები თავიანთ
სოფელს, სახლკარს, ოდას, ეზოს, კე-
რიას, რატომ შეჰხარიათ ასე თავიანთი
ყრმობის და სიკბამუჯის დღეთა სურნე-
ლებას და უძღვნიან მათ უმშვენიერეს
ლექსებს, პანგებს, ფერწერულ ტილო-
ებს, თუ მერე, ტკბილ ხანდაზმულობა-
ში ნათესაყურად წყნეთსა, მახინჯა-
ურსა და ვაერას ირჩევენ?

დაღამდა. თავისივე გაკვლეულ ბი-
ლიტზე ნაჭირითევი მზე დაიღალა და
ჩაესვენა. მიაბიჯებდა ზურაბი ვაშ-
ლისჯვარის შარაზე, რომლისთვისაც
ეტყობა, ჯერ ვერ მოიცალა მშენებელ-
თა და ხუროთა ხელმა. მიდიოდა და სი-
ამაყით ევსებოდა გული. მაშელზე, მის
აწმყოსა და მომავალზე რომ ფიქ-
რობდა.

ფიქრთა ხლართებში ვახვეულ ზუ-
რაბს ბონდო წამოჰხარა, მკლავზე ოდ-

ნავ მოუთათუნა ხელი და გადაუღებ-
რავა შემკრთალს:

— იკმარეთ ახლა, მობრუნდით. პატ-
ციმულო, ნესტი და სიცივე ვახლავთ
ტყეში, მობრუნდით, თვარა მე დამწყვე-
ლიდეს იქნება ხალხი, ვერ მოუარეო,
ბონდო, ამხელა ბუმბერაზს!

ოცნების ფრთებით ცადაფრენილა
ზურაბი ბონდოს ნახვამ უცბად დაანარ-
ცხა მიწაზე და მკვირცხლად ჩაირბინა
სახლში.

ცოლ-ქმარს დაინშნულ დროზე ამოა-
კითხა მანქანამ. ზარბოზად მყოფ ზუ-
რაბს ვაზე „ვოლგა“ არწედა და, მე-
უღლის მხარზე თავდაყრდნობილა,
ჩათვლილა. ძილბურანში ბონდოს ახმა-
ხი ტანი და ამ დაზეინებული ტანისათ-
ვის შეუფერებელი, შემკრთალი, მლიქ-
ნელი სახე ელანდებოდა. მის წინაშე
ჩიჭროლა აგრეთვე წყალნაკურებმა
ტარბუნამ, მეუღლის უბეზე სიცილით
ნაყურმა ცრემლია, და ყველა იმ კბილის
ეჭიმამ, ვინც კი მას მკურნალობდა, მო-
ესმა პორმანქანის ღრენა და ტკივილის-
გამაქუნებელი წამლის სუნიც კი ეცა.

მანქანამ ცოლქმარი უკვე შინ მიიყ-
ვანა და ზურაბი ფრთხილად გამოაღვი-
თა მეუღლემ. კიბეს რომ დაადგნენ, უკ-
ვე ერთად ხარხარებდნენ. და აი რატომ:
ოთხი წლის წინათ ზურაბი პიორით
დაავადდა და პირში არცერთი კბილი
აღარ შერჩა. ბევრი იეჭიმამ, ბევრი სა-
ათი გაატარა საეარძელში პირლიამ,
მაგრამ ამაოდ. ახლა ცოლ-ქმარს სიცი-
ლისაგან ცრემლი სდიოდა, რადგან მო-
აგონდათ, როგორ უკრძალავდა ბონდო
ზურაბს ტარბუნის ქამას, როგორ უფ-
რთხილდებოდა იგი მის კბილებს, რო-
ცა ზურაბის ყველა კბილი ხელოვნური
იყო.

ზურაბს უცებ მოაგონდა, საიდან ახ-
სოვდა ეს კაცი.

ეს იყო სამა წლის წინათ. იანერის
სუესიანი დღე იყო. თოვდა. თბილისის
აეროდრომიდან არცერთი თვითმფრი-
ნავი არ აფრენილა. აეროპორტში მგზა-
ვრები მოჩარდნენ, ზოგი სკამებზე
თელემდა, ზოგს ფეხზე დგომით მუტ-

ლები სწყდებოდა. ზურაბი და მისი თანამშრომელი — ბენედიქტე წიფვივაძე. პატარა ჩია კაცი, რომელსაც გრძელი სახელოებიდან თითები ოდნავ უჩანდა და ლოყისთავებზეც კი წვერი ამოსელოდა, ერთად მიფრინავდნენ მოსკოვს. მათ თითქმის ყველა გაზეთი და ჟურნალი გადაიკითხეს, რაც კი აეროვავზლის ჩიხურს ებადა. საბოლოოდ გადაწყვიტეს, რესტორანში შესულყვინენ და ესადილათ. ერთ-ერთ კუთხეში მღვარ მაგიდასთან ოთხ შემთვრალ კაცს მოჰკრეს თვალი. მაგიდაზე ოციოდე დაცილილი ბოთლი იდგა, ჰუჰუჰიანი ჰურჰელი, პაპიროსის ცარიელი კლოფები და ნამწვავები ეყარა, ხელნაკრავ ჰიჰის ჰვემ ღვინო იყო შეტბორებული და იქ ოთხ კაცში ყველაზე ხმაჰალა რომ ღრიალებდა, აი სწორედ ის გახლდათ ბონდო. ბონდომ იცნო ბენედიქტე წიფვივაძე. უტიფრად დაუქნია ხელი, რაც მუქარას უფრო წააგავდა, მიიხსო სუფრასთან და ფეხზე მდგომს. მდროვესავით, ღვინით საევე ჩაის ჰიჰა ძალისძალად დააღვეინა. სანამ ტანმორჩილი წიფვივაძე სვენებ-სვენებით ღვინოს წრუჰავდა, ბონდომ გაცივებული მწვადის ნაჰერი, პურის ლუჰამაზე რომ იდო, ლუჰმასთან ერთად ვეგებერთელა თითებს შუა ჩაჰყლიტა და მეორე ხელით უნდოდა ახლა ხახვის პატარა გორგოლაჰიჰ ჩაეტენა პურსა და მწვადს შუა, მაგრამ მთვრალმა მოუქნელმა თითებით ვერაფრით ვერ შეძლო ამის გაკეთება. გაბრაზებულმა ბონდომ ხახვის აფურცლული გორგოლაჰი ბუფეტისაკენ გადაისროლა. წიფვივაძე, როგორც იყო, გამოუხსლტა ხელიდან ბონდოს, რომელმაც ახლა ოფიციანტზე იწია, იღრიალა — ასი ხინკალი სადაც გინდა გააჩინე, თორემ წიწილასავით თავს წაგაწყვეტავო! ნახევარი საათიც არ გასულა, რომ მოართვეს ასი ხინკალი, მაგრამ ბონდო ატეხილი იყო, უჰარილო ეჩვენა — რა თავში ეიხლი უჰარილოსო და, ჰერაც რომ ლურჯი ორთქლი ასდიოდა ხინკალს, სანაგვე ყუთში გადაუშვა.

ძნაკავებმა ფული ბლუჰად, დაუთვლელად გადაუყარეს შიფრისწესში და ბარბაციო ზურაბის მაგრდნისაჰი მისტინენ. მათ დიდხანს იბრაეუნეს მერდში მუშტები. ილულულდეს ვრზე, მამულზე, მის უღალატობაზე, უჰმანური გინებით იხსენიებდნენ ვილაცას, ვისაც სამშობლოს ღალატი შეეძლო, მერე ბონდომ კონცის დროს წიფვივაძეს ლოყაზე უჰბინა და, როგორც იყო, ოთხივემ დატოვა დარბაზი. ჰერ კარში გასული არ იყვნენ გაღეშილი მეგობრები, რომ ოფიციანტმა სინზე შედგმული თორმეტი ბოთლი „კარდენახი“ დაუდგა ზურაბს მაგიდაზე და პირგაბადრულმა დასძინა: — „ეს იმათ პირადლ თქვენ მოგართვესო“. ზურაბი გაწითლდა, უბრძანა — მოაშორეთ აქედან ეს ღვინო. სურია ოფიციანტმა, წელში გაზნექილმა, სულ იორღით ატარა საევე ბოთლები ბუფეტამდე.

ღიახ, ასეთი ახსოვდა ბონდო ზურაბს: ვალეშილი, გამტყვრალი, ატეხილი, აღრენილი და თვალისხსლიანი მდევე-კაცი.

ვაშლიჯვარში სტუმრობის შემდეგ ორი თვეც კი არ გასულა, რომ ზურაბი კვლავ მოსკოვს მიავლინეს. იელისის სიცხე მოსკოვში მძიმე ასატანია. გავარვარებული ჰეაფენილები, უსასრულობამდე ზეაფენილა სახლის კედლები დიდხანს ინახავს სითბოს, თენთავს ადამიანს. ერთ ასეთ დღეს, საათის ოთხი იქნებოდა, რომ ზურაბი დილიდან ნასირბილევი, დაღლილი დაბრუნდა სამუშაოდან და სასტუმროს ვესტიბულში ბონდო დახვდა. ბონდო სავარძელში განცხრომით იჯდა, გაზეთებს ათვალეირებდა და ზურაბს ელოდებოდა. ზურაბმა ის ნომერში არ შეიბატეა — იქვე, ვესტიბულშივე ჩამოჯდა და სმენად იქცა. ბონდო კი წამოდგა და რესტორნისაკენ წაიწია:

— წევიბეზსოთ პაწა.

მაგრამ ზურაბმა დაღლილობა მოიმიზეზა, იუარა, მამინ ბონდომ სთხოვა შებინდებისას გამოგივლითო, მაგრამ ზურაბმა მოუქრა — სტუმრად ვარ

წვეულო და არ გამოვყო. მხოლოდ მაშინ დაყარა ფარხმალი ამ აბეზარმა კაცმა და ისევ საჯაროებში ჩაეხეთქა.

ზურაბს მოსკოვში, სხვა დიდ საკითხებთან ერთად, თბილისის სალმშენებლო ტრესტისათვის ოთხი ათასი ტონა ცემენტის გამოყოფის საქმეც უნდა მოეგვარებინა. მაგრამ შუა წელიწადში თუნდაც გადაუდებელ სამუშაოთათვის რაიმე, დამატებითი ფონდების მიღება საკავშირო ორგანოებში განსაკუთრებით ძნელია. ამიტომ ზურაბს, ამ საკითხის გადასაწყვეტად, საქმის ღრმა ცოდნა უნდა გამოეჩინა და თან დასაბუთებული ანგარიშები წარედგინა. გამოირკვა, რომ ბონდო სწორედ ამ საქმის დასაჩქარებლად ყოფილა ჩამოსული მოსკოვს. ზურაბი კარგახანი დუმდა, მერე მოიკრიფა ძალა და ყოველად ზრდილობიანად სთხოვა ბონდოს ხელვე დაბრუნდი თბილისში, რადგან შენი დახმარება არაფერში მჭირდებაო. მაგრამ ბონდომ სხვა საქმეებიც მოიმიზეზა, დარჩა მოსკოვში და ყოველ საღამოს ურეკავდა ზურაბს, გადაწყდა თუ არა თქვენი ტრესტისათვის ცემენტის გამოყოფის საკითხი.

ერთმა კვირამ გაიარა. ბონდო მმართველს დაუკავშირდა თბილისში და მივლინების გაგრძელება სთხოვა — წკიპზე მაქვს მიყვანილი ცემენტის გამოყოფის საქმე, ვერ ჩავშლი, რამდენიმე დღეც მაცალეო. მმართველმა გაუგრძელა მივლინება. მეორე დღით, შვიდ საათზე მან ლოგინიდან მძინარე წამოაგდო ზურაბი, მოიბოდიშა და სთხოვა მითხარიო, რა სტადიაში იმყოფება ცემენტის გამოყოფის საქმეო. ზურაბმა უპასუხა, საქმე ცუდად არ არისო და ჩააწერინა თანრიგის ნომერი, რომლითაც გაფორმდა ოთხი ათასი ტონა ცემენტის გამოყოფა. იმავე დღით ბონდო გვერდა ვენტოვოს აეროდრომზე და იქვე შეიძინა სხვისი დაბრუნებული ბილეთი. ორ საათში ბონ-

დო უკვე თბილისში იყო და ტრესტის მმართველს მოახსენა, რომ ცემენტის რამდენი წვალემა, ჯაფა და ლევა გადავიტანე, სანამ ცემენტზე ფონდის გამოყოფას და განრიგის მიღებას მივალწევდით. ტრესტის მმართველმა რატომღაც ირონიულად გაიღიმა და ზურაბზე გაიფიქრა — „გიყი ქალაქს მიდიოდა, რა მიქონდა, რა მოქონდაო“, რადგან მან ბონდოს სიცრუეს დაუჯერა.

განგლო წლებმა ყველას თავისი ყვავილობის დრო აქვს. ზურაბსაც ზურგზე ხნოვანების მძიმე ტვირთი დააწვა და დიდი ჭკმანის შემდეგ პენსიაზე გავიდა. მას ეხლა აღარც დიდი თანამდებობა ეკავა და არც რაიმე სახელმწიფოებრივი საქმე ებარა, საკუთარი თავის მოვლა-პატრონობის გარდა. ერთ შემოდგომის დღეს, როდესაც ქანცმილელი მზე ძლივსდა სდევდა დედამიწას და შეყვითლებული ფოთლები ხალიჩებად ეფინებოდა ქეჩებს, ზურაბი ბორჯომის სანატორიუმიდან თბილისში ბრუნდებოდა. სადგურის მოედანზე ვეებერთელა ჩემოდნით ტაქსის უსასარულო რიგში ჩადგა და ურიგოდ შემოტმანსილ ახალგაზრდებს შეეკამათა.

ამ შეტევა-შემოტევაში გართულმა ზურაბმა მოულოდნელად ძველ ნაცნობს — ბონდოს მოჰკრა თვალი. იგი ტაქსის რიგში პირველი იდგა და ჩოჩქოლისა და ხმაურის ხმაზე ზურაბისაკენ გამოიხედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა და, თუმცა ერთმანეთისგან საკმაოდ შორს იდგნენ, ბონდო იძულებული გახდა გამოსმაურებოდა ზურაბს და გადმოსძახა:

— გამარჯობა შენი, ზურციო, რავა მყავს შენი თავი?

მერე, არც მიუხედავს უყან, გაჩერებასთან ღრვიანად დამუხრუჭებულ ტაქსში შოფერს გვერდით მოუჯდა, წელში გაიზნიქა და ლურჯი კვადრატებით დამშვენებული ტაქსი ადგილს მოსწყდა.

ერთი ქვეყანაზე...

ქრონიკა

• • •

რაფიელ ერისთავი დარწმუნდა, რომ მისი საქმე მწერლობა იყო, მწერლობა და ეროვნული მოღვაწეობა. ამაში კი მოხელის თანამდებობა ზელს უშლიდა, გულის მისწრაფების, ეროვნული მოღვაწეობის გზიდან ხშირად ახვევინებდა. 1870 წლის 28 ივნისს ლეთხოვია სამსახურს, თბილისში ვადმოვიდა საცხოვრებლად და ვატაცებით მიეცა მწერლობას. ერთბაშად, ვასაოცარი სილადით ვაიშალა მისი სამწერლო ნიჭი. ყველაზე მეტიც ამ დროს დაწერა და ყველაზე ვაბედულადაც ამ დროს თქვა თავისი სათქმელი.

იმ წლებში ანდრი ვეგეკორიცი თბილისში ვადმოვიდა საცხოვრებლად. ჯერ ექრნალ „იქედში“ დაიწყო მუშაობა, მერე კი „მესაბედასელებს“ მიეკედლა და მთელი ვატაცებით შეუდგა პარტიულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. „ესამედასელები“ დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ რაფიელ ერისთავს, მის სოციალურ თემებზე დაწერილ ლექსებს მხარს უჭერდნენ. ვანსაკუთრებით ანდრი ვეგეკორიცი მეგობრობდა რაფიელთან.

იმ დღესაც ესტუმრა ანდრი რაფიელს. ვანელილი წლები ვაიხსენეს, სამეგრელოს ამბები მოივონეს.

— ვახსოვს, ანდრი, როგორ ვამოვტებეთ ის აზნაურიშვილი, მამულის თაობაზე იმ გლუხს რომ უჩიოდა? ამას წინათ ერთი არაკი ჩაეიწერე კახეთში და ის საქმე მომავონდა, შენ მომავონდი. მთლად შენი მოქმედებაა აღწერილი იმ არაკში. თუ არ ვჯერა, აი, წავიკითხავ.

„თეიმურაზ მეფეს მეტად კვიანი ზემარა ჰყვოდა, სახელად ბენია. ბენია მეფეს კარზე მოსულ სტუმრებს ალხენდა ხოლმე. მეფე მას არასოდეს იშორებდა გვერდიდან. ზოგიერთი საქმის ვარჩევანშიც მონაწილეობდა, მავრამ ჩუმად ვანჩინების მიცემის დროს თავის აზრს მეფეს ჩუმად წასჩურჩულებდა. ერთ დღეს ქალაქ თბილისში, სამეფო პალატაში, მეფე თეიმურაზთან მოვიდა ორი მომჩივარი, აზნაურიშვილები, ერთმა მოახსენა: — ბატონო და მამაო მეფემ; ვეფიციები ქრისტეს, რომ ის ადგილი ჩემია, რომელსაც ეს ნედავება, უბრალოდ მართმევს და მანვალუმს. მეც მანულებს და თქვენცა, რას მემართლებ, ბატონო მეფე... მერე მეორემ მოახსენა — მე დმერას ვეფიციები, ბატონ-



ნო მეფეო, რომ ეს კაცი ტყუის, სულ ტყუილებს მოვახსენებთ, ის ადგილები ჩემს საკუთარებას შეადგენს, უბრალოდ შედაგება, ჩემი დაჯანა ურდა; მეფეო, სიონის ღვთისმშობელს გეფიცები, რომ ჩემია ის ადგილები.

მეფემ ხმა არ გასცა, დაფიქრებული იყო.

— მე გეტყვი, რაც უნდა ქნათ, თუ ბატონი მეფე ნებას მომცემს. — ოქვა ბენიამ.

— აბა სიტყვი, ბენიამ — უბრალოა მეფემ.

— აი, მე რას მოვახსენებ. ესენი ორივენი მართალი ყოფილან. მოდიო, ბატონო და, ეს მამული ორივეს გვეუყოთ.

ერთმა თქვა:

— ძალიან კარგი იქნება.

მეორემ დაიყვირა:

— რისთვის, ბატონო მეფე, რისთვის უნდა გამიყონ ჩემი საკუთარი მამულები, რას შემართლებიან?!

— თო! აი ახლა მოეხვდი ვინ ყოფილა თქვენში მართალი, ახლა გამოჩნდა ყველაფერი — მიუგო ბენიამ. მეფე აღტაცებული დარჩა. საქმის გარჩევას შეუდგნენ და მტყუანი გამოტყვეს...

— არა, ჩემო ანდრი, ხომ გავიწყებს ეს არაქი იმ ჩიქოვანის საქმეს, მაშინ ზუგდიდს რომ გავარჩიეთ... დიდხანს იგონებდნენ ძველი მეგობრები ძველ ამბებს.

— ბნელი დრო იყო, მეტად ბნელი დრო, ბატონო რაფიელ. ბატონყმობის წყვილიდან ამოკურებული ეს არაკიცი ამის დასტურია.

— ჰოდა, იმ ბნელ დროშიაც მე, ერისთავი, ყმების მხარეზე ვიყავი. ტრაპაზობაში არ ჩამოხართვა და, იქ, სამეგრელოში, ყმების მძიმე მდგომარეობის ხილვამ ისე შემაძრწუნა, რომ ქართველ მწერლებს შორის მე პირველმა საჯაროდ ავიმალლე ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ. ამის თაობაზე „ციხკარი“ რომ ლექსი გამოვაქვეყნე მაშინ შენ ვადასახლებამი იყავი და ალბათ არ წავიციოთხავს, არც მე მოთქვამს

რამე ამ ლექსის თაობაზე. აბა მომიტყევი:

მეფეო, ბატონო, დმრთისა მსაჯულო, ვამაყალებს შენ ჩემი თავი, მხურვალედა ვახოვ, ცრემლითა გვიდრი, გულს მომართე მე ცუბელი მწკვი, ვახოვ, დამბარუნო მე ჩემი შეილი, დედა ეარ მისი, განა მომვლდი? სხვა რად კატრონობს ჩემნა ნაშობა, რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი სევი? შეილი ზემო, უარს ხომ ვერ გყოფ, ვახოვ, მომართო ეს ცუბელი ალი. მე ზვერს ვერ შევტლებ, სუსტი ბუნების დედა ცოდვილი, ბედარეული ქალი. ეს კაცი მეგრძეის, შეილი წამართვა, ვისი უპური, მიხრძანე, ძალი? შენ რად არ მომცემ ღმრთის ნაქტრებსა, რად არ მიხრძანებ, თუ ეწამს უღალი? ამ დროს მიხვდა შეილა დედაძმა, თელს უშვრებოდა, უქნედა ბელსა, ჩემთან მოდიო, მას ანსნებდა, ცრემლს კი ვერ ჰღვრიდა გულის შეწყველსა.

შეილა, შემკრთალსა ბატონასაგან, ვერა ესედავდი დედისკნ მსვალესა, რომ მისტლყო, ვადაჯოცა, დედაშვილურად მსვეცოდა მდრდსა!

— ეს ლექსი 1857 წელს დავწერე ზუგდიდს. დაბეჭდვით კი „ციხკარის“ 1861 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა, სხვისი ხელმოწერით. ვისი? შენც კარგად იცნობდი ჩემს უხლოეს მეგობარს იოსებ მიჭაბერიძეს. ასაც შესწავლით ხმალამოლებული იარსოდა ბატონყმობისა და ჩაგერის წინააღმდეგ. კურნალ „ციხკარის“ იმავე ნომერში, სადაც ეს ლექსია დაბეჭდილი, ჩემი მეორე ნაწარმოებიც („ნაამბობი მოხუცის“) გამოქვეყნდა. ამიტომ, თუ იდე და ამ ლექსს ჩემი მეგობრის სახელი და გვარი მოვაწერე.

რაფიელი სახეზე შეაჩერდა გვეგეკორს.

გვეგეკორმა ღიმილით უპასუხა:

— ალბათ, ბატონო რაფიელ, მუნდირსაც, მეფის მოხელის მუნდირსაც ნოერიდეთ, არ ვინდოდათ ვაგემწევაებინათ ურთიერთობა.

— არა, მარტო ამიტომ არა. თუქცა, ისიც უნდა ვითხრათ, რომ არ მამა-

ტიეს ჩემმა უფროსებმა მოსახლეობისადმი, მშრომელებისადმი ლოიალური დამოკიდებულება და ალბათ ამიტომ იყო, რომ ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ გადამომიყვანეს, მერე კი რაჭაში გადამაგდეს. მივხვდი, რომ არ იყვნენ ჩემით კმაყოფილნი. ვიდრე გადამაყენებდნენ, თვითონ ვითხოვე განთავისუფლება და 1870 წელს თბილისში გადმოვედი სამუშაოდ. ერთხანს ვეჭირობას ვეწეოდი, ახლა ცენზორად ვმუშაობ და, რამდენადაც შემიძლია, ვსველი და ვესმარები ხალხს.

— ბატონო რაფიელ, ხალხი არ დაიწყებს თქვენს სამსახურს, მაგრამ მშრომელ კაცს რომ არაფერი ეშველა, ესეც ხომ ნამდვილია. მუშა და გლეხი ისევ კენესიან და მოთქვამენ, გააკითხავი კი არავენ არის. ალბათ უფრო გაბედულად უნდა ავიმალლოთ ხმა ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ. აქ სიტყვას ძალა უნდა მივაშველოთ რასაც ნებით არ გვაძლევენ, ძალით უნდა მოვიმოვოთ. ახლა მთელს იმპერიაში ამოძრავდა ხალხი და, რუსეთის მშრომელ ხალხს ეგებ ჩვენებიც, საქართველოც ამოუდგეს გვერდით. ამ იმედით, ამ რწმენით უნდა ვიბრძოლოთ.

— მე, მართალი ვითხარათ, ბატონო ანდრი, საქართველოს მდგომარეობა რუსეთის მდგომარეობისაგან მაინც განსხვავებული მგონია. საქართველოს მონობის ორმაგი უღელი ადგას კისერზე — ეროვნული და სოციალური. ორივეს უნდა გადაგდება!

— მე მგონია, მაინც სოციალური მონობა, შიმშილი და სიღატაკე ყველაზე დიდი უბედურებაა. ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს თვალწინ, ცხოვრება წინ წავიდა. აი, თუნდაც თბილისი როგორ გამშვენებოდა, ვალამაზდა, რამდენი ახალი სახლი წამოიჭიმა, მაგრამ მშრომელი კაცისა მაინც არაფერია. მან აავგო, მან ააშენა ეს დიდებული სახლები, ფაბრიკები, ქარხნები, მაგრამ წილი კი არ უღევს ამ სიმდიდრეში, — თქვა და მძიმედ ამოიხენეშა გვეგეჭკორმა.

— მეც მანდა ვარ, ჩემო ანდრი. ვაქ-

რები გვხდინა სულს, ეს უცხო ბატონები დაეუფლნენ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს. ქართველი მებატონეები იმდენს ვერას ვეაკლებდნენ, რამდენსაც ეს ახალი ბატონები. აი ვინ არის საქართველოს მტერი. სამშობლოს შეველა უნდა. და ყველამ ერთად უნდა ვუშველოთ პარტიებად კი არ უნდა დავიყოთ, კი არ უნდა დავნაწევრდეთ ქართველები, არამედ ერთად ვიბრძოლოთ საქართველოსათვის.

ანდრი არ შეეკამათა ერისთავს, თუმცა სხვა აზრისა იყო ამ საკითხზე. ამით ისარგებლა რაფიელმა და უფრო ვრცლად განმარტა თავისი აზრი.

მიყვარს სამშობლო და დედა ენა
ღმერთო შენ მიეცე ქართველებს ლხენა!

წარმოსთქვა და პირვეარი გადაიწერა. შემდეგ კვლავ ჩვეული სიღინჯით განაგრძო:

— ბავშვი რომ დაიბადება, დაიყვირებს თუ არა, ტუჩების ცმაკუნით, ჯერ კიდევ თვალაუხვლელი დედის ძუძუს მიეტანება. პირველ ნექტარს ცხოვრებისას დედის ძუძუდან მიიღებს და დამწვიდდება, თვალს რომ აახელს და ზეცას შეხედავს, ისევ იყვირებს. ჩვენ რომ ტირილი გვგონია, ეს სიხარულის ყვირილია, ბავშვს სამშობლოს ზეცის ხილვა უხარია. მერე დედის ძუძუ და სამშობლოს ზეცა მის სალოცავ ხატად იქცევა — დედად და სამშობლოდ. რამდენი ტანჯვა და წამება არ გადაგვხდებოდა, მაგრამ დედა, დედაენა, სამშობლო იყო, არის და იქნება ჩვენი ფარი და ხმალი:

აგრე იბრძოდნენ ქართველნი
მამულისათვის, სჯულისათვის,
ეწამებოდნენ ქრისტესთვის,
თავისუფლების გელისთვის.

ჰოდა, რომ ვამბობთ, ერთგულნი ვიყვნეთ ჩვენი დიდებული ტრადიციისათ, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ მიგბამოთ ჩვენს წინაპრებს მამულის სიყვარულსა და ერთგულებაში.

— ბატონო რაფიელ, თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ბატონებიც და სამთავროთა უფროსებიც გიჭვინდნენ და ყიდიდნენ ჩვენს მამულსა და ენას, რჯულსა და მიწაწყალს. სწორედ იმ უნამუსო, გულჭკვა ბატონებმა დააქციეს საქართველო. ახლა მშრომელმა ადამიანებმა უნდა იხსნან სამშობლოცა და მამულიც, ენაცა და ქვეყანაც. მშრომელი ხალხია ბურჟიერისა და ამ ხალხს უნდა მივხედოთ, დათ უნდა ვუმკურნალოთ...

— არა, ჩემო ანდრი, ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ ახალთაობის მადლსა და ძალას ვერა ვხედავდეთ. მამ რაზე ვამყარებ ახლა იმედს! ოლონდ, ნუ ვიქნებით უმადურნი, ნუ ვიტყვით იმას, რომ ძველ ხალხშიც არავინ ყოფილიყოს მამულის ერთგული და დამცველი. მართალია, ძველებშიც იყვნენ ფლიდნი და მოღალატენი, მაგრამ ახლებშიაც არიან უსინდისოები, კარიერისტები... და ასე განურჩევლად ნურც ძველს გავიშვებთ და ნურც ახალს შევაქვებთ. სამშობლოს მოღალატენი ღმერთმა დაწყველოს ძველიცა და ახალიც.

ღმერთო, მოკითხე, ვინც ლალატობს
 მოქმედს და ერსა,
 ვინც მათსა საქმეს, მათს იმედსა
 ჩაუგდებს მტერსა!
 ვინც პირშევი და მხავერობით გული
 უბგერსა,
 შენ ამოფხვერი, გრივალს მიეც, შეუბრუნე
 მტერსა!

ღმერთო, დატანე ფილი, ერში
 გამოჩნეული,
 რომ ერე, მუხთალი დადიოფეს როგორც
 ველი.
 კეთის ნუ მოყვლებ, სულ, მარადის იფის
 სწეული,
 მხედეს რისხვა შენი, მუხი ცისა, იფის
 წყაული!

— კარგად არის ნათქვამი, ჩინებულისაგან თავი ვერ შეიკავა გეგემქორმა, ადგა და მხურვალედ გადაეხვია მეგობარს. — მწერლობა დიდი ძალია, ერის უტყუარი იარაღი, მისი ცხოვრების გამომატველიც და წარმართველიც.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო ანდრი, ჩვენი ხალხი მწერლობაში შეინახა მან ჩვენი ენა, ჩვენი ეროვნული მეობა ათას კირსა და განსაცდელში გამოატარა და ისე გადაცა შთამომავლობას. ახლაც მწერლობა უვლის ჩვენს ქვეყანას. თუ საქართველო მრავალკირსა და ქარიშხალს გადაურჩა, ეს მწერლობის წყალობით მოხდა. მე, ერთი უბრალო მუშაკეთაგანი ამ აბიძინებული ყანისა, სხვა ძალას ვერა ვხედავ, მამულის მოვლა რომ შეეძლოს. ამიტომ შევყურებ ასეთი დიდი იმედითა და რწმენით იმ საქმეს, რომელსაც ილია და აკაკი მეთაურობენ. ისინი არიან ჩვენი ერის მამები. თუ მწერლობა ხალხში არ გავიტანეთ, ხალხის კეთვნილებად არ გავხადეთ, ისე ფესვს ვერ გაიდგამს ის ეროვნული და სოციალური მოწინავე იდეალები, რომლებსაც მწერლობა ქადაგებს. სწორედ ამიტომ, როცა ახალგაზრდებმა ანტონ კათალიკოსის ენას შეუტრეს, შინაგანად თანავუგერძობდი მათს ოპოზიციას. გახსოვს, ილია რომ ამბობდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ჭნა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავეთხოვებით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მავას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ასე ამბობდა ილია და ატყდა ცხარე კამათი სამოციან წლებში ენის საკითხებზე. პეტერბურგელმა სტუდენტებმა ილიას მეთაურობით ცხარედ შემოუტრეს ცისკრელებს. ამ დიდი ბრძოლის დროს მე ზუგდიდში ვმუშაობდი, იქიდან ვგზავნიდი ლექსებს და მოთხრობებს, რომლებიც „ცისკარში“ ჩემი დის პარბარე ჟორჯაძის ნაწერებთან ერთად იბეჭდებოდა. ილიასაც შეუტრეს ცისკრელებმა, მათ შორის ჩემმა დამაც. მათ ისე ეგონათ, მწერლობაში ნათელი, გასაგები, ხალხური ენის დამკვიდრება

ქართულის გაღარიბება ქართული მწერლობის დაქვეითება იქნებოდა. ილიამ საბასუხო სიტყვაში უფრო მწარედ შეუტია არქაისტებს, რაიგ სალანძღავი სიტყვებით არ გაუმასპინძლდა! არაფერ დაზოგა, არც შინაური და არც გარეული. განსაკუთრებით ჩემს დას ბარბარეს შეუტია. არ დაგიმალავ, ძლიერ მიყვარდა ჩემი და, და არ მესიამოვნა ილიასაგან მისი ასე აბუნად აგდება. მაგრამ მწერლის იდუმალი გრძობა მიკარნახებდა, რომ ამ ბრძოლაში სიმართლე ახალგაზრდების მხარეზე იყო. და მეც მათ ვემხრობოდი. ამის თაობაზე 1862 წელს ეურნალ „ცისკარში“ ჩემი აზრაც გამოვთქვი, ოღონდ შეპარვით, მაგრამ მაინც გასაგებად და ნათლად. — თქვა რადეულმა და მერე „ცისკარში“ დაბეჭდილი მოთხრობის — „ლიტერატურული საღამოს“ შემდეგი ადგილი წაიკითხა:

— „ა ენით უნდა იწერებოდეს სტატიები... რა გვართ, რა სახით?.. ერთის სიტყვით მაღალის ენით, თუ დაბალის ენით?

— რასაკვირველია, მდაბიურის ენით უნდა დაიწეროს, — მიუგო მოლაროვმა.

— შე მაგაში ნახევრად გეთანხმები, — სიტყვა კერკაძემ.

— როგორ ნახევრათ? — ჰკითხა მოლაროვმა.

— ასე, — უპასუხა კერკაძემ, — რომ, შეიძლება იყოს სტატია, რომელსაც მოუხდეს მდაბიური ენა, წერა, გამოთქმა, გამოხატვა აზრისა. აგრეთვე იქნება სტატია, თხზულება, რომელსაცა შეჰქვეყნის ენა მაღალი, ანუ ენა საშუალო, გამოთქმა ღრმა, ანუ მდაბიურა.

— წერა კარგი და საზოგადო ის არის, რომელიც ყველასათვის გასაგონია, ესე იგი მდაბიური, — სიტყვა მოლაროვმა.

— აბა, ბატონებო, შეათანასწორეთ წერილები, თხზულებანი ჩვენს ღრმადის, — წარმოსიტყვა კერკაძემ, — და მნახავთ, რომ სხვა და სხვა გვართ და სხვა და სხვა ენით არიან ნაწერნი, მაგ-

რამ მათში ჩვენ არამცთო ვერას დაეწუნებთ, კიდევ მოგვწონს.

— შე მაგას არ ვიტყვი, — რომ სხვა მითგანი არ იყოს მოსაწონი, — მიუგო მოლაროვმა, — აი, როგორც: რუსულანია, ეისრამიანი, სიბრძნე-სიცრუე, ოღონდ ისეთი სიტყვები არ ერიოს, რომ საზოგადოდ გვიჭირდეს მათი გაგება...

— მაშ სიბრძნე სიცრუე რაღათ მოიწონე? — ჰკითხა მოლაროვს ჩინთელმა, — იმაშიაც არის სიტყვები, რომელთაც ყველა ვერ გაიგებს ადვილათ, ანუ თუ გაიგებს, აი იხმარებს მაინც, აი როგორც ეს სიტყვები: მუნიო, არდაგი, წარილო, მისცნა, მოართუნა, პურნი, წალკოტიო, დია, მუნ, უსხი, მრწემი, რონინობდნენ, აწვა, უბოძა, უბალო, ესეა და სხვანი პრავაღნი... ასევე „ეისრამიანშიაც“ იპოვი მაღალი ფრაზის სიტყვებს...

— აი, „ქილილა და დამანა“ სხვა არის... „რუსულანიას“ არ ჩამოვუარდება.

— მოითმინე, უმანვილო! შორს წახველ! — წარმოსიტყვა მოლაროვმა, — თუ სიბრძნე-სიცრუეში ის, რომელიც შენ ჩამოსთვალე, გაუგონარია, მაშინ ჩვენ ქართულს სულ ვეღარას გავიგებთ... შენ ანისოვის გუცხოება ის სიტყვები, რომ ქართულს ხშირად არ კითხულობ, მოშორდი ქართულს ლიტერატურას და იმ გვარი სიტყვებიც შენს სმენას გაშორდნენ!

— შე კერკაძის მხარე მიჭირავს! — წამოიძახა ლაფანოვმა და მიუბრუნდა მოლაროვს კითხვით: — მაშ რუსის მიტროპოლიტის მაგიერ რომ ყოფილყავ, ან ტიმოტესა მაგიერ, მიმოსვლის და მოგზაურობას სხვა რიგათ დასწერდი?... „ქართლის ცხოვრებასაც“ მდაბიურათ დასწერდი?

— რატომ არა! — მიუგო მოლაროვმა, — უუპველათ, რომ მდაბიურათ დასწერდი... დაბადებას რა უჭირს, რომ მდაბიურის ენით არის ვადმოღებული? ხეტოვი ყველანი ისე ასწარდნენ... საპართალის წიგნს რა უჭირს? მაგათ

ცხოვრებას რა უკერა?... მართალია, ამ უკანასკნელ თხზულებაში და დაბადებაშიც თითო-ორი სიტყვა გამოურევა, რომ დაბალმა ხალხმა ვერ გაიგოს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ მოვსკლით იმ საუკუნეს, როცა ისინი იწერებოდა... ის თხზულებანი, რომელნიც თქვენ ეხლა ჩამოთვალეთ, ბევრნი მათგანი მეთორმეტეს და მეცამეტეს საუკუნეში არიან ნაწერი. ახლა კი სხვა და სხვა სიტყვა შემოგვაქვს ჩვენ ენაში და ჩვენები კი გვაიწყლებმა!... დავუკვირდეთ, ჩავუაროთ და მოვგონოთ, ვიპოვით დაკარგულს, გავისხენებთ და ვიწყებულს..“

რაფიელი შეჩერდა, მოთხრობის კითხვას თავი მიაჩნებდა და ისევ გეგუკორს მიუბრუნდა:

— მართალია, სამოციანი წლების იმ ცხრე კამათში ილიას შემტვეი სულისკვეთება ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენებოდა, მაგრამ მაინც თანაფერძნობლი თერგდალეულებს. „შვილები-სა“ და „მამების“ ბრძოლაში სიმართლე შვილების მხარეზე იყო, მაგრამ მე მუდამ ზომიერების მომხრე ვარ და აქაც ზომიერების გზას ვადექი. შენ ალბათ ისიც ვახსოვს, რომ შეეთანხმებით, ზუგდიდის მახრის კანცელარიის მიმორწერა სწორედ იმ მდაბიურ ენაზე გვეწარმოებინა, ილია რომ მოითხოვდა. აკი შეეცალეთ კიდევ დადიანების კანცელარიის „მალალი სტილის“ ენა მდაბიური ენით. დიახ. მე არც ჩემს წოდებას მოვერიდე, არც ჩემს თაობას, არც ჩემს დას ბარბარეს, რომელიც ძალიან მიყვარდა. ცხოვრებამ ილიას სიმართლე დაადისტურა. ჩვენი მოვალეობაა ჩვენი დიდებული მწერლობა ხალხის საყოველთაო კუთვნილებად გავხადოთ. ხალხისთვის გაუგებარ ენაზე წერა ერის სამსახურზე უარის თქმას ნიშნავს. ან რა აზრი აქვს მწერლის წიგნს, თუ ხალხისთვის გასაგები არ იქნა. ჩვენი ხალხის უმრავლესობა სწორედ ეს მდაბიო ხალხია. უპირველეს ყოვლისა, მათთვის გასაგებ ენაზე წერა გვმართებს

და ილიაც ხომ ამ ენის გაბეჭდვას მოითხოვდა.

ცხოვრების მიზნად მუდამ ხალხის სამსახური მქონია დასახული და არც როდისმე დამიზოგავს თავი ხალხისთვის. ამასთან, მე მუდამ წინააღმდეგი ვიყავი და ვარ ვიწრო კარნაყტილობისა. მძავს ყველა ჭურის შოვისისტები. ბუნებით მუდამ ინტერნაციონალისტი ვიყავი და იმედის თვალთ შეგყურებლი ერთა ძმობასა და მეგობრობას. რუსებში ბევრი მეგობარი მყავს. ისინი აღმიძრავენ რწმენას, რომ მოწინავე რუსეთის ინტელიგენციას სურს კეთილდღეობა ჩემი ერისა, ჩემი ხალხისა. აი გუშინწინ წერილი მივიღე პეტერბურგიდან, ბოროზდინისგან. ეს ის ბოროზდინია, აჰ, თბილისში, მედისნაცელის კანცელარიაში რომ მუშაობდა, შემდეგ სამეგრელოში ეკატერინე დადიანის შვილების აღმზრდელი რომ იყო. ბოროზდინმა რამდენიმე წერილიც გამიამჯვეყნა სამეგრელოს, სვანეთის, ფშავ-ხევსურეთის და საქართველოს სხვა კუთხეთა ყოფა-ცხოვრებაზე. ქართულიც იმდენად შეისწავლა, რომ არა თუ ლაპარაკობდა, წერამაც ახერხებდა. მართალია, პირველ წლებში ცოტა შემოდან დაგვეყურებდა ქართველებს, მაგრამ მერე ისე გაგვიშინაურდა, რომ საქართველოს მზეს ფიქვლობდა. ახლაც ამ წერილით პეტერბურგიდან, სადაც ამ მოხუცებულობის ყამს გადავიდა საცხოვრებლად, იმას მოთხოვს, რომ რამე დაწვერო პეტერბურგის ეურნალისათვის საქართველოზე. აი რა სწერია ამ წერილში: „ჩემი საქართველოს შესახებ დაწერეო რამე“. სედავ, საქართველოს თავისას უწოდებს! რუს კაცს, ვისაც საქართველოში უცხოვრია, არ შეიძლება ეს ქვეყანა გულით არ უყვარდეს, მაგრამ განათლებული რუსი კაცი იმასაც წერს, ქართველებსაც უნდა უყვარდეს რუსეთით. მერე თურქეთსა და სამეგრელოს შორის ამტყდარ იმს იგონებს, რომლის მონაწილე და მოწმეც სამეგრელოში თვითონ იყო.

აჰ რაფიელი ერთხანს გაჩუმდა, თით-

ქოს ლაპარაკმა დაღალა და შეისვენა. მერე ისევ ძმობასა და მეგობრობას მიუბრუნდა:

ძმობა, მეგობრობა — აი რას უნდა დაეყრდნოს ხალხის მომავალი. ასეთ ვითარებაში, სხვა ხალხებთან ძმობისა და მეგობრობის ვითარებაში რა სასაცილოდ მოსჩანს ის სამარცხვინო კუთხოპრობა, რომლის სენი ჯერაც არ გამქრალა, საქართველოში. ჩვენი მოვალეობაა ბოლო მოუვლოთ პროვინცი-ალიზმის ამ საშინელ სენს, კუთხურ კარჩაეტილობას. საქართველო ერთი და მთლიანი უნდა იყოს, მთლიანი და განუყოფელი, როგორც დიდი დავითისა და დიდი თამარის დროს იყო. მე ჩემი პატარა წვლილი ამ საქმეშიც გამოიღია. თავი არ დამიზოგავს, რითაც კი შემეძლო, მექადაგა, მემუშავა, მებრძოლა საქართველოს ერთიანობისთვის.

თუშ-ფშავ-ხევსურეთში, საოლქო სამმართველოში თარჯიმნად მუშაობისას კარგად გავეცანი ამ კუთხეს. შევიყვარე და შევეთვისე თავისუფლებისმოყვარულ მთის საქართველოს. აქ მუშაობისას ყოველ თქმულებას, ყველა ლეგენდას ვიწერდი. მერე, 1854 წელს წერილების სერია გამოვაქვეყნე გაზეთ „კავკაზში“. აღმათ ამიტომ იყო, რომ ამავე წელს გეოგრაფიული საზოგადოების წევრად ამირჩიეს. სამეგრელოში მუშაობისას საკითხი დავაყენე ამ საზოგადოების წინაშე, არქეოლოგიური გათხრები დაგვეწყო ანაკლიაში. ეს ერთ-ერთი ძველი საზღვაო პორტია მთელს კოლხეთში. მისი ისტორიის გამოძიება მინდოდა გახსოვს, ანაკლიაში გათხრები რომ დაიწყეთ, პირველად ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა ამ საქმეს. მაგრამ ყველა დაბრკოლება გადავლახეთ. ხელოვნების უნიკალური უძველესი ნიმუშები აღმოვაჩინეთ. დადასტურდა, რომ ანაკლია დიდად განვითარებული, ცივილიზებული პორტი ყოფილა მთელს შავიზღვისპირეთში. თურმე საბერძნეთს უტოლდებოდა. ის კი არა, ზოგი რამ ჩვენგან უსწავლიათ ბერძნებს და მი-

უტაცნიათ. დიახ, ძველი ანაკლიის არქეოლოგიური შესწავლა კმისკნდატურებს, რომ ჩვენ, ქართველებში უძველესი ერი ვართ, ძველ ცივილიზაციას ზიარებული, ახალ წელთაღრიცხვამდე განთქმული თავისი ხელოვნებით, დიდად კულტურით. ეს უნდა ვიცოდეთ. გვახსოვდეს, მთელ მსოფლიოსაც უნდა ვამცნოთ რანი ვიყავით.

— მართალს ბრძანებთ, რაფეელ ბატონო, ჩვენი ძველი კულტურის შესწავლა დიახაც რომ დიდი ეროვნული საქმეა. მაგრამ ნურც ის დაგვაიწყდება, რომ სწორედ აქ, ანაკლიაში ბევრი შავი დღეც გათენებულა. აქ საქონელივით ყიდიდნენ ჯანღონით სავსე, უღამაზეს ჰაბუეებსა და ქალიშვილებს. აქ ათასობითა და ათიათასობით ქართველი ქალი აუტირებიათ ჩვენ გულქვა ბატონებს. ანაკლია სამარცხვინო ბაზარი იყო მონობით ვაჭრობისა. ისტორია, ქართველი მშრომელი ხალხის ვაგბის ისტორია, სამარცხვინო წარსულის ეს ფურცლები ჩვენს თვალწინ იწერებოდა. მახსოვს, უტუეს რაზმელებმა 1857 წელს, აჯანყების იმ დიდებულ დღეებში, როგორ იხსნეს თოკებით ერთმანეთს გადაბმული, მეზატონეებისაგან გაყიდული 100 მონა-ყმა. ჩვენ სწორედ ამ სამარცხვინო წესის — ბატონყმობის წინააღმდეგ გავილაშქრეთ. და ამისთვის კინაღამ სული ამოგვხადეს, ბატონო რაფეელ!

— ეგეც მართალია. მართალია, და აქი მოგახსენეთ, რომ ბატონყმობის წინააღმდეგ მეც ამოვიღია ხმა, ბატონო ანდრი. მაგრამ მე იმას მოგახსენებდით, რომ ის შევინახოთ და შევისწავლოთ, რაც ძვირფასი გვქონდა წარსულში, რაც სამარცხვინოა, გავკიცხოთ და უკუვაგდოთ. ამას მოითხოვს ჩვენი ეროვნული ინტერესი.

— ეროვნული და სოციალური ინტერესი — დაუმატა თავის მხრივ ანდრიმ. — კაცს თუ კუპი ცარიელი აქვს და მშვირია, იმას არც სამშობლო უნდა და არც წარსული. კუპცარიელ ხალხს, დამშველთა არმიას უნდა ვუშველოთ,

თორემ ისე საქართველო, სამშობლო, ისტორია ცარიელ ფრაზეზად დაგერჩება. სამშობლო იმით გვიყვარს, რომ აქ დავიბადეთ, აქ გავიზარდეთ, აქ ვცხოვრობთ და ვმრობობთ. სამშობლო დედინაცვლად კი არ უნდა იქცეს კაცისათვის, ღვიძლი დედა უნდა იყოს. დედა სამშობლო! მწერლებს ხომ გვიყვართ ასეთი გამოთქმა დედა კი მხოლოდ მაშინ არის კეთილი, თუ ქუძს გაწოვებს, მშვიერს არ გამოყოფებს. დამშეულთა არმიას უნდა ვუშველოთ და სწორედ ამით განვამტკიცოთ ხალხში მამულის ნამდვილი სიყვარული. ვინც მშრომელი ხალხის სახელით იბრძვის, სწორედ იმასა აქვს უფლება სამშობლოზე მაღალფარდოვანი სიტყვების დახარჯვისა.

ანდრი გეგეკორი შესამედასელთა ჯგუფში იყო და ეკონომიური მატერიალიზმის პროპაგანდას ეწეოდა. მისი ასეთი გაცხარების მიზეზიც სწორედ ეს იყო. შესამედასელები დიდ პატივს სცემდნენ რაფიელ ერისთავს, დიდად აფასებდნენ, პოეტი სოციალურ საკითხს, გლეხელების საკითხს რომ არ იფიჩყებდა თავის ლექსებში. ისინი რაფიელს ხოტბა-დიდებას ასხამდნენ. ასე მოხდა პოეტის საიუბილეო დღეებშიც. მაგრამ რაფიელი არ იზიარებდა, ცალკეული დასელები ცალმხრივად რომ იბრძოდნენ ილიას ეროვნული კონცეფციის წინააღმდეგ, რაფიელი და ანდრი ნიადაგ კამათობდნენ ამ საკითხზე. ალაყ ასე იყო.

რაფიელი დიდი თავჯანსიყმელი იყო ილიასი, უზომოდ პატივს სცემდა აკაკის. რაფიელისა და აკაკის შეგობრობა ქუთაისშივე დაიწყო. თბილისში გადმოსვლის შემდეგ ერის თავკაცებთან — ილიასა და აკაკისთან ერთად რაფიელი ხან ქართული თეატრის საქმეს განაგებდა, ხან კიდევ წერა-კითხვის საზოგადოებასა და წიგნების გამოცემას ხელმძღვანელობდა.

თვითონ ილიაც დიდად აფასებდა და ენდობოდა მხტოვან პოეტს. 1888 წელს, როცა ილია პეტერბურგსა და მოსკოვს

გემგზავრა, „ივერიის“ რედაქტორმა რაფიელ ერისთავს მიანდოდა აკაკის და რაფიელის მეგობრობა ვაუზნარავი იყო. რაფიელი არავის აბატივებდა ილიას და აკაკის აუგად ხსენებას და არც ანდრი გეგეკორს უთმობდა პოზიციებს, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდათ მეგობრები ყოფილიყვნენ.

რაფიელ ერისთავი თაოსანი და მონაწილე იყო ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაწყებული დიდი ეროვნული საქმისა — „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩის ილუსტრაციებით გამოცემისა.

უნგრელი ზიჩი, XIX საუკუნის გამოჩენილი მხატვარი და ილუსტრატორი, რუსეთის მეფის კარზე მხატვრად მოიწვიეს. აქ იგი რუსეთის მოწინავე საზოგადოებას — ჩერნიშევსკისგან გამოღვიძებულ რევოლუციურ ინტელიგენციას დაუკავშირდა. სწორედ ამ წრეში ვაეცნო ზიჩი იყო ნაკოლაძეს, მხატვარ დავით გურამიშვილს და პეტერბურგში მყოფ სხვა ქართველებს. ქართველების ნამბობა გულით შეაყვარა თავისი სამშობლოს მსგავსად ეროვნულად დაჩაგრული საქართველო.

ზიჩის ლერმონტოვის ნაწარმოებთა გამოცემის მხატვრული ილუსტრაცია შეუკეთეს. მხატვარმა ლერმონტოვის კავასიელთა ტიპების პროტოტიპებად თავისი ნაცნობი კავასიელები გამოიყენა და კიდევაც მიადწია მიზანს, მაგრამ დარწმუნდა, რომ ეს საქმარისი არ იყო და სცადა თავად მოენახლებინა კავასია. სწორედ ამ დროს ილია ჭავჭავაძემ „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილის გამოცემის მდივანი იონა მეუნარგია პეტერბურგს მიავლინა, რათა მოლაპარაკება დაეწყოთ ზიჩისთან და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები შეეკეთა. იონა მეუნარგია ივანე მანაბელთან ერთად ესტუმრა ზიჩის. მათ მხატვარს სთხოვეს ეკისრა ეს დიდი საქმე. ზიჩიმ თანხმობა განაცხადა და 1881 წელს ჩამოვიდა კიდევ საქართველოში. ქართული არ იცოდა და „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნა გახდა საჭირო თარგმანი თვითონ იონა

მეუნარგიაშ შესარულა. საქართველო-ში ჩამოსული ზინი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, იონა მეუნარგიას, ივანე მაჩაბლის, დიმიტრი ბაქრაძის, პეტრე უმიკაშვილის, ნიკო დიდიანისა და სხვათა უშუალო დახმარებით გულშეურვალედ შეუდგა ამ საშვილიშვილო საქმეს. „ვეფხისტყაოსნის“ ტიპების შესაქმნელად იგი ეცნობოდა ჩვენს ყოფას, ჩვენს ნადიმს, მეჭლისებს, დღესასწაულებს, ადიო-წესებს, მოგზაურობდა მთელს საქართველოში, აკვირდებოდა ქართველ ხალხს... ამას „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმა მოჰყვა. ეს ასე იყო თეატრალიზებული: ზინის მიერ შერჩეული ქართველი ლამაზი ქალები, ახოვანი და ბრვე ვაჟაკები, რუსთაველის ეპოქის შესაფერისად მორთულ-მოკაზმულნი სცენაზე იდგნენ და „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ეპიზოდებს მუნჯურად წარმოადგენდნენ, ფარდის უკან შესაფერის მხატვრულ ტექსტს კი ცნობილი მსახიობები კითხულობდნენ. „ცოცხალი სურათების“ დადგმაში საქართველოს იმპროვიზირებული ცნობილი საზოგადო მოღვაწენი მონაწილეობდნენ, მათ შორის რაფიელ ერისთავიც და მისი მეუღლე, თეოდოსია ერისთავიც სცენაზე იყვნენ და „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს განასახიერებდნენ.

აი როგორ აღწერს ამ ამბავს გაზეთი „დროება“:

„განხორციელებული გმირნი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“.

„დღეს ჩვენს ქალაქში სტუმრად არის იმპერატორის სასახლის მხატვარი ბ. ნი ზინი, რომელიც განთქმულია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ თავისი ნიჭითა და ხელოვნებით. ვის არ უნახავს მხატვრობა ზინისა „თამარ დედოფალი და დემონი“? ახლა ზინიმ დიდი ღვაწლი დასდო თავისი შრომით საქართველოს. მან განახორციელა და სული ჩაუდგა იმ გმირებს, რომელნიც უკვდავმა შოთა რუსთაველმა მშვენიერის ღვაწლით გამოხატა, თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“. რამდენიმე საათ-

ში ზინიმ დაგვანახა ჩვენი სცენიკონი ცოცხლად რუსთაველს... გამორჩეულია გადმოგვცა მთელი შინაარსი „ვეფხისტყაოსნისა“. ამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ქართველმა ქალებმა, იმ ქალებმა, რომელნიც არიან ჩვენში გამოჩენილი თავისი სილამაზით, სინაზით და სახის მეტყველებით. ამით თავის თვისებით და ჩაცმულ-დახურვით წარმოგვიდგინეს ეს ძველი ქალები XII საუკუნეში, ქალები, რომელნიც სცხოვრობდნენ რუსთაველის დროს. ნეტარება იყო ის ათი ცოცხალი სურათი, რომელნიც ჩვენა ვნახეთ 6-ს თებერვალს. ბევრი სურათები გვინახავს სცენაზე, მაგრამ ამ სურათებს არა შეედრება რა, ეტყობოდა, რომ აქ მოქმედი პირი პოეტი — მეცნიერი კაცი იყო, თუმცა ამ პოეტმა, მხატვარმა ზინიმ ქართული არ იცის, მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ შთააგონა, გააგებინა მას დიდებული რუსთაველის აზრი და მით წარმოუდგინა იმის გრძნობას გმირნი „ვეფხისტყაოსნისა“. ზინიმ გააცოცხლა ჩვენი გარდასული დროის ქართველნი. ამ ცოცხალ სურათებს მთელს რუსეთში და ევროპაში ექნება დიდი მნიშვნელობა რუსთაველისა, საქართველოსა და იმის შვილების გასაცნობად.

პირველმა სურათმა წარმოგვიდგინა მამისაგან, როსტევეან არაბეთის მეფისგან დაგვირგვინება თინათინისა. მეორემ — მეჭლიში ფარსადან მეფესთან. მესამე სურათი — ნესტან-დარეჯანი თავის ოთახში ზის, ასმათს ტარიელი შემოყავს. მეოთხე — მამია ნესტან-დარეჯანის — დავარი ზანგებს აძლევს თავის ძმის-წულს ზღვაში ჩასაგდებად. მეხუთე — ნადირობა და აღმოჩენა ტარიელისა — „მის ყრმისა ვეფხისტყაოსნისა“. მეექვსე — გაცნობა ტარიელისა და ავთანდილისა გამოქვაბულში. აქვე ასმათი. მეშვიდე — ფატმანის კაცებისგან ღახსნა ნესტან-დარეჯანისა. მერვე — წარღვევა ნესტან-დარეჯანისა გულანშაროს მეფის მელიქ-სურხავის წინაშე. მეცხრე — ქაჯეთის ციხის ილება

და ნესტანდარეჯანის განთავისუფლება და მეათე — მეფე მელიქ-სურხათან ტარიელის და ნესტანდარეჯანის დაქორწინება.

ურიგო არ იქნება, რომ ეს ამისთანა შრომა ბ-ნი ზინისა ჩვენ, ქართველებმა, დავაგვირგვინოთ რაიმე ნივთის მიერთებით, რასაკვირველია, ძველი ღროის ნივთითა, რომ სახსოვრად ჰქონდეს რუსთაველის შვილებისგან.

ბოლოს დიდი მადლობა და თანაგრძნობა ეძღვნის აგრეთვე ზინის თანამშრომელთ, უმეტესად კი მოთავეს — კ-ნა ბარბარე ბარათაშვილისას და სხვებს, რომელთაც შრომა არ დაზოგეს ამ საქმის დასაგვირგვინებლად. ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენმა ქალებმა კიდევ ბევრჯერ გამოიჩინონ მეცადინეობა საზოგადო კეთილ საქმეში, გვიჩვენონ უმეტესი შემწეობა და მით წინ წასწიონ ქართველთ დავრდომილი ცხოვრება* („ღროება“, 1882, № 27).

თბილისის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები ქუთაისში დაიდგა. ამ საქმეს რაფეელ ერისთავი და მისი მეუღლე, თეოდოსია მეთაურობდნენ. შემდეგ დადგამ იხვე თბილისში გადმოიხაცლა.

„ღროება“ კვლავ გამოეხმაურა ამ ამბავს.

„წასულ კვირას კიდევ გაიმართა ეს სურათები და კიდევ ერთხელ იავსო გული წარსული ნეტარების მოგონებით, იმ ღროის მოგონებით, როდესაც იყო თამარ მეფე და მისი მშვენიერი ქვეშევრდომი რუსთაველი დიდებული. ნეტარება იმ მეფეს, რომელსაც ისეთი ქვეშევრდომი ჰყოლებიან, რომელთა უაღრესი სურათებიც მთელი საუკუნეების შემდეგ ალტაცებაში მოიყვანს არამც თუ საკუთარ შთამომავლობას, არამედ გარეშე პირებსაც. იქამდისინ მშვენიერნი იყვნენ ეს სურათები, რომ მტერი თუ მოყვარე, ქართველი, გერმანელი, თათარი — ყველანი ალტაცებაში მოიყვანა. და ეს ალტაცება მართო ტაშის კერაში კი არ გამოიხატა, არამედ ჩუმს ჯატაცების, დამონების

გამო აღკრძალულს „ბრავეფქუჩაქელში. ამ უკანასკნელ გამართულ სურათებს კიდევ ერთი სურათი მიემატა: შოთა რუსთაველი დაიქოილი მიართმევს თავის უკვდავ პოემას — „ვეფხისტყაოსანს“ თამარ დედოფალს. თამარ დედოფალი წარმოგვიდგინა მ. იოსელიანის ქალმა და შოთა რუსთაველი დ. ზ. სარაჯიშვილმა. ორივე ისე შვენოდნენ, ისე უხდებოდნენ, ისე ლაზათიანი იყვნენ, რომ კაცის გული ნატრობდა ფარდის ჩამოშვების დაგვიანებას. და რა ფარდა ხრიალით წამოვიდოდა, მოუსვენარი ტაშისცემა როგორც მოწყალებას ითხოვდა, რომ კიდევ რამდენიმე წუთი დაეტეხო მისურებელთა თვალს.

საზოგადოდ დანარჩენი სურათებიც ჩინებულად წავიდნენ და მშვენიერი მოჩანგებები, მშვენიერი და გამოუმეტველი ფატმანი, ახოვანი და ლაზათიანი დავარ, უმანკო ნესტანდარეჯანი, შეუღარებელი ავთანდილი და მოხდენილი ტარიელი — ყველანი სანატრელნი იყვნენ კაცის თვალისათვის. იმ პირთა შორის რომლებიც ცოცხალ სურათებში მთავარ როლებს ასრულებდნენ: მეფე როსტევეანი იყო რაფეელ ერისთავი. შოთა რუსთაველი — მაშია გურიელი. ტარიელი — გ. შარვაშიძე, ნესტანდარეჯანი — ფალავა, და სხვანი...“

„ვეფხისტყაოსნის“ „ცოცხალი სურათები“ XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-საგანმანათლებლო მოძრაობის მეთაურებმა ძალიან კარგად გამოიყენეს ეროვნული სიამაყის გრძნობის გამოსაღვივებლად. მთელი საქართველო ფეხზე დადგა. ცარიზმის აგენტებმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს პეტერბურგში სამეფო კარს. პოლიციაც დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის გამოძიებას. „ცოცხალი სურათების“ ფოტოფირები პეტერბურგში გაგზავნეს. მაგრამ მეფის პოლიციის ჩარევამ ვერ გადაუღობა ვაჟა ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის — „ვეფხისტყაოსანის“ „ცოცხალი სურათების“ გავრცელებას. თბილისის შემდეგ იგი ხარკოვში და 1886 წელს თვით პეტერბურ-

გვინაც კი დაიდგა. ასე გამოექომაგა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა დიდ ქართულ ეროვნულ მოძრაობას, „ვეფხისტყაოსნის“ „სოცხალი სურათების“ დადგმას, რაც 1888 წელს ზინის მიერ ილუსტრირებული პირველი მდიდრული, ფართოფორმატიანი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემით დაგვირგვინდა. ამ დიდ ეროვნულ საქმეს, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, რაფიელ ერისთავიც მეთაურობდა. ასე დააკავშირა ბედმა ერთმანეთთან ილია, აკაკი და რაფიელ ერისთავი. ბოლომდე ერთგული მეგობრობა აკავშირებდა რაფიელს ანდრი გეგეჭკორთან. იმ დღესაც ანდრი რაფიელთან იყო. მაგრამ ეს დღე დიდი მწუხარებისა და გლოვის დღე იყო რაფიელის ოჯახში... ჯერ იყო და, ცოლის სიკვდილმა უზომოდ დაამწუხრა, ახლა ამას ქალიშვილის — ნინოს სიკვდილიც დაემატა. ღვთისაგან ასე გამეტებელი რაფიელი უსაშველო სევდას მისცემოდა და მწარედ გოდებდა. ანდრი ცდილობდა სანუგეშო რამ ეთქვა მეგობრისათვის, მაგრამ მოულოდნელი ელღისაგან დადუმებული ვერ პოულობდა სიტყვებს.

რაფიელმა პეტერბურგში ერთ დიდ მოხელეზე, გვარად აკიმოვზე გათხოვილი თავისი ქალიშვილი საქართველოში ჩამოიყვანა. ჯერ თბილისში ჰყავდა, მერე ქისტაურში ჩაიყვანა, ეგებ ქლეჭით დაავადებულს სოფლის ჰაერმა უშველოსო. მაგრამ უკურნებელმა სენმა თავისი გაიტანა. უზომოდ შეწუხებულ მოხუც პოეტს გარს შემოხვეოდნენ მეგობრები და ანდრიც აქ იყო ამ სამწუხარო დღეს. გულმოკლული მამა და ანდრი, უსიტყვოდ გადახვეულნი, დიდხანს ქვითინებდნენ. ანდრი თან წაჰყვა მეგობარს ქისტაურში. საწყალი ნინო ქისტაურის „ვეელაწმინდის“ ეკლესიაში მიაბარეს მიწას. რაფიელმა ანდრძი დაწერა, როცა მოკვდებო, ჩემი ქალიშვილის გვერდით დამასაფლავეთო. ქირშიც და ლზინშიც მეგობარს გვერდიდან არასოდეს მოსცილ-

ბია ანდრი, მაგრამ ასევე დასრულდა მისი ცემული არავის ენახა. 1897 წელს რაფიელს მეუღლე რომ გარდაეცვალა, ანდრი თბილისში არ ყოფილა. ახლა კი, ასე ბეჩავად რომ ხედავდა პოეტს, გული უკვდებოდა. სიბერეში ორი დიდი ტკივილი — მეუღლისა და ქალიშვილის გარდაცვალება, მძიმე უბედურებად დაატყდა პოეტს.

ხუთი ქალიშვილი ჰყავდა რაფიელს, მაგრამ ნინო განსაკუთრებით უყვარდა, ალბათ იმიტომ, რომ ტუბერკულოზით დაავადებული, მეტისმეტად მგრძნობიარე იყო. უყვარდა და არც დაუხოგავს რამე მისი გადარჩენისათვის. დიდმა უბედურებამ — შვილის სიკვდილმა გატეხა ისედაც მოხუცი პოეტი. 1896 წელს რაფიელ ერისთავი პენსიაზე გავიდა. ამის შემდეგ მას ხან თელავში ვხვდავთ, ხან ქისტაურში, ხანაც თბილისში — ქალიშვილებთან...

1899 წლის დეკემბერში მსოკიან მგოსანს ხელი დარია ავადმყოფობამ. თელავში, სიძის სახლში იწვა და ქალიშვილები, სიძეები, შვილიშვილები ადგნენ თავზე. ცნობილი ექიმი ღიმიტრი ახვლედიანი, შინაურები და ახლობლები თავს არ ზოგავდნენ, ოღონდ როგორმე მოემჯობინებინათ ერის სათაყვანებელი პოეტი. მართლაც 20 დეკემბერს მოიხედა ავადმყოფმა. გაიხარეს ოჯახის წევრებმა. ექიმი ახვლედიანი კვლავ თავზე ადგა მომჯობინებულ ავადმყოფს, სასთუმალთან ეჭდა და სახალისო ამბებით ართობდა. ერთ დღეს რაფიელის იუბილეც მოიგონეს.

— თქვენი იუბილე ნამდვილად ზეცის კარის გაღებას ჰკავდა. ქართველმა ხალხმა საწაადელს მიაღწია... ეს იუბილე კი არა, ეროვნული დღეობა იყო.

შესცქეროდა ავადმყოფობისაგან ჯანღონეგამოღებული პოეტი თავის ექიმს და სახეზე სიხარულის ღიმილი ეფინებოდა. შეატყო ეს ექიმმა და უფრო გახალისდა საუბარში:

— ბატონო რაფიელ! თქვენმა იუბილემ მთელი საქართველოს ფეხზე და-

ყენა და თბილისს შეკრება, მაგრამ ყველაზე უფრო ლამაზნი მიიწვი თქვენებურები იყვნენ, ფშავ-ხევსურნი, ტანისამოსზე ჭაჭვ-ჭაჭვან აბჯარასხმულნი, თქვენი სათბილეთი სავარძლის უკან გაწვრთნილი ჭარისკაცებივით ჩანდებოდნენ... მშვენიერი სიტყვები იფრქვეოდა, მაგრამ ის სიტყვა, მოხუცებულმა ხევსურმა რომ წარმოთქვა, სულ სხვა იყო. ის მართლაც სალი კლდეებისა და მფების ძახილი იყო. — თქვა ექიმმა და სახეზე შეაჩერდა რაფიელს. ავადმყოფს ზეაზიოდა წარბები და გაღიმებული თვალებიდან ცრემლები მოჟონავდა. აღვლევდა რომ შეატყო, ექიმმა საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა:

— აბა ერთხელ კიდევ უნდა გაგსინჯოთ, ბატონო რაფიელ.

ჯერ მიჯისცემა დაუთვალა, შემდეგ გულს მოუსმინა. დიდხანს სინჯავდა მოხუცს სახელგანთქმული ექიმი, სინჯავდა და თან ეფერებოდა.

— შემოდია მოგილოცოთ გამოჯანმრთლება. — გაახარა ექიმმა ავადმყოფი — ახლა კი ნამდვილად არა მიჭეს უფლება დავეშალო ახლობლებს თქვენი ნახვა, თქვენთან საუბარი...

იმ დღეს, 24 დეკემბერს, ექიმი ახვლედიანი ისევ სასთუმალთან უჯდა ავადმყოფს და ისევ ძველ ამბებს იგონებდნენ. ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა, გარეთ კი თოვდა, თელავი თოვლით იყო დაფარული. მთები და გორაკები თეთრ სუდარაში გახვეულიყო. კახიძის სახლის აივანიდან ხელისგულივით მოჩანდა მთელი თელავი. ქრისტეს შობის აღსანიშნავი ფაცი-ფუცი ჰქონდათ თელაველებს. ქალაქი პატარა იყო, მაგრამ სულ ერთი საუკუნის წინათ მფფერეკლეს სატახტო ქალაქად იწოდებოდა.

კახიძის ბინა მეფე ერეკლეს სასახლეს პირისპირ შეჰყურებს. სასახლის თავიდან ბოლქვეზად ამოდის კვამლი და რძისფერი ზეცისკენ მიიწევს. მთელი ქალაქი ზამთრის მღუმარებაში ჩაძირულია. გარეთ ისევ თოვს, შინ ბუ-

ხარი ღვივის და ოთახებში სასიამოვნო სითბო დგას. ქალაქის საზღვრის მსაზღვრისა და ქუჩებში ხალხმრავლობას უყვებობის თოვლი და სუსტი ვერ ანელებს. რაფიელის სიძესა და ქალიშვილსაც გახტებულნი საშობაო მზადება აქვთ. ოთახებში შვილიშვილების ერთ-ერთი დგას: აი, მოულოდნელად დერეფნის კარზე დააკაკუნეს. კაკუნს ხმაური მოჰყვა. ჯერ სიძე გავიდა, მერე — პალტომოხურული ექიმი. ამასობაში ხუთი ნაბიანი ყმაწვილი ფეხაკრეფით შემოვიდა დერეფანში. ერთ მათგანს ზურგზე აბჯა ჰქონდა გადადებული. დასპინძლებს გაუხარდათ, ალბათ მელილოები ეწვივნენ რაფიელსო. ყმაწვილებმა აღილოს ნაცვლად სიმღერა დაამთავრეს:

სადღე ეშობილვარ, გაეზრილვარ და
მისროლია ისარი,
სად შამაპაბა მეველვის, იმათი კუბოს
ფიცარი...

გასაოცარი გრძნობით, გულიდან ამოტანილი ხმით გალობდნენ. ექიმმა მოიხედა და რას ხედავს: რაფიელი ამდგარა, კარს მოდგომია და ნელა აყოლებს ხმას გუნდის გალობას:

არ გავცლი სალსა კლდეებსა უჯდავებბა
ხეზედა,
არ გავცლი მე ჩემს ხაშობლოს სხვა
ქვეყნის სამთხეზედა...

ნუთუ ეს მოჩვენებაა? თუ ნამდვილად ავადმყოფი ამდგარა და ის მღერის? ამ დროს ქალიშვილიცა და სიძეც მივარდნენ და ხელი შეაშველეს აღზნებულ ავადმყოფს. ექიმიც გონს მოვიდა და, ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ხმის დაძვრა ვერ მოახერხა. სიმღერას მორჩნენ თუ არა, ერთბაშად შემოცვივდნენ ოთახში მოსწავლეები, ზოგნი დაიოქილნი, ზოგნი ფეხზე დამდგარნი ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ მოხუც პოეტს. ამ საოცარი სანახაობით მოხიბლული ექიმი ერთხანს დუმდა, მერე მოკრძალებით მიმართა რაფიელს:

— ბატონო რაფიელ! ნუ გავიწყდებათ, რომ ავად ბრძანდებით, — მერე წელა, ფრთხილად მოახვია ხელი და ქალიშვილისა და სიძის დახმარებით ლოჯინთან მიიყვანა ავადმყოფი... მომღერლებმა ჩურჩხელებით და ხილით საესე აბგა იქვე დადეს და ფეხაკრეფით გავიდნენ ოთახიდან, ისე რომ, მადლობის თქმაც ვერ მოასწრო აცრემლებულმა პოეტმა. იმ საღამოს ცუდად შეიქნა რაფიელი. მთელი ღამე არ მოსცილებიან ექიმმა და ქალიშვილი გათენებოსას ჩაეძინა. კმაყოფილების, ბელნიერების ღიმილი ვადაპფენოდა მოხუცის სახეს. ერთხანს ისევ მოიკეთა პოეტმა.

1901 წლის 17 თებერვალს კვლავ ავად გახდა პოეტი. ისევ თავზე დაადგნენ ახლობლები და ექიმი ახვლედიანი. მაგრამ გამოკეთება არ ეტყობოდა. 19 თებერვალს დილიდანვე კვლავ ცუდად შეიქნა, ძლივს სუნთქავდა. ახლა ექიმსაც შეეშინდა. მოგვიანებით, როცა ავადმყოფს ჩაეძინა, ოჯახის წევრებმა და ექიმმა ფეხაკრეფით დატოვეს საძინებელი ოთახი. ერთი საათის შემდეგ ექიმი შემობრუნდა ოთახში და ნახა, რომ პოეტი რაღაცას ბუტბუტებდა. ლოჯინთან სულ ახლო მივიდა და კარგად გაარჩია სიტყვები: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა...“ განცვიფრებულმა ექიმმა უფრო ახლო მიიტანა ყური ავადმყოფის სახესთან და კვლავ გირკვევით ჩაესმა: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...“

ესა თქვა და მოხუცის ვაბადრულ სახეზე სინათლე და ღიმილი ერთდროულად ჩაქრა... აწრიალდა ექიმი, მაჯა გაუსინჯა, — არ ისინჯებოდა, გულს მოუსმინა, გულისცემაც შეჩერებული იყო, ავადმყოფი აღარ სუნთქავდა...

თელავში, 1901 წლის 19 თებერვალს, ნაშუადღევს, სამ საათსა და 30 წუთზე უშფოთველად და მშვიდად გარდაიცვალა რაფიელ ერისთავი. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო:

„ერთია ქვეყანაზედა...“
მასწინვე დებუშები გაგზავნეს თბი-

ლისს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ეურნალ-გაზეთების რედაქციების სახელზე...

20 თებერვალს გაზეთ „ივერიაში“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა: „ივერიის ღებეშა“ (საკუთარ კორესპონდენტისაგან) ქ. თელავი, 19 თებერვალი, დღეს, ნაშუადღევს 3 საათსა და 30 წუთზე აქ გარდაიცვალა ჩვენი მხცოვანი პოეტი თავადი რაფიელ ერისთავი“.

21 თებერვლის „ივერიის“ პირველ გვერდზე შეავრთია შემოვლებული განცხადება კვლავ იუწყებოდა: „ქართული ეურნალ-გაზეთების რედაქციები იუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს, 21 თებერვალს შუადღის 12 საათზე, ქვეშევთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვილი თავ. რაფიელ დავითის ძე ერისთავის სულის მოსახსენებლად“.

22 თებერვლის „ივერიაში“ კვლავ პირველ გვერდზე მოათავსა სამგლოვინო განცხადება.

ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული პრესა ფართოდ გამოეხმაურა სასიკაძულო მგოსნის გარდაცვალებას. კვირას, 25 თებერვალს გაზეთმა „კვალმა“ და „ივერიაში“ პირველ გვერდებზე კვლავ მოათავსეს სამგლოვინო განცხადებები. გაზეთი „კვალში“ ნეკროლოგში წერდა: „...ეს იყო სევდის ხმა, რომელმაც დაქვეითინა „მამურალთა კერას“ და მის დაწყვეტილ გულს ჩაეწვეთა მწარე ცრემლად. აღარ გვყავს ის, რომლის კალამიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ ლიტერატურას, აღარა გვყავს ჩვენი გლეხთა მგოსანი თავადი რაფიელი! დიან „გლეხთა მგოსანი თავადი“ — იი რა არის ჩვენთვის საგულისხმო და ჩასაფიქრებელი ყოველი მწერალი, გენიოსია იგი თუ საშუალო ნიჭის პატრონი, იმის მიხედვით ფასდება, თუ საით არის მისი გრძნობები მიმართული, რა გაიხადა მან თავის კალმის სათაყვანო საგნად და რას ემსახურება. ამ მხრივ თუ შევხედავთ

აწ განსვენებული თ. რაფიელის მწერლობას, მხოლოდ მაშინ მივხვდებით, რით იყო იგი ჩვენი ერის საყვარელ მწერალთა შორის უსაყვარლესი.

როგორც საზოგადოდ ყველგან, ისე ჩვენშიაც მწერალთა უპირველეს ცხოველ გრძნობას შეადგენდა მამულის სიყვარული. არც თ. რაფიელის გულში იყო ნაკლებად ვალეიძებული ეს გრძნობა. მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მან ეს სიყვარული მთელი თავისი არსებით გადაიტანა ჩვენი ერის იმ ნაწილზე, რომელსაც დაბალ მუშა ხალხს ვეძახით. მან თავის ჩანჯის პანგები ჩააქსოვა „მამწერალთა“ ბედს და ხალხისათვის კალმით დაგვიხატა ის ჭურღმული, რომელიც ჩვენში ჭერ კიდევ არ არის გამოტანილი საეკლესიო სინათლეზე, და რომელიც იმ დრომდის არ გამხდარა უურადღების ღირსი, არც ერთ მის თანამედროვე მასზე უფრო ახალგაზრდა მწერლებისა. და რამდენადაც ქართული მწერლობა ფრთას გაშლის იმ გზაზე, რამდენადაც უფრო ქართველი პროზის შეილი შეიგნებს თავის პიროვნებასა, იმდენად უფრო მოემატება შარავინდები დღეს დაკარგულ ხალხის მგოსნის გვირგვინს, გვირგვინს, რომელიც შეიძლება არ იყოს აღმართული ზეღქმნილ კვარცხლბეკზე, მაგრამ სიყვარულის კონად იგი გაიშლება მამწერალთა გულში და დაუფიქვარ პყრფს მას, ვიდრე არსებობს ქართველი ერი... მხოლოდ ესაა როცა დაცქერით მცხოვანის დიდებულ გვამს ძალაუნებურად გვაგონდება 22 ოქტომბერი 1895 წლისა, როდესაც ქართველმა ერმა გადაიხადა 50 წლის იუბილე თავისი საყვარელი მგოსნისა. ამ დღემ ნათლად დაგვანახა თუ რა დიდია ჩვენის ხალხის გულში ჩასვენებული სიყვარული მგოსნისა, თუ რამდენად აუტოკებია ჩვენი ხალხის გული მგოსნის მადლიან ჩანჯს. დიდება ძღვევამოსილ მცხოვანს თავად-გლეხთა მგოსანს, დიდება და საუკუნო ძეგლი ხალხის გულში... დღეს 25 თებერვალს კახეთში, ს. ქისტაურში მიწას მიაბარებენ ჩვენი მსო-

ვანი პოეტის რაფიელ ერისთავის გვამს. განსვენებულს ანდერძი დაუტოვებია, რომ იგი დაასაფლავონ თავის სამშობლო სოფელ ქისტაურში. თბილისის ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ გადაუწყვეტით, ის ფული, რომელიც უნდა დახარჯულიყო განსვენებულის თ. რაფიელ ერისთავის გვირგვინებში, მოხმარდეს რამე სამადლო საქმეს პოეტის სახელის საუკუნო სახსენებლად“.

„კვალში“ დაბეჭდილია იროდიონ ევლიშვილის ლექსი „რაფიელ ერისთავს“:

ჩანჯათ ხმარობდა ხალხს ველს,
სიძებოთ — მამწერალთ ცრემლებსა,
არჩევს ფრთები მთავრო
სამშობლოს „სახლი კლდეზა“.
ის არ მომკვდარა... უკვდავად
ჩაინა ხალხისა უბეში,
მარად იმისთვის მუერალი,
მისთვის უკვდავ ნეგში.
ის არ მომკვდარა... არ კვდება
ჩანჯი მამწერალთ კრახვი
ის აღიმართა გვირგვინით
სამშობლოს მთების მწვერვალზე!

გაზეთებში — „ივერიამ“ და „კვალში“ უამრავი სამძიძრის დეპეშა დაბეჭდეს. ისინი მიღებული იყო ქუთაისიდან, კავკავიდან, სოხუმიდან, ნუხიდან, ცხინვალიდან, ბათუმიდან, ოხურგეთიდან, ახალსენაკიდან, განჯიდან, ბაქოდან, ზესტაფონიდან, სამტრედიიდან, სიღნაღიდან, აბაშიდან... ამ აღგილებში სამგლოვიარო პანაშვიდებიც გადაიხადეს. აი, ერთ-ერთი სამგლოვიარო დეპეშა: „გულის სიღრმემდის მისაწვდენმა დიდმა სამწუხარო ამბავმა ჩვენი სასიქადულო და მსოვანი მგოსნის თ. რ. ერისთავის გარდაცვალებისამ გამოუთქმელი მწუხარება მოგვავყენა. ვაფრქვევთ რა ცხარე ცრემლებს. ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ მთელს საქართველოს მწუხარებას. ზუგდიდელები“.

„ივერიისა“ და „კვალის“ კორესპონენტები წერდნენ: „დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმდენი ხალხი, რამდენიც თ. რ. ერისთავის დაკრძალ-

ვაზე შეიკრიბა, არა თუ თელავს, ბევრ სხვა ქალაქსაც არ უნახვს.

ის ოთახი, სადაც ესვენა მოცვალებული, თელაველ ქალებს მთლად ძაძით შეემოსათ. კუბო ძაძით შემოსილ ტახტზე ესვენა, ბალდახინი დაფნის შტოებითა და ყვავილებით მოერთოთ. იგი სიმალლით ერთი საყენი იყო. ყოველ კუთხიდან წყვილ-წყვილად ჩამოშვებული იყო თეთრი ლენტები. ლენტებზე წარწერები იყო: „მოზარდ ყრმათა გუნდი ქვეთინებს, ჩვენო ამზრდელი მამაო“. „მოდით და იხილეთ სიკვდილი საზოგადო მოღვაწისა, რომელიც გარდაიქცევის სიცოცხლედ“. „...შენ ხარ მოძღვარი, რომელმაც პატივი დასდევ მშრომელთა მარჯვენას“.

ცხედარი 25 თებერვალს დილით გამოასვენეს და გალობითა და მუსიკით მიასვენეს ტაძარში. პროცესიას ოცდამეორი სხვადასხვა დეპუტაცია მიუძღოდა გვირგვინებით. მთელი გზა ყვავილებითა და დაფნით იყო მოფენილი. ორი გუნდი გალობდა — სასულიერო და სამრევლო სკოლებისა. წირვაზე სიტყვა წარმოთქვა ვასილ ბარნოვი. სამ საათზე ცხედარი ტაძრიდან გამოასვენეს და ეზოში დაასვენეს. ისევ სიტყვები, მიძღვნილი ლექსები... მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა წინანდლელმა გლეხმა სიმონ ქიორელმა. ორ საათზე პროცესია დაიძრა ტაძრის ეზოდან, გავიდა გალავნიდან აღმოსავლეთის კარით, შემოუარა ბაღს, გაიარა ძველი ქალაქის ზემო ქუჩა და გაემართა სოფელ ვარდისუბნისკენ. პროცესია ვერსნახევარზე იყო გაქიმული. აუარებელ ხალხში მრავალი ცხენოსანი იყო. კუბო კაცებს მიჰქონდათ, კუბოს თავი კი — თელაველ ქალიშვილებს. ოთხ საათზე პროცესიამ ვარდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიამდე მიაღწია და იქ შეჩერდა.

რაფიელ ერისთავის ცხედარი ეკლესიაში შეასვენეს, ბალდახინი ეკლესიის კარების წინ დადგეს და დარაჯები დაუყენეს, რომლებსაც თავადი ზ. ერისთავი ხელმძღვანელობდა. ამ ზღვა ხალ-

ხის მოძრაობის დროს შეხსენიერებულია არ დარღვეულა. ეს არც არის გასაკვირი: ქართველი. რუსი, სომეხი, პოლონელი, ფრანგი... წარჩინებულნი, ხელოსანი, გუთნისდგა, მეცხვარე, მოხუცებული თუ ახალგაზრდა, ბავშვი თუ ქალი — ყველა ერთი და იმავე აზრით იყო გამსჭვალული: პატივი ეცათ დიდი მამულიშვილისათვის და დაეცვათ წესიერება.

26 თებერვალს დილის 10 საათზე, ვარდისუბნის ეკლესიასთან აუარებელი ხალხი მოგროვდა. იქვე იყვნენ ქირისუფალნი და კომიტეტის წევრები. ბალდახინი სამგლოვიარო ეტლზე მოათავსეს. თერთმეტ საათზე მეორე პანაშვიდი გადაიხადეს და პროცესია დაიძრა რუისპირისაკენ. რუისპირს ცხედარს დაუხედნენ სოფლის მეცხოვრებნი, თავადნი და გლეხნი. ისინი შემოუერთდნენ პროცესიას და გასწიეს სოფელ იყალითსაკენ, სადაც იყალითელთა საზოგადოება შემოუერთდა. პირველი დღე უფრო კახეთის ინტელიგენციისა, მოხელეების და მოსწავლეების დღე იყო, მეორე დღე კი გლეხკაცობის დღედ გადაიქცა. ვარდისუბნის ეკლესიიდან დაწყებული ს. ქისტაურამდე მთელი ეს პროცესია საუცხოო სანახავი იყო. ორივე დღეს მშვენიერი დარიღვა. ცხელოდა, მაგრამ ჩრდილოეთის საამო ნიავი აგრილებდა ქუდმოხდილთა მზისგან გახურებულ შუბლს. ქისტაურის საზღვარზე პროცესიას ამ სოფლის მეცხოვრებნი დახედნენ. მთელმა ხალხმა დაიწყო სასიქადულო მგოსნის ცხედრის წინაშე და დაიწყო ზარით ტირილი. მოთქვამდა ერთი შოსანი, შუა ხნის დედაკაცი, სხვები კი ბანს ეუბნებოდნენ. ასე მოასვენეს განსვენებული სოფელ ქისტაურს. აქ მეორე ხნით შეასვენეს იმ ოთახში, რომელში ყოფნაც უყვარდა პოეტს. პრესა იუწყებოდა: „მთელს ოც ვერსზე რაფიელ ერისთავი ხალხმა ხელით ატარა და არცერთ მათგანს დაღლილობა არ დაუჩივლია. თელავიდან წამოსულმა პატივისმცემლებმა მომეტებული გზა ქვე-

ითად გამოიარეს, თუმცა მათი ეტლები ცარიელები მოდიოდა. თუმცა სამუშაო დღე იყო, კახიძის სახლიდან დაწყებული ქისტაურამდე. კახეთის გლეხობა ათასობით ეგებებოდა. თბილისიდან ჩამოსულმა მოქანდაკემ, ბატონმა იაკობ ნიკოლაძემ განსვენებულის სახის ნიღაბი აიღო. ამის შემდეგ ოთხ საათზე დასვენეს მთაზე, სადაც რაფიელის მამა-პაპის კუბოს ფიციარი მოიპოვება. ის ადგილი, სადაც რაფიელი დაასაფლავეს, ცივგომბორის ერთ საშუალო მთის ფერდზე მდებარეობს... ამ ადგილს არის წიფლის, მუხის და კაკლის ხეები. ტყეში აყვავებულია, ია და სხვა მრავალფერი ყვავილები. ტყით შემოსილ მთის წვერზე მოჩანს ძველი ნანგრევები. აი ამ ადგილს მიაბარეს დიდებულ მსცოვანი პოეტის ნეშტი“...

რაფიელ ერისთავის გარდაცვალებისა და დაკრძალვის გამო მთელი ათი დღე იბეჭდებოდა გაზეთებში წერილები, ლექსები, ცნობები... აი ერთი ცნობა: „ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი. ეკლესია, აგრეთვე მისი ეზო და ქუჩა ეკლესიის წინ ხალხით იყო სავსე. ოფიციალურ პირთა გარდა აქ იყვნენ ხელოსნები, მუშები, მსახიობები და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები, მოსწავლეები, დებუტაციები, აქვე იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ანტონ ფურცელაძე და სხვანი“...

და ბოლოს, მაინც წინანდელი გლეხის, სიმონ ჭიორელის სიტყვები გვინდა გავიხსენოთ:

„დიდი და ქებულია შენი დღითურთ ნიჭი, განთქმულია შენი სახელი ჩვენს სამშობლოში, მაგრამ თუ ჩვენ გაფასებთ და პატრეს გცემთ, უფრო მეტად, ბევრად უფრო მეტად ძვირფასი ხართ ჩვენთვის, გლეხჯაყებისათვის, როგორც მუშაყი და მებრძოლი, რომელსაც შეგნებული გქონდა ადამიანის მოვალეობა და არ შეუშინდი იმას, ვისთანაც შენისხლხორცებელი იყავი. მაგრამ ჩვენი ჩამოპაველობა, ცხადია, უფრო კარგად დაგაფასებს და მოვა დრო, როცა სიტყვები „გლეხაკი“ და „წოდებრივი განსხვავება“ ძველის კუთვნილება გახდება. მაშინ ყველა ქართველი იტყვის, რაფიელ ერისთავი სამშობლო ქვეყნის ღირსეული შვილი გამოდგაო“.

მინაწერი: წინანდელი ნე-უ ჭიორელის წინასწარმეტყველება ისტორიამ გაამართლა. ხალხის ოცნება აღსრულდა: მოვიდა „ის სხვა დრო“, სხვა თაობა, რევოლუციურმა საქართველომ შეითვისა და შეიყვარა რაფიელ ერისთავის პოეზია. დაიბეჭდა და გამოიცა მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. პოეტის მამა-პაპათა სოფელში — ქისტაურში რაფიელ ერისთავის სახლმუზეუმში გაიხსნა, პოეტის ნეშტი ქისტაურიდან თელავში გადმოასვენეს და ერეკლე მეფის სასახლის წინ, მოედანზე დაკრძალეს, თბილისში კი ძველი აუგეს, რომლის კვარცხლბეკზე სასოებით ამოკვეთეს:

სამშობლო, დედის ძეძუი
 ა გაცივლების სხაზედა,
 ორიე ტკბილია, ძმიბილო,
 მირჩვენის ორთავ თვალზედა,
 როგორც უფლი, სამშობლოც
 ერთა ძვეანაზღა...
 ერთა ძვეანაზღა...



ნიკო კაცხოველი

კიდევას ღაიფრღებიან...

მოთხრობა

• • •

სამზრეთ საქართველოს მთიანეთს ერთი თავისებურება სჭირს დღესაც და სჭირდა წარსულშიაც. ავი ვახუშტიც ასე აღწერს:

„ხოლო ესე თრიალეთს არს ზაფხული ფრიად მშვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი წყაროვანი...

...ვენახი, ხილიანი და მტილოვანი ირარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტბილს მოიტანენ ბარიადი, ჩაახამენ აქა და დაღვების ღვინო კეთილი და გემოიანი“...

ისე, როგორც მთიულეთში.

ამავე დროს აქ, გომარეთის ვაკეზე შეიძლება მრავალი ხილეულის გაშენება: ვაშლის, მსხლის, ბლის, ქლიაების ტყეშებისა და სხვათა.

რასაკვირველია, უხილოდ მაინც არ რჩებოდნენ. ძირს, ქვიის ნაბირებზე, განსაკუთრებით, ღმანისელები ვარდისუბნელები, ყალამშიელები ამეხებდნენ ბაღ-ბოსტანებს და ყოველი გოჭი მიწისა გამოყენებული იყო. ყორზე ამგებელი იყო გოგრა; ყორის ძირში ჩაბრუნებული — ჭაჭურის ღამასხი, ქლიავი. მათ ქვეშ ჯოჯოლი, დონდონო, თვით ბაღ-ბოსტანში იყო ატამი ვაზი, ბოს-

გაგრძელება: იხ. „მნათობი“, № 10.

ტნეული და სხვა. ეს იყო ბალი თოხხუთ სართულიანი. ისე როგორც არაგვის ხეობაზე, ესაა ბრძნული გამოყენება ბუნებრივი საწარმო ძალებისა.

გივი მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ჩანდა. უცბად გამოცხადდა, გაწითლებული იყო.

— ჯიშთა გამოცდის სადგურზე ვიყავ. თქვენ რომ ჩამოგრჩით, აგრონომი შეშხედა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ერთად ვიყავით. აქ ეს სადგური თხეთმეტი წლის წინათ დაარსებულა. იცდება მრავალი ხილი. 50 ჯიშის ვაშლი ცხრა ჰექტარზეა დარგული, თოხ ჰექტარზე მეტი უჭირავს 28 ჯიშის მსხალს. ორ ჰექტარნახევარი 16 ჯიშის ქლიავს... სამწუხარო ისაა რომ აქ მინდვრის მცენარეები არ იცლება, არც ბოსტნის, თქვენ კი ასეთ მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ცერცოვანები.

— აგრონომმა გათხოვათ მობრძანდით, გვიჩახულებოთ.

— ფარავანს რომ მოივლით. მაშინ ენახოთ.

— ჯერ გასამრავლებლად გაიცეს რამე?

— ჯერ არა. მაგრამ სამიოდე წლის შემდეგ შესაძლებელი გახდება ზოგიერთი ჯიში გავამრავლოთ.

— ეს დიდი სიკეთეა, — სთქვა მინდიამ, — ხუმრობა ხომ არ არის, თითქმის ას ორმოცდაათი მცენარე იცდება.

როგორც უკვე ვიცით, ვახუშტი ბატონიშვილის დროს გომარეთი იყო „ღაბა, ვითარცა მცირე ქალაქი“. ძველთაგანვე იგი მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა.

გომარეთს ქართველი მოწინავე ინტელიგენცია თავიდანვე აქცევდა ყურადღებას. ქართველთა შორის წერაკიძის გამაგრებულმა საზოგადოებამ 1888 წელს გომარეთში გახსნა სკოლა, სადაც მასწავლებლობდა ერთი პირველი ქართველი ხალხსაწინაგანი — ზაქარია გულისაშვილი, რომელმაც დაგვიტოვა თრიალეთის შესანიშნავი აღწერილობა. 1935 წელს საშუალო სკოლად გადაკეთდა და პირველი გამოშვება 1938 წელს იყო. ამჟამად ამ სკოლის დირექტორად უკვე ოცდახუთი წელია მუშაობს გომარელივე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ვასილ მუჭირიშვილი. ამჟამად გომარეთის სკოლაში სწავლობს ხუთასზე მეტი ახალგაზრდა.

თუ... გომარეთში უმაღლეს სწავლებლები ორმოცი კაცს მუშაობს.

თიბილისში ჩასახლებულნი გომარელები მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში და სხვა სამრეწველო დაწესებულებებში. მშენებლობის ბრიგადირმა ვალერიან კელიძემ ასახელა თავის სოფელი. მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი.

1975 წლის თებერვალში გომარეთისა, მამულისა და სარკინეთის კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნა მესაქონლეობისა და მემინდერების საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამამულო ომის მონაწილე, კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე აგრონომი ვასილ კელიძე, რომელიც გომარეთშია დაბადებული და გაზრდილია.

1975 წელს მარტო დამატებითი ახალგაზრდების სახით მიიღეს ბაბაღე მა-

ხარაშვილი 5614 კილოგრამი მარტო-ფილი, თამარ მახარაშვილი 4870 კილოგრამი შარშანდელი წელი ბარაქიანი გამოდგა კოლმეურნეთა გამრჩე მარჯვენის გამო ბევრმა კოლმეურნემ კარგი გასამრჩელო მიიღო. მაგალითად გიორგი ბარბაქაძემ მიიღო ოთხი მანეთი ფულად და 5328 კილოგრამი მარცვილი, საბა ირემიძემ (მეცხვარემ) ათასი მანეთი ფულადი და 6184 კილოგრამი მარცვლუელი, ასევე შალალო ვასამრჩელო მიიღო ვანო თეთრაძემ და სხვა მრავალმა.

გომარელები ძველთაგანვე გამრჩემშრომელი ხალხი იყო, გარდა ძირითადი საქმიანობისა (ხენა-თესვისა და მესაქონლეობისა) დამხმარე, ზუსტი საქმიანობაც. ეხერხებოდათ განსაკუთრებით. ხეზე მუშაობა. ვასილ მუჭირიშვილის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, ხეზე მუშაობა მურჯინელებს ეხერხებოდათ. „ზალიკა დედამისი ისე დაჯანმრთდა, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა“. ყველაზე უკეთეს გუთანს თედო თეთრაძე აყვებდა. კარგ კოკა-კუტლებს აბელ აფაქიძე და გიგა სიხიშვილი თლიდნენ. აყვებდნენ სუფრაზე სანოვავის მისართმევად ხონია-ტაბაყებს. ვარცლებს, ჩამებს და სხვა ჭურჭლეულობას.

ჭურჭელს სხვადასხვა ხისგან აყვებდნენ: ვარცლს — ნეკერჩხლისაგან, როდინს — კონლისა და პანტისაგან, საღვებელს — ცაცხვისაგან, კოვზებს — შინდისაგან. ქალები ხელმარჯენი იყვნენ ქარგვა-ქსოვაში. ქსოვდნენ ხალიჩებს, ფარდაებს, ყაბალახებს, ჭრელ-ჭრელ წინდებს. ამ ხელოსნობის განვითარებას ხელს უწყობდა გრძელი ზამთარიც. აქ ხომ ზამთარი დიდი იცის.

ხშირად ვიხივთ ურბანიზაციამ — სოფელი დაეცარიელა. რად დაეცარიელა? მექანიზაციამ მუშახელი გამოანთავისუფლა. საჭიროა მისი დასაქმება. გომარეთში შეიძლება ისეთი ქარხნის შექმნა, სადაც მოქსოვენ ხალიჩებს, ფარდაებს, ყაბალახებს. ქართულ ქ-

დებს და ა. შ. შეიძლება მეორე სახე-
ლოსნოც შეიქმნას. ხის დამშუშავებე-
ლი; ხის ჯამპურკელი, საუკეთესო სუ-
ვენირი იქნება. აქვეა სხვა სოფლებიც-
ახა, ველის პირი, პატარა გომარეთი,
რომლებიც ამ საქმეში ხალხით ჩა-
ებმებიან.

სასაფლაოს ქვებზეც სწორედ ეს
ხელობანია ასახული.

ჩვენი ყოველი სოფლის შესახებ
დაუსრულებლივ შეიძლება საგულის-
ხმო ამბების მოყოლა და მით უმეტეს
გომარეთზე.

კარგად მოსალამოვებული იყო, რო-
დესაც ჩვენმა მგზავრებმა თქვეს: „ჩი-
ტმაც იცის თავის ბუდეო“ და დაადგ-
ნენ თავის გზას.

სადღაა მარადი თოვლი...

გომარეთიდან მობრუნებულები მე-
ორე დღეს მანუღლას მინდვრებზე და
მდელოებზე წავიდნენ, ორ ჯგუფად
გაიყვენენ; ერთთან საუფროსოდ მინდია
იყო. მეორესთან — გიორგი. ლეკვან-
თემუმის გავრცელების და მის მიერ
მოყენებული ზარალის დასადგენად
კიდევ ერთი საბუთი იყო საჭირო: ბა-
ლახნარში რა მონაწილეობას იღებდა
და რას იწონიდა იგი სხვებთან შე-
დარებით.

ერთმა ჯგუფმა ორმოხანის მდელო-
ებზე აიღო სინჯი. ამისთვის ორივე
ჯგუფს ჰქონდა ხის ჩარჩო. რომელიც
მიწაზე დავლებსას ჩარჩოს შიგნით
ზუსტად ერთ კვადრატულ მეტრს გა-
ზოიყოფდა. შეიძლებოდა მეტრის მე-
ოთხედის აღებაც. ამისათვის კვადრა-
ტის ოთხივე მხარე ნახევარი მეტრი
უნდა ყოფილიყო. მაგრამ პირველი
ამჯობინეს, რადგან, ცდომილება ასეთ
დიდ ჩარჩოს ნიმუშში უფრო ნაკლები
იქნებოდა.

მეორე ჯგუფი, გიორგის ხელმძღვა-
ნელობით, კი უწინგნახსიველ ძველ
სათიბ-სამოვრებისაკენ წავიდა.

მინდიას ჯგუფის მონაწილემ ერეკ-
ლემ თავისი კვადრატი დაავდო მდე-
ლოს იმ ნაწილში, სადაც გვირილა შე-

დარებით თანაბრად იყო გავრცელებუ-
ლი. ჩარჩოს შიგნით ბალახი, გვი-
ქარდიო, დაახლოებით იმ სიმაღლეზე,
რა სიმაღლეზეც ცელი იღებს, ანაჰერი
მთლიანად აიღეს, ძირს არც ერთი
არ დაუტოვებიათ. ამ მდელოზე კიდევ
გამოყვეს ორი კვადრატული მეტრი,
სინჯი იქაც აიღეს.

შემდეგ სხვა მდელოზე გადინაც-
ლეს, სამხრეთის ფერდობზე, და იქაც
სამი სინჯი აიღეს. ჩრდილოეთის ფერ-
დობზეც — სამი სინჯი.

— ხალხო! მოდიოთ აქ. ეს რა-
დაა? — და ლელამ მიუთითა ბალახნა-
რში, სრულიად ტიტველ ადგილზე,
რომელიც ორი-სამი ტაშის დადება
იყო.

— რად მიაქციე ყურადღება, ლე-
ლა?

— იმიტომ, რომ ეგეთი შიშველი
ადგილი რამდენიმე ვნახე.

— აბა უცქირეთ რა არის! — და
მინდიამ ბარეულა გამოართვა ერეკ-
ლეს. დაჰკრა და ამოაბრუნა. ამოაბრუ-
ნა და დაინდა ატრებელი პაწაწინა
ბოსტანა.

— აი დიდიც, ბოსტანა ანუ მახრა
მდელოების საკმაო დიდი მეტრია.
ბალახის ფესვებს სჭრის და მცენარეს
აბმობს. ზოგიერთ სათიბზე იტყა მო-
დებული, რომ ბალახისა 10-20 პრო-
ცენტი მისგან იღუპება.

ბოსტანა მიწაში მცხოვრები მწერია.
ტრიკინის ერთ-ერთ ჯგუფს მიეკუთვნე-
ნება, წინა ფეხები მოხრელებია. მიწა-
ში აკეთებს ზერელებს, ბუდეებს. ბუ-
დეში დებს აუარებელ კვერცხს, რომ-
ლიდანაც იჩეკება მატლები და ვითარ-
დებიან მთელი წლის განმავლობაში.
იკვებებიან მცენარის ღეროთი, ფეს-
ვით. სხვა მწერის მატლებით, ჭიკვე-
ლებით. იგი დიდი მავნებელია ტყეშიც,
ბოსტანშიც, სათიბებშიც და მინდორ-
შიც.

— ეს მატლებია ხომ? ძალიან წააგო-
ვენ დიდ ბოსტანს.

კარგად გასინჯეს.

— მომეცით ესლა ეს ბარულა მე. —

გამოაცხადა ლელამ და სადაც მელოტი ადგილი ნახა, ამოაბრუნა. ერთ საათში ორმოცამდე ბოსტანას ბუდე იპოვნა და მოსპო.

— ორმოცი ბუდე მოესპე, — გამოუცხადა მინდიას რომელიც ახალ კვადრატს იღებდა.

— შენ აქაურ კოლმეურნეობას უნდა მივამავრო.

— რატომ არ, ავუხსნათ მართლაც აქაურ პიონერებს, ვასწავლოთ...

— ძალიან კარგი იქნება და ეგ ამბავი შენ და ვახტანგმა იკისრეთ.

ასე გადაწყვიტეს და ლელამ შემდეგში ეს პირნათლად შეასრულა.

ბარათა ისევ ერეკლეს გადასცა და საერთო მუშაობაში ჩაერთო.

— ავიღოთ კიდევ? — შეეკითხა ლელა მინდიას.

— ალებით შეიძლება ავიღოთ, მაგრამ გარჩევას ვერ მოვასწრებთ. ხვალაც ამ თვისაა.

ყოველი კვადრატის ბაღე ცალკე იყო შეხვეული და სახლში რომ დაბრუნდნენ, მაშინვე შეუდგნენ მუშაობას.

გახსნეს ყველა შეკრა და ცალ-ცალკე გაშალეს: შემდეგ ჯერ ერთი კვადრატის ბაღის ფრაქციებად დანაწილება დაიწყეს: ესე იგი, გადაალაგეს „გვირილა“ ცალკე, ცალკე გადააწყეს მარცლოვანები, პარკოსნები, ყველა დანარჩენი ორლებნიანები, შხამიანები და ნაგავი (ნაგავს ეძახიან უდროოდ დამკვნიარ მცენარის ნაწილებს).

ერთ მეტრზე ალებულის გარჩევა, რომ მოათავეს, მინდია დაიწყო ცალ-ცალკე ფრაქციის აწონვა და რვეულში ჩაწერა.

— ლელა შენ ჩადი და დიასახლისს მიეშველე. სადილი დროზე მოასწროს, — დაასაქმა ლელა და მაგიდაზე დადო მეორე კვადრატის ბაღის, ლელამ მალე ამოიბრინა.

— უკვე შხადაა და ჩვენი მგლები არ მოიშვეიან!

მესამე კვადრატი რომ მოათავეს, სწორედ ყველა ჩამოვროვდა კიდევ.

სადილის შემდეგ უხმოდ შეუდგნენ გარჩევა-აწონვას, ფრთხილად გაშალეს გასაშრობად.

ორი დღე იღებდნენ კიდევ ნიმუშებს და საბოლოოდ ოთხ დღეში ორმოცდაათ კვადრატამდე გაარჩიეს. ცოტა გულგამაწვერილებელი სამუშაო იყო, მაგრამ მუშაობა მუშაობაა.

მეხუთე თუ შეექვსე დღეს გიორგიმ შეაჯამა სამი-ოთხი დღის ნიმუშე-ვარი და აი რა გამოვიდა: ერთ კვადრატულ მეტრზე იზრდებოდა და იყო ლეუკანთქემში — 300 გრამი; ნაირ-ნაიახები — 40; მარცლოვანები — 20; პარკოსნები — 11; შხამიანი — 5; ნაგავი — 5; სულ 381 გრამი.

ე. ი. ჰექტარზე ყოფილა 381 გრამი, 10.000 — 381.0000 გრამი ანუ 3,810 კილოგრამი, ანუ 3.81 ტონა; აქედან 3 ტონა ლეუკანთქემშია. დანარჩენი — 810 კილოგრამიდან შხამიანია 50 კილოგრამი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ლეუკანთქემში იმდენია (75 პროცენტი, რომ ასეთი თივა სრულიად გამოუყენებელია. ეს ანალიზიმ 50 კვადრატის საშუალოა, რომელიც გაარჩიეს. იყო ნაკვეთები, სადაც ლეუკანთქემში ჰექტარზე 5 ტონაც კი იყო. კიანეთის ნიმუშში ხუთ ტონაზე მეტი იყო ერთ ჰექტარზე, თუმცა სხვა ბაღებიც ერთ ტონამდე მოდიოდა, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ 20 პროცენტი.

ერთ დღეს სამუშაოდან აორე დაბრუნდნენ. ჩაალაგეს მცენარეები. ჩასაწერი ჩაწერეს, დაეღეს ნაბდებს ხელი და სოფლის პირას მდებარე გაშალეს, წამოწნენ და თვალები კამკამა ცას მიამყრეს.

მზე შამბიანისკენ იყო გადაწვერილი.

ყველა ნებივრობდა, ერეკლეს გაჩადა. ამას კი რაღაც აწუხებდა.

— რასა ტოკავ, ბიჭო. არაბული ცხენივითა? — მიმართა მინდია ერეკლეს, რომელსაც ბინოკლი ეჭირა და შამბიანს ვასცქეროდა.

— ტოკვით არა ვტოკავ. მაგრამ ვახუშტი რომ ამბობს: „არამედ არს“

მთა ესე მადალი ვრცელი, ჩრდილოდამ
სამხრით და მდებარებს მარადი თო-
ვლით“ აი ივლისია ჯერ. მას ზაფხული
ჯერ არ მასწურულა და თოვლი კი არ
ნანს.

— ეგ მართალია.

— მაგის მეტს ვერას ამჩნევ?

— „მთასა ამას შამბიანი ეწოდე-
ბის შამბალახ-სიმაღლისაგან, რამე
თუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირე-
მი არ გამოჩნდების“.

— მერე? — იკითხა მინდიამ.

— მერე ისა, რომ როგორც შენა
სწერ, შამბ-ბალახი თანაუდროვე მა-
ღალი ბალახეულობაა; ასეთი რამ კი
ნესტიან მხარისთვის არის დამახასი-
ათებელი, ჩვენ რომ შარშანწინ ბახმა-
რო-საყორნეზე ვნახეთ!

— ბიჭოს! — გაიკვირვა მინდიამ.

— ჰო და. აქ შამბ-ბალახი აღარსად
არის, მშრალი მთის მდელოა, ზოგან
ველის მცენარეც ურევია, ხომ? მა-
შასადამე, სამხრეთ თრიალეთში კლი-
მატი შეცვლილია, არც მარადი თოვ-
ლია და არც ნესტიანი მხარის ბალა-
ხეულობა.

— კარგი კი იქნება გულთოვლის
ბთები მოიჩხრიკოს. არის თოვლი თუ
არა? — გამოთქვა სურვილი ვიორგამ.

— რა იქნება, რომ ეს ხუთნი წაეი-
დეთ და მოვიჩხულოთ.

გამოთქვა ყველას აზრი ვახტანგმა.

— ვინ ხუთნი?

— შალვა, გივი, ერეკლე, ლელა და
მე.

— ეს როგორ მოგივიდა, რომ ლე-
ლაც ჩართე.

— ერთხელ, გახსოვს, არ ჩაერთე და
კინაღამ ვადამასახლა.

ლელა წამოფრინდა და თავში წაუ-
ცაცუნა.

— არ იქნება ურიგო.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, ასე
სწრაფად დათანხმება გაუკვირდათ,
მეგრამ ლელას საკითხი მაინც ვადასა-
წყვეტად მიაჩნდათ.

— რაჟი წახვალ, სამი-ოთხა დღე
მაინც მოუნდებით. ჯავახეთშიც გა-

დიხედეთ, თავთარაგნის ტბაზე მღერა-
ხულეთ. სოფ. თავთარაგნის ტბაზე
ჩემი მძაკაცია, იმასთან მიდი, დუ-
ხოზორია.

— მართალს ამბობ?

— ერთს კაცს უთხრეს: „შვილი
მოგიკლა, თუ სიცრუე გათქმევინოო“.
„შვილი მომიკალიო“. უპასუხა. ტყუ-
ილს რად გათქმევინებ?

ითათბირეს და გაპირვეა რომ ხეა-
ლინდელი დღე სამზადისს მოუნ-
დებოდნენ. გულები კარგად გამარ-
თეს. ჭადები, ხაჭაპურები დააცხვეს,
ლელა დაუსვენებლად ტრიალებდა.

— მოდი, რაჟი ლელა მართლა ასე
შრომობს. ევეც წავიყვანოთ. — სთქვა
სალამოხანს ვახტანგმა.

— შენი გამზრდელი ეშმაკი, ჩემი
გაზრდილია და ტყუილად ნუ იხარჯე-
ბი, — ისე მტკიცედ უპასუხა ლელამ,
რომ ვახტანგს ხალისი დაეკარგა პე-
ჭრობისა.

— ჩემმა დაქვდილმა ჯორმა. პირვე-
ლი წიხლი ისეუ მე მკრაო, — ესლა თქვა,
ვითომ ჩემი ნააწაელი ანდ. ზები ისეუ
მე დამიბრუნაო, და ერთი ათი-
თხუთმეტი წუთი ხმა აღარ ამოუღია
სანამდე ისეუ ლელამ არ გაახალისა.

— რწყილს ნესტარი ჰკრეს და ჰი-
რადაც ეყო და ლბინადაცო. შენ,
რწყილი ხომ არა ხარ?

— კაცო, შენი არ მივივრის, ლელა
გვიმზადებს ყველაფერს და შენ კი ლე-
ლას ეჭიშვები. ხომ იცი, ჯერ არ ვა-
რგა ნავში ჯდომა, მერამე მენავესთან
ჩხუბით...

— აღარ ვიღებ ხმას...

— ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყ-
ვი, რომ შერიგების დროს შეგრცხვენს

— აბა მოათავეთ! ხვალ უთენია მი-
დიხართ...

— ეხლაჟ, ეს ჯოხებიც ვაგმართოთ.

— ჯოხი რალად ვინდათ?

— ცხერის ფარები დაგვხვდება, სა-
ნამ მწყემსი ვადმოგვეშველება, ხომ
უნდა მოვიგვირიოთ.

— რალა მე მერგო მოკლე — ჩიოდა
ვახტანგმა.

— ხალხს რას უშლის სიმოკლე, ფეხი წინ წადვი გასწვდება, — წაუძღვრა ვაჟი.

ვახტანგს გაეცინა და ჯოხის გვერდით წერაყინაც დადო.

დილით მტრედისფერად იყო ნარიყრაყევი, რომ ოთხი ეპეკაცი და ლელა შეუდგა შამბიანის მთას. ეს კია მანქანამ უარაბულალამდე მიიყვანა; შამბიანი მაღალი მწვერვალი არ არის. შინა სიმაღლე სულ 2870 მეტრია, მაგრამ მანძილიანია, ფერდო თანდათანობით ეშვება შავი წყაროსკენ. არხად არც ფლოტებებსა კქმნის და არც წმინდა კლდოვანებს. მთელი ფერდო მშვენიერი კარდოვანი მდელითა დაფარულია. ხან და ხან მიწიდან ამოსულია ლოდი. მაგრამ უფრო ხშირად მიწის პირად ძვეს. ძირის კალთები, სოფლის ახლო, შემოღობილია კარგად ნაგები ყორით. ყორის ქვა აქვეა აკრეფილი. მაშასადამე, ორი საქმე გაუკეთებიათ. სათიბიც გაუწმენდიათ და ყორეც გაუკეთებიათ, მდელი სათიბად დაუგდიათ.

შემოღობილი საკმაოდ დიდი მინდორია, ბალახი კარგია. კარბობს მარცლოვანები, რომელიც მუხლს ზევით სცემდა. დაფიქრებულში მიდიოდნენ და მეწინავეს, ერეკლეს. ფეხიდან უცხად ორი მწვერი აუფრინდა, ერთი მარცხნივ გაპყვა კურკურით, მეორე მარცხნივ. ერეკლე შეხტა. მაგრამ მალე ჩადგა გული საგულესა, და გულიანად გაეცინა.

მხარმარჯვნივ ხევი ჩადიოდა, რომლის ძირსაც შამბიანის წყალი მიწინაყარებდა. ერთი ორჯერ შეისვენეს, ამ დროს შალვამ შამბიანის წარსულიც უამბო, არა. შამბიანის ამბავი კი არა, მთელი სამხრეთ საქართველოს ზეგნებისა. ამ მხარეშია ჭავჭავთის დიდი ზეგანი, თრიალეთისა და ზურტაყეტი-სა. სამივე ეს ზეგანი ვულკანური წარმოშობისა, სამხრეთ საქართველოს ვულკანებიდან (ახლო, თაკვეთილი, აფნაბადა ვოდორები, შამბიანი, ელშიკი და სხვა.) წამოსულ გაშლილ ლა-

ვანგ თანდათან წარმოქმნილია და შემდეგში ტყეც, ამ შემდეგში ნაწილი ისტორიულ წარსულშიც ტყით იყო დაფარული.

აქ რომ ტყეები იყო, ამის საბუთი ბევრია. ამა გინდეთ სამხრეთით, ტყე პირდაპირ მოსდგომია ამ მხარეს. ტყე ამ მხარეში ზღვის დონიდან 1500-2000 მეტრს სიმაღლემდე გვხვდება. ესე იგი აქაურ დღევანდელ მშრალ მდელის ტყის ზონა უქირავს. ტყის ნაშთები აქ ბევრგანაა, აგერ საფიქლს ხევიში მუხნარია, მაღალმთის მუხისაგან შექმნილი, ორთაშუაში რამოდენიმე პანტაღვას. მაშუდლოში პანტებიცა და აღმოსავლეთის მუხაც, აქვეა „არმუდლოც“ — ანუ პანტიანი. გახსოვთ: აბულსამსარზე ტყეც ვნახეთ. ტაძრის წარწერაც, ეს საყდარი ისეთ ტყეში ავაშენეთ, რომ იგი არა ჩანდით: ნიადგი ტყის დევრადირებული ნიადგია. ბალახებს შორის თითო-ოროლა ტყის ბალახიც შემორჩენილა. კლიმატიც ისეთია, რომ ტყის კლიმატის ნაშთსა ჰგავს თუ ხელოვნურად ხელი არ შეეშალა. ტყე აღდგება, ჭავჭავთში რომ ნახეთ ასეთი ამბავი.

— რამ მოსპო?

— ვაუფრთხილებლობამ. უდიერმა მოპყრობამ, გადაჭარბებულმა ძოვებამ, მრავალ მტერთა შემოსევამ; ჭერ კიდევ ოსმალთა ხელისუფალნი, როდესაც მათ შესხეთ-ჭავახეთი დაიპყრეს. ჭავახეთს ორნაწილად ჰყოფდნენ: „ტყიანი და უტყეო ჭავახეთი“ 1630-1650 წ.) ეხლა მთელი ჭავახეთია უტყეო სამასორმოცდაათი წლის წინათ ჭავახეთის ნახევარზე მეტი ტყიანი ჩანს.

კლიმატიც, როგორც ჩანს, უარესობისაგან შეიცვალა. სწორედ ამიტომაც, რომ მაღალი ბალახეულობა აქ აღარ არის და თოვლის საძებნელად წამოვედით, აქ რომ მარადი თოვლი იყოს, განა შორიდანვე ვერ დავინახავდით? მაღალი ბალახი?

— არის როგორ არ არის. აგერ ნაკადულის პირას ტაშის ოდენა აღვიღო უქირავს.

მართლაც, პატარა ნაკადულის პირას ამოზრდილიყო: ლაშქარა, მთის სოსანი, მზიურა, დიცი, ძირძვენა, მაგრამ ასეთი პაწაწინა ნაკეთებები ამ მხარეს იერს ვერ მისცემდნენ და ვერც „რქიანი ირემი დაიმალება“.

ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ, მთაში სიარულს ნაჩვევნი იყვნენ.

ხუთივე უცბად ერთად შემოტრიალდა, გვეგონებოდათ ვიღაცამ უბრძანაო. თურმე მზის პირველი სხივი ამოიჭრა ლუქუნის მთების გადაღმიდან და გააპო ცის სილაყვარდე, ცოტაც და მზის ყველა სხივი ცას იყო აკრული. ბალახს მოდებულნი ნამი აელვარდა ისე ვითანუკა ბატონიშვილის მზითვეში გატანებული ქუდის თხუთმეტიათასი ხოშორი მარგალიტი.

შამბიანის ხევის პირას აპყვნენ და კლდეში წყარო შენიშნეს, არა კი არ შენიშნეს, თვითონ წყარომ გამოსძახა: „საით მიდინხართ ვერა ხედავთ რა ანკარა ვარო?“

— აი კარგი წყაროც და დროც არის...

— კიდევაც...

— ვისაუზმობთ თორემ რა ყანდის კეთილს მომართმევ, რა ყანდის შაქარს.

— იცი რა გითხრა? თუ ეგრეა, არაფერსაც არ გაქმევ, — შეუტია ლელამ, — მერე არ იცი, როცა გშინა ზაქარია ცივი ჰადიც შაქარია.

— სამი დღე სულ ქადა და ხაჭაპური?

— ბიჭო და ჯერ ხომ არც ვიჭამია, სხვა არა იყვეს რა, ერთმა ქვრივმა დაიჩილა, სიმინდის ფაფამ და ღორის ქონმა ჩემს შვილებს გულსმმარა აუტეხაო. კიდევ გაქვსო? ბეჩავს ისიც გამომელიაო, — აბა ახლა ნახე გულის ძმარაო. — ამასობაში გივიმ სუფრა გაშალა. თითო ჭიქა ყავაც დააყოლეს ხაჭაპურსა და ქადას. შემდეგ ცივი წყაროც დატანეს და კვლავ დაწალაყდნენ.

უნდოდათ ლელასათვის ბარგი შეემსებებქებინათ, მაგრამ შეუტია, „თქვენზე ნაკლები თხა, მგელმა შექამოსო“.

მთის მდებლობე მიდიოდნენ და უხის დადგმა უძძიდათ, მძღვნით უხეუნა ყვავილი ხედებოდა წინ. შემონახული საძოვარი იყო. მთავარი ჯოგები ჯერ არყიანზე სძოდნენ. არყიანის მთაც შამბიანის მთას წააგავს. ეს მწვერვალი შამბიანზე ასი მეტრითაა მაღალი, 1968 მეტრია. ჯერ კიდევ დილა იქნებოდა, როცა შამბიანის მწვერვალზე მოექცნენ. მწვერვალის ძირში ნახვავი თოვლის ნალაგვევი ჩანდა. მის შუანაწილში მიწიდან ამოებეთქა თითო-ოროლა მცენარეს. ნაპირებზე კი ახლად იყო გაშლილი გულწითელა ფურისულა, ფრინტა, ცხენისკბილა ენძელა — თითქოს ამ შუა ზაფხულში გაზაფხული მოუტანიათ და აი აქ შამბიანზე დაუდვიათო. შალვამ ყველა ჩაწერა, აიღო, ავგაში ჩაალაგა. ერეკლეს შენიშვნაზე როცა ჩამოვივლით, მაშინ აიღეო, დინჯად უპასუხა:

— რომ ჩამოვივლით სამი-ოთხი დღე იქნება გავლილი. მაშინ აქ სხევიც იქნება გაშლილი. პირველად შეხვედრილი უნდა აიღო. ვაითუ შემდეგ ვერც ნახო და სანანებელი გაგიხდეს.

აბგიდან ამოიღო ერთი მცენარე და გაუწოდა.

— თუ მეტყვით რა არის?

— რა არის და იონჯაა!

— იონჯა კია, მაგრამ რით განსხვავდება ქვევით, თბილისის ახლო, რომ იონჯა იზრდება.

— ვერ გეტყვით.

— მართალია, ვერ იტყვით, იმ იონჯის ცერცვი ორჯერაა შემოხვეული სპირალივით, ამისი ცერცვი კი მხოლოდ ხეულის ნახევარსა ჰქმნის. აი ეს იონჯა ამ მთაში ცვლის ველის იონჯას, სხვა ნიშნებით თითქმის არ განსხვავდება. ჯავახეთში, სხვა იონჯას გიჩვენებთ. ლელავ შენ მომავონე! — და აპყვა მწვერვალისაკენ, მაგრამ ლელას შეძახილმა შეაჩერა.

— ამაზე ხომ არ ბრძანებთ, ბატონო შალვა? — და ყვითელყვავილებს იონჯა გაუწოდა.

— სად ნახე, ლელავ? სწორედ ეგაა

ხედავთ, ესეც იონჯაა, მხოლოდ ოქროსფერყვავილობა, მიწას გართხმულია. ეგ ჭავახური იონჯაა. ამ მხარეში იზრდება მხოლოდ. ჭავახეთში კი უფრო ხშირია: იყო ერთი კიველი ბოტანიკოსი ბორძილოვსკი ცალფეხა იყო, მარჯვენა ფეხი ძირში ჰქონდა მოჭრილი. ფორანს ჩახსნიდა ხოლმე წინა თვლებს, ზედ დაამაგრებდა ზურგიან სკამს და დადიოდა ამ მთებში. ეგ იონჯა ამ სამოციოდე წლის წინათ აღწერა სწორედ ბორძილოვსკიმ. რახან ევრეა და დამასწარ, საღამოს ტბასთან მომავონე კიდეც ბორძილოვსკი, იმის აწერილ მცენარეს გაჩვენებთ. ისიც ენდებოდა. ცალფეხა იყო, მაგრამ ბევრ ორფეხას ჯობდა.

მარტო ჭავახეთში მეცნიერებისათვის ოცზე მეტი ახალი მცენარე აღწერა. ჭავახური იონჯის გარდა, ჭავახეთის სახელი დაარქვა ერთ ასტრაგალუსს. — გვლერძას, ჭავახური გვლერძა; ერთ ქერიფქლას უწოდა ახალქალაქური ქერიფქლა; უყვარდა მეცნიერება, უყვარდა ბოტანიკა, უყვარდა ჭავახეთი, მინდა კარგად იცნობდა. ბევრ რამეს ისიც ვიამბობთ.

მწვერვალი უკვე ალბური მცენარეებით იყო დაფარული. აქ ჩანდა ძირმბაგრა ალბური ნაღველა, ალბური ბარბაცა, აჭარული შვრიელა, აქაწურა და სხვა მრავალი.

დაყარეს ზურგჩანთები და ჩამოსხდნენ. მზე მალლიდან დასცქეროდა. ცა იყო უღრუბლო და კამკამა, წინ გადაშლილი იყო ზურტაკეტის ხეობა, გომარეთის ვაკე, მხარმარცხნივ თრიალეთის ზეგანი, მხარმარჯვნივ ლორის ვაკე.

— რამდენი სისხლია აქ დაქვეული!

— მგონი მტკაველი არაა ისეთი, სადაც არ იყოს დაღვრილი სისხლი.

— შენ, ლელამ და გვიმ მწვერვალის აღმოსავლეთით იარეთ არყიანის ხეებში მოინახულეთ. — მიმართა შალვამ ერეკლეს, — მე და ვახტანგი შამბიანის წყლის სათავეებს და გულთოვლის მთებს ვნახავთ... ვნახოთ! საათები.

ორია. შეასწორეთ. ექვსჯერ დაეღებოდა აქ ვიყვეთ...

ნიკოლოზი

ყველა თავის საქმეს შეუდგა.

ბევრი იფხოკიალეს, მაგრამ მარადი თოვლი ბერ ნახეს, რა დაგეკარგავს, რას ეძებ? ერეკლე ხევში ორგან კი წააწყდა მიწა გადაყრილ თოვლს, რომლის ქვეშიდან ნაკადული მოწანწყარედ და, მაგრამ ეს არ იყო მარადი თოვლი? აგვისტომდე ესეც დადნებოდა, ასეთი ნახვავი თოვლი ორ ხევში კიდეც იდო, მაგრამ. ისიც ვერ გასძლებდა აგვისტოს ბოლომდე.

— კაცო, მარიაშობისთვის ბოლოს ხომ თოვლი ისედაც მოვა! — შენიშვნა გვიმ:

დრო იყო შეყარისა და ერეკლეს აპყვა შამბიანის სამბრეთის ფერდობს. ის იყო აათავეს აღმართი, რომ მეორე მხრიდან შალვა და ვახტანგიც გამოჩნდნენ.

— რასაკვირველია, არც ჩვენ მხარეზეა „თოვლი მარადი“... ვნახოთ სხვაგანაც. გულთოვლის მთები უფრო გულისანად მოგჩხრიკოთ.

— შამბიანის გადაღმა ვათიოთ და მე. — დაატანა შალვამ.

— საძილე ტომრებში არ შეგვცოცა?! წაიხმსეს, კეჩეთის ქედის ქვარის ზეყარისაკენ გადავიდნენ. აქ ძველი გზა გადიოდა. ქვემო ქართლიდან ზურტაკეტს გაივლდა და ფარაენზე ჩადიოდა, — ძველი დროისათვის ეს გზა კარგად მოწყობილი უნდა ყოფილიყო. ქედის აღმოსავლეთით დიდი ქარვასლა იყო. „აქ არს ფუნდუკი, თამარ მეფისგან აღმწენებული ზამთარ მოგზაურთათვის“. ასეთივე ფუნდუკის ნანგრევები სოფელ ფარაენთან.

ირმის ცრემლი

აღზარდე შეილი. მიეც ძალა სულს, შთავიწონებდე კაცთა სიყვარულს, მშობას, ერთობას, თავისუფლებას, რომ სიკეთისთვის ვული უბრძოლვეს, რომ მომავლისთვის შედითანა ბრძოლეს

ღვია

„ამ მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე ჯოგ-ჯოგათ და ხროთ და სხვათა

ნადირთაც, მონადირა მეფემან ვახტანგ, და მოკლა დღესა ერთსა 160..“

— ამ ჭკვიანმა მეფემ ეს როგორ ჩადინა? ან რად უნდოდა? — ვერ მოთმინა ლელამ.

— სწორედ რომ ჭკვიანი იყო და იმან მოაკვლევინა, — უთხრა ერეკლემ.

როდესაც ისვენებდნენ და ღამის სათვეად იყვნენ განწყობილნი, ისევ ლელამ წამოიწყო ეს საუბარი.

— იცით, ბიჭებო, რა ვითხრათ? მე დავწერე ვახტანგ მეექვსის და ვახუშტის ნადირობა. შევაჯერე დოკუმენტებთან. დავწერე ისე, როგორც უნდა უოფილიყო წავიკითხო? — დაიწყო ვახტანგმა.

ერეკლემ შალვას გადახედა.

— მო, წაიკითხოს, — დათანხმდა შალვა. ვახტანგმაც ჩანთიდან ამოიღო რვეული.

„აი, რასაც ხედავთ, ეს ძველი აომბითია, ქვემო ქართლი მეწინავე სადროშო, საორბელიანო და საბარათიანო, ჩვენს უკან კი ჯავახეთია. ვახტანგ მეექვსის დროს ჯავახეთში უკვე თითქმის ასი წელი თუ რქები ბატონობდნენ. მათ იყლეს და იფარპყვეს მესხეთ-ჯავახეთთა.“

მოგესხენებათ, მოთარეშე რაზმები მესოზბელ მხარეში ხშირად იჭრებოდნენ. იმ ხანად სამხრეთის სადროშოების გამგებლად ვახტანგის უნიკიერესი შვილი, ვახუშტი იყო. იგი დაბანაკებული იყო ეძანში, უფრო სწორად, თრიალეთის ახალქალაქში. იქ, სადაც ვახუშტის ენითვე რომ ვთქვათ „ქცია... გამოსდის შურაშეთის მთასა... და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დაბრამდების, და არს იმერ და ამირ კლდე ქარაფი და მაღალი“. მას კარგი შეკრული რაზმი ახლდა თან და შემოკრალ მარბიელს ხშირად ცუდ დღეს აყრიდა“. ამ შესავალის შემდეგ გადაშალა გვერდი და დაიწყო:

— მტერი არა ცხრებოდა და, ცხა-

ლია, ვახუშტის უძნელესად წაწკრივის დაცვა.

„ერთ შვენიერ დღეს მცირე ამალით გამოცხადდა თბილისში. ამაღამი მძასავეით შეზრდილი ნათესავეები და მეგობრები, აბაშიძეებიც იყვნენ, რომელნიც ვახუშტის სანადიროდ მოეწვია. ერთი მათგანი, ბრგე და ახოვანი, ვახუშტი ბატონიშვილის სეხნია, ვახუშტი გიორგის-ძე აბაშიძე იყო: ჭამუკნი ურთიერთს ჯობდნენ ჩაცმულობით, იარაღით თუ შეხედულებით.“

სასახლეში ფრიად გაიხარეს. ვანსაკუთრებით ვახარა მეშვიდრემ. ჭკვიანმა და კარვმა უაქაკცმა ბაქარმა, მამამ, ვახტანგ მე-რ, ისე, როგორც ვახუშტი ისიც აღრე ჩაბა საქვეყნო საქმეებში. ბაქარმა მძა და ტოლები რომ დაინახა, ვახარა, ცოტაოდენს ვიშხიარულდებოთ. თორემ ნომკლა ამდუნმა გარიგება-შერიგებამაო საქმე ის იყო, რომ ვახტანგმა იგი მეფედ აკურთხებინა და საქვეყნო საქმე ბაქარსაც მხრებზე დააწვა.“

მამას, ვახტანგ მე-რს ღრეობისათვის არა სცალოდა, მაგრამ საყვარელი შვილის წვევის გამო და მის მეგობართა პატივსაცემად შინაური პეტრობა მაინც ბრძანა.

— შენ შვილო, შემთხვევით არ მიატოვებდი შენს ეძანს... მიმართა მამამ შვილს, როდესც დაიმარტოხელა.

— რასაკვირველია, ოსმალნი არ ისვენებენ, გავწყლით წელში მათი მარბიელი გუნდების დევნით... მოგესხენებათ, შევარდენის ბუღესთან მტრედი ვერ გაიხარებს.

— შენ შორს იჭერ საქმეს, ეხლა მათთან საომრად წელი არ მოგვდგამს.

— გვადრებთ კოდეც, როცა ჯოხი არ გიჭირავს, მუყუარს ლუკმა გადაუვდეთ.

იქნებ ნადირობა გავმართოთ ქეჩუთის მთებში, საუკეთესო რაზმები წავიყვანოთ, მათი მხირება ამ მთებში ჩახვენ ჩვენს მონადირეთ და შეფიქრიანდებინა.

ვახუშტის თვალუბი ვაუბრწყინდა.

— როდის მამავ, ბატონო?

— დღე-მენჯალე კაცსაო, თოვლი მოუვა კარსაო, — უთხრა მამამ და ვაუჭღვა დარბაზისაყენ, — სად არის შენი სენხია, კაი ვაჟკაცი დამდგარა, მგონი პატარობისას კაცხში თუ სურათში მინახავს.

ვახუშტი დასცილდა მამას და წაიდა აბაშიძის საძებნელად, რადგან მეფემ იკითხა, საჭირო იყო წარედგინა.

ვახუშტი ბატონიშვილმა აბაშიძე ბაქართან და სხვა ტოლებთან კარის ხალხში ნახა, ბაქარი მზიარულ ამბავს ჰყვებოდა.

მამის სურვლით რომ ვადასცა, ვახუშტი აბაშიძე შეკრთა. მეფეს ესე უბრალოდ როგორ ვეახლოვო?

— ორივე ამოგიდგებით მხარში და რიღასი ვაფიქრებს? — ვამხსენეა ბაქარმა და შეგობრულად მოხვია ხელი.

ის-ის იყო მეფე მიემართებოდა თავის საუფროსო ადგილისაყენ, რომ ორმა მამამ მოჰკვარა ახალგაზრდა აბაშიძე მას ფერი წასვლოდა და ტუნი უთართოდა.

— ხომ არ დაიღალე, შვილო, ფერმკრთალი ჩანხარ.

— არა, მეფევე ბატონო... — და თვალი ქალთა მარაქისაყენ ვაექცა. ეს ვახუშტი ბატონიშვილს არ გამოჰპარვია და ჩაიღიმილა.

— ამის დაღლილობასაც ეშველება მამავ ბატონო!

პურობა იყო დიდებული, მზიარული, მოიღბინი ბატონიშვილმა ბაქარმაც. ვახუშტი, მისი ნახევარი ძმა იყო, ჯვარდაუწერავ ქალისაგან ნაყოლი, მაგრამ ღვიძლი ძმასავეთ უყვარდა. მამას ყოველთვის ხინჯათ ჰქონდა გულში, ვაი თუ შემეკვიდრემ, ბაქარმა, აითვალისწუნოს თავის ნახევარი ძმაო, მაგრამ რომ ხედავდა მათ ასე მზიარულად, ერთმანეთის მოსიყვარულეთ, უხაროდა. მისი საყვარელი ქალიშვილი, ჩვიდმეტი წლის ანუკაც, ძმებთან ერთად მზიარულობდა და ცდილობდა სტუმრებმა ვაემზიარულებინა, მაგრამ

ვახუშტი აბაშიძეს თავი მართლმეტყველებული ვახუშტი ღაიზრდობინან

ლო. — თავი მადლა ვახუშტი, ვეფხისა არ გეშინიან და ქურციკმა როგორ შევაფიქრინა.

— ბატონიშვილო, ქურციკი არ შემაფიქრინებს, მაგრამ „ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხეაღია“. ეს მაფიქრებს.

ბაქარი ეხლა ჩავარდა გულისუბრში და მზიარულად გაიცინა. ძმებმა დასვა ხედეს და თვალუბით რაღაც ანიშნეს. ანუკამ იგრძნო რაღაც უცხად აუძვერდა გული, ვაწითლდა, დახარა თვალუბი და დედის კალთას შეაფარა თავი. არც მამას გამოჰარვია ეს ამბავი. „რა ექნა? ყველას თავის დრო აქვს“, — გაიფიქრა და ამოიხსრა.

საერთო პურობის შემდეგ მეფე, მემკვიდრე და ვახუშტი განაპირდნენ და მცირე თათბირის შემდეგ დათქვეს, რომ ათიოდე დღის შემდეგ ვახუშტი ზემო ქართლის და ქვემო ქართლის სადროშოების რჩეული რაზმებით ამოვა ზურტაკეტს და დადგება შაფყაროზე. სანადიროდ შამბიანი კარგი იქნებაო, ჯავახეთის ფაშის მზიარებცი არყიანის თაზე იქნებიანო.

— ბაქარმა მეფის სპას უსარდლოს, უამისობა არ იქნება.

ბაქარს ეშინოდა თბილისში არ დამტოვოსო და ეს რომ გაიგონა, თვალი ვაუბრწყინდა.

— მამ მალე მსროლელებს ჩავაყენებ კუმისს, ნახიდურს, ბოლნისს, დმანისს და მუსის ციხეს, შაფყალზე; ბარიდან ამბავი დაუყონებლივ ამოვა.

— კარგია. — მოუწონა მამა.

— ვახუშტი აბაშიძეც თან იყოლიე, არ გაუშვა, მართალია მზეს ეთამაშება, შუის შვილსა ჰგავს, მაგრამ ვნახოთ ნადირობაშიც. თვალი და მკლავი როგორ უქრის, საზრიანობა როგორი აქვს.

— მაგაზე კარგს ვერც ნახავ, მამავ ბატონო, — თითქოს მიხვდაო რა სურდა ვახუშტის, დაუდასტურა შვილმა.

— მაგას რაღა სჯობს, შვილო. ეს მითხარი შენი საქმე როგორღა მიდის, შე-

აჯერე ქართლის ცხოვრების ის წიგნი, რომელიც გამოვიგზავნე თუ არა?

— ყოველთვის მახსოვს. ცხენზე თუ არ ვზვიავარ, ის მიჭირავს ხელში.

— მარჯვენა შეგჩრჩეს შვილო. ბევრი უნდა მოვასწროთ... — და ვახტანგმა ამოიოხრა. გული თან ამოატანა. ვახუშტი თავის ამალით უთენია გაუდგა კოჭრის გზით თრიალეთისაკენ.

ათი დღის შემდეგ შავ წყაროს მიდამოები აივსო ჭარით და რა ჭარით! ვაუკაცები ერთი ერთმანეთს სჯობდნენ, რა ჩაცმა-დახურვით და რა ცხენ-უნაგირით. შვით გაუმაძღრებლა ჰგვანდნენ, ეს მზის ნატეხი ვაუკაცები. ყველას მგლის მუხლი ება და არწივის თვალი ჰქონდა. დიდ ამბავში იყო ვახუშტი ბატონიშვილი. ის მასბინძლად გრძნობდა თავს და ცდილობდა არავის დაჰკლებოდა ზრუნვა. ბაქარი თავის ჭარით, რომელშიც ქაათლის რგაასამდე ვაუკაცი იყო, ორთაშუაში დადგა, კარვები იქ გამართა. ვომარეთელი მეთევზეები გამოიწვია ვახუშტამ და უბრაძანა მეომრებისათვის კალმში არ მოეკლათ.

მუსის ციხესთან ქართლის სადროშო მოეწყო, მას დუმანისი და მის ზემო სოფლები უვლიდნენ, მაშვერის კალმასხს არ აკლებდნენ.

ქირიკეთის შთის კალთებზე — მეწინავე სადროშო დადგა, შავწყაროზე მეფის და მისი ამალის ბანაკი იყო დაცემული. მაშვერაზე არაგველები და ქსნის ხევლები დაბანაკდნენ.

მარეკლობა გომარელებს. ასელებს, ლიპარიტის უბნელებს და ერგიშაანთ სოფლელებს ჰქონდა დავალებული, რომელთაც ამ მთებისა და ხევების საქმე კარგად იცოდნენ. იყენენ სომხითარებიც, უმთავრესად ფინეზაურის ხეველები, რომელთაც ის აღგილი უნდა გაემაგრებინათ, სადაც გაჭირდებოდა. საფიქლის ხევიდან გამოორეკავდნენ ირემთა არვეს შამბიანისაკენ და სომხითარები მას მაშვერის ხევეზე არ გაუშვებდნენ, უკან გამოაბრუნებდნენ. შამბიანის მწვერვალისაკენ ორი რაზმი იდგებოდა. ერთი ზემო ქართლისა, ერთი ქვემოსი.

დანარჩენი რაზმები კი, შამბიანის კალთებით ქვემოდან შეუტევდნენ.

მზის ამოსვლამდე ორი რაზმის მწვერვალისკენ გაემართა და როდესაც მზემ კვირიკეთის შთის თავზე ერთი გუთნის გაშლაზე ამოიწია, მაშინ ატყდა ბუჯ-ნადარის ცემა, ძაღლის ყეფა.

ტყუილად კი არ რქმევია ამ შთას შამბიანი, ნადარი რომ მოდიოდა, ბალახს ზევით მხოლოდ რქები-და ჩანდა და ცხენოსანი კაცისა მხოლოდ ჩაჩქანი ელავდა, მზის სხივით განათებული. მაღალბალახიანების გარდა იყო მდელოებიც, დაბალი ბალახით და როდესაც ნადირი ასეთ მდელოზე გამოდიოდა, იქ ჩანდა ვაუკაცთა ჯომარდობა.

მამის მითითებით, ვახუშტი თავის სტუმრებით მამის შორიახლო ნადირობდა თუმცა სუყველას ბაქარისაკენ მიუწევდა გული, რომელიც ამ დროს ორ სადროშოს შორის იმყოფებოდა და თადარცგს იქერდა მზირების ხელში ჩასაგდებად. მეფის ამალის წევრები ერთმანეთს სჯობდნენ. ხანში შესულმა იორამ ამილახვარამ ერთ ხარ-ირემს ცხენდოცხენ ხმალი გადუქნია და ძირს დასცა. ამ დროს ვახუშტი აბაშიძემ ფურ-ირემს ისარი ჰკრა და ჩააჩოქა, ანაზღად ერთი უზარმაზარი ხარ-ირემი უკანა ფეხებზე შედგა, თავზე ოცტოტიანი ჯიხა ედგა, უცბად დიხარა და ზედმისულ ვახუშტის ცხენს ამგერა თავისი რქები; ვახუშტი არ დაიბნა, ელვის სისწრაფით იაზრა, უნაგირს ასხლიტა გურზი და მთელის სიძლიერით ჩასცხო თავში; გაისმა ქახანი და ხარ-ირემმაც ჩაიჩოქა, ჩაიჩოქა და გადმოავლო ენა. აბაშიძე გადმოხტა და ცხენს წინიდან მოექცა. მკერდზე ცხენს ტყავი ჰქონდა ჩამოსერილი, ვახტანგი და ვახუშტი ხედავდნენ ამას.

— შამბაშ შენს მარჯვენას, ვაუკაციო! — აღმოხდა ვახტანგს ქების ნიშნად; მამაშვილი ცხენდაცხენ მიიჭრნენ ვახუშტი აბაშიძესთან.

— ხომ არა ივნე რა? შვილო!

— მე არაფერი, მეფეე ბატონო, ცხენი დამიჭრა მხოლოდ!

— მარქათი... — ბრძანა ვახტანგმა და მეფის კარისკაცებმა აბაშიძეს გვერდით წაბლა ულაყი ამოუყენეს.

— მამა ბატონო, თქვენ ნუ ყოვანდებით წაბრძანდით, შევკავშავთ თუ არა, დაგეწევით.

— ვახუშტი, დღეს შენ მგონი ორი ირემი მოკალი ერთად. — უჩუჩუნულა ყურში ბატონიშვილმა.

— რას ამბობ, ბატონიშვილო, ეს მეხუთე იყო.

— არა, მე ქურციკზე გელაპარაკები.

— ქურციკზე?.. — და გაწითლდა, ჩავარდა გულის ხმაში. ნადირობა გრძელდებოდა.

• • •

ამ დროს შამშიანიდან წამოსული რაზმები დაეშვნენ და ფერდოს ნახევრამდე ორი მწყრივი გაშალეს; ქვემოდან ფერდოსკენ წავიდა ასეთივე მწყრივი და შეიკრა დასავლეთის მხარე. სამხრეთიდან კი სომხითარები იდგნენ თავის მგელიჭამია ძალებით.

— აგერ, აგერ მამი! — ვერ მოითმინა ვახუშტიმ და არყიანის ფერდოსკენ მიუთითა, სადაც ცხენოსანთა გუნდი ჩანდა.

— ვინ არიან?

— ფაშის მზირებია!

ვახტანგმა კოპები შეიკრა და მიშკარბაშს გასძახა:

— რამდენია?

— ასამდეა.

— გაგრძელდეს ნადირობა.

თანაც მალემსრბოლი აფრინა, „ყველა კარი მჭიდროდ შეიკრასო“.

სულ მალე რაზმები ისე გადალაგვადმოლაგდნენ, თითქოს ერთი სხეულიაო. ვახტანგს სიამის იერმა გადაჰკრა.

— მეფეც ბატონო, მე და ბატონი ვახუშტი იმ მზირებს ჩავეჭროლებთ.

— აყევით ფერდას, გულთოვლის მთა შეჰკარით, რაზმები კვლავ გაიშალნენ. შვილო ვახუშტი, ერთი ასიოდე გაიყოლე მეწინავე სადროშოდან. თავაზიანად მოეპყარით, უფროსები მოიპატივეთ. დანარჩენი შენ იცი!

სწრაფად მიეფარნენ თვალს, შამში-

ანის ფერდოს სამხრეთის გვერდას აყევნენ. აქ ისე ავიდოდნენ მწვერვალისაკენ მზირები, რომელნიც არყიანის ფერდასა და შამშიანის შუა იდგნენ, ვერ შეამჩნევდნენ. მართლაც სწრაფად იარეს და მწვერვალს დასავლეთიდან მოექცნენ. გაიარეს ცოტაოდენი და მზირებს თავზე წაადგნენ, ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ თურქებმა ვერაფერი მოასწრეს, ჯერ ხმალზეც გაიკრეს ხელი, მაგრამ როდესაც დაინახეს კარგად შეიარაღებული რაზმი და ვახუშტის დამშვილებული სახე, დაწყნარდნენ და წასვლა დააპირეს. მაგრამ სამი მხრივ რაზმი ჩანდა.

ვახუშტი თავაზიანად გამოელაპარაკა და უფროსები მიიწვია ბანაკში.

ათი, შედარებით კარგად იცმული, იანიჩარი გამოარჩია მინბაშმა, დანარჩენების წაყვანა ვერ იქისრა. მეტად ღარიბულად იყვნენ ჩაცმულნი. ორივე ვახუშტიმ თურქული კარგად იცოდა. და ლალად ესაუბრებოდნენ. სანაღიროდ ვიყავით წამოსულები და უკან ავიდითო, — ამბობდა მინბაში. თან თვალდაფეთებული უცქეროდა რაზმის აცქურვილობას, ჩაცმა-ღახურვას. ჭართველები არ იმჩნევდნენ, რომ თურქები მათ ატყუებდნენ, არც მათ განცვიფრებას აქცევდნენ ყურადღებებს.

როდესაც ბანაკში ჩავიდნენ, ნადირობა მთავრდებოდა. მიშკარბაშმა, — მონადირეთ უხუცესმა, როდესაც მოახსენა ასსამოცი ირემია მოკლულიო, მეფემ ბრძანა:

— გახსენით კარი მაშავერისა, მონადირე მაშავერის გაღმა ნულარაივინ გადავა. რაც გადაარჩა, ალალა იყოს...

სწორედ ამ დროს ეახლა ვახუშტი მამას და მოახსენა ნანახი. „კარგად გაუმასპინძლდნენ და ცოტა ხნის შემდეგ გააცილონ, არაფერი ავსონ“, — დაავალა.

ამ დღის ამბავი თავის მატთანეში ვახუშტიმ მოკლედ შეიტანა:

„მოინადირა 96 მეფემან ვახტანგ და მოკლეს დღესა ერთსა 160“.

ნადირობამ კარგად ჩაიარა, რაზმები მწყობრად მოძრაობდნენ, კარგად ხმა-

რობდნენ იარაღს; დღეს თუ ხვალ ყველაფერი ეს ეკოდინება ახალციხის ფაშას, მისმა სანაპირო ჯარებმა ხომ თავის თვალთ ნახეს ქართველთა მზადყოფნა, — ამბობდნენ მეფის ბანაკში.

* * *

მეორე დღეს მეფემ ხალხი დაასვენა. დრო გაატარეთ, ხვალ თუ ზეგ უფრო ძნელი ამბები გვიდევს წინო; ორბელიანებმა, ვოსტაშაბიშვილებმა, ბარათაშვილებმა რუმებთი ღვინო მოართვეს, გომარელებმა და ახელებმა — დოღის კარგი პური, ოუ ხმიაღი. ხუთი სოფელი აცხოვდა პურს და ვერ ასდიოდა.

მესამე დღეს, საღამოს, ვახტანგმა შეკყარა სარდლები და მისცა დავალება: „ქართლის საღროშო ლაშინათ გავა მავავერის ვაღმა და აქვეება ფერდოს, ნადირს გამოვლი გამოორეკავს, შამბინისა და გულთოვლის მთებისკენ, მეწინავე საღროშო კი საფიქლის ხევიდან შამბინისაკენ გამოორეკავს, გულთოვლის მთების ფერდობებს კი შეეფინება ბაქარის სპა. დანარჩენები ქვევიდან აქვეებით და შეკრავთ“.

ვათენებისას მეფის ბანაკიც აიშალა და მწყობრად გაეწყო შავწყაროს მიდგმა მინდორზე. მზე ორი-სამი შუბის ტარზე იყო წამოსული, როდესაც მაღალ ბალახში პირველი რქები გამოჩნდნენ, გავიდა ხანი, უკვე მრავალმა დაფეთებულმა ირემმა ვადირბინა. ირემი რაა, მგელი და ტურა თითქოს მათ თან სდევნო; ულუველი მოდიოდა. ვახტანგმა ვასცა ვანკარგულება — მეფის ჯარმა მგელი, ტურა და სხვა მტაცებელი გაწყვიტოსო. საღროშებს კაცები ვაუგუზავნა, ფურ-ირემსა და ფურ-შველს ხელი არ ახლოთ, ხარ-ირემიც რჩევით ხოცეთ. მოკალით ის ირემი, რომელსაც რქაზე ხუთ ტოტზე მეტი აქვსო. ჯავახეთისაკენ არ ვადუშვათ, ფხიზლად იყავით. საჩვენოსკენ ვხა ვაუხსენით, ზოგი ქედისკენ წავიდეს, ზოგიც კოჭიანისკენო.

შეადღე იყო მოახლოებული, როდესაც

საც ახალგაზრდა ორბელიანმა ვახტანგის წინ დაიხოქა და მოჰასტენდა.

— დიდო მეფეო, ხუთს თურქებს ქიტკინანის ხევი ვხა დაქარგოდათ და აქ მოგვგვართო.

ვახტანგმა ხუთ ცხენოსანს თვალი შეავლო და ჩაიღიმა. მალე დარწმუნდა, რომ ესენი არც უბრალო თურქები იყვნენ და არც უბრალოდ ჰქონდათ ვხა დაქარგული..

— რომლის შვილი ხარ, ყმაწვილო...

— ასათ ორბელიანისა ვახლავართ, დიდო ბატონო!

— შაბამ შენ საქმეს. მამას გვანებულხარ. ვაუშასპინძლი, კარგი პურმარილი ვაუშალეთ, საზღვრამდე შენ თერთონ მიაცილე, მარტო არ ვაქვე, ორმოცამდე კაცი იახლე, შვილო!

ორბელიანმა თავი დაუქრა და თურქები გაიყოლა. ამ დღემაც კარგად ჩაიარა; მგელი, ტურა და მელა იყო მთავარი ნანადირევი. ასამდე მგელი და ტურა, ექვსი ფოცხვერი, ათი აფთარი, სამოცამდე მელა, ოცამდე კატუნი იყო იმ დღის დავლა და ახალი სუფრისათვის ორმოცამდე ირემი, ხუთი მთის ცხვარი.¹ ხუთი ნიამორი, ათი არჩვი და შევილი.

მეორე დღეს დაისვენეს და შემდეგ ვაუდგნენ ვხას თრიალეთის ახალქალაქისაკენ.

— შვილო, ვახუშტი, დახედები ამ ჯარსა და ჯამათს?

1. მთის ცხვარი — ჩვენი შინაური ცხვრის შორეული წინაპარია; საბჭოთა კავშირში აქამდე ვახედება სამხრეთში, შუა აზიის მთებში ალთაის მთებში, აღმოსავლეთ ციმბირში და კამჩატკაში. იყო სამხრეთ საქართველოშიც. იგი ლაშა და საქმად დიდი ცხოველია, ცხოვრობს მთაში და ბარად, ბარში ერიდება ღია ადგილებში ცხოვრებას. მთაში თოვლის ზოლამდე აღის, ზამთარში ტყეში ვშვება, სადაც ნეკრათ იყვება. ზღბულში მისი საყვებია ექლია და მღვლოს ბალახი.

საბჭოთა მეცნიერებმა მ. ივანოვი, ასკანია-ნოვაში მთის ცხვარი შეაჯარა მერჩინოს ცხვარს და გამოთვანა შესანიშნავი „მთის მერჩინოსი“ ასევე გამოყვანილია ვახსეთში — არხარ-მერჩინოსა. იგი კარგი სანადირო ცხოველია, მაგრამ სამწუხაროდ თანდათან ისრობა.

— მამაც ბატონო, თქვენის წყალობით, არ მოვამშვეთ, სხვა რომ არა იყვნენ რა, მართო კალმებით დავაპურებთ.

— აბა შენ იცო, ეძინათან კარგად ვითევეათო, ორაგული იქნება ეხლა წამოსული.

ვახუშტიმ ორი დღის წინ აფრინა ბიჭები ახალქალაქისაკენ და უბრძანა თადარიგი დაეჭირათ, ჭერ ვათენებულნი არ იყო, ვახუშტი ბატონიშვილი და მისი სტუმრები დასვენებული ცხენებით ეძინისაკენ გაემშურნენ. დარწმუნებული იყო, ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ მასპინძლის გული სხვაა, თუ რამ ისე არ იყო როგორც საჭიროა, ბანაკის ამოსვლამდე მოასწრებდა ხარვეზის შესწორებას.

მზის ამოსვლისას დაიძრა მთელი ბანაკი. წინ მეწინავე სადროშო, ორბელიანები და ბარათაშვილები წაიხდნენ, მათ მიჰყვა თვით ვახტანგი, ბოლოს, ქართლის ჯარი, ამილახვრები და ქსნისა და არაგვის ჯარი. გომარეთის ლეთისშობლის ტაძარში პარაკლისი გადიხადეს.

პარაკლისის შემდეგ ბაქარი ეახლა მამას და მოახსენა:

— მეწინავე სადროშოს ნახევარსა, საამილახვროს და ქსნის ერისთავის ჯარს ძველი გზით ვადავტარებ, საფიქლისა და ჭოქიანის ხეობით და საპიტაბაშოს ბოლოდან ჩამოვალ ეძინს. ერთ გზაზე დიდ ჯარს შეაგვიანდება. ლიპარიტის უბნისკენ ძნელი კირკვლია და ორი ცხენი ვერც კი ვაიშართება.

ასეც ვადასწყვიტეს.

მართლაც გომარეთიდან კირკვალზე გზა გაძნელდა, მაგრამ გომარელნი, ერგოშანთ სოფელში და სხვა სოფლებების მოკლე ჩოხიანი ბიჭები დაუხვდნენ გზაზე, ცხენებს აღვირბაში ხელი ჩასკიდეს და ფრთხილად ჩაჰყავდნენ დიდი დიდ ბილიყზე. ვახტანგს იამა შვილის ასეთი თადარიგი.

შე გადახრილი იყო, როდესაც ორივე ნაწილი ჯარისა თრიალეთის ვრცელ მინდორზე გააშალა. ახალქალაქსა და ეძინს შორის ვახუშტის თადარიგი ჰქონდა დაჭერილი, ყველა ჯარის ნაწილისათვის

ადგილი მონიშნული იყო, ცეცხლები ერთო და სადილი ისარმებოდა. ორე და ჭერი ბევრი ეხვავა, ბალახი ხომ მიბინებდა. მეორე დღეს საპიტაბაშოს გზით თავკაცებმა თავვეთილისაკენ გაისეირნეს, ჯარის ნაწილი ორი ისრის სასროლზე უკან მოსდევდა. ქცია, თრიალეთის ზეგანზე, სანამდე დახრამდება, წყნარად მოედინება ათასნაირი ყვავილით დამშვენებულ მდელოთა შორის. ზოგან უცნაურ ხეულებსა ჰქმნის. უცბად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიდის, შემობრუნდება და ისევ ძველ ადგილს ჩამობრუნდება ხოლმე. აქაური კალმახი ქვევით არ მიდის და აქა ტრიალებს. ეძახის ჩანსქერიდან კი აქ თევზი ვერ ამოვა.

მესამე დღეს მდინარე ქციის ხრამის პირს გამწკრივდა ჯარი.

„ეძინს ქვევით და ახალქალაქს ზევით გარდმოდის ქცია მაღალის კლდიდან, ვითარცა ღარიღამ. ძირს აქვს ტბა დიდი, ამის ზევით ვერ აღვალს ორატული და დიდნი თევზნი, არამედ არს მის ზემოთ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი.“

მეფემან ვახტანგ მე-6 მოინადირა ტბა ესე კირსაგალითა და იპყრეს ორაგული, თვინიერ კალმახისა და სხვა თევზთა, მას ერთ დღესა ცხრაასი.“

ასე ვადმოსცემს ვახუშტი ამ თევზათბას.

თვით ხრამის ძირს, ქციაზე მხოლოდ 1000 კაცი ჩავიდა, სახელდებულად ფაცერები ჩააგეს. მაშინვე დაეტყო, რომ ორაგული ბევრი იყო. ფაცრის დაგებიას ატყდა ყივილ-ხივილი, რადგან ქვევიდან ისარივით წამოსულმა ორაგულმა ბევრი მეთევზავე ამოაყიარა.

ხანში შესულნი რომელთაც ფეხი არ დაისველეს, ნაპირზე იდგნენ და გულიანად იცინოდნენ.

ენელებოდა ვახტანგს, მაგრამ ბოლოს მაინც ვასცა განკარგულება.

— ჩაუშვით წყალში კირსაგალი. რამდენიმე ტომარა ჩაყარეს მჭეფარე ტალღებში და მალე დაჩნდა ამომბრუნებული ორაგულების მკრთალი ვარ-

დის ფერი მკერდმუცელი- ადფრთოვან-
ბულ მეთევზეებს ნადავლი ნაპირზე გა-
მოჰქონდათ. რის დაქერასაც ვერ ასწ-
რებდნენ, ფაცერში გადადიოდა. ზოგი
ორავული ჯერ ცოცხალი იყო, გაიბრძო-
ლებდა, ბოლოს მოიქნევედა და თუ მო-
თუვზავეს მოხედებოდა, ყირაპალა ამო-
ტრიალდებოდა ხოლმე. აი გენახათ მა-
შინ ევილი-ხივილი და სიცილი!“

— რაო, რა კოპები შეიკარით? — შე-
სწყვიტა მოთხრობის კითხვა უცბად ვა-
ხტანგმა. — ეს ამბავი ორასორმოცდა-
ათი წლის წინათ იყო და ბუნების დაც-
ვაზე თანამედროვე წარმოდგენა არ
ჰქონდათ.

— კარგი, ვიცი... — და ვახტანგმა
განაგრძო თავის მოთხრობა.

„შუადღე გადასული იყო და ხრამის
ძირში მზე ველარ ჩადიოდა, აგრილდა
და მეთევზეებს შესცივდათ. თევზიც
გამოილია. კიდევ აპირებდნენ კირსაგა-
ლის ჩაყრას, მაგრამ ვახტანგმა ნება აღ-
არ მისცა. თვალი რომ გადაავლო ორა-
გულთა ზეინებს, შეიღს ჩუმად უთხრა:
ეს იყვეს კირსაგალით უქანასკნელი ნა-
დირობაო.“

ამოვიდნენ ზევით, თევზი ყველა სად-
როშომ სამყოფი წაიღო: ორავული,
ხრამული, ლურჯა, კალმახი, წვერა, ცი-
მორი...“

ვახტანგი ნასიამოვნები იყო შეიღის
ათადარიგით და საზრიანობით.

• • •

გათენდა დილა და ახმაურდა ბანაკი.
ნაწილი ჯარისა ლიპარიტის უბნისკენ
დაეშვა, ნაწილი კლდეკარისაკენ წავიდა,
რომ თემის ხეობით შიდა ქართლში,
ჩასულიყო, როქის სპა და არაგველები
მეფეს უცდიდნენ, რომ მანგლისისკენ
დაძრულყოვნენ და სკვირეთის ხეობით
და დიდგორით თბილისში წასულიყუ-
ნენ.

ჯერ ბაქარი დაიძრა თავისი მეომრე-
ბით, შემდეგ ვახტანგი თავის ამალით
და უკან მიჰყვა ქსან-არაგვის საერისთა-
ოების ჯარი.

— აბა, შეილო, ეხლა ცოტა ხანი მშვი-

დად იქნები, შეაჯერე ერთმანეთს ყვე-
ლა წიგნი... შენ კი შეიღოქიშეშოქო
ვახუშტი აბაშიძეს, — მამამ მამასტენე,
კარგი შეიღის მამამ ნახვა რად და
მიძვირეთქო.

აბაშიძე გაწითლდა, მუხლზე დაეშვა,
მეფის აბის კალთას ემთხვია.

მამა ვახუშტმა მანგლისამდე ჩამოაკი-
ლა.

აქედან კი პირი კვლავ ექანისაკენ იბ-
რუნა.

ვახუშტი აბაშიძე კი თავის ოცი კა-
ციტ მანგლისიდან კავთურას ხეობით
ქვათახვისაკენ დაეშვა. იქ შეევედრა
ყველა წმინდას, რათა გულის ნადები
ასრულებოდა და გაუდგა გრძელ გზას
ზემო იმერეთისაკენ.

მალე, სულ მალე ვახუშტი აბაშიძის
მამა, გიორგი ეახლა მეფეს. მეფემ შეი-
ლი შეუქო. კარგია, მაგრამ შინაბერად
მრჩებო, უპასუხა აბაშიძემ.

ბევრი იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მა-
ინც მუხლებზე დაეცა და ანუჯა სთხოვა
რძლად. მეფეს გაეღიმა. მაგას ველოდიო
გაიფიქრა, მალე დაინიშნა ქორწილის
დღეც.

1712 წელს ვახტანგ მეექვსემ ასული
თავისი ანუჯა მიათხოვა ვახუშტი აბა-
შიძეს. გაატანა უმდიდრესი მზითვეი,
ანუჯას მზითვის წიგნი შენახულია.

საინტერესოა ის ეპითეტები და ფორ-
მულები, რომლითაც მოხსენებულა
სიძე პატარძალი მზითვის წიგნში. აი
ესენიც:

„ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ.
წყალობა ვყავით და მიუბოძეთ დიდგ-
ვარ თავადს, დიდებულსა და წარჩინე-
ბულსა, ერთგულსა და მისანდოსა, ხვა-
შიადთა ჩვენთა შემნახავსა, თანაშერ-
დილსა და გაზრდილსა, მრავალ ფერად
უცხოხახედ თავდადებით ნამსახურსა,
განძლიერებისა და დიდებისა ჩვენისათ-
ვის მომჭირნესა, ძალ-მწყესა აბაშიძეს
ბატონს ვახუშტის მივათხოვეთ მეუღლე
და თანა-მეცხედრედ ასული ჩვენი სა-
სურველი, ქრისტეს სარწმუნოებაზედ
აღზრდილი, მზის ციმციმთაებრ თვალ-
შეუდგამი, მისთა სხივთა მიმგზავსებით

ნათელ მომფინარე, მთვარის მოდავედ ქმნილი, ათხუთმეტ დღისა მისავე სახით გავსილი, უებრად სახედ სინჯ-დაუდებელი, თვით სასეოზით მაგალითი, ნათელი თვალთა ჩვენთა და სიხარული, გონებითა ჩვენთანი, ბატონიშვილი ანუ-კა..."

უკეთეს სიმამრსა და მოყვრებს კაცი ვერ ინატრებდა. მოყვრები: ბაქარი და ვახუშტი ზომ არ შორდებოდნენ დის ცხენებს, ანუკას მარაქაში არაერთი და ორი თვალუკუქუნა ბანოვანი იყო, ორბელიანებისა, ამილახვრებისა თუ ქსნისა და არაგვის ერისთავებისა, ყურძნის სიყვარულით ლობეს რომ ჰკოცნიდნენ.

მზითვის წიგნში, გარდა ტანსაცმელისა, თვალმარგალიტიც იყო, წიგნებიც და სათამაშოებიც. აი მოკლე სია წიგნებისა და სათამაშოებისა: სახარება ერთი, კიდევ სახარება სტამბისა ერთი, სამოციქულო სტამბისა ერთი, ფაშის სტამბისა ერთი, დავითნი სტამბისა ერთი, ხელით დაწერილი პატარა დავითნი ერთი, სტამბის მხედრული დავითნი ერთი, საჩქმუნოების სტამბის წიგნი ერთი, თავისის ოქრო ქსოვილი ბოდჩებიითა... საეროს წიგნთაგან: ვეფხის ტყაოსანი ერთი, ჭაზულით დახატული ერთი, მეჭნუნიანი ერთი, უსუფ ზილიხანიანი ერთი, საამიანი ერთი...

სათამაშო ჰადრაკი ერთი, ნარდი ხათბანდისა ერთი, ვანჭათა ერთი, კურდღელი და ავაზა ერთი, თავგფიშიგი ერთი, კიდევ სხვა წვრილი სათამაშოები.

თვალმარგალიტის ნულარ იტყვიით: მართო ერთ ქუდზე ხუთი ათასი მარგალიტი იყო, მეორეზე ათას ხუთასი.

თვალმარგალიტისათვის ორი კარგად გაწყობილი ურევი მიჭრიალებდა.

მცხეთას რომ ვასცდნენ სიძე ფიჭრაშა წაიღო:

— რაო, სიძე ბატონო, რა თავი ჩაგვიკიდა?

— გახსოვთ, ბატონიშვილო, ირემი, ჩემზე რომ იერიში ჰოიტანდა... სწორედ ჩემ ირემმაც გარგუნა ჩვენი პირინითა და ანუკა.

— როგორ?

— მეფე ბატონს ზომ მოსწონდი და მოსწონდი, უფრო მოეწონე... სწრაფია, არ დაიბნა და ერთი დავჯერით ძირს დასცა თორმეტი წლის ხარ-ირემო.

— ის ირემი ყოველთვის თვალწინ მედგა. მე ზომ ჯერ მისი უფრო შემომაკვდა და მერე თვითონ ხარი, ცხენიდან რომ ჩამოვხტი თვალწინ ცრემლი სდინოდა...

— და რაღა გინდა ვაჟო, ზომ მიგყავს ანუკა.

— ჰო, მართლაც აღარაფერი..."

ჩათავა ვახუშტიმ და თავი ასწია.

— მართლაც, რაღაც მართალსა ჰგავს, — თქვა შალვამ.

— მართალი როგორ არ არის. ვახუშტი აბაშიძე ისტორიული პიროვნებაა; გარდა ამისა, ანუკა ბატონიშვილი სწორედ ზემო ქართლის სააბაშიძეოში ჩანს.

ვახტანგ მე-6-ს რასაკვირველია, სწაღდა, რომ შვილი გაბედნიერებულიყო და ღირსეული მეუღლე ჰყოლოდა. მაგრამ ვახტანგი იმასაც ფიქრობდა, ტაშისკარი შეეკრა, სადამდეც ოსმალთა მარბიელი მოდიოდა და სურამ-ტაშის კარის მხარეში დაესახლებინა თავისი ნათესავი რომელთაც ენდობოდა; აკი ამიტომაც გამოიყვანა „სურამულადან არხი, დაატრიალა წისქვილი და დაასახლა დაბანი“.

ვახუშტი აბაშიძე პირაქეთელი აბაშიძე ჩანს; არის ერთი დოკუმენტი, 1728 წელს დაწერილი; ესაა ნასყიდობის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა; სარმანიშვილებისაგან ანუკას ტაშის კარში უყიდა ვენახი. მოწმეთა შორის არიან აბალდაბელნი ქართველები და ებრაელები. ამ დოკუმენტით მტკიცდება, რომ ვახუშტი — სურამელი აბაშიძეა.

კალე ზოზოხიძე


ვერ გვეცხვება...

ვერ გვეცხვება
:წუხარებას
ბედი კაცისა,
ბევრად რამ არის
სადარდელი
ამ ქვეყანაზე:
— ადამიანი
სიკვდილის წიშს
რომ ვერ გა:ცაღდა —
ჩვენ მუდამ ვეძებთ
ბრძოლის გზებს და
ფიქრობთ ამაზე!
ან და, რად გვინდა
ჩვენ ცხოვრებას
სევდა შევმატოთ?!
განა ცოტა აქვს
ამა ქვეყნად
კაცს საფიქრალი?!
ნურვის ჭგონია —
სიკვდილს ვებრძვით
მხოლოდ ჩვენ შარტო,
მხოლოდ ჩვენს მოდგმას
შთასანთქავად
იგი გვიცქერის!
უბედურია
სხვისი ჩაგვრით
გამდიდრებული,
მას ხალხის ცოდვა
გულზე აწევს
და არ ასვენებს

მხოლოდ მართალ კაცს
წინ გაშლია
გზა დიდებული,
ვინც დაუდგვარ
შრომის თფლით
მიწას ასველებს?!
ვერა, ვერ გახდის
ადამიანს
სვებედნიერად —
მუდამ ნადიში,
ღრუობა და
მუდამ გართობა;
მჯერა, რომ იგი
იტანჯება
უფრო ძლიერად;
სევდას გზას აძლევს
უსაქმურთა
უკუღმართობა.
ბედნიერია
ადამის ძე
დაუცხრომელი,
ვინც თვისი თავი
არ გახადა
სხვათა მწაგვრელად;
აბა, შითხარით,
შვედრება
იმ კაცს რომელი,
ვისაც მუდამდღე
ასხენებენ
შრომის დამკვრელად?!

ერიდუ შრუდ გზას,
განდიდებას,
ძეო კაცისა,
ამ ქვეყანაზე
შრომა-გარჯით
სთესე სიკეთე,

ვერას დაგაკლებს
შრისხანებით
სუსხი ზამთრინა,
ჯოჯოხეთიდან
გამო, კარი
გამოიკეტე!..



ისე ღვს გუხა

მოუსვენარო,
გულო, ნუ შფოთავ,
დასცხრი, ამქვეყნად
რომ ვერ ეტყევი?!
განა დავაში
იყავი დროსთან?
რადგან შეგარქვეს
მარად შემტევი?
კაცს ვერ იტანდი —
ყალბს და მანკიერს,
მარად მდევნელი
იყავ ბოროტის;
დღეს წლების სუსხი
გიზღავს მაგიერს,
რომ ვერ გახვიდე
ნაპირს ბოლომდი!..

გულო, ნუ გაკრთობს
ღამის წყვედიადი,
ღამე გულისხმობს —
დილის მოლოდინს;
განთიადისკენ
გზაა დიადი,
ვერ იბოგინებს
ქვეყნად ბოროტი!
გულო, ნუ ეძებ
განმარტოებებს,
შენ ხომ სიკეთე
დაგითვისია?!
ისევ დგას მუხა —
მრავალრტოება,
შენი სიცოცხლე
მისი ფესვია!..

შ ე რ ნ ე ბ ა

მზეო, ნათელიო, ნუ გამიმეტებ,
მე ხომ ერთგულად ხალხს ვემსახურე?!
ნუ გამომიღვე მგზნებარ იმედებს,
შარავანდედის კალთა დამხურე!

დე, ჩემი ლექსი იყოს მკურნალი,
ბედით ჩაგრულთა გულის მალამო;

ვით გაზაფხულის ვარდთა სურნელი,
ერს ესალბუნოს, მიესალამოს!..

მზეო, ნათელიო, ნუ გამიმეტებ,
თავს ნუ დამხურავ ღრუბლებს თალხურად;
გწამდეს, ოცნების ცისფერ იმედებს
გზებს ცისარტყელად გადავახურავ!..



სოფლური მხროვნების სიხარული

1.

მჭვირვალ წყაროსთან ღვინოს შესვამ, თასი და თასი
გულს ვამებობ ღვინოს რჩეული.

ბარბითს აუღერებ, ახმიაწებ სიბერის ჭირხლით
შეთრთვილულ ფიჭვზე გადახვეული.

ანდა დილისხანს მტილოვანში მზესუმზირათი
ერთობი ხოლმე, ბაღის წვეული.
თითქოს სიზმრად ხარ — მიღმეთიდან აღწევს შენამდე
ფილთაქვის ცემის ხმა შორეული.

2.

უხედავ:
მთებიდან აიზიდა კვამლის კოტორი,

მარტოხე დამცქერს მაღლობიდან
ფოთლის შრიალით.

ვარ უზრუნველი და გულმშვიდი
და მწუხარებას

გულს არ ვაკარებ
ისე, როგორც ტაო ძიანი.

* მერვე საუკუნის ჩინელი პოეტი (701 — 761 წ.წ.).

ვერსიონობები გაზაფხულს

დღეს მისდევს დღეა. სიბერის ფაზი
კარს მოგედგომია, გულის მყინველი.

დავსდებით ორნი და ავწევთ თასებს,
თასით ქაფქაფა ღვინო გვიცინის.

წელი წელს მისდევს, წამს კიდევ — წამი,
კვლავ გაზაფხულის ჰყივის ფრინველი.

ნუ ნაღვლობ ჩამხდარ ყვავილთა დასებს,
ავვაგდებიან კვლავაც ისინი.

მარტოა უზივარ შემოდგომის ღამით

ვზივარ ეული, ჭალარის ჩემის
და მოხუცების დარდით სნეული.

თუმცა რად მზაფრავს ჭალარის ნისლი
ყვრიშალთა ზემო თეთრად მთოვარი?

სატაა დარეკს ღამის დარაჯის
მეორე ზარის ხმა შორეული.

დამიხარჯია ოქრო მრავალი, —
ვზი მარტოსული და უპოვარი.

თქრიალებს წვიმა. დამტკნარ ფოთლოვანს
ძირს აფენს სთველის წვიმა შრიალით.

გადავავიწყო უნდა ყოველი —
სენიც, სიბერეც — ჭირხლით ნაფერი.

აღმოსავლეთის ფანჯრის გადაღმით
ისმის კრუალის ხმა ნაღვლიანი.

ხომ ჩამჩიჩინებს საღვთო კრებული —
რომ სიზმარია სუყველაფერი.

გაზაფხულის ღამეს ბაგბუკის ქოხში

მღუმარებს ღამის უკუნეთი
და მე ამ ღამით

ცხოვრობ ცაცთაგან განდგომილი,
გადმოხაფრული.

სადღაც შორიდან
ურულ ჩამყვანის ძაღლის ღავლავე.

კრუფავ ბალახებს,
შენ წინარე მდელთ ბიბინებს...

მშურს შენი,
რადგან აქ, ამ ქოხში ზამთარ-ზაფხული

და არად აგდებ
ხელმწიფეთა ზიზილ-პიპილებს.

გაზაფხულის მიწეაღს მანვია გუბერნატორი იანი გეგობჩიბთან ერთად

მთლად გავერანდა ჩემი ბალი, მებალის ხელი
მოაკლდა, ტენობის ლიბრი ებურვის.

სამაგიეროდ გაიხარებს წიგნის ტრფიალი —
შინ მაქვს იშვიათ წიგნთა კრებული.



სოკოს ჭამადით ვუმასპინძლებ ღვთისნიერ სტუმარს,
აქ უხვადაა სოკო ქებული.

ჩემს სანახავად რომ მოვიდნენ, შემოვხვდი მწირი
უბადრუკ ქობში მოვანებული.

ბარტყებს ჩეკავენ ბელურები, მოდის ბალახი
გაზაფხულის კვალს ადევნებული.

ყვავილოვანი როცა ქვანება, მაშინ გაიხშის
მოლადურის ხმა დამწუხრებული.

გვაქვს საწუხარი ფეულას ერთი: ვგლოვობთ სიბერის
დღეებს, ჭადარის ტირხლით შებურვილს.

წელს მისდევს წელი და ოცნება აუსრულები
თან მიგვაქვს, მიწყევ მოყენებული.

„შალაღ ტერასზე“ ბივანიძეზე ხანოიძის დღე

„შალაღ ტერასზე“ მიგაცილებ, ეს განშორება
ო, მეგობარო ჩემო, მწარეა.

მდინარის წყალი და ხეობა და ირგვლივეთი
მღუმარებს, უკვე დიდი ხანია.

ხედავ მძლევარნიც დაქანცულან და ბუდეებში
მოსაგანებლად მიიჩქარიან.

შენ კი, შორი გზის მოგზაურო, თუნდ ერთი წამით
რომ შეისვენო, არა გცალია.

და-ვა

შემოდგომის სტანსაბიდან

ნამმა დაფარა ფოთოლქანობით მოოჭროვილი
ირგვლივ ნაკერჩხლის ტვერი ტიალი.

მოწყენილია და მწუხარი თითქოს ყოველი —
უშანის მთები და უსიანი.

* შერევი საუკუნის ზინელი პოეტი (712-770 წწ).

მოჩქვეს, მოხევის, მობურაობს... ზეირთში ჩაწული
მოაქვს ნამტვრევი ცისა მდინარეს.

კომკს ზემოთ ნისლი და თავანი გადაკაწრული
ტრიალ არეებს ბინდში სძირავუნ.

მეორედ ჰყვავის ქრიზანთემა... ცრემლი მცვრეული
გარდასულისა... ხვატით გადამხმარ

სანაპიროზე მიუბიათ ნავი ეული,
შორეთს, მშობლიურ ბაღთა გადაღმა.

აქ სუყველანი ჩასჯდომიან ზამთრის სამზადისს
და იკერება თბილი სამოსი...

პირქუშად დამცქერის ბოდის კომკი... ნეტავ ხანამდე
მომულის ჭერეტა ამ მიღამოსი?

შანჩაბური მდინარის ნაპირზე

ვზი ფანატურში და ვთბები მზეზე,
მესმის მთელემარე წყლის შრიალი.

ხოლო სამყარო ცხოვრობს მდინარის
შსგავსად, მარადის განუწყვეტელი...

და ვიმეორებ უძველეს ლექსებს,
და შორეთს გაეცქერ გულღორღიანი.

და გაზაფხულის დღეთა მჭკირვალი
და ნათლიური მოჩანს კედელი.

მივყვები ფიქრებს, როგორც გულმშვიდად
მთარულ ღრუბლებს, ცაზე გაფენილთ.

ველარ დავბრუნდი, იქით მზრახველი —
სად მშობლიური მელის ტყე-ველი

სურვილი მორი და გუმინდელი —
არ ენანება გულს არაფერი.

ვიგონებ ლექსებს, იქნებ მსახველი
დავლით დარდი დაუღვეველი.

ბაღლოზე აგოველი

ცა უძიროა. ქარი მოქერის და ტყიდან ისმის
მაიმუნების მოთქმა სმიანი.

უათქუნებს, დაქერის მოკამყამე მდინარის თავზე
ფრინველთა გუნდი ტრიალ-ტრიალით.

და შემოდგომის დამტკნარ ფოთლებს ველად გაფენილთ,
გადაჰკრავს ფერი ყვითლად მცონარი.

გადაჭიმულან შორს, მშობლიურ მხარეთა იქით,
 გარეშემონი დიდი მდინარის.


საით მდევნიდა, ან სად მდევნის გზების ხვეული,
 რა არეების ვიყავ წვეული?

აჰა: ამოველ ტერასზე, მწვერვალის ახლოს —
 ვზივარ მავანი მარტოეული.

ვზივარ გარდასულ სიაშეთა ფიქრში მზირველი
 და თმაზე მათოვს ფიფქი ტიალი.

ვზი ნაღვლიანი და დევნილი მწუხრის ფრინველი,
 მიდგას დაცლილი ღვინის ფიალი.

თარგმანა ჯარჯი ხონიძელმა



კარგე მუშაობ

გააღლოთ, ლეონიდ ილიას-მე!

საქართველოს სსრ, ქალაქი რუსთავი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის სამქრობ მეფოლადეს
ამბ. მ. ა. ლომიძეს

პატივცემულო ოთარ ალექსანდრეს-მე!

გულითად მიდლობას გიძღვნი სფერანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუზე გაღობილი გამოხმაურებისათვის. როგორც სცებ XXV ურილობის დღეუგატმა, კარგად იცით, თუ რა რთული და პასუხსაგები ამოცანები დგას პარტიისა და ხალხის წინაშე მეთუ ხეთ-წლედში. მათი წარმატებით გადაწყვეტა საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია კონკრეტულ წვლილზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის თვითველ შრომითს კოლექტივს, ყველა შრომელს შეიქვს კომუნისტური მშენებლობის, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საერთო-სახალხო საქმეში. სულითა და გულით მივსალმები თქვენი ბრიგადის მუშების, რუსთავის ყველა მეტალურგის მტკიცე გადაწყვეტილებას ვადამდე შესარტლონ ხეთწლედის პირველ წელს ნაყისრი ვალდებულებანი. დარწმუნებული ვარ, რომ ქარხნის შრომელები ღირსებულად გაართმევენ თავს დასახულ ამოცანებს.

თქვენ და თქვენს ამხანაგებს, ოთარ ალექსანდრეს-მე, ვისურვებთ ყანრთელობას, პირად ბედნიერებას, შემდგომ შრომითს წარმატებებს სოციალისტურ შექიბრებაში.

ლ. ბრედენვი.

1976 წლის 15 ოქტომბერი.

ლი საშუალო საუკუნეთა სივრცის სინატიფი-
სა და სიმეწიერის ძეგლები — გელათის
ტაძარი და ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები. გე-
ლათსა სამხედროდ დამტყვევა, ხოლო ბაგ-
რატიის ტაძრის რესტავრაცია თვალსაჩინო და-
დასტურება იმ ზრუნვისა, რომელსაც იჩენს
საბჭოთა ხელისუფლება კულტურულ და ის-
ტორიულ ძეგლთა აღდგენის საქმეში.

სივანეზოდ ბოლოსათვის ჩამოვიტოვე
ჩემს მიერ ყველაზე ადრე ნახაბი ვერის მონა-
სტერი. საქართველოს ძველი დედაქალაქი
მცხეთა და დასასრულ „დიდოსტატის მარჯვე-
ნის“ გმირის კონსტანტინე არსაქიძის უცუდა-
ვი შედეგები — სვეტიცხოველი. იგი კემშარი-
ვდ მშენებელია, როგორც ვარდან, ისე შიგ-
ნიდან. მისმა ხელემ მე უდიდესი სიხარული
განმიცდევინა. ეს ხომ ის ტაძარია, უნახავდ
მრავალჯერ რომ დამხატვას „თასი წლის
რინდების“ ილუსტრირებისას.

მცხეთაში ჩვენ ერთი საოცრებაც ვიხილეთ.
ეს არის მომავალდებული მოხეტო, მებაღე-
დეკორატორი, როგორც მას ოფიციალურად
უწოდებენ, და, მკონია, პოეტური და კომპოზი-
ტორიც. მისი ერთადერთი კმნალება მისივე

მრავალრიცხოვანი ბაღი, მაგნიამ — რამ-
დენი სიყვარული ჩაუტყოს მანამ სვეტებს,
ფესვების, ხის, ხავსის, კერამიკისა და, რაც
მთავარია, ვარდუცავილთა ქარხით შექმნილ
პოემა-სიმფონიაში. ეს ყუაიღნარო კი არ არის
არამედ, თუ გნებავთ, მთელი შეხვედრია. და
რადან მუზეუმი ვასწავ, არ შემიძლია მად-
ლობით არ მოვხსენიო ავაღმეციის შალვა
ამირანაშვილი, რომელმაც პატავი დაჯგო და
თვითონ გვანგენა ხელოვნების მუზეუმში და-
ცული რეიტინგის კოლექციები, აგრეთვე პრო-
ფესორი ილია აბულაძე, რომელმაც შესაძლე-
ბლობა მოგვცა დამატებითიყუთი უძველესი
ქართული ხელნაწერთა მშენებელი მხატვრო-
ბით.

დასასრულ, ბათუმშიდან დაბრუნებისას,
სადაც ჩვენ მხოლოდ ერთი დღედაღამე ვაე-
ტარეთ, გვითხრეს, რომ ჩვენი დიდი ხნის სი-
ნტეკარი სურვილი ახლება და ორიოდ საათის
შემდეგ მივვიღებთ საქართველოს სახალხო
მხატვარი, ქართული ფერწერისა და გრაფიკის
დიდოსტატი — ლადო გუდიაშვილი. მუვედით
მასთან და თავი მუზეუმში ჯავკონა. მართ-
ლად, მისი ბინა, იქ გამოფენილი სურათების
რაოდენობითა და ზარისხით, ნამდვილა მუზე-
უმია. ამ საღამოს მასთან სტუმრად აუო რამ-
დენიმე მხატვარი, მოქანდაკე და ხელოვნების
სხვა მოღვაწე. ამ შეგობრული მიღებისას, თო-
მლის სედი და გული აუო მასპინძელი თავი-
ცი მუდლითორი, ბევრი ტრადიციული ქარ-
თული საღვთგამლო წარმოითქვა. მაქარამ ჩე-
მი არსება სტლ სხვა გრძნობით აუო შეპრო-
ბილი. მიწდოდა რაც შეიძლება დიდხანს მეც-
ქირა ამ ტილოებისათვის და მესწავლა ამ დი-
დოსტატისაგან ფერთა სიუხვის შერწყმა მო-
ძრობისა და აღნავობით პარმონისთან. საერ-
თო საუბარში ვერ იქნა და ვერ ჩავერიე, იმ-
დენად დამბნია მიღებულმა შობებულებამ.
საუბარი კი ვასტლი სუტენის და თანამედრო-
ვე ხელოვნების მრავალ საინტერესო პრობ-
ლემას ეხებოდა. კიდევ დიდ მადლობას გწი-
რავთ ამ შეხვედრებისათვის. მადლობა ყვე-
ლას, ვისი მეშვეობითაც ჩვენ მოკვდიით ამ
მშენებელი ქვეყანაში — საქართველოში, სა-
დაც, ვიმედოვნებ, კიდევ მოგვიხდება ჩამოს-
ვლა. დასასრულს ჩემი სურვილი იქნებოდა —
მე ეს სურვილი მრავალჯერ გამომიტყვას
ჩვენს ქვეყანაში — ჩვენც მრავალჯერ ვაგმას-
პინძლობდეთ პარიზში ყველა ჩვენს ქართველ
მეგობარს, რომლებმაც პატავი დაგვედეს და
გვიმეგობრეს ჩვენი აქ ყოფნისას.

მოსკოვი ქვეყნად ერთი

ვანო ურჯუმელაშვილი, მისი თაობის სხვა თანამოავალზეთა მსგავსად, სამამულო ომში აქცია მწერლად. დასაჯუთის ფრონტზე დაწვეული საომარი გზა მან უკიდურეს აღმოსავლეთში — იაპონიის საზღვრებთან დაასრულა. სწორედ იმ პერიოდის ფრონტული ცხოვრების პირველი ანარეკლი იყო „დღეები კორეაში“, ზოლო მისი ბილიდროინდელი გამოცდილია მწერლის ახალი რომანი — „მოსკოვი ქვეყნად ერთი“.

სამშობლოს წინაშე ვალშიზილია ქარისკაცი ვალშიზილი მწერლად წარსდგა ჩვენი ლიტერატურისა და ხალხის წინაშე. მკითხველმა დიდი ინტერესით წაიკითხა მისი ახალი წიგნი; მასში, სხვენებულ რომანთან ერთად, შესულია ვეველა მისი მოთხრობა, დაწერილი დიდი სამამულო ომის თემებზე.

მწერალს სამამულო ომის მთელი უზარმაზარი გეოგრაფიული ვარგში სიმბოლურად მოუქცევია ერთ ფოკუსში, სამშობლოს და მოსკოვის ცნება ერთ ვანუყრელ მთლიანობაში აქვს გახარებელი. წარსულის, აწმყოს და მომავლის ასეთი შერწყმით წარმოდგენით, ასეთი ამაღლებული სულიერი განწყობილებით შევდივართ ვანო ურჯუმელაშვილის ახალი წიგნის გმირთა სამყაროში. აქვე წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანში უმძიმესი ტრაგიკული სურათები აღწერილი, მაგრამ წიგნი სევდის, სინანულისა და რაიმე უკმარისობის გრძნობით კი არ ვხტრავთ, არამედ კიდევ უფრო ზეაწმყული რომანტიკულობის გრძნობით.

წითელარმიელმა კახაბერმა ომის უძნელესი გზა დასაჯუთის საზღვართან 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო. ამ ამგირის — ვახტანგ კახაბრის საბრძოლო ამბავია რომანის სიუჟეტის ბუკუთხედი. მწერალი საბრძოლო ეპიზოდების აღწერის ფონზე ვეჩვენებს ამ ერთი ქარისკაცის ხასიათის ჩამოყალიბების პროცესს, რის შედეგადაც იქმნება ერთი მთლიანი, მართალი და შთამბეჭდავი სურათი ვანელი ომზე, ამ ომის პირველ, მძიმე დღეებზე, მეგრძობლთა განწყობილებაზე, უკანდახვევის პერიოდზე. მოსკოვთან მომხდარ გრანდიოზულ გარდატეხა-

ზე, ვამარჯვების რწმენით ანთებულ საბჭოთა არმიანზე, საბჭოთა ხალხზე.

ვანო ურჯუმელაშვილი, როგორც ამბის საუკეთესო მოხრობელი და გადმოცემი, საუკეთესო ბატალისტ მწერლადაც გვევლინება. თუ ამ მხრივ რაიმე ანალოგიაზე მიდგება საქმე, ქართული მწერალი თავის ახალი რომანით გვერდში უდგას ფრონტიდან უშუალოდ საბჭოთა ლიტერატურაში მოსულ იმ რეს მწერლებს, რომელთაც გამოსახვის ბატალისტური ეიანი თავიანთი შემოქმედების ძირითად ფორმად ვაიხდეს. კერძოდ, უნდა მოვიხსენიოთ პავლე ფედოტოვის „ღრმა რეისი“ და „ვენერალი დოკტორი“ — ორი რომანი ცხენოსანი დივიზიის მეთაურის დეე მიხეილის ქე დოკტორის ვამრული ბრძოლების შესახებ.

მაგრამ ვანო ურჯუმელაშვილმა ნაწარმოების შთავარ გმირად დოკტორიკით ცნობილი პიროვნება კი არ გამოიყვანა, არამედ უბრალო რიგითი ქარისკაცი, ქანალი სულიერი თვისებებით შემოხობილი ქართული ახალგაზრდა, რომლის გრძნობების, ვანუდებისა და იღვტრის რწმენის სისხეტაკე ნათელ წარმოდგენას ვეაძლევს 40-იანი წლების მთელ ჩვენი ქართულ ახალგაზრდობაზე, იმ თაობაზე, რომელსაც წილად ხედა თვის მხრებზე ვადეტანა ომის მძიმე ტერათი.

ვატანგ კახაბრის დამაქრებელი მხატვრული საბის შექმნა ვ. ურჯუმელაშვილის, როგორც მწერლის დიდ ვამარჯვებად, მთლიანად რომანი კი სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დარგში ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთ კარგ შესაძენად მიგვანია. ერთი შეხედვით, რომანის პირველი ფურკლებიდან კახაბერი მეტად გულბრყვილო და მამობ აღამიანად გვეჩვენება, მაგრამ ფრონტში იგი გამოაწრთო და დიდი ცხოვრებისეული ვამოცდილება შესძინა. კახაბერის გმირობაში არც მოჩვენებითია რამე, არც ძალდატანებითი, არც ვამოგონილი. იგი ქარისკაციური ფიცის, ქარისკაციური მოვალეობის ბოლიმდე ერთგულია, ლტონი სიტყვებითა და ლოზუნგებით კი არ არის სამშობლოს დამცველი, არამედ საქმით, ამტანიანობით, რწმენითა და ვაეტებლობით.

მწერალი ფრონტულ ცხოვრებას გულწრფელად და უშუალოდ ვადმოსცემს. მხატვრული

ვანო ურჯუმელაშვილი — „მოსკოვი ქვეყნად ერთი“.

ზომიერება, სისწორე და სიცხადე ვინო ურჯუნელაშვილის რომანის ერთი უპირველესი ნიშანთვისებაა.

ომის დამთავრებიდან განვლილმა დღეებმა დრომ, დისტანციამ, რომელიც გვაშორებს მისი ავადმოსავლანის პირველი დღეებისაგან, პირველი პერიოდისაგან, მწერალს საშუალება მისცა უბრალო ჭარბსაყვის თვალთ უფრო საღად და ამწვივლებული გონებით შეეხედა ფრონტული ცხოვრებისათვის, უღმრთელო გამხეცბული მტრის ფაშისტური გერმანიის გარდა დაენახა ტელმანის, შრომელი ხალხის გერმანია, რომლის წარმომადგენლები იმ სამხედრო ჯოჯოხეთში მათე ინარჩუნებდნენ ადამიანობას. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩინა ვინო ურჯუნელაშვილის რომანის სწორი იდეოლოგიური პოზიცია. ამ თვალსაზრისით საინტერესო და მრავალმეტყველია ორი დაპირალი რომანითი ქარისკაცის — გერმანელი და საბჭოთა ქარისკაცების შეხვედრა ომის პირველსავე დღეებში, დასავლეთის საზღვრისპირა ველზე, ბრძოლის გრივადგაღვლილი ბუნების ძირას; სამკვლარო-სასიცოცხლოდ შებმული ვახტანგი და გერმანელი ქარისკაცი „დაზავდებიან“ და ბოლოს ერთმანეთს უბრალობასაც კი უხვევენ. ასე წინან ისინი ერთმანეთის გვერდით კარგახანს ირგვლივ ჩამოვარდნილ სინემეს, ღამის ბინდებულში, აღმართა ფეხს ხმა არღვევენ. ვახტანგს ჰგონია გერმანელები გვიანდღეობებიან, დაპირალი ამზანავს დახმარებას გაუწევენ, შე კი ტყვიის დამახლიან და ყველაფერი ამათ გათავლებოთ. მაგრამ მას გარკვევით ესმის თანამებრძოლების — ვიგორის, მექმარიაშვილის, სოლომოვის ხმები. ვახტანგის თხოვნით ისინი მებრძობებიან დაპირალი გერმანელ ქარისკაცს, რომელიც შიშისაგან საყოღად მოკენტვლა და წამდაუნეშე ორ სიტყვას იმეორებს: „არბაიტერ, ტელმან“...

ომის შემდეგ ხუთმა თვემ განვლო. ვახტანგი ღაზარეთიდან ცლავ დაებრუნდა ფრონტს, დაებრუნდა თავის ბატარეას, რომელიც საცვებით დამკრული და განადგურებული ეგონა. მის ბატარეას შეუვლია თავისი რიგები. ეს მისკოვის მისადგომებთან ხდება. მკვარე უმთავრესი, სხვა ნაწილებთან ერთად, ბატარეა შეტევისათვის ემზადება. ვახტანგს დავალებული აქვს სათვალთვალ პუნქტში ორი მთელი პურისა და ყერძით სავეს თერმოსის მიტანა. აგი საცეცხლე პოზიციიდან სათვალთვალ პუნქტამდე გადუკნობულ ტელეფონის ხაზს გასყვა, მაგრამ თოვლი დაფარულ ტრიალ მიწორზე ხაზი დეკარგა, მტრის საარტილერიო დარტყმის ზონაში მოსყვა და, გზადამხეულა, შეღამებისას ტვისპირა მიწორზე მოხვდა. უფროდ ტვილან მოთხილამერე გერმანელები გამოიჭრნენ და ვახტანგს გამოეღვევენ. მან ხრამის დაღმართ-

ზე ოციოდ ნაბიჯი გარბინა და ხმად ბუნებრივად და ნაყუმპარვე თხრილს შეუდგინა თავი, მაგრამ „რადაც ორიოდ წუთში“ გერმანელები ხრამს მოადგნენ... შერე თხილამერებით ჩამოსრიალდნენ და ორმის გარს შემოეკრეტნენ“.

ვახტანგი თითქმის განწირულია, მაგრამ დამბული მღვომარეობა მოულოდნელად იცდუნდა. იენისში დაპირალი მოწინააღმდეგეები დევამბრეში კვლავ ხელებიან ერთმანეთს, ისიც ღამით, და ამჯერად, გერმანელ თვითონ იცნობს ვახტანგს და გადაარჩენს სიყვლილს, იმ სიყვითის საპასუხოდ, უფრო აღრე, ხუთი თვის წინაო, თვითონ ვახტანგმა რომ იხსნა იგი გარდევალა დაღუპვისაგან. ერთი შეხედვით თავისთავად მწვლია დაფრება ამ ენაბუნებრივსა, რომლებიც უეჭველად პარობითობის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე შემთხვევა მხატვრულად და ფიქლოლოგიურად ისეთი დამაყრებლობითა და უშუალობით არის აღწერილი, რომ ძალაუნებურად არ შეიძლება არ შევერთოდე მწერლის კეთილ განზრახვას, არ შევხლო მის კეთილ ვარაუდს და არ იწამო შორს გამიზნული პეშანისტური საქციელის ძალა. ეს ფიქტი, როგორც აღენიშნეთ, რომანის იდეური გამართულობის, მისი ავტორის პოლიტიკური სიმახვლის მეტად საყრადღებო გამოვლინებაა და, ამდენად, დამბული პარობების საინტერესო გადაწყვეტეა გასლავო.

რომანს სწორედ ეს მიტებს უდავო დარჩებას რომ ტრაგიკული სურათები, გელისშემტყელი ეპიზოდები და დეტალები ორგანულად არის შერწყმული ქარისკაცული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ იუმორის ელემენტებთან. ნაწარმოების ფერკლებზე, სეკლმა და ცრემლის კვალდავალ, დამოხის ფერადღენება გვესახება, როგორც ოპტიმიზმის შორგანიხეხული ძალა, როგორც საბჭოთა არმიის შებრძოლთა ქედხეხელობის სიმბოლო; საბოლოოდ ყველაფერი ეს ვახტანგ კახარის სახეში იყრის თავს, მისი კონკრეტული ქვევით, მოქმედებით, ხასიათითა და ეთიკური ხორმებით არის გამოვლინებული, ამიტომ ამ პერსონაჟის საბრძოლო ეპიზოდები აღასუვა როგორც გმირულ-პეროიკული, ისე სახუმარო-საოხენჯო მავალიობით. აგი ამ მხრივ ზოგადი ტიპიური სხვა ქართული ქარისკაცისა, რომელიც გვიხილავს თავისი კეთილშობილებით და უბრალოებით, თავგანწირულობითა და სიმართლით, ვინილავს თავისი მტკიცე სულისკრებობითა და საბჭოთა ქვეყნისადმი ურყევი ერთგულებით.

მტრის გარემოციიდან, სახედისწერო ხიფათიდან კახატერი ხმირად უფნებელი გამოდის, უშიშმეს ტანყავს მიწილს, განსაცდელს იტანს, სმირად მოსწყდება ხილმე და ისეც უერთდება თავის ბატარეას, მაგრამ არასოდეს სა-

სოწარკვეთილებამდე არ მიდის, შედამ ინარჩუნებს სულურ მხნეობას და შინაგან სისხეტაკეს.

პატრიოტიზმის გრძნობასთან და გაუტყველ ნებისყოფასთან ერთად ვახტანგ ყაზბაგის უნიკალური შემოაგონებელი წყაროა უღამაზის რუსი გოგონას ნატაშას წრფელი და სპეტაკი სიყვარული. ეს მოტივი რომანის კომპოზიციას, მის მხატვრულ აღნაგობას თავისებურ მშენიერებას ანიჭებს. სანიტარი ნატაშა, ისევე როგორც კაპიტანი ერმაკოვი, ყარსისკაცი სიღორფი და სხვები, რუსი ხალხის საუკეთესო შეილები არიან. მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ამ ერთ გარეყრულ კოლექტივად არიან შედუღებული უკვეა ვრის წარმომადგენლები. ქართულებიდან, ვახტანგის გვერდით, ცოცხლად და საინტერესოდ არის დახატული ქვეყნის მემკვიდრის ვიკტორის სახეც.

ვანი ურჭუმეღაშვილის აღნიშნული რომანი თავის იდეურ-მხატვრული ღირსებით, ამჟამად წინ გადადგმული ნაბიჯია მწერლის შემოქმედებითი განვითარების გზაზე. მაგრამ სატომად ვგვიჩინა, რომ მწერალს ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა სათქმელი, რომ ყაზბაგის მიერ მოსკოვთან დაწვებული შეტევათი ბრძოლა, ისტორიული სინამდვილის შესაბამისად, შემდგომ გაგრძელებას მოითხოვს და რომ მისი ფორტული ცხოვრების გზა ბერლინთან უნდა დასრულდეს იმ გერმანელთან ზღაპარი შეხვედრით, რომელზეც ზემოთ ვკვირდით საუბარია.

ჩემი აზრით, რომანს ალგ-ალგ აქლია ერობრივი დახვეწა: მასში, მართალია არც თუ ზნობრივად, გვხვდება გაუმართავი გამოთქმები, ის რამდენიმე მაგალითი. ავტორი წერს: „გერმანელი გამოტყვრა“, სწობდა — „გამონდა“; „ზღარპანი გავალე“, სწობდა — „ვაუადინე“. „გერმანელი გამოინდა“ და „ზღარპანი გავადინე“ უფრო სწორად გამოსახვის აზრს და უფრო ემოციურად არის. სიტყვის ამ მხარეს — ე. ი. ემოციურობას მხატვრულ ნაწარმოებში უიკველად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივიღოთ.

სურათი ნათლად იხატება, მაგალითად, ასეთ წინადადებაში: „კაშვინს ენასავით გრძელსა და ვიწრო საბჭელში ერთადერთი ღამა ზეუბადდა“ (გვ. 2), მაგრამ გამოთქმა „ხან წყლის დაღვეას ვისაბაბელი“ (გვ. 66) არ ვარჯა, ბოლო სიტყვა ძალზე აბუნდოვანებს აზრს. სიტყვა „საბაბიდან“ არ შეიძლება ვიწარმოოთ ზნა სისაბაბედლი, ისე როგორც არ შეიძლება სიტყვა „საფრევილიდან“ მივიღოთ „ენასაფრევილებ“, სიტყვა „წაღავილიდან“ „ენიდაღავებ“... უმართებელია „დაგვეჯვას“ ნაცლად „დაგვეჯვას“ გამოყენება (დაწილისთანავე ჩვენსავით დამწველი კოლი დაგვეჯვა“).

რომანის 101-ე კეპიტლე ტყის შეღარებულ დასაბრუნელი ქვეგანყოფის შებრძოლებს

შეთური გერასიმევი ასე აქვს: „უკვე მხნედ, გულად დახედით მტრის...“ (გვ. 101). „გვეჯვით“. რაღაც დისონანსი შეიქმნა ამ კონტრასტში სიტყვის „იქველეთ“. სიმა არაყოებელაშის ნაცლად „ივარგეთ“? „ივარგეთ, ივარგეთ...“ იქვე, ქვემოთ, გერასიმევი ვეომრებს ეუბნება: „ამ განსაცდელის ფამს არ შემიძლია ვიციტერო, სიმათლედ არ ვთხზათ. შარავით მიძავლა მტრის მექანიზებულმა ნაწილმა გავვისწრეს, ზერგში თავიკოტვეს“. იმ მეორე წინადადებაზე სუსტად გამოხატავს გერმანელთა საომარი ტუტიციის ერთ მხარეს — ჩვენი ყარუბის განლაგებში სოლისებური შექრის პრაქტიკას (ამას ისინი ომის პირველ დღეებში ახერხებდნენ). მაგრამ პირველი წინადადებას ლექსიკურ წყობაში შეტანილი ერთი სიტყვა „ვიციტერო“ ასე ტლანქად ეყრის, რომ იგი გერასიმევის ბუნებას, მის პიროვნებას ვარკვეულ ზრდილს აყენებს, მაშინ როდესაც ის სრულადაც არ არის ამის ღირსი: განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ შეთური შილოდ განსაცდელის ფამს ამბობს სიმართლეს, კონკრეტულად შილოდ ასეთ შემთხვევაში არ ციტირობს?

ამვე ერთი ლაფსუსიც უნდა შევნიშნოთ. საარტიტერიო პოლკის შეთური, შილორი შიკარევი პოლკის წინაშე ვასაკეცხვად გამოყვინლ ვახტანგ ყაზბაგის თითქოსდა მედარის კოლოთი უეუბნება: „ყარსისკაცი ყაზბაგო, ვთხვო ნაუფეირდე შენს საქციელს და საქირო დასკუნები გამოიტანო“ (გვ. 52). მართალია, ეს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ხდება, მაგრამ ომგადახედლ ჩვენი პატრიოტულ მწერალს ვარგად მოეხსენება, რომ დასასკულად გამწესებულ ყარსისკაცს არა თუ პოლკის შეთური, არამედ ათეულის შეთურიც კი არასოდეს ასე არ მიმართავდა. ამ სიტყვა „ვთხვო“ უდავლოდ არის მოქცეული, რის ამოგდებითაც კატეგორიულ ტონს მივიღებდით („ყარსისკაცი ყაზბაგო, ნაუფეირდი შენს საქციელს და საქირო დასკუნები გამოიტანე“), რაც სავსებით შეესატყვისებოდა სამხედრო დისციპლინისა და წესდების მოთხოვნებს.

არ შეიძლება ყოველგვარი ლექსიკური ფორმების, ჩვეულებრივი საღამარავო სიტყვების ანგარიშგაუწველად, კონტრასტში სათანადო რეგულირების მიუხედნლად მხატვრულ ქოლოლში მოქცევა. ამგვარი ტენდენცია კი, ისევე, როგორც ვანი ურჭუმეღაშვილის აღნიშნულ ნაწარმოებებში, ამ რომანშიც ვხვდებით.

რომანი სავროთლ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, რაც საფუძველს გვიძლევს გულწრფელად მივედლოთ ავტორს. საბჭოთა ხალხის გმირული ეპოპის გამოსახვაში მოპოვებული ასეილი შემოქმედებითი გამარჯვება.

ბაბაი თოფჩიანი

„ტარტარენ ტარასკონელი“ ქართულ ენაზე

საქართველო
ბიბლიოთეკა

პროვანსის ბუნება, მისი ადამიანები, ზნე-ჩვეულებები, ლეგენდები უდიდესი პოეტური ძალით სარკველობენ მთელ საფრანგეთში და მის ფარგლებს გარეთაც, და პროვანსი ამისათვის, პირველ რიგში, თავის სახელოვან მწერლებს, კერძოდ ალფონს დოდეს უნდა უმაღლოდეს. პროვანსი ცოცხლობს „ენმა რუმესტანში“, „ტარტარენში“, „არღელ ქალსა“ და „წერილებში“. ამ ნაწარმოებებში ვხედავთ მთელს პროვანსულ მიწას, მის გამჭვირვალე პაერს, მის ხაზთა პარამონიას, დიდებულ წარსულს. უმშვენიერესი რამ, რაც კი ღმერთი ცოცრი სამყაროს შემდეგ შეუქმნია, პროვანსია“, ამბობს შარლ საროლეა, და დოდემ დაგვანახა ეს სიმშვენიერე თავის არანეულებრივად პოეტურ ნაწარმოებებში. მათში ჩვენ ვხედავთ პროვანსელთა სულს, ცეცხლოვან მჭერმჭერველებს, დახვეწილობას, გშმაკობას, მისწრაფებებს, მათს ცასა და მიწას, მათ სიზნარულსა და მწეხარებას; დოდესთან ნაღვლიანი მეროდია ყოველთვის მზიარულს ეხმანება, ცრემლებს — დიმილი ეპარება; მიუხედავად იმისა, რომ დოდეს ადრე მოუხდა პროვანსის მიტოვება, მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა ნოსტალგია არასოდეს უფერობია, რომ ძირიანად იყო ამოგლეჯილი პროვანსის მიწიდან, თავს ყოველთვის პარიზში პროვანსული ლიტერატურის წარგზავნილად თვლიდა. და თუ პროვანსი დოდეს უნდა უმაღლოდეს, დოდე პროვანსის მადლიერი უნდა იყოს, რადგან ყველაფერი საუკეთესოა, რაც დოდეს ნაწარმოებებშია, პროვანსთანაა დაკავშირებული.

ალფონს დოდემ წერა ადრე დაიწყო. ვერ კიდევ ლიონის ლიცეუმში სწავლისას პრესაში გამოაქვეყნა თავისი ლექსები, რომლებიც შეუმჩნევლი არ დარჩა. პირველი კრებული ლექსებისა პარიზში დაბეჭდა. ამას მოჰყვა „მასწავლებლის მოგონებები“, რომელიც „ფიგაროში“ დაბეჭდა. 1895-1861 წლებში დოდე აქვეყნებს წერილებსა და მოთხრობებს, 1862 წ. თეატრშიც სცდის ბელს, ერნესტ ლუბთან ერთად წერს „უკანასკნელ კერპს“, რომელიც ერატრმა ოდონმა წარმოადგინა. 1863 წ. „ოპერა — კომიკა“ დადგა (პუანის მუსიკის თანხლებით) პიესა, რომელიც თავდაპირველად „კომედი — ფრანსეზისათვის“ იყო განკუთვნილი. ამის შემდეგ მწერალი სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებს მოთხრობებს, ჟრონიეტების სერიას. 1866 წელს კი გასტონ-მარის ფსევდონიმით იბეჭდება „წერილები ჩემი წესქევილიდან“, რომლებიც დღემდე მართებულიად თვლება შედევრად.

ზნაოლაც, სხვაგან საღ გვხვდება ასეთი გულწრფელობა, გულუბრყვილობა, ასეთი პოეზია, კრიტიკების ასეთი შეწყობილი სიმღერა, იუმორის ნერპული, კაპკაუბების ქახქახი, მისტრალის ასეთი მაიკობლებელი ქროლეა, წყარობის ჩუბჩუბი, ყველაფერი ეს, რაც ამ მოთხრობების წაქოხების შემდეგ დიდხანს გიტოვებთ თბილ, ვთილ ვანწყობილებას, სახზე ღიილს გინარჩუნებთ და ბადებს სინანულს, რომ ჩაიკოხებთ, ჩაათავებთ ეს უზომოდ ადამიანური, ყველასათვის ერთნაირად ახლობელი და გასაგები ამბავი.

ა. დოდეს ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ნაწარმოებია ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი აღწერისავი ტრილოგია. პირველი ნაწილის გამოსცლისას, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, რაკორც ცნობილია ფრანგული ლიტერატურის ძირითადი მიმართულება ნატურალიზმი იყო. ამ სიმართლებების ყველა მკვლევარი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ა. დოდეს. რ. დიმიტი მას მუსიკალური პაროზზე შეყვარებულ არტისტს უწოდებს. მარტივო მას „თანამედროვე საზოგადოების მემუტიანეს“ უწოდებს და ზოლასა და გონკერების გვერდით აყენებს (რაკი სიტყვამ მოიტანა, აღენიშნაეთ, რომ ა. დოდე გონკერების აჯადომის ერთ-ერთი პირველი წვერი იყო. რაკორც ცნობილია, ეს აჯადომია თუ წერს აერთიანებს); გ. ლემეტრი წერს დოდესზე, რომ ეს არის შესანიშნავი, უწმინდესი გრძნობების მქონე ადამიანი, რომელსაც შეუძლია მარტივი სიტყვებით გადმოსცეს ადამიანის სულიერი მღელვარების ყველა წიფანსი, დოდეს სინანის, სიყვარულისა და გულსხმიერების განსახიერებააო. ზოლამ დოდეს დაკრძალვზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა: ეს იყო უნიჭიანისი და უშესანიშნავისი მოვლენა ლიტერატურაში, იგი უფდავია იმით, რომ სრულად ორიგინალურია და იმით, რომ უნარი შესწევს მეშენის ცოცხალი სახეები, ვალმოვცეს ადამიანის გრძნობები ისეთი ინტენსიურობით, რომ მისი წიგნის ყოველი გვერდი სამუდამოდ ინარჩუნებს ვიბრაციის, უფრო ადრე ზოლამ დოდეს ცალკე წერილიც უძღვნა. თვითონ დოდე მთელი სიცოცხლის მანძილზე, რაკორც მსატვარი, აეთებდა ყოველგვარი ექსტისის თუ მიმიკის ჩანახატს, იწერდა ბლოკნობებში ყველაფერს, რაც უძრადლების ღირსად მიანდა. „სხვაგვარი მეთოდი არც მქონიაო“, ამბობს მწერალი. ამგვარად, ზღვა მასალა დაუგროვდა.

ა. დოდეს მსოფლმხედველობას ფრანგული პროვინციული მემშანობის პატრიარქალური

ივალუბის დადი დაკარგდა. სიცოცხლის დასასრულს მიაბლოებელი დიდესთვის ნათელი ვახდა, რომ კამიტალისტური სინამდვილისაგან თავს ედღარ დაიკავ, მისთვის ესაღი ვახდა, რომ ეს ივალუბი უკვე „წარსული იყო“; ამიტომ მისი სტილი აიღი რიდან მამხილესელი, ვესლანრევი, სტირელი ვახდა. ამ თვალსაზრისითაა საინტერესო ტარტარენის თავგადასავალი.

ქართულად, თუ არ ვცდებით, იყო „წერილები“ სამი გამოცემა (სიც კარუა ხნის წინ), გამოქვეყნდა „კაცუნა“ (ბიოგრაფიული რომანი, რის მიხედვითაც ხშირად დიდესა და დიდისის მონათესაეობაზე ლაპარაკობენ ხოლმე). არც ისე დიდი ხანია, რაც მათ „ტარტარენ ტარასკონელის“ თავგადასავალა ტრილოგია შეემატა. პირველი წიგნის თარგმანი ეყვანის ივანე მაჭავარიანს, მეორე-მესამე წიგნებისა კი — ნინო ანანიშვილს. ამ შესანიშნავი მთარგმნელების დიდმა, თავდადებულმა შრომამ ზვესს მეთხველსაც შეაყვარა საქვეყნოდ ცნობილი ტარტარენი.

„ტარტარენის“ გამოქვეყნება დაიწყო 1869 წელს ერთ პატიო ვახეთში, მალე „ტარტარენის“ „ფიგაროში“ გადაინაცვლა. აქ ავტორის შეჩახება მოხდა რედაქციის მდივანთან, ა. დიდერენესთან. დიდერენეა აღიერში კოლონიური აღმინისტრაციის ყოფილი მოხელე იყო და იწყინა ამ უძველესი ფრანგული კოლონიის აუდედ სენემა. პუბლიკაციის შეწყვეტა მას არ შეეძლო, მაგრამ ამას კი მიაღწია, რომ ძალიან დააქვემდებარა ნაწარმოები და დიდი შეძლებებით ბეჭდავდა, რამაც, ცოტა შეინელა ინტერესი. უფრო ვეიან, 1872 წ. რომანი ცალკე წიგნად დაიბეჭდა და დიდი წარმატებას ხვდა წილად. მაგრამ, როგორც დიდე იტყუდა, ტარასკონელები კი გადაიმტარა. ერთმა სანდო კაცმა მიიხრაო, — წერს დიდე, — ყოველ დღით, როცა პროვანსულ ქალაქში დუქნების დარაბებს აღებენ და რომიდან მონაბერ ნიავზე ხალხიც ბერტყავენ, ყველა ხდურბლზე, ყველა ფანჯარაში მოღერებელი მუშტი ვაიფლებს ხოლმე, შავ თვალეში კი ნაბერწყლები ერთის და მექართთ გასმის — უჰ, უჰ დიდე! ერთი აქ გაიზინდებოდას როდისმე!“

დოდემ ვერც „ტარტარენში“ დააღწია თავი პოლიტიკურ ინტეგრირებულს, მაგრამ ზვესს ამ წიგნში „პროვანსო სურსკემა“ გვხვბლავს; რაც შეეხება კოლონიური ტარტარენის რეალისტურად წყენემას (ტრილოგიის პირველი ნაწილი), სტიარას კოლონიზატორებზე („პორტარტარასკონი“), დოდეს ეს სპეციალურ მიზნად არ ჰქონია დასახული. თითოეთვე ამბობს, „შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, აღვირბნე ტარტარენისაგან“ გამსხეიებული რამ დამეწერა, მაგალითად მომეცა შეუღამახეველი, მართალი აღწერა ზენ-ჩვეულებებისა, ამეწერა ქვეყანა

ორი რასისა და ორი ელტურის გზაყარედინე. შეიძლებოდა დამეხატა, რამეღიმე კოლონიზატორი, მეჩენებინა არმის... და... დიდი ინსტრაციის თეონებობისაგან დასარაღებელი ქალაქი. მე კი აღვირბინე ჩამოიკრანე მხოლოდ გალუიად“ (პროვანსული სიტყუაა, ხუნრობას, უბოროტო დაყენას, სიცოცხლის ნიშნებს).

„ფ. მისტრალის ენაში, — წერდა დოდე, — ერთი სიტყუაა, ვალეია, რომელიც მოკლე და სრულად ასახავს ადგილობრივ მეტადრთა ერთერთ დამახასიათებელ თვისებას. ამ სიტყუაში ირონიის გეულეზად არის, ეშმაკობაც, რომელიც პროვანსელებს უბრწყინავთ თვალეში. იგი ყველანაირად იზბრება მეტყუელებში — ზნადაც და არსებით სახელადაც... მაგრამ ვალეიარობა სულაც არ გამოიციხება კეთილი იყო და ნაივო. ხალხს ვართობა უნდა, სიცოცხლე უნდა... მეც ზომ გეულეიარ ვარ, ოღონდ პარიზული ტალახით ვაქუწულო, პარიზულ ნაღველმეშოვილი. იქნებ ვაღამეიწუდა კიდევაც სიცოცხლე, მაგრამ „ტარტარენის“ მკობრული შემამჩნევს, რომ გელის ეუნეულში მსიარულემა შემომბრწყინა, რომელიც, როგორც კი ამ მხარეში მოგხვდო, გამოვლინდა... „ტარტარენი“ ხომ სიცოცხლია“.

დოდე ძალიან ცდილობდა სამართლისათვის არ გადაეხვია და არც აქ უღალატა თავის პრინციპს. ტარტარენის პროტოტიპი არსებობდა. ეს იყო დოდეს ბიძაშვილი, ორმინი წლის რეილი, ნიშის მკვიდრი, მეოცნებე და ფანტაზიორი, არანეველებრეივად დონიერი კაცი, რომელსაც სახლში მართლა ჰქონდა „ქუეა ბაიობი“. აღვირში მოგზაურობისას რეილი თან ახლდა დოდეს. აღვირში დოდე, ხედებოდა ფრანგ წინოვნიეებსა და მოღალატე, ვამუღდედ შეიხებს, ხედავდა კოლონიური აღმინისტრაციის სიმკაცრესა და სისამაჯლეს, მისახელების სიღატაკეს, ფრანგებისა და ადგილობრივი მმართველობის უღელქვეშ ირბივად დამაგრულ ხალხს.

1862 წელს დოდე პარიზში დაბრუნდა, მომდევნო წელს, 18 იენისს გამოაქვეყნა მოთხრობა — „ლომების მეღერი შაპატენი“. რამდენიმე წლის შემდეგ კი, კვლავ დაუბრუნდა ამ მოთხრობას. მაგრამ რადგან ნიშში იცნეს შაპატენი — რეილი და მეტსახელად შეარქვეს კიდევაც შაპატენი, აღარ მინდოდა ამ სახელოდ სარგებლობა... დავიწყე სახელის ძებნა. ერთმა მეგობარმა შემომთავაზა მჭეკარე, მჭეხარე სახელი ბარბარენი (ტულონში ამ გვარის ნაცნობებაც მუადენდი), მეც ვისარგებლე ამ წინადადებით“ — წერდა ა. დოდე; რადგან ამ სამხრეთელ გმირის ფონიც შესაფერო სჭირდებოდა, დოდემ შეარჩია ტარასკონი. „ამ სახელს სამხერეთელები ისე რიბიანად გამარტყემენ, ისე გმირულად ყდურს, თითქო ინდიე-

ლებს საბრძოლო ყოვინა იყოს* (დოდე). ამრიგად, დაიწყო „სარბარუნ ტარასკონელის თავგადასავალი“ ბეჭდვა. შვარცამ დახეტ უბედურების, წერ ერთი, როგორც ა. დოდეს ვაგი წერს, მიზეზი წარუმატებლობისა იყო ადმინისტრაციის ვაჭილიკება; მეორე, კიდევ ის, რომ, — ზოგ, საკვირველებზე, — ტარასკონში მართლა უცხოვრია ბარბარუნების ოჯახს, რომელთა სასამართლო სარჩელს მეტწილად მოიხსიერებს მათი სახელის ამოღება ამ შურტაცხ-მყოფელი ფარსიდან. ა. დოდე იძულებული გახდა დათანხმებულიყო, შეეცალა კიდევაც ბარბარუნს — ტარტარუნს, შვარცამ, „რამდენიმე ალაგს გამოეპარა და პირველ გამოცემაში ბარბარუნს აბის და ტარტარუნსო“, — წერს დოდე.

ამ ტრილოგიაში თვით ტარტარუნია ავტორის სიამაყის ობიექტი. დოდე ამბობდა: „მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიუყარს კარგი, ლამაზი ენით წერა, პარმონიელი და შვათელი პროზა, მინდენ მიმანინა, რომ შვათარი ეს არ არის. კვლავი სიხარული რომანისტის ის ანიკებს, ცოცხალ არსებას, ტანს რომ შექმნის, რომელსაც ხალხთან ექნება საქე, რომელსაც ექნება საერთოი ვესტები და შვეუება, რომლებიც ავტორმა შიანა და რომელთა გამოც ეყვარება, ან არ ეყვარება ხალხს... არასეულებარბი შვარცანება მაქვს ზოლმე, როცა ვინმე გამვლულზე პოლიტიკური, შხატრული ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე შარიონებზე იტყვიან: — ეს ზომ ნამდვილი ტარტარუნია... წარმოიდგინეთ თითოვლა, როგორისაჲ ვანიციის ზოლმე ბარბოში მდგომი შამა, როცა მის ვაჟს აღფრთოვანებით ტანს უყარავენ და როცა საცოდავს ყოველ წუთს უნდა ვინმეს უთხრას: „ეგ ჩემი ბიჭია!“

ამ დროს საფრანგეთის „ოფიციალური“ ლიტერატურა გამსქავილული იყო „სათონების“ ნობლთა; ოციუს ბიესები აღიდებდნენ ბურჟუაზიის „სიქველს“, გ. ემარი თავის სათავადსაველო რომანებში დიფირამბებს უმღეროდა კოლონიერ დამპყრობთა „რომანტიკას“. და აი, ასეთ ვარემოში, ამ დროს, ჩნდება „ტარტარუნ ტარასკონელი“, რომელიც ერთგვარად ოციონე-აღური ლიტერატურის პარიოდის წარმოდგენდა; უოველ ამბავში, უოველ სენეაში ნიღაბი ვხდებდა დიდებულ მოსურნე კაცის აპარაობას, ტარტარუნს, ერთსა და ამავე დროს, შშიშარაც აბის და შმანიცი, ტრანახაც და „შენიღბულიც“, პოტენციური გმირი და ავანტიურისტ-ტიცი, რომელსაც თვითონვე სერება თავის გამარობისა. თავისი უზოვი ფანტაზიით ტარტარუნს დონ კიხოსს ემსგავსება. ავი მიმარავს დოდე სერვანტესს აღყირში ჩასვლისას (სერვანტესი ხუთ წელს მინად იყო გაყიდული აღყირში) — ალბათ უნდა გაგვარებოდით მოსვლა ტარტარუნისა, „რომელმაც საყვარე-

ლად შეაერთა ორი შენს მიერ დახატული გმირი: დონ კიხოტი და სანჩო პანსა...“ შვარცანის, ამ ნარსახებთან შოვლი ოციონე კი ეძლეუბა — „ორი ტარტარუნს“, — სადაც დოდესეული იუმორით ვანახებელი შენსინაწინავი ლიტერატურული პორტრეტია მოცემული. თანაც თავმდალად დასტენს ავტორთ: „ტარტარუნ კიხოსის და ტარტარუნ სანჩოს კამათი... მე სად შეიმძლია... ვენიოსის კალამი უნდა შქონდეს, რომ მათი ზაასი აღყეროთ და უკვდავება მოვიპოვო“.

ა. დოდეს ირონიის შრავალფეროვანების შანენებელია მოქმედ შირთა სახელები — ლედი უილიამ პლანტაგენეტი, ციციკონ ბრანკეუბალი და ა. შ. დოდე თითქოს შემშატინადა, ისტორიის თავმდაბალი აღმყერობა, რომელიც „დიადი ტარასკონელს“ ამბებს გვიამბობს. ისე არაფერს იტყვის, რომ შვალღფარდოვანად არ აღნიშნოს — „შენი გმირი“, „ლომთა მელეტი“, „ტარასკონელი ლომი“ და სხვ. ირონიის გამოხატვის სხვა ბერებთან ერთად, უთვოდ უნდა აღნიშნოს ტარტარუნის „სავაბრო“ საქმეთა და საქციელის ბრძენებთან და გმირებთან ხაზგამსული შედარება: „ისე დამშვიდებული, მგონი თვით სოკრატეც არ იყო, საწამლავს რომ სვამდა“. „და შწარედ ატირდა ეს დიდი ადამიანი, ვითარცა კრისტე ვეისიშინის ბაღში“.

როგორც აღნიშნეთ, ა. დოდეს ტრილოგია ქართულად შთლიანად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს და ლაღად იყიხება, შენარბუნებელია ვანწუობილება, რიტმა, კოლორიტი, სურათილება დედნისა; შთარგნელებს კარგად აქვთ გამოყენებული ქართული ფრაზეოლოგია, იფიომატრია; ქუდბედიანი, ცას ეწია, უბედურ კაცს ქვა აღმარაში დაეწია, ნეტავ ამ საღლეებელში არ შაეჭდარაიყავი, ნავი ბეტნასა სცემდა და ბეტრი სხვა, რაც ტარტარუნს კოლორიტს უნარჩენებს.

აღყრული თავგადასავლის შემდეგ გადის ცამეტი წელი. ამ ხანში „ტარტარუნ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი“ 31-წერ გამოიცა, შრავალ ენაზე ითარგმნა, ინსცინირებულ იქნა.

1883 წელს ა. დოდემ შვეიცარიაში იმაგზავრა, ფეხით მოღრა იტალია შოვბი. 1885 წლის ზაფხულსა და შოვოტომოხე შწერალმა დაწერა „ტარტარუნსი აღუბში“, რომელსაც ვაროსელისთანვე უდიდესი წარშატება ხედაწილად. ვახაეების დირსია ერთი სასაცილო ფაქტი — შწერეალთა დაყვრობის აღწერა იზაუნდ რეალისტურია, რომ საფრანგეთის აღპინისტთა კულმა დოდე საპატოა წყვრად არჩია, ზოლო სახელუანაქმელმა ინგლისელმა აღპინისტმა, ლორდმა ვიშპერმა თავისი წიგნი გამოუგზავნა ავტორთათვით. „ტარტარუნსი აღუბში“ ტრილოგიის პირველი ნაწილის სრუ-

ლად საპირისპირო ნაწარმოებია იმ თვალსაზრისით, რომ, თუ პირველში ტარტარენი საგმირო საქმეებს ჩასადენად მიდის იქ, სადაც არაერთი ზიჯათი არ მოელს, მეორე ნაწილში, პირიქით, ტარტარენსა ალბადიერი კლუბის პრეზიდენტი თამამად ადის იუნგრაუსსა და მონღალსზე, დაწმენებული, რომ ალბები — ბუტაფორიაა, და მრავალჯერ საფრთხეში იგდებს თავს. მაგრამ გალიადა ვრძელდება ეს რაში სჭირდება ტარტარენის გმირობა! ფუქია „პრეზიდენტი“ მთებში ხედება რუს „ნიპოლისტებს“, რომლებიც „იღებს გულისათვის“ მართლად საფრთხეში ივრდებიან. ამ ზეობით ა. დოდე ჩვეული ეუმობით ანელებს ტარტარენის გმირობას, მაგრამ ვგრძნობთ, რომ უუფარს თავისი გმირი, თავისი პროვანსული, როგორც გულუბრყვილობისა და სიყვარულის განსაზღვრება.

1889 წლის 13 ივნისს გონკურების „დღიურში“ ვითხოვლობთ ცნობას იმის შესახებ, რომ ა. დოდეს მათთვის უცნობებია, „პორტტარასკონზე“ ემუშაობო. „ჩემი აზრით, უსარგებლო წამოწვებაა, — დოდეს ყოველთვის იმდენი ვეგმა აქვს, ის კი შესაძლებელი აბრებს ტიპის ვაშოყანას, რომელიც სრულიად საქმარისად ვაყენო საზოგადოებას პირველ ნაწილებში“; ე. გონკურის შიში არ გამართლდა. დოდემ შესაძლო მასალა შეერჩია და ახლებურადაც დაეხატა ჩვენი ძველი ნაწილი. 1880 წელს მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი მთელი რიგი მონასტრების დაკრეტვისა და მრავალი სამონაზვნო კონვენტაციის დახსოვნის შესახებ. ამ დეკრეტს საზრეთში ხმალამოღებული შეხედენ. ტარტარენული წინ აღუდგენ მუხობელი ფრიგოლეს საბატოს დაკრეტას და მისი დაცვაც კი სცადესო, წერდნენ ვაზეთებში. ამ ვაზეთების წაეთხვისას ა. დოდეს უფიქრია, ამ საქმის სული და გული ტარტარენი შეიძლება ყოფილიყო. ეს ფაქტი მართლაც ადგილსაფრთხელად პირველ ეპიზოდს. ძირითადი მასალა კი დოდეს მისცა, ე. წ. პორტ-ბრეტონის საქმეზე. გასული საუკუნის 70-იანი წლებს ბოლოს, ვინმე შ. გ. დებრიელმა, რომელმაც ბრეტონელი მარკიზ დე რუი დაირქვა და რომელიც კარგა ხანს ცხოვრობდა ავსტრალიასა და სამხრეთ ამერიკაში, ხალხს დაუწყო აგიტაცია წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კონტინენტადსაბუნებულებს. ვადოდეს ნაკვეთები, ვაშოუშვს აქცეები, თხის გემით ვაგზავნეს კიდევაც ემიგრანტები, მაგრამ „სამოთხის“ ნაცვლად ქაობანი, ცეხიანი ადგილი დახვედრეს, ქრთხილად მინის სიციცხლე და კონტეპტუალურად ქრთხილად. „მარკიზი“ ვაიქცა ესპანეთში, მაგრამ ესპანეთის მთავრობამ ის საფრანგეთს დაუბრუნა, სადაც ვასამართლეს და ციხეში ჩასვეს. „პორტტარასკონი“ 1890 წელს დობიქცა და დიდი წარმატებაც ჰქონდა. მთელი საფრანგეთი იღინოდა ტარტარენის ახალ თავგადასავალზე, ა. დოდემ კი დიდი ვაქცრებით დაწერა ის. ზურგის ტენის ავადმყოფობა ისე აწუხებდა, რომ დროდადრო შუშაობის საშუალებასაც უსპობდა.

ტარტარენმა ისევ, როგორც დონ კიხოტო, ტარტიუფმა, დონ ეუანმა, მაგრად შიოქიდა ფეხი ხალხში. შემოხვევითი არ იყო, რომ შ. გორკის წერილში „როგორც ესწავლობდი წერას“, ავტორის ტიპიციის კლასიკური მავალითები მოაყავს დე კოსტრის, რომენ როლინის და ალფონს დოდეს ნაწარმოებებიდან. ფაქტია, რომ ნაწარმოები უდანაყაროდ ვერ ვაღიბრება მეორე ენაზე, მაგრამ რა დასაფასებელია, როცა მთარგმნელი მოახრებს შენარჩუნებას იმისას, რის დაყარვაც არამც და არამც არ შეიძლება. რამდენად ივებს თარგმანი, როცა კარგად მორგებულ გამოთქმას შეაშველებს მთარგმნელი. ამ თვალსაზრისით მართლაც დიდიხეული თარგმანებია „ტარტარენი ალბებში“ და „პორტტარასკონი“.

დიდ სიძნელეს წარმოადგენს გმირების შეტველებს თავისებურებათა ვადმოცემაც. ამ საქმესაც კარგად მოუარეს მთარგმნელებმა. კობა ვადასხეაფერებელი, ოდნავ დამახინებული სიტყვა შემოაქვთ და დასქენენ, სწორედ ასე ამბობენ ტარტარენლებით: „დიდეს“, „პრეზიდენტი“, „ღმერთი“ და სხვა. კარგად ერწმის თხრობას ზენი „მოქარგული სიტყვა“ და „ნაპოენიეთ შერჩიათ“, „ენაზე ქაელი არ მოედება“ და „ჩალი ფერებით შეღებილი“, „სხვისი ქირი, ღობეს ჩხირი“ და „უხუშარ გუნებაზე ყოფნა“, „პირზე დუქომოდგარი, ულავებამარგებელი ორატორი ზვარში კარგად მის სახელოვან წარსულს“ და „ადამიანთა ასხული ვაიქ-ვაიქი“ (თოკით ვადამბულ ალბინოსტებზეა ლაპარკი) და მრავალი სხვა.

დოდეს ამ ტრილოგიის თარგმანი შესრულებული შესანიშნავი და მარტივიან ქართულთ. იგი უდავოდ ამდიდრებს ჩვენს თარგმნით ლიტერატურას.

ლ. მ. მარაშხილი

ქურონალ „მნათობის“ 1976 წლის ნომრების შინაარსი

მოცინაბი


გზის გვინათებს პარტია. № 3
ისტორიის დიადი საათები. № 10
სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის ლ. ი. ბრევენეის დაბადებიდან 70
წლისთავის გამო (მისალმებები). № 12.

მოთხრობები, რომანები, ნარკვევები

- ავლიანი გიორგი — საქარვემო. მოთხრობა, № 2, 3
ბუღალნიშვილი როსტომი — ლილოტრელი. მოთხრობა № 12
ბერაძე გვი — მოთხრობები. № 10
ბოსტოლანაშვილი გვი — მოთხრობები. № 12
ვახაონი ნიკოლოზი — აინიანი ქალაქი. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10
გოგენიშვილი ჯანი — მოთხრობები. № 7
დიორენატი ფრიდრიხი — მოსამართლე და მისი ქალათი. რომანი. გერმანულიდან თარგმანი
ნო დარ რუხაძე მ. № 1, 2
ეცხოველი ნიკო — კიდევაც დაბრდებიან... მოთხრობა. № 8, 9, 10, 12
კობაძე რამიზი — გვიმრის დოთლები. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7
მერაბიშვილი ელგუჯა — მოთხრობები. № 7
მესხი ლეილა — ლუჩია. მოთხრობა. № 12
მიშველაძე რევაზი — ნოველები. № 6
მიქაძე მიხეილი — უცნობი ჯარისკაცის საფლავი. მოთხრობა. № 5
მრეველიშვილი მიხეილი — მოთხრობები. № 3
მუშლაძე კარბე — მეფოლადის დღიური. ნარკვევი. № 3; გმადლობთ ლეონიდ ილიას ძვე.
ნარკვევი. № 12
პაპუაშვილი გიორგი — მარტყოფელი მეცხოველები. ნარკვევი. № 7
პლატონოვი ანდრეი — „ამ მშვენიერსა და უღმობელ წუთისთველში“. მოთხრობა.
თარგმ. ვ. კვიციანიშვილი. № 4
რატაიანი ზურაბი — მგლები, დათვი და ადამიანი. მოთხრობა. № 5
სამხარაული სოლომონი — ბეჭა. მოთხრობა. № 9
სანაღობაძე გიორგი — რუმორტაგი საუენის მადისტრალიდან. ნარკვევი. № 1, 2; ერში მესი-
ლესაც მოეკითხოთ. ნარკვევი. № 9
ტაბატაძე კარლო — რად გუჩინარდა მუინარე. მოთხრობა. № 9
ურჭუმეღაშვილი ვანო — მუშა კაცი. ნარკვევი. № 7
ქეთელაური სულხანი — მოსაბრუნე. მოთხრობა. № 8
უკვიშვილი იუზა — დოელი. მოთხრობა. № 11
ჩიქოვანი ვრიგოლი — მიწა. რომანი. № 11, 12
ჩუბინაშვილი ითარი — მოთხრობები. № 5; ძველი წყნობი. მოთხრობა, № 12
ცკვიტინიძე ლალი — სიკარბელე. მოთხრობა. № 4
წუღებისკარი ნოდარი — ლობიოქამების სასიძო მოთხრობა. № 4
პილაია სერგი — ერშია ქვეყანაშეღა, ქრონიკა. № 11, 12
ხაინდრავა ლევანი — შორს მშობლიური მიწიდან. მოთხრობა. № 1
ხერგოანი მარინი — მხოლოდ პირადი მაგალითით... ნარკვევი, № 2; გლეხებიც უნდა ვიყოთ და
მეცნიერებაც. ნარკვევი... № 11
ხორგუაშვილი გიორგი — მარონის ზეღაშე. მოთხრობა. № 5
ჯერენაშვილი ნანა — წუხილი. მოთხრობა. № 9

ლექსები და კთრევაბი

აბაშიძე ირაკლი — ციკლიდან „იშინი სიკოცხეს დეღამიწაზე“. ლექსი. № 1; ადლი ცაღა.
რასულ გამზათოვს. ლექსი. № 9



- აბრამიშვილი მარი — ლექსები. № 3
 აღმერთო ზაქუმარი — ზამთარი მთის სოფელში. ლექსი. ოსტრიდან თარგმნა გ. ხარაძე. № 8
 აღზაზიშვილი გივი — ლექსები. № 5
 ამისულაშვილი შალვა — ლექსები. № 11
 არაბული შაბურა — ლექსები. № 12
 ასავეი რევაზი — მიგდალინა. ლექსი. ოსტრიდან თარგმნა თ. ჯანგულაშვილი. № 8
 ბაზაძე ირაკლი — ლექსები. № 11
 ბაკაძე ნუგზარი — წერილი მამას. ლექსი. ოსტრიდან თარგმნა თ. ბექიშვილი. № 8
 ბეგაშვილი ალექსანდრე — ლექსები. № 10
 ბედიანიძე დალილა — ლექსები. № 7
 ბერძენი რუთა — ლექსები. № 3
 ბერძენი ხუტა — ლექსები. № 2
 ბესთაუთი გიორგი — გრიგალი. ლექსი. ოსტრიდან თარგმნა ბ. ხარაძე. № 8
 ბოზობიძე კალე — ლექსები. № 12
 გაფთე — ბუდი. ლექსი. ოსტრიდან თარგმ. ი. ჯაბაძე. № 8
 გიგაური გიორგი — ლექსები. № 6
 გოთე იოჰან ვოლფგანგი — ფაუსტი. გერმანულიდან თარგმნა გ. ჯორჯაძე. № 6
 გუგუცოძე ალექსანდრე — ლექსები. № 12
 დაუშვილი თამარი — ლექსები. № 3
 დიტა ეახილი — მამა; საყვარელი; წითლი. ლექსები. ბელორუსულიდან თარგმნა ბ. ჯაბაძე. № 3
 თარბა ივანე — ჩემი სოფლის გარეგანი. ლირიული პოემა. ალბანურიდან თარგმნა ხ. ვაგუაძე. № 4
 ივანდია დილარი — ლექსები. № 7
 იკუშაძე თენგიზი — ლექსები. № 11
 იკაძე კარლო — ლექსები. № 2
 იამიშა კაზიმირი — ქვიშა. ლექსი. ბელორუსულიდან თარგმ. ე. ჯაბაძე. № 3
 კანდელაკი თამარი — მთარის ძილი. ლექსი. № 7
 კეშელაძე ზინდო — ისევ იქ, სადაც დასრულდა ყრბობა. ლექსი. № 4; ლექსები. № 10
 კვანტალიანი შარლოტა — ლექსები. № 12
 კვიციანი ემზარი — ლექსები. № 6
 კლასონია ნანი — ჩემი თემატია — მეგობარი. ლექსი. № 4
 კობრიძე თენგიზი — ლექსები. № 12
 ლებანიძე მურმანი — ლექსები. № 1
 ლერმონტოვი მ. ა. — 1831 წლის 11 ივნისი. ლექსი. თარგმ. კ. ნადირაძე. № 6
 ლორთქიფანიძე ზურაბი — ლექსები. № 2
 ლორია ოლეგო — საფერავი. ლექსი. ბელორუსულიდან თარგმ. ე. ჯაბაძე. № 3
 მაკალი პეტრუხი — რბილა. ლექსები. ბელორუსულიდან თარგმ. ე. ჯაბაძე. № 3
 მარგარიტა რევაზი — ლექსები. № 5; ახალი ლექსები № 10, ლექსები — № 11
 მარკოზი კოსტა — წყარო — ლექსი. ოსტრიდან თარგმ. ქ. ფხოველი. № 8
 მებურიშვილი ტაგუ — ლექსები. № 8
 მიწაძე ბიძინა — ლექსები. № 5
 მირნელი მირიანი — ლექსები. № 11
 ნადირაძე კოლაუ — ლექსები. № 8
 პეტრიაშვილი ვურამი — ლექსები. № 9
 ქლიფი ილია — ხალხი ჩვენი ბედნიერება. ლექსი. ოსტრიდან თარგმ. გ. შაქნაზარი. № 8
 რაზიაშვილი პავლე — ლექსები. № 11
 სვანიძე ლია — ლექსები. № 3
 სულაბერიძე ლადო — ლექსები. № 4; ნდობის კაშხალი. პოემა. № 11
 სტურუა ლია — ზღვის მოქცევა. პოემა. № 5
 დოცხიშვილი მორისი — ითხოვს სამშობლო. ლექსი. № 3
 ფუბაძე ალ. — ნაადრული. ლექსი ოსტრიდან თარგმ. მ. წიკლაძე. № 8
 ქუთათელი ალექსანდრე — ლექსები. № 6
 ყოდაღათი გერსანი — დედის სიძულთა. ლექსი. ოსტრიდან თარგმ. მ. წიკლაძე. № 8
 შალვაშვილი პეტე — ლექსები. № 10

- შექმბი იულიამი — ტოილოსი და ერესიდა პიესა ინგლისურიდან თარგმ. ქვეყნული № 7, 8, 9, 10
- ნარეცი ელიშე — ლენინი და ალი. ლექსი. სომხურიდან თარგმ. ზ. შვედულაშვილი № 7
- ნინური პოეზია — თარგმ. ქართული ხოცოველი № 12
- ძამიშვილი ქუჩა — ზღვა იყო წყნარზე წყნარი. ლექსი. № 10
- ძუგაფი ვიორგი — ხიარი. ლექსი ოსურიდან თარგმ. თ. ბექაშვილი № 8
- წერეთლი ნუგზარი — ლექსები. № 11
- კავკავაძე ლია — ლექსები. № 11
- კედია ნაზი — ვარდფურცლობის დღეები. ლექსი. № 5
- ხაღვაში ფრიდონი — ლექსები. № 12
- ხარაშვილი ავთანდილი — ლექსები. № 7
- ხარაძე ამერი — ლექსები. № 12
- ხეთაგური შაია — ლექსები. № 12
- ხორნაული ვაჟა — ლექსები. № 3
- ხოსტარია ილია — ლექსები. № 5
- ჯავახიძე ვახტანგა — ლექსები. № 9
- ჯანგულაშვილი თეიმურაზი — ლექსები. № 3; ლექსები. № 8

53560 იუნილარაზი

1876 ირანი ქაზახი ირანი 1876

- გოდერძიძე ლამარა — ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. № 10
- გრაგოლია კონსტანტინე — დიდი მოძღვარი. № 8
- იოანეშვილი ვალერიანი — ქართველი ხალხის უფლის და ევლტერის შველევარი. № 10
- მაჭავარიანი ელიაშვილი — დიდი ადამიანის ახლოს. № 10
- შანიძე აკაკი — ივანე ჯავახიშვილი. № 10
- ხუციშვილი სოლომონი — ილია კავკავაძე და ივანე ჯავახიშვილი. № 10
- ჯორბენაძე სერგო — პირველი ნაბიჯები დიდ გზაზე. № 10
- ქობლაძე ვიორგი — ივანე ჯავახიშვილი და ქართული ხელოვნებათმცოდნეობის პრობლემები. № 12

100 დედა ენა 100

- გოზალიშვილი შალვა — „დედა ენა“ და მისი ავტორი. № 8
- იმედაშვილი იოსები — იაკობ გოგებაშვილის ხსენებისთვის. № 10
- საყვარელიძე ვიორგი — ჩვენი უფირფასესი საუნჯე. № 10
- კუმბურაძე ზურაბი — მაღლი დედაეზისა. № 11
- აკობაშვილი ვეფხო — ჩვენი იოსები. (ი. იმედაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო). № 11
- გორდუღაძე ქემალი — მთაბროტენ, პეპლიცისტი, რედაქტორი (გ. ბატქაძის დაბადებიდან 80 წლისთავის გამო). № 6
- ერაძე ლეილა — აღსდევ, ანთო და იბრაწყინე! (ს. ვერლუნის დაბადების 70 წლისთავის გამო). № 10
- თევზაძე დავითი — ქართული სიტყვის დიდოსტატი (დემნა შენგელაიას დაბადების 80 წლისთავის გამო). № 6
- ნატროშვილი ვიორგი — დემნა შენგელაიას შემოქმედება. № 6.
- რატაიანი პროკოფი — აღქსანდრე წელუაძე როგორც მთაბროტენ, (დაბადების 100 წლისთავის გამო). № 9
- ფრუშაძე აკაკი — ელსიკური ფილოლოგიის და ბიზანტოლოგიის ქართული სკოლის პირი-არქი (ს. უფლებიშვილის დაბადების 85 წლისთავის გამო). № 1
- ფორჩხიძე შალვა — ილია შოსაშვილის პოეზია. (დაბადების 80 წლისთავის გამო). № 9
- ქარელიშვილი ერეკლია — დიდი სომეხი დრამატურგი. (გ. სენდუკიანის დაბადების 150 წლისთავის გამო). № 5
- ხხაიძე თინა — დემნა შენგელაიას ნოველათა ხალხური წყაროები. № 2



გამოსათხოვარი

- ახალი არაკლი — დიდი გამოფენა ერძელდება. № 2
- ალბანური შალვა — ქართული ერთგული პეიზაჟის დიდოსტატი. № 2
- ბერიძე ვახტანგი — გამოსათხოვარი. № 2
- ნატროშვილი ვიორჯი — მწერალი და მოქალაქე. № 11
- ქარელიშვილი ერეკლე — ჩვენი პესარიონი. № 11
- ჯაფარიძე რევაზი — უკანასკნელი გზა. № 11

ფაქტები და მოვლენები

- გუგუშვილი პაატა — კონსტანტინე გამსახურდია. № 7
- დურშინიძე სერჯი — საპატრიო პრეზიდენტის პირველი დღე აკადემიაში. № 9
- სიგუა ალექსანდრე — მწერალი და გამოცემელი. № 7

ხელოვნება

- დუდუჩავა მამია — ხელოვნების პროგრესის პრობლემა. № 4, 5
- ურუშაძე ნათელა — ქართული სცენის ოსტატები (ეროსი მანჯგალაძე) № 10
- ჩხეიძე ვიქტორი — ა. სემბოიშვილი ჰეროიკულ-რომანტიკულ როლებში. № 3

მეცნიერება

- გოჯალაშვილი ვიორჯი — ფიქრები „ლიგნის აკრიტასის“ ირგვლივ. № 4
- პატარაძე რამაზი — ქართული წარმართული კალენდარი. № 2, 3, 4, 6
- შანიძე აკაკი — ველხისტეფანოსის საკითხები. № 5
- წერეთელი კონსტანტინე — არაბული ენა საქართველოში. № 6
- ქიქოძე რევაზი — „ვეფხისტყაოსანის“ ლექსიკონი. № 6

პიტიბა და პუბლიცისტიკა

- არევაძე სიმონი — აღსაზრდი სიმღერა საქართველოზე. № 10
- ბარბაქაძე ბენედიქტი — ზნეობისა და სიციხის გმირი. № 5
- ბერიძე თეიმურაზი — სოციალური. № 1
- ბოკუჩავა ლეონი — პოეზია ნამდვილი ცხოვრებისა. № 9
- ბურჭულაძე როსტომი — ცვლილებები ინტელექტუალის შესახებ. № 12
- გაბაშვილი ვიორჯი — ყველა თვისების მართი არ ედგება. № 3
- გვრიტიანი გიორგი — სანგრიდან ბრძოლის ველი ჩამს. № 1; მართლაც დაეუფლებოდა. № 4
- გვრიტიანი მანანა — მრავალგვარობის ერთობა. № 7
- გიორგიძე ოთარი — „რაჭის ერისთავი როსტომი“ და მისი ისტორიული ხალხური წყაროები. № 7
- თურნავა სერჯი — ე. გამსახურდია და ფრანგული კულტურის მოღვაწე. № 12
- კანჭარაშვილი სიმონი — უნგრეთი: ტრადიციები და თანამედროვეობა. № 11
- ვასაძე აკაკი — „ენი იყო გალაკტიონის მერი“ და ზოგი რამ პოეზიაზე. № 6
- ვირსალაძე ივანე — პოლიტიკაზე კავშირის დრამატურების ხალხური საწყისები. № 6
- კავთაშვილი ვენერა — პანინის პანე და თანამედროვე ქართული კრიტიკა. № 3
- კალანდარიძე ალექსანდრე — მედამ ახალ ტალღაზე. № 10
- კობახიძე ვიორჯი — პენინის პანე და ადამიანის ხელშეუხებლობის იდეალი. № 9
- კოპალაძე გენცია — ზოგი რამ ხელოვნების თეორიიდან. № 11
- მარგველაშვილი გიორგი — სული მღვდელი, სული დამცველი. № 12
- მხარაძე ფილიპე — ისტორიული რელიქვიები. № 11
- მაკაქაია ვლადიმერი — დოსტოევსკი და თანამედროვე ადამიანი. № 3
- პუბლიცისტის წინაწერები. № 8
- მიტინი პეტრე — მომავლის ქარი. № 8
- ნატროშვილი ვიორჯი — ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი. № 1; რას იტყობდა აკაკი. № 2
- უდუჩავა ნინო — ქალი — ანატოლია ერისთავი — სოციალისტური მოქმედების გმირი. № 1
- სტურუა ზაზა — ვიქტორ ბოკოჩავის „დეკამერონი“ და ქართული მითოლოგია. № 1

- ფრუიძე ლევანი — თანამედროვე ქართული სოფელი ეთნოგრაფის თვალყურედღეფი № 2
 ყულიყვი ყაიხანი — ზემი საქართველო. № 11
 ჩავლიყვილი აღ. — სახეობრივი და ცნებითი აზროვნების ურთიერთობის საკითხებისათვის. № 4
 ჩხარტიყვილი რევაზი — კრიტიკული შენიშვნები რომანზე — „ყო ერთი ქალი“. № 7
 ციყარიძე ვიოლეტა — კაკი და „სისხლის წვიმები“. № 8
 ხინთიბიძე აყაყი — ძველი და ახალი რითმა. № 5
 ჭავლიძე ელიზბარი — შუა ლამეს ვიხილე მზე. № 1
 ჭიბლაძე გიორგი — შალვა დადიანის საგალობელი. № 3
 ჭიბუჭი ვლადიმერი — წვენი დღეების შემატიაზე. № 4
 ჭიჭია ნანული — წარსულის მივიწყებული ფურცლებიდან. № 5

წიგნიების მიხრობილა

- აღიმონაყი ლერი — ზამთრის ელგეები. № 7
 არიშიძე კ. — პოეტის პირველი წიგნი. № 9
 ახვლედიანი ვივი — ქართული ლექსის სათავეებთან. № 6
 გაწერელია აყაყი — აყაყი შანიძის ახალი ნაშრომის გამო. № 6
 დარაყვილი ლაა — „ტარტარენ ტარასკონელი“ ქართულ ენაზე. № 12
 თოფურია აკ. — მოსკოვი ქვეყნად ერთია. № 12
 კახრაძე ითარი — ერთი უმართებულო რეცენზიის გამო. № 2
 მარტიროსოვი არ. — გამოკლევა „ვეფხისტყაოსანის“ ვნის და ტექსტის კრიტიკის საკითხის შესახებ. № 8
 მშვილდაძე ნოდარი — მზე ღრუბლებში. № 4
 ქვანახა ვენოი — წიგნი და მკითხველი. № 10
 სიგუა აღ. — წიგნი დიდ ისტორიკოსზე. № 11
 ლეინჯილია ჭანული — ორწული. № 10
 ლლონტი აღ. — ა. დონდუას შრომათა ახალი კრებული. № 6
 შუთყაური გიორგი — პოეტის ლიტერატურული წერილები. № 10
 ჩიტური ხ. — გარდასული ლექსების გახსენებ. № 4; წიგნი დიდ მეცნიერზე. № 8
 ჩხარტიყვილი რევაზი — ახალგაზრდა ერენალისტი რომანის გმირი. № 10
 ჭუმბურიძე ზ. — მოსოგრაფიული ნაშრომი ქართული ლექსიყის საკითხებზე. № 3
 ხომერიყი ნუნუ — ცოცხალი ხასიათები. № 4



6 1057217



8560 80 433

ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ